აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის მიმართულება

მაია ფართლაძე

განათლების რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ. წ.)

**ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი**

ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

დარგი/სპეციალობა_1004. ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი დოდო ჭუმბურიძე

**ქუთაისი
2017**

სარჩევი

შესავალი და საკითხის ისტორიოგრაფია 4

თავი 1. განათლების რეფორმის პროექტი და სასკოლო სისტემა 1918-1921 წლებში.....11

§ 1. კანონპროექტი სახალხო განათლების რეორგანიზაციის შესახებ და მისი მთავარი ასპექტები.....13

§ 2.1918-1921 წლებში საქართველოში არსებული სკოლები და სკოლათა ტიპები 17

§ 3. საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მუშაობა განათლების რეფორმის განსახორციელებლად; დამფუძნებელი კრების განათლების კომისია 26

§ 4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამოსწავლო საბჭო და სასწავლო კომიტეტი.....42

§ 5. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია 50

თავი II. ახალი სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები განათლების რეფორმის კონტექსტში 68

თავი III. სკოლების „გაეროვნების" საკითხი და ეროვნულ უმცირესობათა სასწავლებლები 1918-1921 წლებში.....81

თავი IV. პედაგოგთა კადრების მომზადება, პედაგოგთა და მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში.....93

§ 1. საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები 105

§ 2. მასწავლებელთა დახელოვნების კურსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 110

§ 3. მასწავლებელთა კავშირები..... 116

§ 4. 1918-1921 წლებში მოღვაწე ცნობილი პედაგოგები.....118

თავი V. საქართველოს გარეთ არსებული ქართული სკოლები 1918-1921 წლებში 134

თავი VI. „საპროფესიო-სატეხნიკო"და სხვა სპეციალური სასწავლებლები 1918-1921 წლებში.....140

§ 1. სასოფლო-სამეურნეო და კომერციულ-ტექნიკური სასწავლებლები ..142

§ 2. სასულიერო სასწავლებლები და საღვთო რჯულის სწავლების საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 162

თავი VII. განათლების რეფორმა და ქართული საზოგადოება 1918-1921 წლებში 172

§ 1. ერობებისა და სკოლების ურთიერთობა 172

§ 2. ოპოზიციური საზოგადოებრივი აზრი განათლების რეფორმისა და სკოლების შესახებ 177

თავი VIII. უმაღლესი განათლება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები 1918-1921 წლებში.....190

§ 1.პირველი ქართული უნივერსიტეტი და უმაღლესი სკოლა დემოკრატიულ საქართველოში 190

§ 2. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და განათლების რეფორმით განსაზღვრული მათი ფუნქციები 1918-1921 წ. წ. 195

ძირითადი დასკვნები 218

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 231

შესავალი და საკითხის ისტორიოგრაფია

განათლების სისტემა ფართო მცნებაა და მოიცავს იმ უაღრესად მნიშვნელოვან სფეროებს, რომელთაც უდიდესი როლი აკისრიათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მაღალ დონეზე დაყენების, ქვეყნის პროგრესისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. განსაკუთრებით ეს მოთხოვნა ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყნებში დგება. ამიტომ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებულ რეფორმებს შორის განათლების რეფორმას უპირველესი ადგილი ეჭირა.

ცარიზმის ბატონობის 117 წლის მანძილზე საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა ემსახურებოდა რუსეთის იმპერიალისტურ-კოლონიურ პოლიტიკას და იდეოლოგიას: მისი მიზანი იყო მოეხდინა ქართველი ერის ასიმილაცია რუსული განათლების სისტემის საშუალებით, ქართველი ახალგაზრდობისთვის ეროვნული სულიერი საყრდენი გამოეცლია. განათლების რეფორმამ გააგრძელა და დაასრულა ცარიზმის დამხობისთანავე (1917) დაწყებული სკოლების „გაეროვნების" პროცესი, დაარსდა ახალი სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, დაიწყო პედაგოგთა ახალი კადრების მომზადება როგორც ადგილზე, ასევე საზღვარგარეთ, განათლების რეფორმით მოხდა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების კოორდინაცია, რომელიც ერთი მიზნისკენ - ქართველი ახალგაზრდობის ევროპული სტანდარტებით განათლებისკენ იყო მიმართული.

საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოვიყენეთ ის სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო დოკუმენტური წყაროები, პრესისა და მემუარული ლიტერატურის მასალები, რაც ეხება დასახელებულ პრობლემას, ვაჩვენეთ აქამდე შესრულებული ნაშრომების კვლევის შედეგები, კონცეპტუალურად მისაღები თუ მიუღებელი თვალსაზრისები, გამოვკვეთეთ ჩვენი სამეცნიერო მიზანი და შესასწავლი თემის აქტუალობა, ის სიახლეები, რაც დასახელებული პრობლემის კვლევის შედეგად იქნა მიღწეული. ნაშრომი ძირითადად ეფუძნება საარქივო, პრესისა და მემუარული ლიტერატურის მასალებს, გამოჩენილ პედაგოგთა შესახებ არსებულ ლიტერატურას. ძირითადი

საარქივო მასალა თავმოყრილია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის 1935-ე ფონდში, სადაც ათასზე მეტი საქმეა დაცული. ასევე, გამოვიყენებთ ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებს (3, 6, 9, 15, 19, 20, 39,81, 105,121, 1717 და სხვ.); საკვლევი თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას: ტ, სარიშვილი, „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში" (1900-1921 წ.წ,), თბილისი, 1956; დ. ჭუმბურიძე - „განათლება 1918-1921 წლებში", თბილისი, 2000; ამირან ნიკოლეიშვილის - „კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში(1918 წლის მაისი- 1921 წლის თებერვალი)", თბილისი, 1999;ტრიფონ ხუნდაძის - „ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან", თბილისი, 1976; გრ. გიორგაძის, გ. თავზიშვილის, ნ. შეროზიას, ლ. ზამბახიძის, გ. ჯიბლაძის, ო. ქინქლაძის, ნ. ვასაძის და სხვათა ნაშრომები; ქართველ კლასიკოსთა - ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა პედაგოგიური ნაწერები; კრებულები: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები,1, 2, 3, თბილისი, 1953, 1983, 1986; ქართველ მოღვაწეთა ნაწერებს, რაც გამოქვეყნდა 1918-1921 წლების პრესაში: გაზეთებში - „საქართველო", „ერთობა", „სახალხო საქმე", „საქართველოს რესპუბლიკა" და სხვ.

პრობლემის კვლევა დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდე, 1991 წლიდან და გამოიცა რამდენიმე ნაშრომი.

1992 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა **გიორგი საყვარელიძის - „მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921 წ. წ.)".** 100 გვერდისგან შემდგარი ეს ნაშრომი პირველი ცდა იყო იმ მდიდარი საარქივო მასალის დამუშავებისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში არის დაცული. წიგნში სამი თავია გამოკვეთილი: 1. სახალხო განათლება დამოუკიდებელ საქართველოში; 2. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტი; 3. მინისტრის საბჭო.

მართალია, წიგნი მრავალ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნულ სფეროში მომხდარ სიახლეებსა და განხორციელებულ რეფორმებზე, მაგრამ განათლების სისტემაში შემავალი ბევრი დაწესებულება თუ მიმართულება, ამ მცირე

ფორმატის ნაშრომში ვერ მოხვდა. ამასთანავე, ბევრი მასალა დაუზუსტებელი, ან არასწორი კონცეფციითაა წარმოდგენილი.

დ. ჭუმბურიძის ნაშრომი, „განათლება 1918-1921 წლებში", თბილისი, 2000, პირველი სწორი შეფასებაა განათლების რეფორმისა და მისი განხორციელების გზებზე. წიგნში ყველა ის ძირითადი თემა, რასაც ჩვენ ვეხებით სადისერტაციო ნაშრომში, განხილულია, თუმცა, არის რამდენიმე საკითხი, რომელიც ავტორს არ შეუატანია თავის წიგნში. ესენია ის დოკუმენტური მასალა, რომელიც მოხვდა სხვადასხვა საარქივო ფონდებში და უკავშირდება აღნიშნულ პრობლემას. ეს საკითხებია: განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო კომისიები: სამოსწავლო საბჭო და მინისტრის საბჭო, საპარლამენტო კომისიები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებდნენ და ეხმარებოდნენ ქვეყანაში განათლების რეფორმის განხორციელებას: განათლების კომისია და ხელოვნების კომისია; საკვლევ თემაში შემოვიტანეთ ასევე ცნობილ პედაგოგთა ბიოგრაფიები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მონაცემები, რომელთა შესახებ მასალები სხვადასხვა საარქივო ფონდებშია დაცული.

3 წიგნად გამოცემული კრებულები: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები (1, 2, 3, თბილისი, 1953, 1983, 1986) 1918-1921 წლებში მოღვაწე პედაგოგებზე მხოლოდ კონიუნქტურულ შეფასებებს იძლევა, მთლიანად გამოტოვებულია დამოუკიდებლობის წლები და ჩვენთვის საინტერესო პერიოდი, რაც უნდა შეგვევსო ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო, მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურით.

ასევე საყურადღებოა **ა. ნიკოლეიშვილის** ნაშრომი, თუმცა, მასში მხოლოდ 1918-1921 წლების კულტურულ მოვლენებზეა საუბარი და არა მთლიანად განათლების რეფორმაზე.

ჩვენ ნაშრომში გამოყენებულია ცალკე გამოცემული საკანონმდებლო აქტები, კულტურულ დაწესებულებათა შესახებ არსებული შრომები, თუმცა, ჩვენი გამოკვლევა ძირთადად საარქივო დოკუმენტებსა და პრესის პუბლიკაციებზეა აგებული. ეს მასალები აქამდე სამეცნიერო ბრუნვაში არ ყოფილა და ჩვენი სამეცნიერო დასკვნებიც ამ ფაქტოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობა.

საკვლევი პრობლემის აქტუალობა: საკვლევი პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხი ყველა ასპექტით დღემდე მონოგრაფიულად არაა შესწავლილი. განათლების სფერო ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის იყო მის ყველა მიმართულებაში წარმატების მოპოვების საწინდარი: ახალი კადრების მომზადება, მაღალი პროფესიონალიზმი და ინოვაციური ხედვა, თანამედროვე სიახლეების თამამი ათვისება და დანერგვა ამ რეფორმის წარმატებით გახორციელების გარეშე შეუძლებელი იქებოდა. პრობლემა აქტუალურია დღევანდელ საქართველოშიც და წარსულში მომხდარი მოვლენების გაანალიზება, არსებული გამოცდილების გათვალისწინება ამ პროცესის უკეთესად წარმართვაში დაგვეხმარება.

ნაშრომის ძირითადი მიზანი. ნაშრომის ძირითადი მიზანია საკითხის მონოგრაფიული დამუშავება. ბევრი თავისებურება, რაც ამ რეფორმას ახლდა, ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, ბოლომდე შესწავლილი და მეცნიერულად დასაბუთებული. სხვადასხვა ინსტიტუციურ თუ პირად არქივში დაცული ყველა მასალა, რომელიც ეხება 1918-1921 წლების საგანმანათლებლო-კულტურულ მოვლენებს, ბოლომდე შესწავლილი არ არის.

ნაშრომის მიზანია ეს ხარვეზები გამოვასწოროთ, არსებული ფაქტოლოგიური მასალების გამოყენებითა და საარქივო ფონდებში მიკვლეული ახალი მასალების საშუალებით წარმოვადგინოთ მოვლენათა სრული სურათი და გავაკეთოთ ობიექტური, კონცეპტუალურად ახალი დასკვნები.

ქრონოლოგიური ჩარჩო. მართალია, ჩვენ მიერ შესასწავლად აღებული მოვლენების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ხანმოკლე პერიოდს (1918-1921), მაგრამ, ამ დროს მიმდინარე პროცესები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლებია. პოლიტიკურად უმწვავესი პროცესების პირობებში სულიერი ცხოვრების მთავარი დანიშნულება იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის ერთგული ახალგაზრდობის აღზრდა, ლიტერატურისა და ხელოვნების ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალვა, რასაც ყველა ქვეყნისთვის, მითუმეტეს, პატარა და უამრავი საფრთხის პირობებში მყოფი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

სამეცნიერო სიახლე. საკვლევი თემის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოვიდა ახალი წყაროები, საარქივო დოკუმენტები და პრესის მასალები, პროცესებში მონაწილე ადამიანების ჩანაწერები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, გაანალიზდა რეფორმის ყველა ასპექტი: მისი მნიშვნელობა ახლგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, რეფორმის ძირითადი არსი, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სიახლე, ეროვნული და ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მდგომარეობა, საქართველოს გარეთ არსებული ქართული სკოლების მდგომარეობა, მასწავლებელთა ამდროინდელი კორპუსის პრობლემები, საზოგადოებრივი აზრი სკოლასა და რეფორმის პროცესზე, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების შექმნა და ძველის რეორგანიზაცია რეფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით და სხვ. კულტურულ- ისტორიული ფაქტები შეფასდა თანამედროვე მოვლენებთან მიმართებაში.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთკავშირის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის უნივერსალური მეთოდები. ფაქტებისა და პროცესებისადმი თანამედროვე სახელმწიფოებრივი მიდგომა სრულად უზრუნველყოფს გასული საუკუნის მოვლენების შეფასებათა გადასინჯვას, კრიტიკულ ანალიზსა და ისტორიულ მოვლენათა ახლებურ გააზრებას.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა. ნაშრომს ექნება თეორიული მნიშვნელობა. საბჭოთა პერიოდის ტოტალიტარულ სისტემაში 1918-1921 წლების მოვლენები ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ფასდებოდა, კრიტიკის ცეცხლში ტარდებოდა ე. წ. „ბურჟუაზიული'' მეცნიერება, განათლება, სასკოლო სისტემა, იდეალდებოდა ყველაფერი საბჭოური. ამდენად, არსებული პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემები არ შეისწავლებოდა და არ ფასდებოდა ობიექტურად. იმ მასალებს, რომლებსაც ჩვენ მოვუყარეთ თავი და შევაფასეთ ქართული საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური ცხოვრების კონტექსტში, ექნება გარკვეული ღირებულება, ახალი დოკუმენტების და ჯერ შეუსწავლელი ფაქტების

გამოვლენა-გაანალიზება გაზრდის ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას და ის შეავსებს ქართული ისტორიოგრაფიის მიერ აქამდე შექმნილ ამ პერიოდის ისტორიას.

დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება. სადისერტაციო ნაშრომს ექნება პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომში დამოწმებული და გაანალიზებული ფაქტობრივი მასალები, ისევე, როგორც კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, იქნება ქართული ისტორიოგრაფიის სიახლე და ის გამოადგება როგორც მკვლევარ-სპეციალისტებს, ასევე პედაგოგებს, საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირს, რათა ობიექტური კრიტერიუმით შეაფასონ წარსულის მოვლენები, გამოიყენონ იგი, როგორც ისტორიული გამოცდილება დღევანდელი მოვლენების შეფასებისას, განათლების სისტემაში დღესაც მიმდინარე რეფორმების განხორციელების პროცესში გაითვალისწინონ ის შეცდომები თუ წარმატებები, რაც წარსულში განხორციელდა. სადისერტაციო გამოკვლევა ასახვას ჰპოვებს მე-20 საუკუნის საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, სალექციო და სასემინარო მუშაობაში.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 225 გვერდს. იგი შედგება შესავლისა და ისტორიოგრაფიის, 8 თავის, 15 პარაგრაფისა და ძირითადი დასკვნებისაგან. ნაშრომს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

ძირითადი საკვლევი საკითხებია: განათლების რეფორმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო, კულტურული და კვლევითი დაწესებულებების შესწავლა, განათლების რეფორმის პრიორიტეტების გამოყოფა, სკოლების ტიპების განსაზღვრა (პირველდაწყებითი, დაწყებითი, საშუალო სკოლები, გიმნაზიები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები)უმაღლესი განათლების კერების, არასასკოლო საგანმანათლებლო სისტემის შესწავლა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები: მონოგრაფიულად პირველად იქნება შესწავლილი განათლების რეფორმა 1918-1921 წლებში, მისი კონკრეტული არსი, თანამედროვე თვალთახედვით და კვლევის მეთოდოლოგიით იქნება გაანალიზებული მისი ყველა ასპექტი, კონცეპტუალურად ობიექტური შეფასება

მიეცემა განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენების კავშირს ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პრობლემებთან, ეროვნული ცნობიერებისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებს, რასაც დღევანდელ საქართველოშიც აქვს გამორჩეული მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცებაში.

თავი 1. განათლების რეფორმის პროექტი და სასკოლო სისტემა 1918-1921 წლებში

1918 წლის 26 მაისს დასრულდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის კოლონიურ-დამპყრობლური რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველომ აღიდგინა 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა, შექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები და გაატარა რეფორმები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა **განათლების რეფორმას,** რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა. მასში შედიოდა უდაბლესი საფეხურიდან დაწყებული (საბავშვო ბაღები), უმაღლესი განათლების კერებით დასრულებული (უნივერსიტეტი, ინსტიტუტები)სასკოლო დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური, სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებები, მოძრავი ბიბლიოთეკები, სახალხო წიგნთსაცავებისა და სამკითხველოების, სახალხო უნივერსიტეტების, მუზეუმების, ხელოვნებისა და ლიტერატურული საზოგადოებების, პრესის, სტამბებისა და სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ორგანიზაციების ფართო ქსელი, ამასთან, რეფორმით გათვალისწინებული იყო ამგვარი ახალი ორგანიზაცია-დაწესებულებების შექმნა, ან უკვე არსებულის რეორგანიზაცია.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მომავალი, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე, კულტურული და სამეცნიერო პროგრესი, ახალი კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი - ამ რეფორმის წარმატებით განხორციელებასთან სასიცოცხლოდ იყო დაკავშირებული.

რეფორმის გასატარებლად სახელმწიფო ხაზინიდან 10 მილიონი მანეთი გამოიყო.

რეფორმის გატარებას ზოგადად აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ედგა სათავეში, უშუალოდ კი მისი განხორციელება უნდა უზრუნველეყო განათლების სამინისტროს.

განათლების სამინისტრო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო1918 წლის 26 მაისს შეუდგა საქმიანობას. ქვეყნისთვის ამ მეტად საპასუხისმგებლო სფერომ იმ მცირე დროის მანძილზე, როდესაც

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, სამი მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი, ნოე რამიშვილი და გრიგოლ ლორთქიფანიძე და ორი მინისტრის მოადგილე (ამხანაგი)გამოიცვალა: ალექსანდრე მდივანი და ნოე ცინცაძე.

თავდაპირველად სამინისტროში სამი განყოფილება შეიქმნა: უმაღლესი და საშუალო სკოლების, სახალხო სკოლების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების. ამ განყოფილებების მთავარგამგეები სხვადასხვა დროს იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, გრიგოლ ნათიძე, გიორგი ჭუმბურიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი. სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ვუკოლ ბერიძე.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის განათლების პირველი მინისტრი გიორგი ლასხიშვილი 1918 წლის 21 ივნისის თარიღით ეროვნული საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში წერდა, ამ დროისათვის საქართველოში სწავლა-განათლების საქმეს უძღვებოდნენ შემდეგი დაწესებულებები: **განათლების სამინისტრო, ამიერკავკასიის საოლქო დაწესებულება, ე.წ. კომისარიატი, დირექციები და სახალხო სკოლების ინსპექციები.** ეს დაწესებულებები იერარქიული წესით განაგებდნენ განათლების სისტემას. მინისტრი თვლიდა, რომ ეს იყო როგორც ზედმეტად რთული სისტემა მართვისათვის, ასევე, ფინანსურადაც წამგებიანი. ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდა განათლების საქმის ერთ ინსტიტუტში მოქცევას და სისტემის მთლიან რეორგანიზაციას. სწორედ ამგვარი რეორგანიზებული სამინისტრო გაატარებდა ქვეყანაში იმ რეფორმას, რომლის გარეშეც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესები ვერ განხორციელდებოდა [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 257, ფ.4].

1918 წლის 1 ივლისს გაუქმდა კავკასიის სასწავლო მართვა-გამგეობის კომისარიატი [სცსსა, ფონდი1836, ან.1, საქმე 257, ფ. 8], შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, მინისტრი სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი გახდა, განათლების სამინისტროს 1918 წლის ბოლომდე ხაზინიდან გამოეყო 164, 200 მანეთი [სცსსა, ფონდი1836, ან.1, საქმე 257, ფ.24].

მის მიერ წარდგენილი სამინისტრო ასე გამოიყურებოდა : მინისტრი, მინისტრის ამხანაგი და მინისტრის საბჭო, განათლების სამინისტროს 3 განყოფილება: 1.

უმაღლესი და საშუალო სკოლების; 2. სახალხო სკოლების და 3. საპროფესიო სკოლების განყოფილება, სამინისტროს კანცელარია თავისი შტატებით.

პარლამენტმა შესწორებებით დაამტკიცა სამინისტროს შემადგენლობა და შტატები, რაც სამთავრობო გაზეთმა ,,საქართველოს რესპუბლიკამაც'' გამოაქვეყნა [,,საქართველოს რესპუბლიკა'', №16, 1918, 20 სექტ.].

§ 1. კანონპროექტი სახალხო განათლების რეორგანიზაციის შესახებ და მისი მთავარი ასპექტები.

1918 წლის 19 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ეროვნულ საბჭოში წარადგინა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ახალი უმაღლესდაწყებითი სასწავლებლების გახსნისა და ძველის სახაზინო უწყებაში გადატანის შესახებ. მინისტრი ამბობდა, რომ პირველდაწყებითი სასწავლებლების ნაკლებობას განიცდიდა აღმოსავლეთ საქართველო, ამიტომ, თბილისის გუბერნიაში საჭირო იყო ახალი სასწავლებლების გახსნა. ,,პირველდაწყებით სასწავლებში სწავლა-დამთავრებულნი, - ამბობდა მინისტრი, - უმეტეს შემთხვევაში ან სრულიად ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას, ან იძულებულნი არიან ფრიად დიდი შრომა და ენერგია დახარჯონ, რომ საწადელს მიაღწიონ და სადმე უმაღლესდაწყებით სასწავლებელში შევიდნენ. მაგალითად: ტფილისის მაზრაში 60 პირველდაწყებითი 1და 2-კლასიანი სასწავლებელია და არცერთი უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი არ მოიპოვება, გარდა თვით ქალაქ ტფილისისა. გორის მაზრაში 117 პირველდაწყებითი სასწავლებელია, ხოლო 2 მთავრობის უმაღლესდაწყებითი, გორსა და ჯავაში; სიღნაღის მაზრაში 74 პირველდაწყებითი სასწავლებელია და მხოლოდ ერთია მთავრობის უმაღლესდაწყებითი. დუშეთის მაზრაში 32 პირველდაწყებითი სასწავლებელია და არცერთი უმაღლესი საფეხურისა, გარდა ქალაქ დუშეთში არსებულ უმაღლეს პირველდაწყებით სკოლისა, რომელიც საზოგადოების ხარჯით ინახება''[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე265, ფ.1] .

ამ მონაცემთა გამო, განათლების მინისტრი საჭიროდ მიიჩნევდა ახალი სკოლების გახსნას შემდეგ ადგილებში: თბილისის მაზრის სოფელ საგარეჯოში, ქვემო მაჩხაანსა და გურჯაანში (სიღნაღის მაზრა), მცხეთაში (დუშეთის მაზრა), ბორჯომში (გორის მაზრა). ნაძალადევში, როგორც თბილისის განაპირა რაიონში, რომელიც სკოლის გარეშე იყო დარჩენილი, არსებული რკინიგზის 2-კლასიანი სასწავლებელი უნდა გადაკეთებულიყო უმაღლესდაწყებით სკოლად. ხაზინას თავის ხარჯზე უნდა გადაეყვანა უკვე არსებული უმაღლესდაწყებითი სასწავლებლები: დუშეთის, ცხინვალისა და სიღნაღის ყოფილი მარინეს სახელობის სკოლა.

მინისტრს არ გამორჩენია ის დიდი პრობლემები, რაც იდგა ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთი უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის წინაშე, მათ საკუთარი ხარჯით არსებობა აღარ შეეძლოთ და ამისთვის საჭირო გახდა სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში მათი გადასვლა. ასეთებად მან დაასახელა: ჩოხატაურის, ხარაგაულის, ჩხარის, ლაილაშის და ხორგას სკოლები. ამას დაუმატა ბანძისა და ზუგდიდის ყოფილი მეორე კლასიანი სამასწავლებლო სკოლის და ხონის ქალთა უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის ის ზედმეტი ხარჯი, რაც ამ სასწავლებლების გადაკეთებას მოჰყვა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე265, ფ.1].

ამ საქმისთვის მინისტრი ხაზინიდან ითხოვდა 181,200 მანეთს. მოთხოვნას თან ახლდა საფინანსო ორგანოების მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

ეროვნულმა საბჭომ განიხილა განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი რესპუბლიკაში პირველდაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ. დოკუმენტს თან ახლდა სახელმწიფო კონტროლიორის ფ. გაგოშიძისა და ფინანსთა მინისტრის გ. ჟურულის დასკვნები.

კანონ-პროექტის პირველი ვარიანტი შეასწორა სარედაქციო კომისიამ და შესწორებების შესახებ პარლამენტის პრეზიდიუმს შალვა ამირეჯიბმა მოახსენა. შესწორდა თანხის ოდენობაც და ის 121 440 მანეთით განისაზღვრა [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 254, ფ. 17].

1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. დოკუმენტი ითვალისწინებდა დარგის მთლიან რეორგანიზაციას.

უნდა ითქვას, რომ ამ დროის სახელმწიფო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სამინისტროებსა და დამფუძნებელი კრების აპარატში ბევრი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მუშაობდა. მათ შორის ამ პროექტის გადაცემა ეროვნული საბჭოს უმცროსმა საქმის მწარმოებელმა, შესანიშნავმა ეთნოლოგ-ისტორიკოსმა გ. ბოჭორიძემ დაადასტურა. მოხსენებით გამოვიდა პარლამენტის განათლების კომისიის წევრი ნოე ცინცაძე.

1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ მთავრობის სხდომაზე განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა ვრცელი მოხსენება გააკეთა განათლების რეფორმის შესახებ. მინისტრმა ისაუბრა რეფორმის მთავარ პრიორიტეტებზე, იმ დაბრკოლებებზე, რაც შესაძლო იყო წინ აღდგომოდა მის წარმატებით განხორციელებას.

დოკუმენტის მიხედვით თბილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველდაწყებითი სკოლა უნდა გახსნილიყო. ახალი კომპლექტები, ანუ კლასები უნდა გახსნილიყო 13 სოფელში, სადაც მოსახლეობა ჭარბად ცხოვრობდა. სახელმწიფო ხაზინიდან ამ საქმის გასაკეთებლად უნდა გაცემულიყო 106440 მანეთი [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 254, ფ. 3].

საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დებულება ასეთი იყო:

1. „საქართველოს რესპუბლიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა ინახავს, ერთი ტიპისაა.

შენიშვნა: საერთო (ზოგადი) განათლების საშუალო სკოლა რომელიც ქალაქთა, ერობათა, საზოგადოებათა, ან კერძო პირთა საშუალებით ინახება, შესაძლებელია განსხვავდებოდეს პირველ მუხლში აღნიშნულ სკოლის საერთო ტიპისაგან იმ აუცილებელი პირობით, თუ ეს განსხვავება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულია განათლების სამინისტროს მიერ.

2. საერთო განათლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და ამავე დროს მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლისათვის.

3. განათლების საშუალო სკოლას 4 კლასი აქვს, ერთი წლის კურსით თითოეული.

შენიშვნა 1. 1919-1920 და 1920- 1921 წლებში გიმნაზიაში არსებულ 8 და 7 კლასიან საზოგადო განათლების საშუალო სკოლას და აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქნეს უმაღლეს დაწყებით სკოლებად.

შენიშვნა 2. გაუქმებული იქნეს საერთო განათლების საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები.

4. განახლებულ საშუალო სკოლებში ისწავლება შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული ენა და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე - არჩევით, ან ფრანგული, ან გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.

5, ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი, ამოღებული იქნა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 186, ფურც. 3].

კანონპროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სკოლების მართვისა და სწავლა-აღზრდის ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ მოიწონა მთავრობამ და წარუდგინა ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 3 ივნისს დასამტკიცებლად [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 454, ფურც. 8].

მთავრობამ მოხსენება მოიწონა 1918 წლის 1 ოქტომბერს, დეტალები კი შემდეგ დამუშავდა. კანონ-პროექტის მიღებას მთავრობის საქმეთა მმართველის მაგიერ ხელს გრიგოლ რობაქიძე აწერდა [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 254, ფ. 1].

კანონპროექტი საბოლოოდ პარლამენტის თავ-რემ - ნ. ჩხეიძემ და მთავრობის თავმჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ დაამტკიცეს.

§ 2. 1918-1921 წლებში საქართველოში არსებული სკოლები და სკოლათა ტიპები

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, განათლების რეფორმა მაინც ხორციელდებოდა. საყოველთაო საშუალო განათლება, რომელიც თანდათან უფასო უნდა გამხდარიყო, თანაც ის, რომ საკუთარ ენაზე შეეძლოთ ქართველ მოსწავლეებს ყველა ძირითადი საგნის სწავლა, დიდი ფუფუნება იყო 117 წლოვანი რუსული შოვინისტური საგანმანათლებლო პოლიტიკის შემდეგ.

განათლების სისტემა და ამ დარგში გასატარებელი რეფორმა მხოლოდ სკოლას არ ეხებოდა. ის მოიცავდა ფართო სპექტრს, რასაც კარგად აჩვენებს 1919 წელს შემდგარი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია სისტემაში შემავალი სასწავლებლები და დაწესებულებები.

1919 წლისათვის ქვეყანაში იყო შემდეგი **საშუალო სასწავლებლები:**

სახაზინო

1. ვაჟთა გიმნაზია 28; 2. ქალთა გიმნაზია - 24; 2. რეალური სასწავლებელი - 3; 4. საკომერციო სასწავლებელი -3; 5. პოლიტექნიკური სასწავლებელი -1; 6. ტექნიკური სასწავლებელი- 3; 7. საოსტატო სემინარიები - 5; .8. საბებიო ინსტიტუტი - 1; 9. კბილის ექიმთა კურსები -1; 10. საზღვაოსნო სასწავლებელი ფოთში -1; 11. სამუსიკო სკოლა - 1; 12. ექიმის თანაშემწის სასწავლებელი -1; 13. საფერშლო სკოლა-1;14. მიწათმზომელთა სასწავლებელი -1; 15. დრამატული კურსები -1; 16. საბუღალტრო კურსები -5;

ამ სკოლებში ასწავლიდა 1926 პედაგოგი.

დაბალი (დაწყებითი) სასწავლებლები:

1. უმაღლეს დაწყებითი 108 სკოლა, სადაც 735 მასწავლებელი ასწავლიდა;

2. პირველდაწყებითი 1860 სკოლა ,სადაც ასწავლიდა 3252 პედაგოგი;

3. საპროფესიო-სატეხნიკო 12 სკოლა - 85 მასწავლებლით;

4. საკერამიკო 2 სკოლა 12 მასწავლებლით;

1860 პირველდაწყებითი სკოლიდან 120 სკოლა არაქართველების იყო და ეროვნების მიხედვით ასე იყო განაწილებული: ა) ბერძნების - 52; ბ) რუსული - 22; გ) სომხური -16; დ) მუსულმანური - 12; ე) ოსური -10; ვ) გერმანული -8.

კერძო სასწავლებლები

ა) ვაჟთა გიმნაზია -14; ბ) ქალთა გიმნაზია -12; გ) რეალური სასწავლებელი -3; დ) საკომერციო სასწავლებელი -2; ე)საბუღალტრო კურსები -6; ვ) სავაჭრო სკოლები -8.

უმაღლესი სასწავლებლები

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 3 ფაკულტეტით: ა) სიბრძნისმეტყველება; ბ) ფიზიკა-მათემატიკის; გ) სამკურნალო. პროფესორთა კორპორაციაში შედიოდა 31 კაცი, ლაბორანტ-ასისტენტებად ირიცხებოდა 80 თანამშრომელი;

2. კერძო უნივერსიტეტი (მთავრობის დაფინანსებით);

3. თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი;

4. თბილისის უმაღლესი საინჟინრო კურსები;

5. თბილისის კერძო იურიდიული კურსები;

6. თბილისის კონსერვატორია;

7. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც 2 გან-ბა ჰქონდა: ისტორია-ფილოლოგიის და ფიზიკა-მათემატიკის.

სამეცნიერო დაწესებულებები

1. ფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც ჰქონდა საკვლევი სადგური მცხეთასთან ახლოს, კარსანში;

2. გეოგრაფიის ინსტიტუტი;

3. არქეოლოგიური ინსტიტუტი;

4. **მუზეუმები**: ა) ეროვნული მუზეუმი 5 განყოფილებით: ისტორია-არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის; ბ) თბილისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი; გ) ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი; დ)საეკლესიო მუზეუმი; ე) პედაგოგიური მუზეუმი თბილისში.

წიგნთსაცავები: ა)ეროვნული საჯარო; ბ) საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავი ქ. თბილისში; გ) საეკლესიო მუზეუმის ბიბლიოთეკა; დ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა; ე) პედაგოგიური მუზეუმის ბიბლიოთეკა.

საზოგადოებანი:

ა)საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოება; ბ) საარქეოლოგიო; გ) საარქეოგრაფიო; დ) საფილოსოფიო; ე) საიურიდიო; ვ) ექიმთა და ბუნებისმეტყველთა; ზ) თბილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება; თ) ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება; ი) ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება; კ) ფარმაცევტთა; ლ) ბეითალთა.

მოკლევადიანი ყოველწლიური კურსები

ა) სახალხო მასწავლებელთა კურსები თბილისსა და ქუთაისში;

ბ) საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსები;

გ) სატეხნიკო კურსები სახალხო მასწავლებელთათვის.

ლიტერატურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებული საზოგადოებანი

ა) თეატრები -24; ბ)ქართველ მხატვართა საზოგადოება -1; გ) ქართველ მწერალთა საზოგადოება -1; დ) სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოება -1; ე) ქართული კულტურის მოყვარულთა საზ-ბა -1; ვ) დრამატული საზოგადოება -4; ზ) ფილარმონიული სა-ბა -1; თ)სამუსიკო საზ-ბა-1.

სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებები

ა) მოძრავი ბიბლიოთეკა -3; ბ) სახალხო წიგნთსაცავები და სამკითხველოები ქალაქებსა და დაბებში- 2112; გ) სახალხო უნივერსიტეტები -12; დ)საბავშვო ბაღები -16; ე)ხელბურთის კურსები -8; ვ) საკვირაო და საღამოს კურსები მოზრდილთათვის -216; ზ) უცხო ენათა კურსები -10; თ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავისი ფილიალებით და სკოლებით, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ: კავკავში, არმავირში, პეტროვსკში, დერბენტში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, გუმბრში, ნახჭევანში, შემახიაში, შუშაში და სხვაგან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 54, ფურც. 26-29].

სკოლების რაოდენობით დასავლეთ საქართველო უსწრებდა აღმოსავლეთს, რასაც სამინისტროში შედგენილი ერთი დოკუმენტიც აღნუსხავს.

1918 წელსვე შედგა ცხრილი, რომლის მიხედვით ახლი სასწავლებლები უნდა გახსნილიყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში [სცსსა, ფ. 1935, აღ.1საქმე 27, ფ. 6-8].

ა. **ვაჟთა გიმნაზიები**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო 28 ვაჟთა სახელმწიფო გიმნაზია.1918 წლის დეკემბერში შედგა დებულება ვაჟთა გიმნაზიებისთვის, სადაც დაკონკრეტდა საშტატო ერთეულების, საგნებისა და გაკვეთილების რაოდენობისა და საათობრივი ანაზღაურების ნორმები. საერთო დებულება შემუშავდა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ [სცსსა, ფ. 1935, საქმე 8, ფ.. 21-22; ფ.42-44].

თბილისში 8 ვაჟთა გიმნაზია იყო, რომელთა რეორგანიზაცია მოხდა და ამ სასწავლებლებიდან ზოგი გაუქმდა. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დირექტორი იყო იაკობ ღულაძე. გიმნაზიაში ბევრი ცნობილი პედაგოგი ასწავლიდა [სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 175, , ფ.7-10; 33-38].

1918-1919 სასწ. წელს თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის დირექტორი იყო ი. ტ. ლორთქიფანიძე [შემდეგ ი. ნიკოლაიშვილი]. მასწავლებლები: მ.ვ. აბრამიშვილი, მ.ს. კეჭაღმაძე, მ.ს. შახმურადიანცი, ნ.ა. სუროვცოვი, ნ. ი. ლორთქიფანიძისა, ი. ი. გველესიანი, ვ. ი. კოტეტიშვილი, ვ. მ. გიგინეიშვილი, პ. გ. საყვარელიძე, დ. მ. გაჩეჩილაძე, კ. ს. კასრაძე, ნ.ნ. ბარანოვსკი და სხვ. [სცსსა, ფ.1935,აღ.2, საქმე 421, ფ. 1-16]. თბილისის ვაჟთა III გიმნაზიის დირექტორი იყო ა. დ. საფაროვი, რომელიც შემდეგ V გიმნაზიის დირექტორად გადაიყვანეს. სასწავლებელში ძირითადად არაქართველები მუშაობდნენ, იყვნენ ისეთი ცნობილი პედაგოგებიც, როგორიც იყო ს. კაკაბაძე, მელიქსეთ-ბეგი, ნ. თავდგირიძე [ფ. 1935, აღწერა 2, საქმე 400, ფ. 1-2].

თბილისის ვაჟთა მე-4 გიმნაზიის დირექტორი იყო მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი. ის დირექტორად 1918 წლის 10 სექტემბერს განათლების მინისტრის - გიორგი ლასხიშვილის ბრძანებით დაინიშნა. მანამდე მუშაობდა გორის ვაჟთა

გიმნაზიაში დირექტორად. მის ადგილზე გორში დაინიშნა ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ჯვარშეიშვილი [ფ.1935,აღ.2, საქმე 428, ფ. 1-4]. თბილისის ვაჟთა V გიმნაზია დაარსდა 1905 წელს, არსებობდა დამოუკიდებლობის წლებშიც. 1918 წლის საარქივო დოკუმენტით მისი დირექტორი იყო ა.დ. საფაროვი. სასწავლებლის სრულ მდგომარეობას დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ასახავს ვრცელი საარქივო დოკუმენტი. 1918 წლის ოქტომბრიდან გიმნაზიის დირექტორია ი. ჯიშკარიანი. 1919 წელს თბილისის ვაჟთა მე -5 გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლად მე-8 გიმნაზიიდან გადმოყვანილი იქნა მწერალი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა [ფ. 1935, აღ.2, საქმე 1428, ფ. 1-20] .

თბილისის ვაჟთა VI გიმნაზიის დირექტორი იყო ლიასოცკი, ინსპექტორი - ა. სავინოვი. მასწავლებლები: კ. დერჟავინი, მ. ზდანევიჩი, ვ. ზილმანი, მ. კრასოვსკი, მ. მიროვიჩი, მ. სტასი, ა. სამიკი, ი. სოკოლოვი, დ. შარიფოვი, პ. ფედორჩენკო, ფ. ვოლოდკო, კ. ორბელიანი, ა. ციმაკურიძე, ნ. დუნაევსკი, მ. ჯანაშვილი, ნ. სობოლევა და სხვ. თბილისის ვაჟთა VI გიმნაზიაში ფრანგულ ენას ასწავლიდა მიხეილ ანდრიას ძე ზდანევიჩი, გადაიყვანეს ვაჟთა IV გიმნაზიაში 1919 წლის სექტემბრიდან [სცსსა, ფ. 1935,საქმე 247, ფ.1-6] .

თბილისის ვაჟთა VII გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ ჩიგოგიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე დაინიშნა VI, VII და VIII გიმნაზიების გაერთიანების შემდეგ [ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 204, ფ.15].

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული გიმნაზიებიდან შეიძლება დავასახელოთ: თელავის ვაჟთა გიმნაზია, სადაც რუსულ ენას ასწავლიდა ალექსი ბარნოვი, ვასილ ბარნოვის შვილი. 35 წელი ასწავლიდა თელავში და 1920-21 სასწ. წლიდან განთავისუფლდა საკუთარი თხოვნით [ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 204, ფ.70-74].

ცნობილი გიმნაზიებიდან შეიძლება დაასახელოთ: ბათუმის ვაჟთა გიმნაზია; ქუთაისის ვაჟთა სათავადაზნაურო სკოლა-გიმნაზია დ მისი გან-ბა დაბა ძველ სენაკში. (დაარსდა 1881 წელს, ქუთაისის სკოლის გამგე იყო ა. ა. ჭიჭინაძე, სენაკის სკოლის გამგე ს. ყიფიანი). მას ხელ-ობდა წ. კ. გ. საზოგადოება [სცსსა, ფ. 1935, საქმე 109, ფ.1-9], სოხუმის ვაჟთა გიმნაზია; გიმნაზიის გამგე იყო ვლადიმირ ნიკოლოზის ძე დოლინსკი

(სასწავლებლის ვრცელ შინაგანაწესში არის მონიშნული ყველა დეტალი, რაც მასწავლებელთა კოლექტივს, დირექციასა თუ მშობელთა და მზრუნველთა კომიტეტებს ეკისრებოდა. ახალსენაკის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად 1918 წლის 25 დეკემბერს დაინიშნა ვლადიმერ დემურია, რომელსაც დასრულებული ჰქონდა … ნოვოროსიის უნივერსიტეტი, 1919 წელს ის გადაიყვანეს ფოთის ქალთა გიმნაზიის დირექტორად. ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდნენ პედაგოგები: ა კ. ნანეიშვილი, გ. დობორჯგინიძე, ვ. ლებედევი, თ. კორძაია, მ. ხუბულავა, თ. ნიკოლაიშვილი, ქ. მეძმარიაშვილი, გ. დობორჯგინიძე და სხვ. გიმნაზიის საერთო მდგომარეობის, მოსწავლეთა რაოდენობის, სასწავლო პროგრამებისა და სხვ. ცნობები არის საარქივო ფონდში [სცსსა, ფონდი 481, საქმე7146, ფ. 13-14].

ჩოხატაურის ვაჟთა გიმნაზია:1918 წლის ოქტომბერში ჩოხატაურის "პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციების სახელით, ანტონ ცინცაძე დეპეშებით მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრს - ნოე რამიშვილსა და განათლების მინისტრს - გ. ლასხიშვილს ჩოხატაურში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. ცინცაძე აღნიშნავდა, რომ ამისთვის საჭირო ადგილობრივი პირობები მზად იყო. განათლების სამინისტრომ დართო ნება იმ პირობით, რომ მასწავლებლები უნდა ჰყოლოდათ უმაღლესი განათლებით და "ყოველგვარი ხარჯები თვითონ საზოგადოებას უნდა ეკისრებინა". დირექტორისა და მასწავლებლების კანდიდატურები თავად სასწავლებელს უნდა წარედგინა [სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 71, ფ.4-9].

ე. წ. „შერეული გიმნაზია" არსებობდა ახალქალაქში [სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 74, ფ.1-21]. ოჩამჩირის ვაჟთა გიმნაზია (დაარსდა 1918 წლის ოქტომბერში). დირექტორი იყო ქალაქის მიერ მოწვეული მათემატიკის მასწავლებელი დ. როინიშვილი. პედაგოგებად მუშაობდნენ: თამარ ჩერქეზიშვილი (დაამთავრა მოსკოვის ქალთა კურსები რუსული ენისა და ისტორიის განხრით, ასევე იყო პეტერბურგის ფსიქო-ნერვული ინსტიტუტის მსმენელი გერმანულ ენაზე), ლავრენტი მჟავანაძე (თბილისის უნ. სტუდენტი, ქართული ენადა ისტორია). არსებობდა ორი კლასი - მე-5- მე-6, ოცამდე მოწაფით. განათლების სამინისტროს რევიზიის შემდეგ, შეიცვალა სკოლის ხელმძღვანელობა, დირექტორად დაინიშნა გრ. ჯაფარიძე [სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 76, ფ.1-9].

ცხინვალის ოსური შერეული გიმნაზია დაარსდა 1918 წლის ბოლოს. ორი მოსამზადებელი და 4 ძირითადი კლასით. გიმნაზიად გადაკეთდა ცხინვალის ოსთა უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი. სწავლა იყო ოსურ და რუსულ ენაზე, თუმცა, ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო სტატუსის მქონეს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა[სცსსა, ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 103,, ფ.14].

ებრაული გიმნაზია დაარსდა თბილისში 1917 წლის ივლისში, ოზაკომის მმართველობის დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გიმნაზიები დაარსდა ჭიათურაში, კულაშში, სადაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა შემდეგში ცნობილი ფილოლოგი -ვარლამ ძიძიგური [სცსსა, ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 241, ფ.1-2].

ასევე, გიმნაზიები არსებობდა საქართველოს თითქმის ყველა საერობო ერთეულის ცენტრსა და მსხვილ დასახლებებში. მაგ: დიდი ჯიხაიშში (გაიხსნა 1918 წლის 26 სექტემბერს, დირექტორი სერგო პლატონის ძე ცაგარეიშვილი, პედაგოგი ნიკო ნიკოლაძის ასული - რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა) [სცსსა, ფონდი 1935, აღ.2, საქმე 1511, ფ. 1-11].

ქალთა გიმნაზიები

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წლის აპრილისათვის იყო ქალთა 24 სახაზინო (სახელმწიფო) გიმნაზია. თბილისში ქალთა რამდენიმე სახაზინო და კერძო გიმნაზია იყო. თბილისის მე-5 ქალთა გიმნაზია მდებარეობდა კუკიაზე, მიხაილოვის პროსპექტზე (№40), სამსართულიან სახლში, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული გიმნაზიის დირექციას გენერალ იოსებ ისარლოვისაგან.. იჯარის ხელშეკრულება 1921 წლამდე იყო დადებული. 1919 წელს ისარლიშვილსა და დირექციას შორის მოხდა კონფლიქტი შენობის ტექნიკური მხარეების გამო, რემონტის ხარჯებს და ელექტოგაყვანილობის გაკეთებას გიმნაზია სახლის პატრონს სთხოვდა, რაზეც ის უარს ამბობდა, ამ საკითხზე შუამავლობას სწევდა ინჟინერი დავით ჯორჯაძე, რომელმაც ვრცელი ახსნა-განმარტების წერილი წარადგინა საქართველოს დ. რესპუბლიკის განათლების მინისტრთან. თავად გენერალი ისარლოვი ცხოვრობდა გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, საიდანაც გასახლებას უპირებდნენ სახელმწიფოს მიერ ამ ბინის საჭიროების გამო. ამ საკითხზე განათლების

სამინისტრო მიმართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დახმარება აღმოეჩინა გენერლისთვის, რომლის საკუთარი შენობა ქალთა გიმნაზიას ეჭირა, სადაც ერთი ოთახიც არ იყო პატრონისთვის დასათმობად. გენერალი იოსებ ისარლოვი იყო ცნობილი ცენზორის - ლუკა ისარლოვის შვილი [სცსსა, ფ, 1935, აღწ. 1, საქმე 55, ფ.1, 18-19].

თბილისის ქალთა მე-6 გიმნაზიაში 1919-1920 სასწ. წლისათვის მუშაობდნენ პედაგოგები: გრიგოლ ლორთქიფანიძე, ელ. შიმკევიჩი, ოლ. გოგლიჩძისა, ევ. სმირნოვისა, ივ. ბერეჟიანი, ალ. გაბრიჩიძე, ვ. წერეთელი, ქ. ჯუღელი, ე. საყვარელიძე, ზ. ხატიაშვილი, ან. ქავთარაძისა, მ. ვრუბელი და სხვ.

ქუთაისის ქალთა პირველი გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ: ივანე კუჭუხიძე, დარია კეჟერაძე, მღვდელი პლატონ ცქიტიშვილი, ვლადიმერ ფუთურიძე, დავით ჩხეიძე, სიმონ ლორთქიფანიძე, ოლღა ინასარიძე, ჩხენკელი ალექსანდრა, ბაბილინა კლდიაშვილი, ელენე მიქელაძე და სხვ. ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორი იყო დ. ქუთათელაძე [სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 173, ფ.3, ფ. 24-25].

ცნობილი ქალთა სასწავლებელი იყო ქუთაისის გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზია. 1917 წლის დეკემბერში იმერეთის საეპარქიო გაბრიელის ქალთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად და გადავიდა ამიერკავკასიის განათლების სამინისტროს უწყებაში. სასწავლებლის უფროსი იყო მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე, დირექტორი - ტრიფონ ჯაფარიძე. სასწავლებელში 1918-1919 წლებში ასწავლიდნენ: კონსტ. შანიძე, ვლადიმერ ვეკუა, დავით ჩარკვიანი, გრიგოლ ნასარიძე, პლატონ ხიზანაშვილი, თედორე ჩუდეცკი, ოლღა კლდიაშვილი, ვერა კორძაია, ნინო პავლოვა, ანა მატარაძე, და სხვ. გორის ქალთა გიმნაზიაში 1918 წლამდე სწავლა რუსულად მიმდინარეობდა, 1918 წ. სექტემბრიდან დაიწყო სასწავლებლის გაეროვნების პროცესი, დირექტორი ამ დროს იყო მ. კინწურაშვილი. გაეროვნების გამო სასწავლებლიდან დაითხოვეს რუსულენოვანი პედაგოგები: ელენე მეხეილის ას. ალექსანდროვისა, თამარა ციციშვილი გუბარევისა, ანტონ ლაკტინი, სერაფიმა ბაგიევისა, ვერა პემივერზევისა, ნინა ივანეს ას, ამირეჯიბისა და სხვ, ასევე დროებით მოწვეული პედაგოგები: ადოლფ ადოლფის ძე დრაგი, პეტრე გაბრიელის ძე პეტროვი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ლიუტოსტონსკი. ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობა

კარგად ვერ შეუსრულებია, რის გამოც, მზრუნველთა საბჭოსა და მშობლების დელეგატთა კრებამ მისი გადაყენება მოითხოვა და ამ თანამდებობაზე 2 კანდიდატი წამოაყენა: დამსახურებული პედაგოგი - ამბროსი ბესრიონის ძე მებურიშვილი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე - ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი. გორის ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა მათემატიკას ეკატერინე დიდებულიძე, 1918 წლის 1 სექტემბრიდან, რომელსაც დასრულებული ჰქონდა კიევის უმაღლესი ქალთა კურსების მათემატიკის ფაკულტეტი, მანამდე სწავლობდა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში.

ქალთა გიმნაზიები არსებობდა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში: თელავში, ახალციხეში, სიღნაღში, ბათუმში, სოხუმში და სხვ. [სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე 206, ფ.88, 89].

კერძო სასწავლებლები 1918-1921 წლებში

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბევრი კერძო სასწავლებელი არსებობდა. მთავრობა არ ზღუდავდა მათ გახსნას, თუმცა, სპეციალურად ამოწმებდა განათლების საერთო კანონის შესრულებას და მოსწავლეთა და პედაგოგთა უფლებების დაცვას სკოლის დირექციის მიერ. დარღვევების შემთხვევაში სკოლას ხურავდა.

კერძო სკოლები არსებობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით ბევრი ის იყო თბილისში. ეს სასწავლებლები იყო: ფონ-ბრენერის რეალური სასწავლებელი, ტერ-სტეფანოვის 4-კლასიანი შერეული გიმნაზია, ო. პ. არაპაევის რეალური სასწავლებელი, პუშკინის გიმნაზია, ნიკოლოზ თევზაძის კერძო შერეული გიმნაზია. 1918 წელს გაიხსნა ტროფიმენკოს მოზრდილთა კერძო გიმნაზია თბილისში. თბილისში 1918-1921 წლებში იყო კერძო გიმნაზიები: პანჩენკოსა და ტიხომიროვის კერძო გიმნაზია; ს. მამულოვის, ბეროზაშვილის (დაარსდა 1917 წლის ივლისში), პალმოვის გიმნაზია[სცსსა, ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 89,, ფ.1-24; ფ.27-29; ფ. 30; ფ.32-33; ფ.38-39; ფ. 40-41].

ქუთაისში იყო ვ.ნ.სოკოლოვისა და მარიამ კვინიხიძე-სოკოლოვის გიმნაზია. კერძო სასწავლებლების სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები მოწმდებოდა განათლების სამინისტროს სარევიზიო კომისიების მიერ და

სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სტანდარტთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში იხურებოდა. მაგ.: ივანე პალმოვის რუსული კერძო გიმნაზია თბილისში (დირექტორი ციგანკოვი) 1920 წელს განათლების სამინისტრომ შეამოწმა, იქ სასწავლო პროცესი მიიჩნია თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამოდ და დახურა [სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე 973, ფ.3].

§ 3. საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მუშაობა განათლების რეფორმის განსახორციელებლად

დამფუძნებელი კრების განათლების კომისია

1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, სადაც სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა სასკოლო სექცია. სასკოლო სექცია , განათლების სექციის სახელით არსებობდა დამფუძნებელ კრებაშიც და აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სფეროს მოწესრიგების, განათლების რეფორმის განხორციელებისათვის.

განათლების კომისიის წევრები რამდენჯერმე შეიცვალა, ძირითადად 1920 წლისათვის მისი შემადგენლობა ასეთი იყო: 1. ლეო ნათაძე - კომისიის თავ-რე, სოციალ-დემოკრატი (თავიდან ბოლომდე შეუცვლელად მუშაობდა); 2.მოსე დავარაშვილი (სოციალ-დემოკრატი); 3. მუხრან ხოჭოლავა (ს.დ); 4. ქრისტინე შარაშიძე (ს.დ); 5. ჰაიდარ აბაშიძე (ს.დ); 6. თედორე კიკვაძე (ს.დ); 7. ნიკიფორე იმნაიშვილი (ს.დ) - კომისიის მდივანი; 8. პავლე ბიული (ს.დ.); 9. შალვა ნუცუბიძე (ს.ფ.); 10. ექვთიმე თაყაიშვილი (ე.დ.); 11. გრიგოლ ნათაძე (ს. რ.); 12. გარიკ სტეფანიანი (დაშნაკი).

სხდომა იმართებოდა კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და ხუთშაბათს, დილის 9-11 საათზე.

ის დიდი მოძრაობა, რომელიც იმპერიის დანგრევისა და ამიერკავკასიის ცალკე სახელმწიფოდ ფორმირებისთანავე დაიწყო და რაც სკოლების გაეროვნებას ისახავდა

მიზნად, საჭიროებდა დიდ ძალისხმევას. უნდა შექმნილიყო ახალი ქართული სასწავლებლები, არსებულში კი რუსულის ნაცვლად, მთავარი სასწავლო ენა ქართული უნდა გამხდარიყო, რომელზეც შეისწავლებოდა ყველა საგანი. სექცია ეხმარებოდა იმ სკოლებს, რომელთაც ეროვნული თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა, ასეთი იყო აფხაზეთისა და აჭარის სკოლები.

1918 წლის 13 იანვარს სექციამ მოსთხოვა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს - გამოეყო 2000 მანეთი ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკის ორკლასიანი სკოლისათვის, რაც საშუალებას მისცემდა სკოლის დირექციას და ადგილობრივ სამზრუნველო კომიტეტს, აეგოთ სკოლის ახალი შენობა და სკოლასთან საფეიქრო განყოფილება გაეხსნათ. ამას, როგორც დოკუმენტის ავტორები აღნიშნავდნენ, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა „ჩვენი მოძმე მაჰმადიანი ქართველების გათვითცნობიერების საქმეში" [სცსსა 1836, არ.1, საქმე264, ფ. 4].

სექციამ რამდენიმე სხდომა ჩაატარა და შეადგინა „ეროვნული პედაგოგიური საბჭო", რომელსაც ევალებოდა შეერჩია და ეხელმძღვანელა საბავშვო წიგნების შედგენისა და გამოცემებისათვის, საგამოცდო საკითხების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისათვის, ბიბლიოთეკების მოწყობისათვის, პედაგოგიური მუზეუმის დაარსების, პედაგოგიური ჟურნალის გამოცემის საქმისათვის, საერთო ხელმძღვანელობა გაეწია მთელ საქართველოში სწავლა-განათლების საქმისათვის. სექცია ფაქტობრივად განათლების სამინისტროს ფუნქციას ითავსებდა და ეს ბუნებრივი იყო იმ დროს, როდესაც ამიერკავკასიის რესპუბლიკა არსებობდა და ეროვნული განათლების პრობლემები საერთოკავკასიურ სახელმწიფოში ამ ეროვნების საბჭოებს უნდა ეტვირთა.

დამფუძნებელი კრების განათლების კომისია ეროვნულ საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ ცოტა ხანში, 1918 წლის ივლისში და იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცა სკოლების მართვა-გამგეობისა და გაეროვნების (ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლების) პრობლემები. ის ეხმარებოდა განათლების სამინისტროსა და მთავრობის ერთობლივ მოქმედებას განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განსახორციელებლად. კომისია იკრიბებოდა კვირაში ორჯერ, განათლების კომისიის თავ-რე ეროვნულ საბჭოში იყო ლეო ნათაძე.

პირველივე სხდომაზე კომისიის წევრმა ნოე ცინცაძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგი იყო სკოლების მართვის ცენტრალიზაციისა, მისი აზრით, სკოლას თვითმმართველობის ორგანოსთან აქტიურად უნდა ეთანამშრომლა და ამით უფრო ეფექტურად გადაჭრიდა მის წინაშე მდგარ პრობლემებს. სარევიზიო აპარატიც (ინსტრუქტორების სახით)ადგილზე უნდა მოწყობილიყო. რაც შეეხებოდა პირველდაწყებითი სკოლების კონტროლს, ეს რაიონების ინსპექტორებს უნდა დავალებოდა. „სამაზრო ერობებში, - თქვა მან, - ირჩევენ სასკოლო კომიტეტს, ანუ კოლეგიას. ეს კოლეგია, მცოდნე პირებისაგან შედგენილი, ირჩევს მასწავლებლებს და სკოლის გამგეობას".

ცინცაძეს არ დაუჭირეს მხარი გამომსვლელებმა - კ. ქავთარაძემ და თ. კიკვაძემ. ლეო ნათაძემ შემაჯამებელ სიტყვაში კი თქვა, რომ მასწავლებლების დანიშვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ანარქიას გამოიწვევს და ამიტომ, ეს საქმე მთავრობაში უნდა წყდებოდესო. კომისიამ დაავალა ნ. ცინცაძესა და კ. ქავთარაძეს კანონ-პროექტის შედგენა სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 2].

მომდევნო სხდომამ განიხილა სპეციალური სკოლების საკითხი, უნდა დარჩენილიყვნენ ამ ტიპის სკოლები შესაბამის სამინისტროებში, თუ ყველა ისინი ერთიანი მმართველობის ქვეშ, განათლების სამინისტროს დაქვემდებარებოდნენ. პირველ სხდომაზევე, 1918 წლის 17 ივლისს გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა. ტიმოფეევის მიერ მაგალითად რუსეთის მოტანამ სიმონ მდივანი გააღიზიანა და მან რუსული განათლების სისტემა დაახასიათა როგორც მახინჯი ფორმა მართვისა, ხალხის შეგნების პოლიტიკური მიზნებით გარდაქმნა- „გათახსირება". გამომსვლელები ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ კრება გადაიდო.

განათლების კომისიამ 1918 წლის 21 ივლისის სხდომაზეც განიხილა სამეურნეო და სხვა პროფესიული სკოლების განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის საკითხი. სხდომას ესწრებოდნენ როგორც კომისიის წევრები - ლეო ნათაძე, კალენიკე ქავთარაძე, თევდორე კიკვაძე, ნოე ცინცაძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ქარუმიძე, ასევე, განათლების მინისტრის ამხანაგი - სიმონ მდივანი, მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ტიმოფეევი.

ტიმოფეევმა საჭიროდ არ ჩათვალა ამგვარი სკოლების ერთი სამინისტროს ხელში გადასვლა და მაგალითად ამერიკის, გერმანიის, იტალიისა და რუსეთის სისტემა მოიტანა. მისი აზრით, სასოფლო სკოლების მართვა-გამგეობისათვის უნდა დაარსებულიყო მუდმივი ცენტრალური აგრონომიული კომიტეტი. შალვა ქარუმიძეც დაეთანხმა მართვის დეცენტრალიზაციას და მიიჩნია, რომ განათლების სამინისტროს ხელში შეიძლებოდა ყველაფერი არ ყოფილიყო. სიმონ მდივანმა ეს თვალსაზრისი უარყო, მისი არგუმენტი ასეთი იყო: „თუ სპეციალური სასწავლებლები ცალკე უწყებების ხელში იქნენ, ყველა უწყებას დასჭირდება განსაკუთრებული მართვა-გამგეობის აპარატი. ეს გამოიწვევს აუარებელ ხარჯებს. “ ამის გამო, მან მხარი დაუჭირა სპეციალურ სასწავლებელთა განათლების მინისტრის ხელში გადასვლას .

სიმონ მდივნის ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა დიმიტრი უზნაძემ. ნოე ცინცაძემ კი აღნიშნა, რომ სამიწათმოქმედო სამინისტროს უკვე აქვს მოწყობილი სასკოლო განყოფილება, ამიტომ ზედმეტი ხარჯები ამ მხრივ საჭირო აღარაა. საერთო კენჭისყრისას უმრავლესობა მომხრე აღმოჩნდა, რომ სამეურნეო სკოლები მიწათმოქმედების სამინისტროში დარჩენილიყო [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 3] .

საბოლოოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით სამეურნეო სკოლები დარჩნენ მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 246, ფ. 20].

სკოლების მართვა-გამგეობის სრულ დეცენტრალიზაციას ბევრი მომხრე ჰყავდა, ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც კომისიაში შედიოდა და 1918 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე დააყენა სკოლების სრული დეცენტრალიზაციის საკითხი. მას ცოტა მხარდამჭერი აღმოჩნდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ იმ ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში ერთ ხელში თავის მოყრა განათლების სისტემას უფრო წაადგებოდა [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 11].

ყველა ის კანონ-პროექტი, რომელსაც განათლების სამინისტრო საჭიროდ თვლიდა სისტემაში რეფორმების გასატარებლად, იხილებოდა საპარლამენტო კომისიაში და მთავრობასთან თანხმობით მტკიცდებოდა, ხშირი იყო აზრთა დაპირისპირება და გადაუწყვეტობა. 1918 წლის 4 ოქტომბერს ასეთი დაპირისპირება გამოიწვია კანონ-პროექტმა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ. კანონ-

პროექტში დატოვებული იყო მუსულმანური რელიგიის სწავლება, რის გამოც მოხდა უთანხმოება და შემდგომი სხდომისთვის გადაიდო საკითხის გადაწყვეტა. სხდომას უნდა დასწრებოდა ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი - კონიაშვილი „საკითხის გასარკვევად" [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 16].

ამავე სხდომამ მოისმინა საზოგადოება „განათლების" პროგიმნაზიის გამგის მოხსენება სასწავლო და სამეურნეო მდგომარეობის, ასევე მასწავლებელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

კომისია ღებულობდა კანონ-პროექტებს, ანუ გადაწყვეტილებას სასკოლო სისტემის ყველა რგოლის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, 1918 წლის 12ოქტომბერს კომისიამ განიხილა და მიიღო 3 პროექტი: გურიის უმაღლესდაწყებითი სასწავლებლებისათვის ერთდროული დახმარების გამოყოფის შესახებ; კანონ-პროექტი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ; კანონ-პროექტი პირველდაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ. სამივე პროექტი გადაეცა საფინანსო კომისიას ხარჯების დასაზუსტებლად. ამავე სხდომამ განიხილა ახალი წიგნთსაცავი სამკითხველოების გახსნის, პარლამენტის პრეზიდიუმის თავ-რის შეკითხვა - ჩრდილოეთ ევროპაში სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნის შესახებ და სხვა საკითხები. ამ უკანასკნელზე კომისიამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო, მიზეზად დაასახელა რთული პოლიტიკური ვითარება ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, ამასთანავე ის, რომ ჯერ არ იყო შემუშავებული პროგრამა - რომელი დარგის სპეციალისტები უფრო ჭირდებოდა საქართველოს და სად გაეგზავნათ ამ დარგების შესასწავლად ახალგაზრდები [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 18].

განათლების სისტემაში რეფორმის გატარება მოიცავდა ყველა რგოლს - უდაბლესიდან - საბავშვო ბაღებიდან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებამდე-უნივერსიტეტამდე.

განათლების კომისიამ, როდესაც საბავშვო ბაღებზე მსჯელობდა, 1918 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე დაიწუნა ეს კანონი და საჭიროდ ჩათვალა ეს რგოლი ადგილობრივ თვითმმართველობებს დარჩენოდა სამართავად, სამინისტრო კი მხოლოდ დახმარებას გაუწევდა მას ზოგიერთ საკითხში, შეიმუშავებდა საერთო გეგმას იმ ბავშვების სწავლა-აღზრდისა, რომელთაც სკოლის ასაკი არ დადგომოდათ.

კომისიამ წინადადება მისცა განათლების სამინისტროს, რომ მას მიეცა ქალაქის თვითმმართველობისათვის გეგემა ბაღების გახსნაზე. ამ უკანასკნელს თავად უნდა შეედგინა კანონ-პროექტი, წარედგინა ის განათლების სამინისტროში, რომელიც მას პარლამენტის განათლების კომისიას გადასცემდა განსახილველად და პარლამენტში დასამტკიცებლად. ამავე სხდომამ განიხილა მასწავლებელთა ხელფასების მომატების საკითხი, კ. ქავთარაძის წინადადებით, მასწავლებლებს ხელფასი უნდა მომატებოდა 1 ოქტომბრიდან, ამასთანავე, კომისიამ განიხილა ნოე ცინცაძის წინადადება მასწავლებლებისათვის 5 წლიანი დამატების შესახებ . კ. ქავთარაძემ საკითხი დასვა ქალთა ინსტიტუტის, კადეტთა კორპუსისა და წმინდა ნინოს სასწავლებლის ლიკვიდაციის შესახებ, რაც უნდა გარკვეულიყო და შემდეგ სხდომებზე გადაწყვეტილიყო სასწავლებლებში არსებული ვითარების შესწავლის შემდეგ. [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ. 27].

16 ნოემბრის სხდომაზე ხელახლა იქნა განხილული ლიკვიდაციის საკითხი და ზემოთ დასახელებული სასწავლებლების გაუქმება გადაწყდა. მიღებული იქნა კანონ-პროექტი ყველა ტიპის სასწავლებლებში სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლების შესახებ. შემცირდა სასწავლებლებში საეკლესიო უქმეების რაოდენობა.

განათლების კომისია თავის სხდომებზე ხშირად იხილავდა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. სამინისტროს მიერ შემუშავებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტებს არგებდა რეალურ საჭიროებას, ვინაიდან პარლამენტის კომისია უმაღლესი ინსტანციის ინტერესს გამოხატავდა, ცალკეული კანონპროექტის შეცვლა და ახალი კანონის შექმნა მისი მოვალეობაც იყო. კომისიის მიერ 1919 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ, 20 მაისისა და 2 აგვისტოს დეკრეტების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ, ვკითხულობთ: ,,ამა წლის 20 მაისისა და2 აგვისტოს დეკრეტებს მიზნად სახელმწიფო მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება აქვს დასახული. მართლაც, მდგომარეობა წინანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ მასწავლებლისათვის ერთი მუხლით ეს გაუმჯობესება მეტად შეზღუდულია, რითაც ერთგვარი უსამართლობა იბადება.

საქმე ის არის, რომ ამ მუხლის ძალით იმას, ვისაც თვიურად 1000 მანეთზე მეტი აქვს, თანახმად 20 მაისის დეკრეტისა, მიეცემა 400 მანეთი დამატება და 35 %, თანახმად 2 აგვისტოს დეკრეტისა. ამის გამო, რადგან მასწავლებელთ არ აქვთ განსაზღვრული ჯამაგირი (დამოკიდებულია გაკვეთილების რიცხვზე):იმას, ვინც მეტს მუშაობს, ჯამაგირი ნაკლებად აქვს გადიდებული, ვიდრე იმას, ვინც ნაკლებს მუშაობს (აქვე აღსანიშნავია, რომ დღევანდელს გარდამავალ ხანაში, მასწავლებელთა საკმაო რიცხვის უყოლობის გამო, ყოვლად შეუძლებელია, რომ მასწავლებელს არ ექნეს ნორმაზე მეტი გაკვეთილი)". კომისიის დოკუმენტს მაგალითად მოაქვს მასწავლებელი, რომელსაც აქვს 18 გაკვეთილი და მასწავლებელი, რომელსაც აქვს 20 გაკვეთილი. წარმოდგენილი ცხრილით, მათი რეალური ანაზღაურებაა: პირველის (18 გაკვ.) -12,000, მეორესი (20 გაკვ.)- 12, 700 მანეთი. 20 მაისისა და 2 აგვისტოს დეკრეტების დამატებით პირველს 24,000 მანეთი გაუხდა, მეორეს - 22,945, ანუ მათ შორის 1055 მანეთი განსხვავებაა, ასეთივე უსამართლო გახდა უფრო მეტი გაკვეთილების მქონე პედაგოგთა ანაზღაურებაც, რაც იწვევდა პედაგოგთა უკმაყოფილებას, ისინი ცდილობდნენ აღარ აეღოთ მეტი გაკვეთილი, 1000 მანეთზე მეტი ჯამაგირი რომ არ ჰქონოდათ.

განათლების კომისია ითხოვდა ამგვარი უსამართლობის აღმოფხვრას, დამატებების სწორად განაწილებას [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 41-42].

განათლების კომისიამ 1919 წლის 17აპრილს მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ყველა: დაბალ, საშუალო და უმაღლეს სკოლას, ერობასა და ქალაქთა გამგეობებს, მასწავლებელთა რაიონულ და სამაზრო კავშირებს, რათა მიეწოდებინათ ცნობები თავიანთ შესახებ ამ კომისიისათვის. რამდენი და რა ტიპის სკოლები იყო ამათუ იმ რაიონში, რა ესაჭიროებოდა ამ სკოლებს, იყო თუ არა ახალი სკოლების გახსნის აუცილებლობა, როგორი იყო სკოლათა ნივთიერი მდგომარეობა, არიან თუ არა მასწავლებლები მმართველები, სად რამდენი მოსწავლე სწავლობდა, შეიძლებოდა თუ არა ადგილობრივი ძალებით სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაში გამოიხატებოდა ერობებისა და საქალაქო გამგეობების განათლების განყოფილებათა საქმიანობა და სხვ. [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 116].

ყველა იმ პრობლემის მოსაწესრიგებლად და სიღრმისეული გაანალიზებისათვის, რაც განათლების კომისიის წინაშე იდგა, კომისიის მდივანმა ნ. იმნაიშვილმა გააკეტა

სპეციალური მოხსენება კომისიის სხდომაზე სამეცნიერო საბჭოს დაარსების შესახებ [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 129].

მე-19 საუკუნეში საქართველოს ახალგაზრდობა ძირითადად რუსულ უნივერსიტეტებში ღებულობდა განათლებას. დიდი იყო სწრაფვა ევროპისაკენ, მაგრამ სოციალური მდგომარეობა არ იძლეოდა ამ სწრაფვის ასრულების საშუალებას. თუმცა, ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად წასვლის შემთხვევებიც არ იყო გამონაკლისი.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაინგრა, დაიძაბა რუსულ-ქართული ურთიერთობებიც და ქართველ ახალგაზრდებს მოეჭრა გზა რუსული უნივერსიტეტებისკენ. ახალი პოლიტიკური ორიენტაცია ხელისუფლებას ავალდებულებდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეს ემოქმედა და ახალგაზრდების საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნებში გაგზავნისათვის ხელი აქტიურად შეეწყო. საქართველოს პარლამენტის თავ-რემ ნიკოლოზ ჩხეიძემ 1918 წლის 12 ოქტომბერს მიმართა პარლამენტის განათლების კომისიას საზღვარგარეთ სასწავლებლად ახალგაზრდობის გაგზავნის შესახებ. მიმართვის ტექსტი ასეთი იყო: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, როგორც საბოლოოდ გადაწყდა ეგრეთ წოდებული ორიენტაციის საკითხი და ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველო ევროპას პირდაპირი კავშირით გადააბა, აღძრა მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი - მოსწავლე ახალგაზრდობის ევროპის ქვეყნებში გაგზავნისა, სახელდობრ გერმანიაში, უმაღლესი სწავლა-განათლების და საზოგადოდ ცოდნის შესაძენად. ამ საკითხს თანაბარი გულისხმიერებით მიეგებნენ როგორც მთავრობის სფეროები, აგრეთვე ფართო საზოგადოება, რადგან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალ პირობებს შორის ასეთი გზა აუცილებელი ხდება ჩვენი ქვეყნისათვის, რათა რაც შეიძლება მალე ახალგაზრდობას საშუალება მიეცეს დაეწაფოს ჭეშმარიტ ცოდნის და კულტურის თავანკარა წყაროს იქ, სადაც მეცნიერება სათანადო სიმაღლეზე სდგას და სასწაულთმოქმედ ნაყოფს იძლევა, თვით ამ საერთო რღვევისა და ქარცეცხლის ხანაში.

იმ იმედით, რომ სახელმწიფო ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა, ზოგიერთმა კერძო პირმა მთავრობისაგან ნივთიერი დახმარების მოლოდინში კიდეც გაისტუმრა თავისი შვილები გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ მათ

მოლოდინი არ გაუმართლდათ, რადგანაც ამ საქმისთვის ჯერჯერობით არა გაკეთებულა რა. ამიტომ ისინი, ვინც ამ იმედით გერმანიაში სასწავლებლად შვილები გაგზავნეს, ახლა სინანულში არიან, ვინაიდან ახლო მომავალში მათ შვილებს მწარე გასაჭირი მოელით. ის ორიოდე გროში, რომელიც გზის ხარჯად და პირველ ხანში საცხოვრებლად გაატანეს, მალე შემოეხარჯებათ და მშრალზე დარჩებიან, თუ დროზედ დახმარება არ გაეწიათ.

ამის გარეშე, დღე ერთია და იერიში მრავალია ამავე საგნის გამო, სხვადასხვა მთხოვნელისაგან ჩემდა მომართული. მათ გაუგიათ, ვითომ საქართველოს პარლამენტს გადაეწყვიტოს სტიპენდიების დანიშვნა და ჰგზავნიდეს კიდეც მოსწავლეთ.

კომისიას მოეხსენება, რომ პარლამენტს, როგორც კანონმდებელ დაწესებულებას, ამგვარი სტიპენდიების განაწილების კომპეტენცია არ აქვს, ეს აღმასრულებელი ხელმწიფების უფლებაა. პარლამენტს შეუძლიან, რასაკვირველია, საკანონმდებლო ინიციატივის გზით, სათანადო კანონი გამოსცეს საამისოდ. და რადგანაც არავითარი ნიშნები არა სჩანს, რომ ამ საქმის განსახორციელებლად რაიმე კეთდებოდეს, მე მგონია ყოვლად მიზანშეწონილი და საამდროო უაღრეს საჭიროების შესაბამი იქნებოდა თაოსნობა ამ თვალსაჩინო სახელმწიფოებრივ საგნის გამო საპარლამენტო განათლების კომისიას ეკისრა და რაც შეიძლება მალე, სათანადო კანონპროექტი შეემუშავებინა, რომლითაც გადაწყვეტილი იქნება ეს, - ნაყოფიერ შედეგის მომტანი საქმე.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ კეთილ ინებოთ და განიხილოთ ეს ჩემი წინადადება და კომისიის გადაწყვეტილება მოკლე ხანში შემატყობინოთ.

პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 262, ფ. 2].

სახელმწიფო, განათლების საპარლამენტო კომისიის რეკომენდაციით, სასწავლებლად თავად ჰგზავნიდა იმ ახალგაზრდებს, რომელთა მომავალ პროფესიაზე ქვეყანაში გარკვეული მოთხოვნილება იყო.

განათლების საპარლამენტო კომისიამ 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის ზაფხულამდე განიხილა პროექტები და მიიღო შემდეგი კანონები:

1. ყველა ტიპისა და ხარისხის სკოლების გაეროვნების შესახებ;

2. ყველა ტიპისა და ხარისხის სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ;

3. სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სემინარიების გაეროვნების შესახებ;

4. განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და შტატების შესახებ;

5. კანონ-პროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ;

6. განათლების საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადაყვანის შესახებ;

7. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის 1960 მიცემის შესახებ, ზაფხულში სწავლის გაგრძელებისათვის;

8. თბილისის უმაღლესი კურსებისათვის სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი თანხიდან 50000 მანეთის მიცემის შესახებ 1917-1918 წ.წ. სასწავლო ხარჯების გასასწორებლად;

9. სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

10. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ;

11. გურიის უმაღლესდაწყებითი სასწავლებისთვის ერთდროული დახმარების გაწევის შესახებ;

12. უმაღლესდაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ;

13. პირველდაწყებით სასწავლებელთა და უმაღლესდაწყებით სკოლათა გახსნისა და ზოგიერთი უკვე არსებულის ხაზინის ხარჯზე მიღების შესახებ;

14. ყველა ტიპისა და საფეხურების სახაზინო და კერძო უფლებიან სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ;

15. პირველდაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ;

16. ახალი წიგნთსაცავი სამკითხველოების გახსნის შესახებ;

17.უმაღლესდაწყებით სასწავლებლებში მომსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

18. ვინოგრადოვის კულტურულ-ტექნიკური სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ;

19. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, რეალურ და საკომერციო სასწავლებლების და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში მომსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

20. ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის დებულება;

21. კანონ-პროექტი თელავის პროფესიონალური ქალთა სკოლის დახმარების შესახებ (უარყოფილია);

22. კანონ-პროექტი სახალხო სკოლათა ინსპექციების შტატების შესახებ (უარყოფილია);

23. კანონ-პროექტი საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ (უარყოფილია);

24. კანონ-პროექტი პედაგოგიური მუზეუმის შესახებ;

25. კანონ-პროექტი საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის შესახებ;

26. კანონ-პროექტი კულტურულ–სატეხნიკო სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა;

27. კანონ-პროექტი ქუთაისის გუბერნიის მე-3 და მე-4 რაიონის ყოფილ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დღიური ფულით დაკმაყოფილების შესახებ;

28. კანონ-პროექტი ტფილისის სამოსწავლო ინსტიტუტისათვის 1960 მანეთის მიცემის შესახებ ზაფხულში სწავლის გაგრძელებისათვის;

29. კანონ-პროექტი ყოფილი საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა წარსული დროის ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ;

30. კანონ-პროექტი განათლების სამინისტროსათვის 31, 350 მან. კრედიტის გახსნის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ყოფილ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის მეორე თითო თუმნიანი დამატების მისაცემად;

31. მოხსენება პირველდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა სამწლიანი დამატებების შესახებ [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 244, ფ.45-46].

ეს კანონ-პროექტები და საკანონმდებლო ნორმები კომისიამ მხოლოდ ერთი წლის მანძილზე განიხილა.

პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე ისევე როგორც სხვა კომისიებს, განათლების კომისიასაც საყვედურობდა, რომ ხშირად წარდგენილი კანონ-პროექტი იყო

ბუნდოვანი, ამიტომ მისგან მოითხოვდა - დაერთო დოკუმენტისთვის წერილობითი ახსნა-განმარტება კანონ-პროექტის ყველა მუხლზე [სცსსა, ფონდი 1836, ან.1 საქმე 62, ფ. 7].

განათლების კომისიას სხვადასხვა საკითხებზე მიმართავდნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები. მათ სურდათ ახალ სასწავლო პროგრამებსა და, ზოგადად, ქართულ ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკას არ დაეზიანებინა მათი ეროვნული ინტერესები, დემოკრატიული ნიშნით მოღვაწე მთავრობა დიდ დათმობაზე მიდიოდა მათ მიმართ, თუმცა, არ შეიძლებოდა არ ეცა პატივი იმ ტრადიციებისათვის, იმ ტოლერანტული დამოკიდებულებისათვის, რაც ამ უმცირესობებსა და ქართველ ერს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა. ამ ერთა შორის გამორჩეულად ახლობელი საქართველოს ხელისუფლებისათვის ყოველთვის იყო ქართველ ებრაელებთან ურთიერთობა.

საინტერესოა 1921 წლის თებერვალში (რიცხვი არ უსვია) ქართველ ებრაელ პარლამენტართა მიმართვა დამფუძნებელი კრების განათლების კომისიისადმი. „საქართველოს მოქალაქეთა ქართველ ებრაელ რწმუნებულების: დამფუძნებელი კრების წევრის - მოსე დავარაშვილის, არონ ელიგულაშვილის, მოსე თავდიდიშვილის, შიმშო იაკობაშვილის, აბრამ ბუზიაშვილის, შალომ ბაბანაშვილის, შიმყონ ხახმიშვილის მოხსენება-მემორანდუმი.

ამჟამად, როცა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გარჩევა და გამომუშავება სწარმოებს, ქართველ მოქალაქე ქართველ ებრაელებმა მოგვანდეს ჩვენ წარვუდგინოთ დამფუძნებელ კრებას ის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით საჭიროება მოითხოვს ზოგიერთი ზომების მიღებას, რათა ქართველ ებრაელთა მიეცეს საშუალება მათი კულტურული და სარწმუნოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამ ნიშნით ჩვენ დავალებული გვაქვს მოვახსენოთ დამფუძნებელ კრებას ზოგიერთი ჩვენი მოთხოვნილებანი, რათა ამით უზრუნველვყოთ ამ ჩვენი კულტურული ინტერესების მიღწევა.

დამფუძნებელ კრებას კარგად მოეხსენება, რომ ამჟამად, როდესაც კონსტიტუციის პროექტის მე12 თავის ძალით ყველა სკოლები ერთი სახელმწიფოებრივი საერთო

ტიპის ხდება, უნდა დაიხუროს ებრაელთა სკოლები (თალმუდ-თორა), რომელთაც ამ საერთო სკოლების ხასიათი არა აქვთ.

მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ თალმუდ-თორეები, რომელნიც სამი ათასი წლის განმავლობაში ერთადერთი ძეგლი იყო ჩვენი კულტურისა და ისტორიისა და რომელშიაც ჩვენი ახალგაზრდობა ტავის კულტურას უახლოვდებოდა, წარმოადგენს ჩვენთვის იმ ერთგვარ ფაქტორს, რომელიც დამყარებულია არა მარტო ჩვენს საუკუნო ადათებზე, არამედ მთელს ჩვენ ისტორიაზე, მხოლოდ თალმუდ-თორაში ვპოულობთ ჩვენს არსებობას.

ამ მოსაზრების გამო თალმუდ-თორის გაუქმება წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში ისეთ მოვლენას, რომელიც უარყოფს მთელ ჩვენს ისტორიას, და შლის ისრაელთა სახელს საქართველოში და ამიტომ ქართველ ებრაელთათვის მეტად მძიმე მორალურ მდგომარეობას ხდის. ამისდა მიხედვით ქართველმა ებრაელებმა დაგვავალეს ჩვენ აღვძრათ დამფუძნებელ კრების წინაშე საკითხი, რათა ამ პირველდაწყებით ებრაელთა სასწავლებლებს, რომელთაც მიზნად აქვთ სულიერ-სარწმუნოებრივი და კულტურული აღზრდა ჩვენი ახალგაზრდობისა სარწმუნოებისა და ზნეობის საფუძველზე, არ დაეკარგოს ხასიათი. ხოლო ექნებათ ისეთი ტიპი, რომლითაც ისინი ერთგვარად დაუახლოვდებიან საერთო სახელმწიფოებრივ დაწყებით სკოლებს. ამისდა მიხედვით ამ სკოლების თალმუდ-თორების პროგრამის გამომუშავება და მთელი მათი განლაგება დამოუკიდებლად უნდა მიენდოს ქართველ თემებს, რომლებიც ამჟამად უკვე არსებობენ და ამ სკოლების საქმეს განაგებენ. საერთო სკოლების პროგრამის მიხედვით თალმუდ-თორაში ჩვენი ახალგაზრდობა შეისწავლის სამშობლო ენას - ქართულს, არითმეტიკას, სამშობლო აღწერას და სხვას, მხოლოდ გარდა ამ საერთო სკოლებში არსებულ რამოდენიმე საგნებისა, თალმუდ-თორაში უნდა იქნეს აგრეთვე შესწავლა ებრაელთა სარწმუნოებრივი კანონებისა, დაბადებისა, წინასწარმეტყველთა მისი კომენტარებითა და თალმუდისა და სხვა, რომელიც შეადგენს ისრაელთა ღირსებას. ამგვარად, თალმუდ-თორას მხოლოდ ის განსხვავება ექნება, საერთო სახელმწიფოებრივ სკოლებთან, რომ მასში, გარდა იმ რამდენიმე საგნებისა, რომელნიც საერთო სკოლების პროგრამაში შედის, ბევრი ახალგაზრდა შეისწავლის აგრეთვე თავის სარწმუნოებას და ისტორიას, ამისდა

მიხედვით, თალმუდ-თორის გაგებით მოსწავლე უნდა იხდიდეს სწავლა-განათლების ვალდებულებას გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც მოისურვებენ არა თალმუდ-თორის, არამედ საერთო სკოლების დამთავრებას.

ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ იმ საგნების მიხედვით, რომელსაც ებრაელთა ახალგაზრდობა თალმუდ-თორაში შეისწავლის, ეს უკანასკნელი ერთგვარად ეთანხმება სახელმწიფოებრივი დასაწყისის სკოლების პროგრამას და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენს არსებით მისწრაფების მიღწევაში არავითარი დაბრკოლება არ შეგვხვდება დამფუძნებელი კრების მხრივ და ვთხოვთ მთავრობას შეიტანოს სათანადო შენიშვნა კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავში და ამით უზრუნველყოს ქართველ ებრაელთა სარწმუნოებრივი და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამით არ მოისპოს ისრაელთა არსებობა თავისუფალ საქართველოში'' [სცსსა, ფონდი 1833, საქმე 265, ან. 1, ფ, 100].

განათლების კომისია მსჯელობდა განათლების სისტემის შიგნით არსებულ ღრმა მეცნიერულ ნიუანსებზე და ამ მსჯელობას აქ დიდი მეცნიერები უძღვებოდნენ. საინტერესო იყო პროფესორ დიდებულიძისა და ივანე ჯავახიშვილის დისპუტი კომისიაში პოლიტექნიკური განათლების შესახებ. ვრცელ მოხსენებაში, დიდებულიძემ ახსნა პოლიტექნიკური უმაღლესი განათლების მნიშვნელობა და არსი როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. დიდებულიძის აზრით, ,,პოლიტექნიკურსა და უნივერსიტეტს შორის დიდი განსხვავება არის, თუმცა, ფაკულტეტები სახელწოდებით ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსით კი სულ სხვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ევროპაში პოლიტექნიკური ყველგან დამოუკიდებლად არსებობს, და სადაც კი დაკავშირებული იყო ეს შეუძლებლად დაინახეს და ჩამოაშორეს უნივერსიტეტებს. '' მას მიაჩნდა, რომ საქართველოშიც პოლიტექნიკუმი ცალკე უნდა ყოფილიყო, უნივერსიტეტთან კავშირით ის დაკარგავდა დამოუკიდებლობას და საზიანო იქნებოდა ქვეყნისთვის.

დიდებულიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილმა და თქვა: ,,როგორც ბატონ დიდებულიძის სიტყვიდან გამოირკვა, ამ პოლიტეხნიკუმის დაკავშირება უნივერსიტეტთან კარგ ნაყოფს არ გამოიღებს. ამ შემთხვეაში მე სულ სხვა შეხედულების ვარ. ეს სასწავლებლები რომ დაკავშირდნენ,

უფრო ნაყოფიერი იქნება, თუმცა გვიმტკიცებენ, რომ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში პოლიტექნიკუმი ყველგან ცალკე არსებობს, მაგრამ ბევრს იმავე ქალაქებში არიან შეერთებული პოლიტეხნიკუმი უნივერსიტეტთან და ძალიან კარგადაც მიმდინარეობს საქმე. აქაური პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეთაურები წინეთ, მანამ აქ უნივერსიტეტი დაარსდებოდა, მოითხოვდნენ ამ პოლიტეხნიკუმის რომელიმე უნივერსიტეტთან დაკავშირებას, ეხლა სულ სხვა შეხედულებისანი არიან...'' მისი აზრით, ეს ორი უმაღლესი სასწავლებელი უნდა გაერთიანებულიყო, ცალკე პოლიტექნიკურის შენახვა საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა და ამიტომ უნდა გაერთიანებულიყვნენ. საქართველოს აუცილებლად ჭირდებოდა სამთამადნო, ჰიდროტექნიკური და სხვა დარები და აუცილებელი იყო პოლიტექნიკურის გახსნა, ოღონდ ეს უნივერსიტეტთან უნდა მომხდარიყო. სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯავახიშვილის აზრით, შეეძლო ამ საქმეს გაძღოლოდა. პირველ სამ წელს აქ მოისმენდნენ სტუდენტები ზოგად საგნებს, შემდეგ კი გაივლიდნენ სპეციალურ კურსს. ამის შემდეგ დიდებულიძემ ილაპარაკა იმაზე, რომ სასწავლებელს ჰქონდა ფული და სასწავლო კაბინეტები, მაგრამ იდგა საკითხი მისი გადასვლისა მთავრობის ხელში, ასევე გაეროვნების, ყველაფერი ეს განხორციელდებოდა, პოლიტექნიკურის გაერთიანება მთავრობას არაფერს მისცემდა არც მატერიალურად და არც სხვა მხრივ, ის არც პრაქტიკულად იყო გამართლებული: უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი გაორმაგდებოდა, საჭირო გახდებოდა მეტი კაბინეტ-ლაბორატორიები, ამიტომ ის რჩებოდა ამ სასწავლებლის დამოუკიდებლობის მომხრედ. ივანე ჯავახიშვილმა ეჭვი გამოთქვა იმაზე, რომ პოლიტექნიკურს საკუთარი თავის შესანახად საკმარისი ფული ჰქონდა, ან საკმარისი პროფესორები, არც აუდიტორიები ეყოფოდა და არც კაბინეტები, სტუდენტებს მოუწევდათ აქეთ-იქით სიარული, გაეროვნებასაც ცალკე ვერ შეძლებდა, რადგან პროფესორების უმეტესობამ არ იცოდა ქართული ენა [სცსსა, ფონდი 1833, საწმე 265, ან. 1, ფ, 157-158].

მომდევნო სხდომამ განიხილა ორი რექტორის თვალსაზრისი და განათლების კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამავე თემაზე. კომისიის წევრებმა სხვადასხვა თვალსაზრისი გამოთქვეს: შ. კიკვაძემ მხარი დიდებულძის მოსაზრებას დაუჭირა, მ. ხოჭოლავამ გაერთიანებას, სადაც პოლიტექნიკუმს ფართო ავტონომიური უფლებები

ექნებოდა, შალვა ნუცუბიძემ ამ ორი სასწავლებლის გაერთიანება დაასაბუთა იმით, რომ ქვეყანას მეცნიერულად და ეროვნულად მომზადებული კადრები ჭირდებოდა, ამას კი ეს გაერთიანება მოიტანდა. კრების თავმჯდომარემ, განათლების კომისიის თავ-რემ ლეო ნათაძემ თქვა: „ჩვენი მისწრაფება იქითკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ პოლიტექნიკუმი საქართველოს იდეით იყოს გაჟღენთილი, როგორც ეს არის დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში.'' ამიტომ მოითხოვა ამ ორი სასწავლებლის გაერთიანება.

ნოე ცინცაძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ დაადასტურა ეს აზრი და დაამატა, რომ ასეული მილიონები დაჭირდებოდა პოლიტექნიკუმის კაბინეტების მოწყობას, საქართველოს ეს ფული არ ჰქონდა, ეს მაშინ, როდესაც ბევრ საჭირო კაბინეტი უკვე არის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მანაც დაუჭირა მხარი ავტონომიური მმართველობის ფორმით გაერთიანებას. ექვთიმე თაყაიშვილმაც მხარი გაერთიანებას დაუჭირა და ის მატერიალური მდგომარეობა დაასახელა, რაც ქვეყანაში იყო. ორი სასწავლებლის დამოუკიდებლად არსებობას პრინციპულად დაეთანხმა განათლების კომისიის წევრი, პარლამენტარი ნ. იმნაიშვილი. საკითხმა ფართო მსჯელობადა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რამდენჯერმე უყარეს კენჭი სხვადასხვა ფორმით წარმოთქმულ წინადადებას, საბოლოოდ მიიღეს მუხრან ხოჭოლავას წინადადება: ორი უმაღლესი სასწავლებელი ფართო ავტონომიის ნიადაგზე შეერთებოდა ერთმანეთს [სცსსა, ფონდი 1833, საქმე 265, ან. 1, ფ, 159]..

1920 წლის 24 დეკემბერს განათლების კომისიის სხდომაზე მოხსენება გააკეთა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი უზნაძემ. მან ისაუბრა სასწავლებლის მდგომარეობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, იმ პრობლემებზე, რაც მათ წინაშე იდგა. საერთოდ კომისია აქტიურად იხილავდა იმ პრობლემებს, რაც საქართველოს წინაშე იდგა განათლების სფეროში.

1920 წლის 15 ნოემბრიდან 1921 წლის 1 თებერვლამდე მან განიხილა და მოსმინა ინფორმაციები შემდეგ საკითხებზე:1. განათლების მინისტრის ამხანაგის მოხსენება რესპუბლიკის სასწავლებელთა და მასწავლებელთა მდგომარეობაზე; 2. ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა - სამთამადნო სამმართველოსთან ერთწლიანი კურსების დაარსების შესახებ; 3.მოხსენება სამეურნეო სკოლების მდგომარეობის

შესახებ; 4. მოხსენება სამეურნეო 2-წლიანი კურსების შესახებ; 5. მოხსენება პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მდგომარეობის შესახებ; 6. მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობის შესახებ; 7. მოხსენება პედაგოგიური ინსტიტუტის მდგომარეობის შესახებ; 8. იუსტიციის მინისტრის პროექტი დეკრეტისა - პატიმართა სწავლა-განათლებისა და მუშაობის მოწყობის შესახებ; 9. განათლების მინისტრის პროექტი დეკრეტისა ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გახსნილ პარალელების შესანახად - 6, 584 927 მანეთისა და 20 კაპიკის გაღების შესახებ; 10. სხვადასხვა მიმართვები კომისიის სახელზე [სცსსა, ფონდი 1833, საქმე 265, ან. 1, ფ, 173].

§4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამოსწავლო საბჭო და სასწავლო კომიტეტი

სამოსწავლო საბჭო შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაუქმებული კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნაცვლად. სამოსწავლო საბჭოს დებულების პროექტი შეადგინა და 1919 წლის 15 ივნისს განსახილველად წარუდგინა განათლების მინისტრს ა. ჯავახიშვილმა. დებულების პროექტი სამინისტრომ დაამტკიცა. ,,სამოსწავლო საბჭოს'' პირველი შეკრება მოხდა 1919 წლის 20 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მიხეილ ზანდუკელი, სარგის კაკაბაძე, ალ. ჯავახიშვილი, ე. ჭოღოშვილი, პ. დგებუაძე, კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ალ. ჯავახიშვილი, მდივნად - ს. კაკაბაძე. სამოსწავლო საბჭოს ,,სამეცნიერო კომიტეტი'' უნდა ჩარიცხულიყო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში. მასში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები. სამოსწავლო საბჭოს ჰქონდა განყოფილებები, კერძოდ: 1. საზოგადო ისტორიის; 2. საქართველოს ისტორიის; 3. ქართული ენისა და ლიტერატურის; 4. უცხოური ლიტერატურების; 5. მათემატიკის; 6. ფიზიკისა და

ქიმიის; 7. გეოგრაფიის; 8. ბიოლოგიურ მეცნიერებათა; 9. ჰიგიენის; 10. ფილოსოფიური საგნების; 11. იურიდიული დარგების; 12. სამხატვრო საგნების; 13. მუსიკის სფეროს წარმომადგენლები. კომიტეტი შეადგინა განათლების სამინისტრომ, მას ჰყავდა თავმჯდომარე, მდივანი, საქმის მწარმოებელი და განყოფილებათა გამგეები, კომისიის წევრები, რომლებიც გაწეული მუშაობისათვის გარკვეულ ჰონორარს იღებდნენ [სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 37, ფ. 1-30].

სკოლების გაეროვნებისა და სამეცნიერო-სასწავლო ტერმინოლოგიის გასაქართულებლად განათლების სამინისტრომ შექმნა სატერმინოლოგიო სექციები, მაგრამ ეს მუშაობა მაინც არ იქნა დამაკმაყოფილებლად ჩათვლილი, რის გამოც,1920 წლის დასაწყისში შეიქმნა **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტი.** კომიტეტის თავმჯდომარედ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა, მდივნად - მიხეილ ზანდუკელი.

თავდაპირველად შემუშავდა კომიტეტის სამუშაო დებულება. პირველი სხდომა 1920 წლის 15 თებერვალს განათლების მინისტრის ამხანაგმა - ნოე ცინცაძემ გახსნა. მან სხდომის მონაწილეებს აუწყა კომიტეტის დაარსების მიზნები და მისი შემადგენლობა. ნოე ცინცაძის სიტყვა ასეთი იყო: „დიდი სამუშაო მოგელით, ბევრი საქმის გაკეთება და გასწორება დაგჭირდებათ მომავალში. უახლოეს მიზანს თქვენი მუშაობისას კი უნდა შეადგენდეს ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამოსწორება: პირველი, არსებული სახელმძღვანელოების გადასინჯვა, მათი შეფასება და ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით ახლის შექმნისათვის საშუალებების გამონახვა... ამასთან ერთად, სასკოლო კომიტეტმა უნდა იმუშაოს ტერმინოლოგიის დამუშავებაზე, გარკვეული დაუდასტურებელი ტერმინოლოგიის უქონლობა, როგორც მოგეხსენებათ, საშინლად აფერხებს ჩვენი სკოლის ნორმალური გზით წინსვლას. ეს მოთხოვნილება, ცხოვრების მიერ წამოყენებული, სდგას ვენს წინაშე სიმწვავით. სამინისტრომ ამ სასწავლო კომიტეტის ხელმძღვანელად აირჩია პატივცემული პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაუძღვება წინ ამ დიდ საქმეს" [სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 875, ფ. 24].

ცინცაძის სიტყვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ივანე ჯავახიშვილმა და წარმოთქვა საკმაოდ ვრცელი სიტყვა. მან ჯერ

სახელმძღვანელოებზე ისაუბრა, შემდეგ ახალი ქართული ტერმინოლოგიის შექმნის საკითხზე. ივანე ჯავახიშვილმა ამ მხრივ გამოყო არსებული პრობლემები და დასახა მისი გამოსწორების გზები. „ახლანდელ ჩვენს ცხოვრებაში, - თქვა მან, - გამეფებულია ენათა აღრევა. სხვადასხვა სკოლებში (ხანდისხან ერთსა და იმავე სკოლაშიც კი) რამდენიმე ტერმინი არის ხმარებაში ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად. სხვადასხვა დაწესებულებებში სხვადასხვა ტერმინია მიღებული, რკინისგზაზე სხვა, ჯარში სხვა და ა.შ. ასე აჭრელებულია ენა ჩვენს სახელმწიფოში. ამას დიდი შემაფერხებელი დაბრკოლება მოაქვს. საჭიროა შეიქმნას ერთი განწმენდილი ენა მთელი ერისათვის. ტერმინოლოგიის დამუშავებაში არის ორი პერიოდი: სტიქიური და ეროვნულ-ნაციონალური. სტიქიურ პერიოდში ახალ ცნებათა გამოსახატავად ერის ცხოვრებაში იჭრებიან უცხო სიტყვები და არის ბრძოლა მოქალაქეობრივ უფლებათა მოპოვებისათვის. ეს გზა ჩვენ უკვე განვლეთ. მოგვეპოვება ამის მასალები. ჩვენს ცხოვრებაში იწყება მეორე ხასიათის მუშაობაც, - ყველა ცნებათა გამოსახატავად სიტყვების ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენება-შემუშავება. ასეთი ნამუშევარიც გვაქვს ხელთ, ახლად გამოცემული ლექსიკონი. ამ უკანასკნელს აქვს ბევრი დადებითი მხარეები, მაგრამ ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. მისი ცხოვრებაში გატარება ამ სახით, რასაკვირველია, შეუძლებელია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ გარდამავალ ხანაში როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, უცბად, ერთი ხელის დაკვრით მოსპობა, რაც სტიქიურად ჩვენი ცხოვრების მიერ უკვე მიღებულია, არ იქნება მიზანშეწონილი. ჯერ საჭიროა ყოველმხრივ სერიოზული მუშაობის მეოხებით შევიმუშაოთ ტერმინოლოგია და მერე ასე გაწმენდილი მივცეთ ხალხს ... და გავატაროთ ყოველივე დაწესებულებაში [სცსსა, ფონდი 1935, ნაწ. 1, საქმე 875, ფ. 25].

კომიტეტის მომდევნო სხდომაზე - 1920 წლის 22 თებერვალს ივანე ჯავახიშვილმა საინტერესო მოხსენება გააკეთა. მან სიტყვა დაიწყო იმ სამწუხარო მოვლენის აღნიშვნით, რაც ორი დღის წინ დაატყდა თავს საქართველოს: ისაუბრა გორის რაიონში მიწისძვრისა და დაზარალებული ხალხის უმწეო მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვით, ისტორიულად ასეთი კატასტროფები საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა. მე-11 საუკუნეში, - თქვა მან, -დაიღუპა ქალაქი თმოგვი, მე-13 საუკუნეში აწყური. დაღუპულთა ხსოვნას სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი

დუმილით სცეს პატივი. შემდეგ მეცნიერმა თქვა: „ქართულმა მწერლობამ იცის ტერნმინოლოგიის პრინციპები იმ დროიდან, როდესაც იგი დაუახლოვდა საბერძნეთის მწერლობას, განსაკუთრებით ფილოსოფიას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მწერლობას ადრე ჰქონდა ენა, რომელიც კარგად და ღრმად გამოხატავდა აზრს, მაგრამ შემდეგ ახალმა მოთხოვნილებამ დაანახვა ენის უფრო შემუშავების საჭიროება. ამ დარგში შესანიშნავია იოანე პეტრიწი, რომელიც ახალი ცნების გამოსახატავად ხმარობდა ქართულ სიტყვებს - ხშირად პირდაპირ თარგმნიდა. ხანდახან, თუ სიტყვა ორ ნაწილიანი იყო, მაშინაც კი პირველსაც და მეორესაც თარგმნიდა, რომ წმინდად დაცული ყოფილიყო ბერძნული ტერმინოლოგიის ხასიათი. თუმცა ის ცდილობდა ყოველი ცნების ქართულად გადმოცემას, მაგრამ ყველა ცნების მონახვას ვერ ახერხებდა და ამისთვის ხშირად ითვისებდა ტერმინს ზოგჯერ ბერძნულის და ზოგჯერ გადმოქართულებული სამოსელით. მან ჩვენ ძველ მწერლობაში შექმნა მიმართულება და მას ბაძავდნენ კიდეც. ღირსშესანიშნავია აგრეთვე ეფრემ მცირე, რომლის კვლევა-ძიებას გარკვეული სიღრმე აქვს. მან იოანე პეტრიწზე უკეთ იცოდა ქართული და ბერძნული ენაც და ამ ენათა შედარების გზით დაიწყო ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება. შემდეგ მოგვეპოვება თარგმნილი სპარსული და არაბული წიგნები, რომელთაც შემოიტანეს ჩვენს მწერლობაში ახალი ტერმინები სულ სხვადასხვა სამყაროდან. ამ ახალმა ნაკადმა შექმნა ახალი მიმართულება, რომლითა უცხო სიტყვები შემოტანილი იქნენ უფრო პირდაპირ. ..”

ამის შემდეგ მეცნიერმა ვრცლად ისაუბრა მომდევნო საუკუნეების მთარგმნელობით ტრადიციებზე და ბოლოს გადავიდა კომიტეტის მიზნებს და ამოცანებზე: „მიზნის უკეთესად მისაღწევად, - თქვა მან, - იძულებულნი ვართ ორგვარი მუშაობა ვაწარმოოთ: ამოვკრიბოთ არსებული ნაშრომებიდან ყველა ნახმარი ტერმინი. ასეთი მუშაობა თითქმის უკვე შესრულებულია უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ (სამუშაო შესრულდა თავად ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, - მ.ფ.), მასწავლებელთა ყრილობის მიერ 1919 წლის ზაფხულში და კომისიების მიერ, რომელთაც შავად შეადგინეს ლექსიკონები. ამასთანავე ერთად ჩვენი მოვალეობაა ამოვკრიბოთ არსებული ახალი სახელმძღვანელოებიდან ყველა ტერმინი და ასე, რომ მოვაგროვებთ ამ მასალას, მერე შევუდგეთ მუშაობას. იმ

შემთხვევაში, როდესაც ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება და არის უცხო ტერმინი, რომელიც სავსებით გამოხატავს საჭირო ცნებას და აღმოცენებულია თითქმის ყველა ენაში ბერძნული და ლათინური ენების საფუძველზე, მაშინ ამით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ, ხოლო მას უნდა მივცეთ ქართული ენის აგებულობა" [სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 876, ფ. 23-24].

მომხსენებელმა დაახასიათა ქართული ენის აგებულება და ბუნება და ტერმინოლოგიის შესამუშავებლად ამის გათვალისწინება მოითხოვა. ტერმინოლოგია უნდა შემუშავებულიყო სპეციალურ კომისიებში და შემდეგ უნდა განხილულიყო საერთო სხდომაზე.

კომიტეტის ამ სხდომაზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ : ვ. კაკაბაძე, მ. შალაბერიძე, მ. კონიაშვილი, ლ. ნათაძე. კამათი გაგრძელდა მომდევნო სხდომაზე, 1920 წლის 29 თებერვალს[ოქმი №3, გვ26]. მონაწილეობდნენ: მ. შალაბერიძე, მ. კონიაშვილი, ვ. კაკაბაძე, ალ. წერეთელი, ალ. ჯავახიშვილი, ვ. ბერიძე, გ. ახვლედიანი, ლ. ნათაძე, ა. შანიძე. კამათის დროს ორი მიმართულება გამოიკვეთა, ერთნი უცხოურ ტერმინებს უჭერდნენ მხარს, მეორენი ქართულს. ივანე ჯავახიშვილმა შემაჯამებელ სიტყვაში თქვა, რომ ის არ ჩაერია კამათში, მაგრამ მისთვის ორივე მიმართულება უკიდურესი იყო. ,,არ უნდა დაგვავიწყდეს, - თქვა მან, რომ თავს განვითარებაში ენა სტიქიურად ითვისებს მრავალ უცხო სიტყვას და შემდეგ ითავისებს. ასეთი გზა განვლო ქართულმა ენამაც და ამათი განდევნა არც ისე ადვილია" . მეცნიერმა გამოთქვა სურვილი, რომ ძველ ქართულ მწერლობაში არსებული ტერმინები შეენარჩუნებინათ, თუ არ იყო ახალი ტერმინი, მაშინ შემოეღოთ უცხო.

აკაკი შანიძის აზრით, ტერმინები უნდა აღნიშნულიყო რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და სხვა.

სასწავლო კომიტეტის წესდება ასეთი იყო:

,,§1. სასწავლო კომიტეტი იმყოფება სახალხო განათლების სამინისტროში;

§2. სასწავლო კომიტეტის დანიშნულებას შეადგენს: 1განხილვა განათლების მინისტრის დავალებით პედაგოგიური საკითხებისა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული პროექტებისა; 2. სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამებისა; 3. წიგნებისა, თხზულებებისა და პერიოდული გამოცემებისა, რომელთა გავრცელებაც

განზრახულია სასწავლებლებში; 4. წინასწარ მოსაზრებათა და გეგმების განხილვა სამეცნიერო ექსპედიციების მოსაწყობად, სამეცნიერო მიზნით ამა თუ იმ პირის გასაგზავნად და საზოგადოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობის შესახებ; 5. სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების პროექტების განხილვა; 6. ანგარიშების განხილვა პროფესორებისა და სხვა პირთა, რომელთაც სამინისტროს მიერ დავალებული ჰქონდათ რომელიმე საკითხის დამუშავება; 7. საზოგადოდ იმ საქმეებისა და საკითხების განხილვა, რომელთაც მინისტრი წარმოუგზავნის კომიტეტს აზრის გამოსათქმელად. დასასრულ, თვით კომიტეტის მიერ ყველა ამგვარივე საკითხის განხილვა და სათანადო შუამდგომლობების აღძვრა მინისტრის წინაშე.

§ 3. სასწავლო კომიტეტი მინისტრის წინადადების თანახმად, ნიშნავს კონკურსს საუკეთესო სახელმძღვანელოების შესაქმნელად და ანიჭებს პრემიებს;

§ 4. სასწავლო კომიტეტი იწვევს წინასწარ თათბირს იმ საქმეების შესახებ, რომელიც შემდეგ განიხილება განათლების მინისტრის საბჭოში, მაგალითად, სასწავლებელთა შინაგანი მოწყობა და მართვა-გამგეობა, სწავლა-აღზრდის საქმე და სხვ.

§ 5. სასწავლო კომიტეტი განყოფილება 2 სექციად: ჰუმანურ და მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო სპეციალურ სექციებად. საერთო საკითხების განსახილველად ორივე სექცია შეერთებულია. სექციების კომპეტენცია კომიტეტის პლენუმის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული.

§ 6. სასწავლო კომიტეტის წევრებს ნიშნავს განათლების მინისტრი 2 წლის ვადით;

§ 7. სასწავლო კომიტეტს ჰყავს პრეზიდიუმი: პლენუმისა და ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, რომელიც ამავე დროს მეორე სექციის თავმჯდომარეა, პლენუმისა და ერთ-ერთი სექციის მდივანი და მდივნის თანაშემწე, რომელიც მეორე სექციის მდივანია. პრეზიდიუმს ნიშნავს განათლების მინისტრი.

თავ-რისა და მდივნის გარდა, კომიტეტი შედგება 16 წევრისგან. მასში შედიან მეცნიერების შემდეგი დარგის წარმომადგენლები: 1. საზოგადო და საქართველოს ისტორია, - 3 წევრი; 2. ქართული ენისა და უცხო ენებისა და ლიტერატურის - 3 წევრი; 3. საბუნებისმეტყველო დარგების - 3 წევრი; 4. მათემატიკის - 2 წევრი; 5. ფიზიკისა და

ქიმიის - 2 წევრი; 6. ფილოსოფიის- 1 წევრი; 7. სპეციალური და ტექნიკური საგნებისა - 2 წევრი.

სასწავლო კომიტეტს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით მუშაობაში მონაწილეობისათვის სათათბირო ხმით მოიწვიოს სხვა პირნიც მეცნიერთა და პედაგოგთაგან [სცსსა, ფონდი 1935, აღწერა1, საქმე10, ფ. 1].

სასწავლო კომიტეტის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. ძირითადად მასში ცნობილი 55 მეცნიერი შედიოდა. ესენი იყვნენ: 1. ალექსანდრე აღნიაშვილი; 2. გიორგი ახვლედიანი; 3. ვუკოლ ბერიძე; 4. ვარლამ ბურჯანაძე; 5. გიორგი გედევანიშვილი; 6. დიმიტრი გედევანიშვილი; 7. სერგო გორგაძე; 8. ანდრო დიდებულიძე; 9. სერგი დანელია; 10. მიხეილ ზაალიშვილი; 11. მიხეილ ზანდუკელი; 12. მიხეილ თაქთაქიშვილი; 13. ექვთიმე თაყაიშვილი; 14. ნიკიფორე იმნაიშვილი; 15. ვასილ კაკაბაძე; 16. სარგის კაკაბაძე; 17. კორნელი კეკელიძე; 18. თევდორე კიკვაძე; 19. გიორგი კონიაშვილი; 20. მიხეილ კონიაშვილი; 21. ალექსანდრე მდივანი; 22. იასონ მოსეშვილი; 23. გრიგოლ ნათაძე; 24. ლევან ნათაძე; 25. ალექსანდრე ნათიშვილი; 26. გიორგი ნიკოლაძე; 27. რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა; 28. შალვა ნუცუბიძე; 29. ალექსანდრე ჟორჟოლიანი; 30. ანდრია რაზმაძე; 31. სვანიძე; 32. პეტრე სურგულაძე; 33. დიმიტრი უზნაძე; 34. პავლე ქარუმიძე; 35. ნიკოლოზ ქუთათელაძე; 36. ვახტანგ ღამბაშიძე; 37. იაკობ ღულაძე; 38. ზაქარია ყანჩაველი; 39. ნოე ყიფიანი;40. ილია ყიფშიძე; 41. მიხეილ შალამბერიძე; 42. აკაკი შანიძე; 43. ჩიტო შარაშიძე; 44. დიმიტრი შევარდნაძე; 45. მიხეილ შევარდნაძე; 46. ნიკოლოზ ჩიგოგიძე; 47. გიორგი ჩუბინაშვილი; 48. ალექსანდრე წერეთელი; 49. მიხეილ ჭავჭანიძე; 50. ევგენი ჭოღოშვილი; 51. გიორგი ჭუმბურიძე; 52. მუხრან ხოჭოლავა; 53. რაჟდენ ხუციშვილი; 54. ალექსანდრე ჯავახიშვილი; 55. ივანე ჯავახიშვილი [სცსსა, ფონდი 1935, აღწერა1, საქმე 977, ფ. 6].

შეიქმნა კომისიები სპეციალობების მიხედვით. საარქივო ფონდში კომისიების შემადგენლობა ორი ვარიანტითაა წარმოდგენელი: 1920 წლის 10 და 15 თებერვლის რიცხვით. მოვიტანთ უკანასკნელ კომისიის შემადგენლობას, რადგან ვფიქრობთ, რომ ესაა სრული და დაზუსტებული შემადგენლობა:

1. **საზოგადო ისტორია:** ალექსანდრე წერეთელი; შალვა ნუცუბიძე; დიმიტრი უზნაძე; იაკობ ღულაძე; გრიგოლ ნათაძე; ლევან ნათაძე; ა. ჟორჟოლიანი.

2. **საქართველოს ისტორია:** კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე.

3. **ქართული ენა და ლიტერატურა:** გიორგი ჭუმბურიძე, აკაკი შანიძე, თევდორე კიკვაძე, ვუკოლ ბერიძე, სერგი გორგაძე, გიორგი ახვლედიანი, მიხეილ ზანდუკელი, ჩიტო შარაშიძე;

4. **უცხო ენები და ლიტერატურა:** ალ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ნ. ქუთათელაძე, გიორგი ახვლედიანი, მიხეილ ზანდუკელი.

5. **მათემატიკა:** მიხეილ კონიაშვილი; ევგენი ჭოღოშვილი; მ. თაქთაქიშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე.

6. **ფიზიკა და ქიმია:** მიხეილ კონიაშვილი; ა. დიდებულიძე, რ. ნიკოლაძე, მ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი, პ. ქარუმიძე, გ. ნიკოლაძე.

7. **გეოგრაფია:** ნოე ყიფიანი; მიხეილ ჭავჭანიძე; ნიკოლოზ ჩიგოგიძე; რუსუდან ნიკოლაძე; მიხეილ კონიაშვილი, მ. შალამბერიძე; ალ. ჯავახიშვილი.

8. **ბიოლოგიური დარგები და ჰიგიენა:** ზ. ყანჩაველი, დიმიტრი გედევანიშვილი; მიხეილ ჭავჭანიძე; ნ. ჩიგოგიძე; ნ. ყიფიანი; ნ. ნიკოლაძე; ვახტანგ ღამბაშიძე, ალ. ალადაშვილი, ალ. ნათიშვილი.

9. **ფილოსოფიური დარგები:** შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ნიკოლოზ ქუთათელაძე; სერგი დანელია, ნიკიფორე იმნაიშვილი;

10. **სამხატვრო საგნები:** გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე.

11. **სპეციალური ტექნიკური საგნები:** ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი, ვასილ კაკაბაძე, ალექსანდრე დიდებულიძე.

სატერმინოლოგიო კომისიაში 24 კაცი შედიოდა: 1. ი. მოსეშვილი; 2. რ. ხუციშვილი; 3. ხარაძე; 4. ა. რაზმაძე;5. ალ. ნათიშვილი; 6. მ. ზაალიშვილი; 7. ალ. ჯავახიშვილი; 8. ზაქ. ყანჩაველი; 9. ვ. ბერიძე;; 10. ს. გორგაძე; 11. ა. შანიძე; 12. გ. ახვლედიანი; 13. იაკობ ღულაძე; 14. ს. კაკაბაძე; 15. ლ. ნათაძე; 16. დ. უზნაძე; 17. ვ. ღამბაშიძე; 18. დ. გედევანიშვილი; 19. ვ. კაკაბაძე; 20. გ. გედევანიშვილი; 21. მ.

შალამბერიძე; 22. რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა; 23. გ. ნიკოლაძე; 24. დ. შევარდნაძე [სცსსა. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 977. ფ. 28].

სატერმინოლოგიო კომისია სასწავლო კომიტეტის წევრთაგან იყო დაკომპლექტებული (გარდა ერთი გამონაკლისისა- ხარაძე).

1920-1921 სასწავლო წელს სასწავლო კომიტეტის სულ 57 სხდომა გაიმართა, რაც მოწმობს კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობაზე [საყვარელიძე1991:68].

§ 5. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია

1919 წელს არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში სხვა საპარლამენტო კომისიებთან ერთად, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი ენიჭებოდა სახელოვნებო კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების განხორციელებას საგანმანათლებლო-კულტურულ სფეროში.

სახელოვნებო კომისია იხილავდა სხვადასხვა საკითხებს დემოკრატიულ საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგში არსებულ პრობლემებზე. განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი მას ჰქონდა სამუსიკო, თეატრალურ და სხვ. საზოგადოებებთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან.

1920 წელს სახელოვნებო კომისია სისტემატურად იხილავდა საქართველოში კონსერვატორიის დაარსების საკითხს, მსჯელობდა იმ პრობლემებზე, რაც ამ საკითხის გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული. ხელოვნების საზოგადოების თავმჯდომარე ჯერ იყო კოტე ანდრონიკაშვილი (მდივანი დ. გორგილაძე), შემდეგ პავლე საყვარელიძე, ბოლოს კი ივანე გომართელი. ხშირად იცვლებოდნენ მისი წევრებიც, მაგრამ, სხვადასხვა პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყველა წევრი საოცრად გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა ხელოვანი ადამიანების, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეთა ბედისადმი. კომისია შემოსულ თხოვნებსა და წინადადებებზე

თათბირებს მართავდა თბილისის საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებებთან, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 4].

დამფუძნებელი კრების სახელოვნებო მცირე კომისიაც შეიქმნა 1919 11 აპრილს დამფუძნებელი კრების სპეციალური დადგენილებით. კომისიაში სმი დეპუტატი გაერთიანდა: პავლე საყვარელიძე, ივანე გომართელი და გერონტი ქიქოძე [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 4].]. მცირე კომისიის ინსტრუქცია ასეთი იყო: თუ საჭიროდ დაინახავდა, კომისიაში მოიწვევდა ამა თუ იმ პრობლემის გასაანალიზებლად „მცოდნე პირებს", რომელთაც დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების გამოტანის უფლება არ ჰქონდათ. მცირე კომისია რაიმე ექსტრემალურ შემთხვევაში თავის დასკვნას წარუდგენდა ძირითად კომისიას. ძირითადი კომისია მოისმენდა მის მოხსენებას და მისცემდა სათანადო მსვლელობას [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 44]..

სახელოვნებო კომისია იხილავდა ეკლესიაში მომხდარ ისეთ მოვლენებს, რომელიც უკავშირდებოდა ქართულ ხელოვნებას, არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობას. 1920 წლის იანვარში ამ კომისიამ შეისწავლა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ლეონიდის მომართვა სვეტიცხოველში ჩუქურთმების დაზიანების შესახებ. კომისია ჰპირდებოდა დახმარებას [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ. 4,5]. 1920 წლის 16 მარტს საკათალიკოსო საბჭოს წევრმა, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ კომისიას შემდეგი მიმართვა გაუგზავნა: „საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისიას. ურბნისის საეპარქიო საბჭომ მოახსენა საკათიკოსო საბჭოს, რომ ახალციხის მაზრაში, ზარზმის უფროს ტაძარში ჩამოდის წვეთი, რომელიც უქადის განადგურებას ამ დიდებულ ნაშთს ქართველი ერის წარსულისა და მის ძვირფას მხატვრობას. საკათალიკოსო საბჭო, თვის ამა წლის თებერვლის 5 განჩინების თანახმად, პატივისცემით თხოვს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას, მიიღოს ზომები ზარზმის ტაძრის შეკეთებისა და მისი ძვირფასი მხატვრობის დაცვისათვის". საკათალიკოზო საბჭოს წევრი დეკანოზი კ. ცინცაძე [[სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.33]. კომისია უნდა გამოეყო სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა ტაძრის მდგომარეობას, დაადგენდა

მომავალ სამუშაოთა ჩატარების ფომასა და ხარჯებს, ამ უკანასკნელს კი გამოყოფდა იმ 10 მილიონიდან, რომელიც მთავრობამ განათლების სამინისტროს მისცა იმ უამრავი საჭიროებისათვის, რაც იყო განათლების, კულტურისა და ხელოვნების წინაშე.

კომისიის ყურადღების ცენტრში იყო ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის არმიის ჩაცმულობა, ჯარისკაცთა ტანსაცმლის დიზაინი. ამ მიზნით შეიკრიბნენ სახელოვნებო კომისიაში საფინანსო და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლები. იმსჯელეს ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჩაცმულობაზე, ძველ ჩაცმულობაში სიახლის შეტანაზე [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.29].

სახელოვნებო კომისიამ განიხილა ამ დროს ახალი ტექნიკური მიღწევის და საქართველოსთვის სრულიად უცხო წარმოების - თვითმფრინავების შექმნის საკითხი. ცნობილმა ქართველმა მფრინავმა - ბესარიონ ქებურიამ ამ დარგში მთელი რიგი ცვლილებების შეტანაზე განაცხადა პრეტენზია და ითხოვა დახმარება თვითმფრინავის გასაკეთებლად, რაც მთავრობას მილიონ ნახევარ მანეთამდე თანხა დაუჯდებოდა. ქებურიას გათვლით, ანაზღაურება თანხისა ისე სწრაფად მოხდებოდა, რომ ეს დანახარჯი სახელმწიფოს მუდმივი მზარდი შემოსავლით დაუბრუნდებოდა. ამასთანავე, ის შეუცვლელი ტრანსპორტი გახდებოდა საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც რკინის გზა ვერასოდეს მიუდგებოდა და არც სამანქანო გზები არსებობდა. სახელოვნებო კომისია აღნიშნავდა, რომ თავად ვერ აიღებდა თავზე ამ პროექტის არათუ განხორციელებას, არამედ განხილვასაც, მაგრამ მთავრობას მოუწოდებდა ყურადღების მიღმა არ დაეტოვებინა ქებურიას ახალი პროექტი, „გაუმჯობესებული აეროპლანი საქართველოს სახელს კულტურული კაცობრიობის თვალში ასწევდა" და დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართული ეროვნული ტექნიკის განვითარების საქმეში[[სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.39-40].

კომისია ზოგჯერ ისეთ უმნიშვნელო რამეზეც კი ამახვილებდა ყურადღებას, როგორიც იყო სამთავრობო ლოჟებში უცხო პირების შეშვების ფაქტები, რაც სახელმწიფო თეატრის გამგეს -ა. წუწუნავას ეკრძალებოდა [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.9].კომისიას მრავალმხრივი მუშაობა ევალებოდა., მას რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა თეატრისა და ხალხური სიმღერების მოყვარული საზოგადოებები, უნდა დაემტკიცებინა მათი წესდებები, შეესწავლა და ემსჯელა კულტურულ-

საგანმანათლებლო დაწესებულებათა პრობლემებზე. დამფუძნებელი კრების ბევრი წევრი თავად ხელმძღვანელობდა ასეთ საზოგადოებებს, მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილი მიმართავს სახელოვნებო კომისიას, რომ მისი საზოგადოებიდან, (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის თავ-რე თავად იყო, მდივანი კი - ს. გორგაძე) სახელოვნებო კომისიის სხდომებს დაესწრებოდა მუდმივი წარმომადგენელი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - გიორგი ნიკოლოზის ძე ჩუბინაშვილი [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.17]. კომისია მატერიალურ დახმარებას უწევდა არა მარტო ცნობილ, არამედ ჯერ კიდევ აუღიარებელ დამწყებ ლიტერატორებს, ასეთი იყო დუშელი ვანო (ი. დ. ლუარსამიძე), რომელსაც უმწეო მდგომარეობაში მყოფს, კომისიამ დახმარება გაუწია [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.18]. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბეთანიის ბერის ჯამაგირად კომისიამ გამოუყო ექვსიათასი მანეთი.

კომისიის დიდი მცდელობით 1920 დაარსდა საქართველოს სამხატვრო გალერეა. კომისიაში განიხილეს განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი დეკრეტი სამხატვრო გალერეის დაარსებისა და ფუნქციონერების შესახებ, ხოლო დამფუძნებელ კრებაში ამ საკითხზე მომხსენებლად ექვთიმე თაყაიშვილი გამოყვეს [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.25] .

კომისიამ ასევე განიხილა მუზეუმის შენობის აგებისა და მუზეუმის დაარსების საკითხი [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.56]. საინტერესოა სახელოვნო თეატრის სახელით დამფუძნებელი კრების კომისიაში წარდგენილი კოტე მაყაშვილის წერილი. აყალიბებდა რა მთავარ მოთხოვნას მუზეუმის დაარსების აუცილებლობაზე, მაყაშვილი წერდა, რომ აუცილებელი იყო შენობის პროექტზე კონკურსის გამოცხადება, რათა სპარსული არქიტექტურული სტილისთვის თავი დაედწიათ მის მშენებლებს, როგორც ეს იყო ადრე ჩაფიქრებული. მაყაშვილი ითხოვდა მუზეუმთან ახლოს საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებას, რასაც ასევე დიდი ხანი ელოდა ქართველი ხალხი [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.59].

სამუზეუმო საკითხის კომისიის თავ-რედ გ. ჟურული დაინიშნა, რომელმაც უამრავ საკითხთან ერთად (კონკურსისთვის გამოყოფილი თანხები, არქიტექტურული სტილი, ფასადების თემა და სხვ.) დასვა პეტროგრადიდან ცნობილი არქიტექტორის -

ალექსანდრე ივანეს ძე ტამანოვის ჩამოყვანის და მისთვის გზისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების საკითხი [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.61-62].

შტატებს სახელოვნებო-კულტურულ დაწესებულებებში განათლების სამინისტრო ადგენდა, შემდეგ კი ცალკეული პროფესიული საზოგადოებები ადევნებდნენ თვალყურს ამ შტატებზე კადრების დანიშვნას, მათ შორის ხელოვნების კომისია უმაღლესი ინსტანცია იყო, რომელიც მთავრობის წინაშე აყენებდა სხვადასხვა დარგში დასმულ პრობლემებს.

სახელოვნებო კომისიის საარქივო საქმეში დაცულია ბევრი ამდროინდელი სახელგანთქმული ხელოვანის თხოვნა დახმარების შესახებ. მათ შორის არიან : კოტე ყიფიანი, ნინო ყიფიანი, მაკო საფაროვა, ძუკუ ლოლუა,

მსახიობებს და ლიტერატორ-ხელოვანთ ხშირად ეძლეოდათ ერთდროული დახმარება, მათ უნიშნავდნენ პენსიებს, შემოქმედებითი საჭიროებისათვის გამოყოფდნენ თანხებს. ფულადი დახმარებით ხდებოდა გამოჩენილ მწერალთა საღამოების, მსახიობების საბენეფისო სპექტაკლების გამართვა. ასეთი იყო ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, მწერალ დავით კლდიაშვილის და სხვა საღამოები, რომელთა მოწყობაში დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია მონაწილეობდა. ქართველ მწერალთა კლუბი ,,ქიმერიონი'' ხშირად მიმართავდა კომისიას დახმარებისათვის. 1920 წელს მწერალთა კავშირმა და კლუბმა ,,ქიმერიონმა'' მოღვაწეობის 30 წლისთავი გაუმართა მწერალ დავით კლდიაშვილს. მთავრობა და პარლამენტის სახელოვნებო კომისია საიუბილეო კომიტეტს (თავ-რე ნ. შიუკაშვილი) როგორც მატერიალური, ასევე სამთავრობო მხარდაჭერით დაუდგა გვერდით. სახელოვნებო კომისიის წევრები თავად სწავლობდნენ გაჭირვებულ ხელოვანთა მდგომარეობას და მათი დახმარების საჭიროებაზე აყენებდნენ საკითხს. მაგ: ლეო ნათაძემ საკითხი დასვა კომპოზიტორ ყარაშვილის დახმარებაზე [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.168];

კომისიამ დააყენა მსახიობ ლ. მესხიშვილის დახმარების საკითხი [იქვე, ფ. 169];

ხელოვნების კომისიამ აღძრა შუამდგომლობა განათლების მინისტრის წინაშე, რათა ერთდროული დახმარება მისცემოდა ქუთაისის თეატრის მოლარეს - კიტა აბაშიძის დას - კატოს, რომელმაც მხედველობა დაკარგა და შრომის უუნარო გახდა

[იქვე, ფ. 170] მსახიობ გედეონ გედევანიშვილის ქვრივს[ფ. 173], ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის - სერგეი მესხის ქვრივს -ეკატერინეს [ფ.175]; მწერალ შიო მღვიმელის ოჯახს [ფ.174]; ბაბილინა ხოსიტაშვილ-კურდღელაშვილისას [ფ.295];სახალხო აშუღს - ჰაზირას [ფ.220] და უამრავ სხვას.

კომისია მთავრობას თხოვდა ავადმყოფი და ხელმოკლე ხელოვანებისთვის, მათ შორის მწერლებისთვის აგარაკების გამოყოფას [ფ.183].

გარდაცვლილი კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს სახელმწიფო კრძალავდა საკუთარი ხარჯით. ამგვარი წესით დაიკრძალა1919 წლის მაისში ქუთაისში გარდაცვლილი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე. როდესაც 1920 წლის თებერვალში გორში გარდაიცვალა მსახიობი გიორგი ნიკოლოზის ძე იშხნელი, თეატრალურმა საზოგადოებამ მიმართა დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისიას და მისი სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალვა მოითხოვა. თხოვნა აუსრულეს, იშხნელი თბილისში დაკრძალეს და ხარჯები აქაც მთლიანად სახელმწიფომ გაიღო [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.18].

თუ გავითვალისწინებთ ამ ურთულეს ხანას საქართველოსთვის, შინაური თუ გარეშე დივერსიების არსებობას, მატერიალურ სიდუხჭირეს, ხელისუფლება მაინც ცდილობდა განათლებისა და კულტურის სფეროს მუშაკების დახმარებას, დარგის გაჯანსაღებას, იქ მოღვაწე ადამიანების წახალისებას და ქვეყნის სულიერი ცხოვრების დაწინაურებას.

საინტერესოა დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისიისადმი 1920 წლის 31 მარტს კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მიერ წარდგენილი ვრცელი მიმართვა, სადაც დასაბუთებული იყო მოთხოვნა სახელმწიფო სამუსიკო გუნდის - კაპელის შექმნის აუცილებლობისა, რომელიც იმეტყველებდა მშობლიური სამუსიკო ენით და ერში არ ჩაკლავდა ამ ენის ცოდნის წყურვილს. ,,საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას მოკლებულ სახელმწიფოში, - ხალხი ყოველთვის უფრო მტკიცე დამცველია თავისი ეროვნული კულტურისა,- წერდა კოტე ფოცხვერაშვილი, - ვინემ მმართველი წრეები, ინტელიგენცია.'' ასე მოხდა ჩვენშიც, ხალხმა შეინახა ის სამი ელემენტი, რომელიც უცილობელია ხალხური მუსიკისათვის: რიტმი, მელოდია, ჰარმონია. ეს უნდა განვავითაროთ, რისთვისაც კაპელის დაარსება დიდ შედეგს მოიტანსო. ამგვარი

გუნდის შექმნას ის ცხოვრებისეული საჭიროებითაც ხსნიდა: უკანასკნელ ხანებში ისეთი სახალხო ზეიმებია, თვით მათი შინაარსი ითხოვს ამგვარ კაპელასო"[სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.40-42].

ფოცხვერაშვილი უდგენდა კომისიას მის მიერ შედგენილ შტატებსაც და ითხოვდა ამ გეგმის განხილვასა და შეფასებას.

კომისია განიხილავდა ამ თხოვნა-განცხადებებს და გადაგზავნიდა განათლების მინისტრთან. მათ შორის იყო იმ სპეციალისტების თხოვნაც, რომლებიც სამსახურს ითხოვდნენ თავიანთი სპეციალობით.

ხელოვნების კომისიაში დაარსდა ე. წ. „მცირე კომისიები", რომლებიც უფრო დეტალურად სწავლობდნენ განათლებისა და ხელოვნების პრობლემებს. ამ კომისიებს სათავეში ჩაუდგენენ დამფუძნებელი კრების წევრები: პავლე საყვარელიძე, ივანე გომართელი და გერონტი ქიქოძე [სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.47].

ხელოვნების კომისიის მუშაობას ხშირად ესწრებოდნენ განათლების მინისტრი. ქალაქის თავი, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ამათუიმ დარგის ბედზე პასუხისმგებელი თუ დაინტერესებული პირები.

ხელოვნების კომისიამ შეადგინა და დამფუძნებელ კრებაზე წარადგინა პროექტი ხელოვნების ძეგლების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვაზე[სცსსა,1833, ან.1, საქმე 1006, ფ.54].

ამ საკითხზე დამფუძნებელ კრებაში მომხსენებლად დეპუტატი, ექიმი და ლიტერატორი ივანე გომართელი გამოვიდა. განსაკუთრებით კომისიას აწუხებდა ის ვანდალური დამოკიდებულება, რაც ათეისტურად განწყობილ ბოლშევიკებს ჰქონდათ ეკლესია-მონასტრებისადმი. იძარცვებოდა ხელოვნების საუკეთესო ძეგლები, ბევრი მიზანმიმართულად ზიანდებოდა. ამ მიზნით, ძეგლების აღწერასა და მისი მდგომარეობის შესწავლას კომისია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა. ძეგლების შესასწავლად გამოყოფილ მცირე კომისიას ყოველთვის ამ საქმის მცოდნე სპეციალისტი და პარლამენტარი ექვთიმე თაყაიშვილი ედგა სათავეში. განათლების მინისტრისადმი ერთ-ერთ მიმართვაში სახელოვნებო კომისიის თავ-რე 1920 წლის მაისში წერდა: „შარშან მთავრობის განკარგულებით ექვთიმე თაყაიშვილი გაგზავნილ იყო ეკლესია-მონასტრების ნივთების აღსაწერათ და ეს დავალება ნაწილობრივ მან

აასრულა და მთავრობის თავმჯდომარეს შესაფერი მოხსენება წარუდგინა. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ წელს ამგვარი მუშაობა გაგრძელდეს, წიგნები აღიწეროს, სადაც არ არის აღწერილი და მათი ფოტოგრაფიული სურათები გადმოღებულ იქმნას. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს ჩვენი კულტურის და ხელოვნების შესასწავლად და ნამეტნავად ზომების მისაღებად, რომ ამგვარი განძი არ დაგვეკარგოს. ამასთანავე, ექ. თაყაიშვილს ამგვარ მოგზაურობიდან ყოველთვის ჩამოაქვს ეროვნული მუზეუმისათვის სამღვდელოების ნებართვით შესანიშნავი ხელნაწერები და სხვა საარქეოლოგო ნივთები, რაც თავისთავად პირველ საზრუნავ საქმეს უნდა შეადგენდეს ჩვენთვის. ამიტომ კომისია შუამდგომლობს იმ თანხიდან, რომელიც საკულტურო ნივთების შესაძენად არის გადადებული, 150 ათასი მანეთი გადადვას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში ნივთების აღსაწერად და ამათი ფოტოგრაფიული სურათების გადმოსაღებად.”[სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 86].

კომისიამ პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს მიმართა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გურიაში, შემოქმედის მონასტერში არსებულ მდგომარეობაზე. მიმართვაში ვკითხულობთ: „შემოქმედის მონასტერი გაძარცვეს ავაზაკებმა, ნაწილი ნაძარცვი ნივთებისა მილიციამ აღმოაჩინა და სრულიად დალეწილი და გაფუჭებული ახლა ინახება ოზურგეთის ხაზინაში, ნაწილი თვით შემოქმედის მონასტერში, ზოგიერთი ნივთების აღდგენა შეიძლება და აუცილებელიც არის, უამისოდ ამ ნივთებს ყოველგვარი მეცნიერული და ხელოვნური მნიშვნელობა დაეკარგება. ამიტომ, კომისია შუამდგომლობს, მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რომ ეს ნივთები სრულიად გადმოტანილ იქმნას ტფილისში და მათი აღდგენის ზრუნვის გაძღოლას იკისრებს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო საეკლესიო საბჭოსთან შეთანხმებით, ნაწილი ნივთებისა ინახება თვით შემოქმედის მონასტერში და მათი ჩამოტანის ნებართვას საზოგადოება საკათალიკოსო საბჭოს გამოსთხოვს” [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 87].

ეკლესია-მონასტრებს, მამულების ჩამორთმევის გამო, უჭირდათ საკუთარი თავის მოვლა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რასაც მათ სახელოვნებო კომისია უგვარებდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ლეონიდის თხოვნას

მარტვილის მონასტრისათვის ქარისგან გადამძვრალი სახურავის შეკეთების შესახებ, კომისია გამოეხმაურა და ეს მდგომარეობა გამოსწორდა. კომისიამ ასევე მიიღო მარტვილის მონასტრის არქიმანდრიტის - დავითისა და დეკანოზ გაწერელიას მიმართვაც, სადაც ისინი წერდნენ ტაძრის კატასტროფულ მდგომარეობაზე, რისთვისაც შფოთავდა მრევლი. საარქივო ფონდში მრავალი დოკუმენტია ამ მონასტრის ამდროინდელ მდგომარეობასა და საქართველოს პარლამენტისა თუ მთავრობის რეაქციაზე შექმნილი მდგომარეობის მიმართ. [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 94-101].

ასევე აუტანელი მდგომარეობა ჩანს გელათის მონასტერშიც, ამას მოწმობს 1920 წლის 29 ივნისით დათარიღებული გელათის მონასტრის წინამძღვრის - არქიმანდრიტ ნესტორის მიმართვა პარლამენტის სახელოვნებო კომისიისადმი. ის თხოვდა კომისიას ეშუამდგომლა მთავრობის თავმჯდომარესთან, დაებრუნებინათ გელათისათვის წართმეული მამულები, ტყე და წისქვილი, რათა მონასტერს შეძლებოდა არსებობა. ასეთი რამ (მამულების ჩამორთმევა) რუსეთის მთავრობასაც კი არ გაუკეთებიაო, მითუმეტეს, ახლანდელ სიძვირეში მონასტრის არსებობა შეუძლებელიაო- წერდა არქიმანდრიტი. ის იმასაც უმატებდა, რომ ეს ხარჯებიც ვერ უშველიდა გელათის იმჟამინდელ საჭიროებებს, თუმცა, უამისოდ მთლად კატასტროფა იქნებოდა'' [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 145-147].

ამავე საარქივო ფონდის მასალები იგივე მდგომარეობას წარმოაჩენენ ურბნისის ეპარქიაში, ქვაბთახევის მონასტერში, ნიქოზის მონასტერში, მცხეთაში და სხვ. ამის გამო, სახელოვნებო კომისიამ შეიმუშავა პროექტი ეკლესია-მონასტრების შესაკეთებლად საჭირო 2 მილიონი თანხის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფის მოთხოვნაზე [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 158].

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ დააკმაყოფილა სახელოვნებო კომისიის თხოვნაც, რომ გაეთავისუფლებინა 1920 წლის ზაფხულში კრების პრეზიდიუმის წევრი ექვთიმე თაყაიშვილი დამფუძნებელ კრებაში დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან ეკლესია-მონასტრებისა და იქ არსებული განძეულობის მდგომარეობის შესასწავლად გაგზავნის გამო [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 159].

დამოუკიდებელ საქართველოში იყო სახელმწიფო თეატრის კომისრის თანამდებობა. ის უზრუნველყოფდა თეატრების მუშაობას, იღებდა დახმარებას პარლამენტის სახელოვნებო კომისიისაგან სეზონის გახსნისა და კარგად წარმართვისათვის როგორც ფულადი, ასევე მატერიალური სახით. მაგალითად, 1919 წლის 7 მაისს კომისიამ ითხოვა 100 ათასი მანეთი ოპერის სეზონის გასახსნელად და შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის დამატებით 30 ათასის გამოსაღებად.”[სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 112].

ხელოვნების კომისია ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციების თხოვნას უგზავნიდა მინისტრებს, საქველმოქმედო საზოგადოებას და სხვ.

ქართული თეატრის მდგომარეობას კარგად ასახავდა დრამატული საზოგადოების მიმართვა სახელოვნებო კომისიისადმი. აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოების თავ-რე იყო ივანე გომართელი, რომელიც სახელოვნებო კომისიის წევრიც იყო. მიმართვა 1920 წლის 29 აპრილითაა დათარიღებული და კარგად ასახავს ქართული დრამატული თეატრის მდგომარეობას დამოუკიდებლობის წლებში. ამ 10-გვერდიან ტექსტს, სადაც გაწერილია თეატრის რეპერტუარი, საშტატო და სხვა ხარჯები, აქ მთლიანად ვერ მოვიტანთ [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 63-67].

მიმართვაში გატარებული მთავარი აზრი იყო ის, რომ ვორონცოვის დროს დაარსებული და შემდეგში ნიკოლოზისა და მის წინამორბედთა დროს არსებული თეატრის კარი გამოიკეტა სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს დროს, რაც საზოგადოებრივ აზრს ძალზე აღიზიანებდა და ხელისუფლებისადმი უარყოფითად განაწყობდა. ქართული თეატრის შესანარჩუნებლად მთავრობამ სცადა მისი გასახელმწიფოებრიობა, ერთდროული დახმარების გაწევა როგორც საერთო საქმის, ასევე ცალკეულ მსახიობთათვის. თეატრის გასახელმწიფოებრიობამ საქმეს ვერ უშველა. ამაზე მსჯელობდნენ დამფუძნებელ კრებაშიც და სახელოვნებო კომისიის ზოგიერთმა წევრმაც შეიცვალა აზრი ამ გზით თეატრის გადარჩენის შესაძლებლობაზე.

1919 წლის 24დეკემბერს დამფ. კრების თეთრ დარბაზში მოიწვიეს საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: პ. საყვარელიძე, ი. გომართელი, გ. ურატაძე, დ. ჩხეიძე, რ. არსენიძე. ლ. ნათაძე, ს. ფირცხალავა, კ. ანდრონიკაშვილი, შ. დადიანი,

ხ.ახვლედიანი, ალ. გაჩეჩილაძე, გ. ლასხიშვილი, ა. წუწუნავა, ს. მდივანი, აკ. ფაღავა. სხდომაზე აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე - დახმარებოდა თეატრს. ამისთვის საგანგებო კომისიაც შეიქმნა. სახელოვნებო კომისიის თაოსნობით შეიცვალა დრამატული საზოგადოების შემადგენლობაც. ახალ გამგეობაში თავ-რედ სწორედ ამ დროს აირჩა ივანე გომართელი, მარიამ რამიშვილი, ი. აბაკელია (თავ-რის ამხანაგები), ხ. ახვლედიანი (ხაზინადარი), აკაკი ფაღავა (მდივანი), წევრებად : ლ. ნათაძე, გ. ურატაძე, პ. სურგულაძე. ი. ბესელიძე, ნ. ქართველიშვილი, შ. რამიშვილი, ი. აგლაძე, ივ. ჭავჭანიძე, ნ. შიუკაშვილი, ალ გაჩეჩილაძე (მსახიობთა კავშირიდან). მაგრამ მთავრობამ ვერც შენობა გამოუყო თეატრს და ვერც სუბსიდია მისცა. კომისიამ გადადგომა დააპირა, მაგრამ განათლების მინისტრი ეწვია საზოგადოებას და მისცა ახალი დაპირება, რის გამოც კომისიამ მუშაობის გააქტიურება გადაწყვიტა. მოიწვია სასცენო ძალები, რეჟისორები და მსახიობები და დაიწყო მზადება ახალი სეზონისათვის. შედგა რეპერტუარი, რომელიც ითვალისწინებდა აკაკის სამი პიესის- ,,პატარა კახის'', ,,თამარ ცბიერისა'' და ,,მედეას'' , ასევე, გიორგი ერისთავის ,,გაყრას'', ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში'', ცაგარელის ,,ხანუმას'' და ,,რაც გინახავს'', ერისთავის ,,სამშობლოს'', ნინოშვილის ,,ქრისტინეს'', შ. დადიანის ,,ვარამისა'' და ,,გუშინდელნის'', დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერებას'', და ,,დარისპანის გასაჭირის'', ყაზბეგის ,,არსენას'', სუმბათაშვილის ''ღალატის'' და სხვა სპექტაკლების დადგმას. უცხო რეპერტუარიდან გათვალისწინებული იყო შექსპირის ,,ოტელო'', ,,ვენეციელი ვაჭარი'' , ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', ,,დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოდ'', მილერის ,,მარიამ სტიუარტი'', ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'', იბსენის სამი პიესა , ჰაუპტმანის, მეტერლინკის, ბომარშეს, დოდეს, დიუმას, ოსკარ უაილდის, სენკევიჩის, არისტოფანეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, გოგოლის, ვინიჩენკოს, სუვორინის ,,მედეას'' და სხვა საინტერესო ავტორთა პიესების დადგმა. სულ 31 ავტორის 40 პიესა შევიდა რეპერტუარში. უნდა დადგმულიყო 200 წარმოდგენა, რისთვისაც შედგა ხარჯთაღრიცხვაც. დრამატული საზოგადოება ითხოვდა მოწყობილ თეატრსა და 4 მილიონ მანეთის სუბსიდიას 1920-1921 წლის სეზონისათვის.

გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო ქუთაისის დრამატული თეატრი, რომლის ხელმძღვანელად 1920-21 წლის თეატრალური სეზონისათვის მიიწვიეს შალვა

დადიანი. 1920 წლის დეკემბერში თეატრის მძიმე მდგომარეობაზე ხელოვნების კომისიას მიმართა ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ, მან ხელისუფლებას 1 მილიონი მანეთით დახმარება სთხოვა [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 242].

თეატრის დახმარებას მწერლებიც ცდილობდნენ: პოეტებს 26 მაისს გვინდა ყველა თეატრში ჩამოვუაროთ და დღესასწაულის შესაფერი ლექსები წავიკითხოთ, მე, გრიშაშვილმა, ქუჩიშვილმა და რუხაძემო, ხელს აწერს ი. მჭედლიძე (ხელწერა მთლად გარკვეული არაა) [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 137].

ხელოვნების კომისიამ სამხატვრო გალერეის შესაქმნელად მთავრობისგან 100 ათასი მანეთი მიიღო. ირკვევა, რომ 100 700 მანეთის თანხა დაიხარჯა როგორც ქართველი ასევე, რუსი და სხვა უცხოელი მხატვრების ნაწარმოებების შეძენაზე. ხელოვნების შეძენილი ნიმუშები შენახული იყო დიდების ტაძარში, სადაც გაიხსნა შემდეგში სამხატვრო გალერეა. კომისიის თავ-რე პავლე საყვარელიძე ითხოვდა კიდევ დამატებით 20 ათას მანეთს [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 181].

ამ საქმის სწორად და უნარიანად წარმართვისათვის სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელი დიმიტრი შევარდნაძე ხელოვნების კომისიის წარდგინებით დაჯილდოვდა ხუთი ათასი მანეთით [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 189].

ხელოვნების კომისიამ შეუკვეთა და სპეციალური მხატვართა კომისიით შეამოწმა ნოე ჟორდანიას ბიუსტის მხატვრული ღირებულება. ბიუსტი შეასრულა ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ. ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე იყო ვლასა მგელაძე, წევრები იყვნენ მხატვრები: გიორგი გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, არ გამოცხადდა 2 ექსპერტი : მოსე თოიძე და კეპინოვი. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ნიკოლაძეს ზოგიერთი შენიშვნა მისცა (მაგ. ჟორდანიას პესიმიზმი, რაც თიხაში არ იგრძნობოდა, ყურების ფორმა და სხვ.) ის მაინც მიიღეს, რადგან თბილისში სხვა უკეთესი სპეციალისტი ამ დროს არ იყო [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 206].

ხელოვნების კომისიის არქივში დაცულია ბევრი საინტერესო პიროვნების წერილი, მიმართვა, გადმოცემულია მათი ცხოვრების ეპიზოდები. მოვიტანთ ერთ მათგანს:

„საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარეს

კომპოზიტორის ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის თხოვნა

„იმ დადგენილების შემდეგ, რომელიც ხელოვნების კომისიამ გამოიტანა, ჩემი ოპერის - „აბესალომ და ეთერის" სახელმწიფო თეატრში ამა სეზონის შვიდის თვის განმავლობაში დადგმისათვის მომეცეს მე გასამრჯელო , როგორც ავტორს, ლოტბარს, გუნდის და არტისტების სამეცადინოდ და სხვა, სულ ოცდა ხუთიათასი მანეთი, მე ძალიან მეძნელებოდა ამ საკითხს კიდევ შევხებოდი, მაგრამ იძულებული ვარ ეს ჩავიდინო, რადგანაც სწორედ ჯერ მაგ ოპერის დაწერამ და მომეტებულად შარშან მის სცენაზედ დადგმამ იმდენად მომქანცა და დამაბეჩავა, რომ დღეს თითქმის უნარი დაკარგული მაქვს მუშაობისა და ექიმების რჩევით მჭირიან ორის თვით მაინც ზაფხულამდე სრული დასვენება და სისტემატიური წამლობა, რომლისთვისაც მე როგორც მუსიკის მასწავლებელს და ამ დარგში ერთს მუშაკთაგანს სრულიად სახსარი არ მომეპოვება, რადგანაც კონსერვატორიიდამ და ქალთა მეშვიდე გიმნაზიიდამ, სადაც მე ვმსახურობ, ვიღებ თვეში ჯამაგირს მხოლოდ 2200 მანეთამდე, რის შემდეგაც თავის ყურის გდებაზედ და წამლობაზედ აქ მეტია ლაპარაკი. ამისთვის მოგმართავთ ხელოვნების კომისიის წევრთ უმორჩილესის თხოვნით, რომ ეს საკითხი ახლად გადაათვალიეროთ და დახმარება აღმომიჩინოთ სერიოზული თავის წამლობისათვის. უკეთესი იქნებოდა სხვათა შორის დაავალოთ სახელმწიფო თეატრის ანტერპრენიორს ევლახოვს, რომელსაც ამ წელს დიდი შემოსავალი აქვს თეატრიდამ და მით უფრო ჩემი ოპერიდამაც. რომ მე როგორც ავტორს, რომელსაც არა ერთი და ორი წლის განმავლობაში ჩემი ჯანი და ენერგია შემიწირავს მის შეთხზვა-დადგმაზედ, მეც მონაწილე მყოს იმ შემოსავლიდამ, რომლისთვინაც იმას თავიც კი არ შეუწუხებია და რომელიც მე ვფიქრობ სამართლიანად მერგება. დასასრულ ამისა, კიდევ ვიმეორებ ჩემ თხოვნას და ვიმედოვნებ, რომ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია ყურადღებით მოექცევა ამ ჩემს თხოვნას და საშუალებას მომცემს ინვალიდობა თავიდამ ამცილდეს. რომ შემდეგისთვისაც შეძლება მომეცეს განვაგრძო მუშაობა ჩემი სამშობლოსა და საყვარელი ხელოვნების საკეთილდღეოდ.

რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო ეხლავე დასვენება ან სადმე წასვლა არ შემიძლიან, ამისათვის გადავწყვიტე წამლობა ეხლავ განვაგრძო და ქრისტეშობის თვის დამლევისთვის ორის თვით სამსახურიდან გავნთავისუფლდე და გავიდე ტფილისიდამ თუ მოხერხდა სოხუმში და იქ ექიმების დახმარებით სერიოზულად ვიწამლო, რომ ზაფხულამდე ცოტათი მაინც გამოვკეთდე

ზაქარია ფალიაშვილი

19 ოქტომბერი, 1919 წელი, ქ. ტფილისი [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 230-231].''

კომისიას დახმარებას თხოვდა და ივანე გომართელს პირად წერილს უგზავნიდა მსახიობი კოტე ყიფიანი. მოვიტანთ სრულად ამ წერილს:

დიდად პატივცემულო ძვირფასო ვანო!

პირადად მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ ვიცი არა გცალიან, ამიტომ წერილით გიზიარებ ჩემს სათქმელს, როცა მოიცალო, მაშინ წაიკითხე. მოგმართავ ჯერ როგორც ძვირფასს ვანოს, მერე კი როგორც ხელოვნების კომისიის თავმჯდომარეს. ეს მომართვა თითქმის საჩივარი არის იმ დაწესებულებებზე, ხელოვნების კომისიას რომ ექვემდებარებიან და მსახურნი არიან ხელოვნების იმ დარგისა, რომელსაც მე 55 წელიწადი ვემსახურე: დრამატიულ საზოგადოებაზე და მსახიობთა კავშირზე.

უნდა მოგახსენო, ვანო, რომ ასე მივიწყებული, როგორც მე ვარ იმათგან, არც ერთი, არც ძველი და არც ახალი მსახიობი არ არის. მართალია, აქამდის ამას თავის გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა და თითონ მე ვაძლევდი ამას ტონსაც, სახელდობრ ისა, რომ მე შეძლებულ მსახიობად ვითვლებოდი და არა ვსაჭიროებდი მათგან ნივთიერ დახმარებას. ასე რომ ერთხანად დრამატიულმა საზოგადოებამ დამინიშნა პენსია და მე მაგაზე ხელი ავიღე. მაგრამ ეხლა ხომ ვიცით, რომ დიდად შეძლებული მემამულეც შვიდი დესეტინის პატრონიღა არის დღეს. მეც კარგა დიდი მამულიდან შვიდი დესეტინა დამრჩა და ამისი ნაწილი, იქნება ძალიან ძვირფასიც, სახლ-კარმიდამო, მის კედლებს და ხეხილს საზრდოდ ვერ გამოვიყენებ, მოსავალი კი წელს არც ბაღს ჰქონდა, არც ვენახს, სამსახურიც წამართვეს და დავრჩი შენს და შენის მხარის დამჭერთა წყალობით მთავრობისგან მოცემულ 2000 მანეთზე. ეს რომ რამდენიმე დღის საგზალია, კარგად იცი. და აი ასეთ პირობებში ცხოვრების დროს

რატომ არ უნდა გამიმართონ ხელი ან დრამატულმა საზოგადოებამ, ან მსახიობთა კავშირმა? ვიცი, ვანო, რომ შეხვალ ჩემს გარემოებაში და თუ შენ სამართლიანად დაინახავ ჩემს აზრს, ეცდები მათთან, რამოდენადმე დამეხმარონ. ვანო, მე და ნინო რომ მივსდგეთ ჩვენს მამულს და ნაჭერ-ნაჭრად ვჰყიდოთ, იქნება ჩვენს სიცოცხლეში კიდეც გვეყოს, მაგრამ ეს არის, რომ ვერ გავიმეტებთ ამისთანა კაცის კუთვნილს და ისეთს ლამაზ მამულს დასაქუცმაცებლად და ამის შესახებ კიდეც გადმოგცა ნინომ ჩვენი აზრი. მაგრამ მშიერიც ვერ დავდგები და ამიტომ მივმართავ იმ დაწესებულებათ, რომლებიც, ჩემის აზრით, მოვალენი არიან იზრუნონ ჩემზე.

არც მთავრობა მომექცა სამართლიანად, ყველა ძველს არტისტებს მისცა, გარდა პენსიისა, ერთდროული დახმარება რამდენიმე ათასით (საფაროვას ქალს ბევრად ნაკლები, მაგრამ მაინც ერთდროული) და მხოლოდ მე ღირსი არ გამხადა მაშინ, როდესაც მე ყველაზე მეტი მიმუშავნია ხელოვნების დარგში და სხვაფრივადაც.

სამძიმოა, ვანო, შენი შეწუხება, სამძიმოა კიდევ უფრო მეტად გაჭირვებას უჩვეველი ადამიანისათვის ამ საგანზე ლაპარაკი და თხოვნა, მაგრამ რას იზამ? აი, ჩემი ნინო რომ ნახე, მას უკან სამი კვირა იწვა, ჯერაც ვერ არის კარგა, რა ხარჯი დასჭირდებოდა ამას, ხომ მიხვდები?

გატყობინებ ჩემს ამისთანა მდგომარეობას და ბოდიშს გიხდი, დიდს ბოდიშს შეწუხებისათვის, ვიცი რომ თუ მოხერხდება რამე ჩემთვის და ნინოსთვის დახმარებას არ დაიზარებ.

ბარემ ერთი სათხოვარიც მოისმინე: თუ არტისტული საზოგადოება ჩვენზე გადმოვიდა, იქნებ ან იქ, ან სხვაგან სადმე ჩემი ძალის შესაფერი რამე საქმე მომანდოთ, თორემ უსამსახურობაში მყოფს ვერავითარი დროებითი დახმარება ვერ შემეფარება საბოლოოდ. მინისტრები მპირდებოდნენ აქამდინ, მაგრამ აგერ ექვსი თვე გადის და ის ჟურნალი, რომელშიც მე მაძლევდნენ ალაგს, დღესაც დაუმტკიცებელია მთავრობისაგან და ვინ იცის კიდევ დაამტკიცებენ თუ არა.

ამითი ვათავებ ჩემს გრძელ წერილს კიდევ დიდის ბოდიშით.

დავშთები მარად და მარად შენი მოსიყვარულე და ერთგული

კოტე ყიფიანი

16 თებერვალს, 1920წ.

ქ. თბილისი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე1006,ფურც. 15-16].

სახელოვნებო კომისიას დახმარების თხოვნით მიმართა ვანო სარაჯიშვილმა [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 227].

სახელოვნებო კომისია მიმართავდა ქალაქის საბინაო განყოფილებას უბინაოდ მყოფ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილისათვის დახმარების გასაწევად[სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 1006, ფ. 237].

მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირისა, პარლამენტი და მთავრობა ცდილობდა დახმარებოდა არ მარტო ქართველ ხელოვანთ, არამედ საქართველოდან წასულ იმ ადამიანებს, რომელთაც ცხოვრების გარკვეული პერიოდი აქ გაატარეს და გარკვეული წვლილი შეიტანეს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. ასეთი იყო ჩეხი ანტონ დუკეში, ტანმოვარჯიშე, რომელმაც 23 წელი იცხოვრა თბილისში და მრავალი კარგი საქმე გააკეთა, ასწავლიდა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, მუშაობდა ნესტიან და ცივ დარბაზებში, ახლა ჩეხეთში ცხოვრობდა საშინელ პირობებში. საზოგადოება ,,შევარდენი'' თხოვდა სახელოვნებო კომისიას ეშუამდგომლა, რათა ამ ღვაწლმოსილ ადამიანს მცირე პენსია მაინც დანიშვნოდა იმ ქვეყანაში, რომელსაც შესწირა თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 251].

საქართველოს კონსერვატორიის დაარსებისთვის სახელოვნებო კომისიამ დიდი შრომა გასწია და ამ საქმეში არამარტო ამ კომისიის წევრებმა, ანდა დეპუტატებმა, საზოგადოების სხვა მოწინავე ნაწილმაც დიდი როლი ითამაშა. საარქივო დოკუმენტში, რომელიც საკმაოდ ვრცელია და დაწვრილებით გადმოგვცემს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვებს, გამომსვლელთა შორის დასახელბული არიან: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, გერონტი ქიქოძე, ივანე აბაშიძე, ალექსანდრე ახმეტელი, კოტე ანდრონიკაშვილი და სხვ.[სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 254].

კომისია დაეხმარა ქუთაისის სამუსიკო სკოლას მატერიალური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებაში. [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 276],

ქუთაისელი მოღვაწე - ისიდორე კვიცარიძე პავლე საყვარელიძეს წერდა: ,,ამ შუამდგომლობაში მოკლედაა ნათქვამი ის გასაჭირი, რომელშიდაც თავი ამოჰყო დღეს აქაურმა სამუსიკო სასწავლებელმა. ამ შუამდგომლობაში სიტყვებზე უფრო ციფრები

ლაპარაკობენ და აი ამაზე მიაპყრობინეს მთელი ყურადღება დამფუძნებელი კრების ხელოვნების სექციას და თუ გარეშე ამისა კიდევ რაიმე ცნობები დაგჭირდებათ, ამ დღეებში მანდ მოდის ამ სასწავლებლის დამაარსებელი დირექტორი მელიტონ ბალანჩივაძე თავის ოპერის „თამარ ცბიერის" სამზადისისათვის და იგი თავისი პირმშო შვილის ყოველივე თავგადასავალს გიამბობს და მოგახსენებსთ, რადგან მისი (სასწავლებლის) ყოველივე ავი და კარგი მას (მელიტონს) გადახდა თავის თავზე, იგი იმ თავიდან იყო ამ სასწავლებლის არა მარტო დირექტორი, არამედ შავი მუშა - ყოველივე (თუნდაც მცირე) მოწყობილობის გადამზიდავ-გადმომზიდავი, ყარაული, შენობის მმართველ-მეთვალყურე, კონცერტების მმართველი, კლასების მეთვალყურე და ასე გასინჯე წევრებისათვის წერილების დამრიგებელი და ხანდისხან აფიშებისაც კი.

და ყოველივე ამისათვის მას რაღაც 2000 მან. საშრომი დაუნიშნეთ და ისიც 4-5 თვის გვმართებს ვერ მიგვიცია და რაც მიჰქონდა 100 და 200 ან დიდი–დიდი 500 მანეთობით. სხვა მისი კოლეგა-მასწავლებლებიც ამგვარ და უარეს მდგომარეობაში ეწევიან მოწამეობრივ შრომას, რასაც არ მგონია, რომელიმე სასწავლებელში (თუნდაც კერძოში) ვინმე განიცდიდეს და ამათებრ იტანდეს.

სასწავლებლის ასეთი მდგომარეობა მე ამასწინათ პრესაში („ერთობა"№259) გამოვაქვეყნე იმ მიზნით, რომ ან აქაური, ან მანდაური საზოგადოება დაგვხმარებოდა, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი" არ მსმენია. პირიქით, მას აქეთ უარეს გასაჭირს განვიცდით... ამნაირად, ჩვენი შუამდგომლობა პირდაპირი ლოღიკური დასკვნაა სასწავლებლის და ჩვენი (ძველი და ახალი გამგეობის) ფაქტიური მდგომარეობისა, რომლიდანაც თავის სახსნელად მოგმართავთ თქვენ, ქართული ხელოვნების ოფიციალურ მფარველთ და შემდეგ თქვენით მთავრობას, როგორც მზრუნველს მთელი ერის, ხალხის კულტურულ განძისას. და აი, ერთი ამ განძთაგანი რომ სამუსიკო ხელოვნებაა, ამაზე ჩვენი, პროვინციელების აგიტაცია, მგონი საჭირო არ არის თქვენ -საქართველოს მესვეურთათვის. აწი კი თქვენ იცით, კერძოთაც გიმეორებ, რომ დახმარების აღმოჩენა ძლიერ საჩქაროა, რადგან უკანასკნელი ორი თვის ჯამაგირები მიუცემელი გვაქვს მოსამსახურეებისათვის და სირცხვილით პირადად მე

სასწავლებელში ხშირად ვეღარ დავდივარ, რომ რასმეს ტეხნიკურად მაინც ყური ვუგდო.

შენი ი. კვიცარიძე

1920 წლის 6 იანვარი [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 275].

სკოლის მდგომარეობა დაწვრილებით იყო აღწერილი ოფიციალურ მოხსენებაში, სადაც ვკითხულობთ, რომ სასწავლებელი გაიხსნა 1918 წლის 1 დეკემბერს, მთელი დასავლეთ საქართველოს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მუსიკალური განათლების მიღებაზე. პირველ წელს სკოლაში 300 მოსწავლე შევიდა, მაგრამ ყველამ ვერ შეძლო სწავლის გადასახადის გადახდა და სწავლას თავი მიანება. 1920 წლისათვის სასწავლებელში დარჩა 216 მოწაფე , სკოლა ვერ ახერხებდა სწორ და გამართულ ფუნქციონირებას მატერიალური პრობლემების გამო, ამიტომ სკოლა მთავრობისაგან ითხოვდა ყოველწლიურ დახმარებას 100 ათასი მანეთის ოდენობით. დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ლუბა ჩხენკელი, სეგი გერსამია, ნინა ბახტაძე, სამუსიკო სასწავლებლის გამგეობის წევრები: ტრიფონ ჯაფარიძე, ისიდორე კვიცარიძე, ტრიფონ სულავა და ალექსანდრე ნემსაძე [სცსსა, ფონდი 1833,ან.1,საქმე 1006, ფ. 276].

აქვე მოტანილია სამუსიკო სასწავლებლის დაწვრილებითი ხარჯები 1918-1920 წლებში.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისიის მიერ გაწეული მუშაობა კარგად ჩანს იმ საანგარიშო დოკუმენტებში, რაც მას აქვს შედგენილი ერთი წლის მუშაობის თავზე. აქედან იკვეთება ყველა ის დახმარება, ჩატარებული ღონისძიებები და ქართული ხელოვნების ძეგლებზე ზრუნვა, რაც კომისიის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გაკეთდა. ამავე პერიოდში კომისიამ უდიდესი მუშაობა გასწია იმისთვის, რომ დაარსებულიყო ჩვენი ქვეყნისთვის დღესაც საამაყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: საქართველოს მუზეუმი, კონსერვატორია, სამუსიკო სასწავლებლები, საარქივო დეპარტამენტი.

თავი II.

ახალი სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები განათლების რეფორმის კონტექსტში

1919 წლის 6 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა გააკეთა მოხსენება საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორთა დასაჯილდოებლად ხაზინიდან ფულის გამოყოფის საჭიროებაზე. მინისტრმა მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა ასე დაახასიათა: „მთავარი საკითხი, რომელსაც განათლების სამინისტრომ იმთავითვე მიაქცია ყურადღება, - თქვა მან - რესპუბლიკის სკოლათა გარდაქმნა იყო იმ სახით, რომ იგი შეფარდებული და შეგუებული ყოფილიყო ხალხის ცხოვრებასთან, მის საარსებო მოთხოვნილებასთან. ამ მხრივ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ არსებული სკოლა სავსებით ჩამოშორებული იყო ცხოვრებას, სამინისტროს ბევრი მუშაობა დასჭირდებოდა და იგიც თანდათანობით შეუდგა დასახული მიზნების განხორციელებას. უწინარეს ყოვლისა, სამინისტრომ მოახდინა მოსწავლე-ახალგაზრდობის გადაჯგუფება ეროვნული პრინციპის მიხედვით და შეეცადა გაეტარებინა სწავლების გაეროვნულება შეძლებისდაგვარად. ცხადია, საქმეს ბევრი დაბრკოლება გადაეღობებოდა, ვინაიდან სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელთა უყოლობის გარდა, არც ეროვნული სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები მოიპოვებოდა. მართალია, აქა-იქ გამოჩნდნენ სახელმძღვანელოების შემდგენელნი, მაგრამ მათი ნაშრომი ვერც რაოდენობით და ვერც განსაკუთრებით თვისებით ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სკოლის მოთხოვნილებას. არამც თუ სპეციალური საგნის უსაჭიროესი სახელმძღვანელო, არამედ საზოგადო განათლების სკოლაც დღეს უსახელმძღვანელობითაა და ეს მეტისმეტად აბრკოლებს საქმეს და ხელს უშლის სკოლის წარმატებას".

მინისტრმა თქვა, რომ ეს გამოჩნდა განსაკუთრებით რეფორმის შემდეგ, როდესაც სკოლების რეორგანიზაცია დაიწყო, აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელოთა უმეტესობა რუსული სკოლიდანაა გადმოღებული, ამ სახელმძღვანელოებით მოსწავლეების დატოვება დღეს ყოვლად დაუშვებელია და სამინისტროს აზრით, დაუყონებლივი ზომების მიღებაა საჭიროო.

„სამინისტროს განზრახვა აქვს ახლო ხანებში შეადგინოს მცოდნე პირთა კომისიები, რომლებიც შეიმუშავებენ რესპუბლიკის ყველა საფეხურის სკოლათა ტიპს, სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, გადასინჯავენ არსებულ სახელმძღვანელოთ, მოუწოდებენ ავტორებს შესაფერ წიგნების შესადგენად და სხვ. “ ამ საქმეში მთავრობის დახმარებას ითხოვდა მინისტრი, რათა კომისიის მიერ მოწონებული სახელმძღვანელოების ავტორებისთვის მიეცათ სათანადო ჰონორარი და წაეხალისებინათ პრემიებითა და სპეციალური ჯილდოებით. ამ საქმისათვის მინისტრი 100, 000 მანეთს ითხოვდა [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 272, ფ. 2].

პროგრამის განხორციელება ისეთ მცირე დროს საჭიროებდა, რომ არ შეიძლებოდა საქმის შესრულება მაღალი ხარისხით მომხდარიყო. განათლების კომისიის წევრთა ერთი ნაწილი ითხოვდა ჯერ სასწავლო პროგრამები შემდგარიყო, შემდეგ კი - სასწავლო სახელმძღვანელოები. დროის სიმცირის გამო, მინისტრმა ითხოვა ამ ორივე საქმის პარალელურად გაკეთება. კანონ-პროექტი საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორთათვის პრემიების მისაცემად პარლამენტში წარადგინა გრიგოლ ურატაძემ [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 272, ფ.11].

1918-1919 სასწავლო წელს დაწყებული განათლების რეფორმა ითვალისწინებდა სკოლების რეორგანიზაციას, რაც, პირველ რიგში, ახალ სასკოლო პროგრამებს ეყრდნობოდა.

„გაეროვნების’’ შემდეგ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. ეს იყო, უპირველესად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, რაც ყველა ტიპის სკოლისათვის (ქართული, რუსული, სომხური, გერმანული, ოსური და სხვ.) იყო აუცილებელი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა.

საზოგადოებრივი აზრის კვალდაკვალ, პროგრამები და სახელმძღვანელოები ხშირად იცვლებოდა, მითუმეტეს, სკოლებს ერთგვარი ავტონომია გააჩნდათ ამ საკითხში.

დაიწყო სასწავლო წრეების ჩამოყალიბება სხვადასხვა საგნებში, რაც ხელს უწყობდა სასკოლო პროგრამების უკეთ ათვისებასა და განმტკიცებას.

1919 წლის 20 ოქტომბერს საშუალო სკოლების გამგეებს დაეგზავნათ განათლების სამინისტროს სპეციალური ცირკულარი საგნობრივი წრეების ჩამოყალიბების შესახებ. ეს ჩაითვალა მოსწავლეებში საზოგადოებრივ-ორგანიზატორული მუშაობის ჩვევების გამომუშავების საშუალებად, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში [ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 64].

სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს ბევრი ძველი დისციპლინის, მაგალითად, საღმრთო სჯულის, ფსიქოლოგიისა და სხვა საგნების სწავლება, მაგრამ ზოგიერთი სკოლა, სამინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც ასწავლიდა მათ. სამინისტრომ თავდაპირველად ნება დართო საკუთარი ხარჯებით გაეგრძელებინათ პროგრამიდან ამოღებული საგნების სწავლება, შემდეგ კი სასტიკად აკრძალა. კერძო სკოლებს, რომლებშიც მიმდინარეობდა ღვთისმსახურება და ლოცვები, რაც თან ახლდა საღმრთო სჯულის სწავლებას, სამინისტრომ სასტიკი პროტესტი გამოუცხადა [ქსსა, ფონდი 81, საქმე 165, ფ. 19].

სანიმუშოდ მოვიტანთ ამ დროისათვის არსებულ პროგრამებს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ისტორიის სწავლების პროგრამა

საქართველოს ისტორიის შესწავლა იწყებოდა პირველი კლასიდანვე. პირველ კლასში შეისწავლებოდა ზოგადი ცნობები პირველყოფილ კულტურაზე, ხოლო მეორე კლასში - საქართველოს ისტორია არაბთა შემოსევამდე და მსოფლიო ისტორია რომის იმპერატორების ხანამდე, ე. ი. ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი და რომი.

მესამე კლასში - ახალი პროგრამით, მოსწავლეები იწყებდნენ რომის ისტორიას იმპერატორების ხანიდან და გადიოდნენ შუა საუკუნეების ისტორიას ჰუმანიზმამდე, მაგრამ, ვინაიდან 1918-1919 სასწავლო წელს მესამე კლასში ის მოსწავლეები იყვნენ, რომელთაც წინა წელს გავლილი ჰქონდათ მხოლოდ საქართველოს ისტორია და არაფერი მსოფლიო ისტორიიდან, ისინი ვერ შესძლებდნენ რომის ისტორიის შესწავლას იმპერატორების ხანიდან. ამიტომ საჭირო გახდა, მათ დაესრულებინათ წინა წელს დაწყებული საქართველოს ისტორიის კურსი და თან ეპიზოდურად შეესწავლათ მსოფლიო ისტორია უძველესი დროიდან ჰუმანიზმამდე, ე. ი. ძველი

აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი და შუა საუკუნეები. ეს დიდი პროგრამა იყო, რის გამოც მასწავლებლებს უფლება მისცეს გაეზარდათ ისტორიის საათები, ზოგიერთი ისტორიული მოვლენა გამოეტოვებინათ ან შეემოკლებინათ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, უფლება ჰქონდათ, გადაედოთ საშუალო საუკუნეების ისტორიის კურსის ნაწილი შემდეგი სასწავლო წლისათვის [ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 64].

გეოგრაფიის სწავლების პროგრამა 1919-1920 სასწავლო წელს

- პირველ კლასში ისწავლებოდა ზოგადი ცნებები გეოგრაფიიდან;
- მეორე კლასში - აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია;
- მესამე კლასში - ევროპა (ევროპის რუსეთით);
- მეოთხე კლასში - საქართველო და მისი მოსაზღვრე ქვეყნები.

დანარჩენ კლასებში გეოგრაფიის სწავლება შემდეგი წესით ნაწილდებოდა:

მეხუთე კლასში ისწავლებოდა ფიზიკური გეოგრაფია. ვინაიდან ქართული სახელმძღვანელო ამ კლასისათვის არ მოიპოვებოდა, მასწავლებლებს უფლება ჰქონდათ თავიანთი კურსი შეეფარდებინათ ლეზგაფტის ან ბრონოვის სახელმძღვანელოებისათვის.

მეექვსე კლასში უნდა შესწავლილიყო საქართველოს გეოგრაფიის ვრცელი კურსი, რომელიც ამავე კლასში უნდა დასრულებულიყო.

მეშვიდე კლასშიც ასევე საქართველოს გეოგრაფია ისწავლებოდა.

მერვე კლასში, ვაჟთა გიმნაზიებში, 1919-1920 წლებში არ ისწავლებოდა საქართველოს გეოგრაფია, რასაც ნაკლად თვლიდა სამინისტრო, ქალთა გიმნაზიებში კი მას დათმობილი ჰქონდა ორი გაკვეთილი.

სასკოლო პროგრამებსა და საგნების სწავლებაში არსებულ პრობლემებზე, მასწავლებელთა დამოკიდებულებაზე სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამების მიმართ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პედაგოგიური საბჭოების სხდომების ოქმები. სანიმუშოდ ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სხდომის ოქმებიც იკმარებს (დირექტორი იოსებ ოცხელი, პედაგოგები: დიმიტრი ოყრეშიძე-თომაშვილი, იოსებ ნიკოლაიშვილი) [ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 61-62].

1919 წელს სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით, შედგა კომისია დაბალი სკოლებისთვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად.

კომისიის თავმჯდომარედ მიიწვიეს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, კომისიაში შევიდნენ პროფესორები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დაბალ სკოლათა მთავარგამგე -გიორგი ჭუმბურიძე და სხვა დამსახურებული პედაგოგები [ქსსა, ფონდი 91, საქმე 1593, ფ. 22, 23, 25].

განათლების სამინისტროში იმართებოდა თათბირები თბილისის სკოლების დირექტორებისა და ცნობილი პედაგოგების მონაწილეობით. უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგის - სერგი დანელიას თავმჯდომარეობით, საშუალო სკოლებისათვის ყველა საგანში პროგრამების შესამუშავებლად.

სამინისტროს მიერ იქმნებოდა და სკოლებს ეგზავნებოდა სასკოლო პროგრამები, რომლებსაც ყველა სკოლა თავისებურად ანხორციელებდა, სასკოლო პირობების შესაბამისად.

1919-1920 სასწავლო წლის გეგმის თანახმად, პირველი კლასიდანვე იწყებოდა უცხო ენის შესწავლა. სკოლა ირჩევდა ერთ-ერთ უცხო ენას, გერმანულს ან ფრანგულს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პრესაში გამართული მსჯელობისა, ინგლისური ენის მნიშვნელობის შესახებ, საქართველოში ინგლისურს ძალზე მცირე რაოდენობის სკოლებში ასწავლიდნენ, რაც, ალბათ, პოლიტიკურ საკითხსაც უკავშირდებოდა. 1919-1920 წლებში საქართველოში ინგლისის პოლიტიკა იმდენად უარყოფით რეაქციას იწვევდა, რომ ქართველი საზოგადოება ამ ენასაც ბოიკოტს უცხადებდა [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №113].

არითმეტიკის კურსი ისწავლებოდა I-III კლასებში, თუ ვერ მოესწრებოდა, IV-ში გადატანილი იქნებოდა ერთი ან ორი გაკვეთილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელგარჯილობის სწავლებას. ვაჟთა სასწავლებლებში ასწავლიდნენ წმინდად ხელგარჯილობას, ქალთა სკოლებში კი - ხელსაქმეს [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №229].

მშობლები ითხოვდნენ ორი უცხო ენის სწავლებას. ეს ტრადიცია არსებობდა 1918-1919 სასწავლო წელს, მომდევნო სასწავლო წლიდან კი, სამინისტროს ბრძანებით, მხოლოდ ერთი უცხო ენა უნდა შეესწავლათ: არჩევანი მშობლებსა და მოწაფეებს

ეკუთვნოდათ. სამინისტრო თავის მიმართვაში წერდა: „სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა ზეგავლენით ჩვენი მოზარდი თაობა ფრიად არანორმალურ სწავლების პირობებში იმყოფება. ამ პირობათა გამო, ნორჩ ბავშვებს, რომელთაც ჯერ თავისი დედა-ენა ვერ შეუთვისებიათ რიგიანად, რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად შესწავლა უხდებათ, ხშირად ამისათვის მოწაფე ისე ამთავრებს სასწავლებელს, რომ არც ერთი ენა არ იცის წარჩინებულად. გარდა ამისა, მრავალ ენათა შესწავლა იმ ზომაზე იპყრობს მოწაფის ენერგიას, რომ მას ნაკლებად რჩება დრო რეალური ცოდნის მისაღებად. ეს ნაკლოვანება მოითხოვს ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის შეცვლას, რათა, ერთი მხრით, ვერბალური სწავლების შეკვეცით მეტი ადგილი დაეთმოს რეალურ სწავლებას, მეორე მხრით კი, თვით ენების სწავლება უფრო რაციონალურად წარმოებდეს მოსწავლის ენერგიის მეტი კონცენტრაციის დაცვით". მთავარგამგე სერგი დანელია [ქსსა, ფონდი 105, საქმე 31, ფ. 4].

ასევე, გამოიცა სპეციალური ცირკულარი რუსული ენის სწავლების შესახებ. გადაისინჯა ძველი პროგრამები რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში, ეს ახალი პროგრამა გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №236].

სწორად შედგენილ სასწავლო პროგრამებს მოწაფეთა დაინტერესება უნდა გამოეწვია. სამინისტრო თვლიდა, რომ სკოლაში გაცდენებსა და ფორმალურ ნიშნებს სწორედ არასაინტერესოდ შედგენილი სასწავლო პროგრამები იწვევდა. ვრცელ ცირკულარში, რომელსაც სამინისტრო საშუალო სკოლების გამგეებს უგზავნიდა, სწორედ ამ ფაქტზე იყო საუბარი [ქსსა, ფონდი 6, საქმე 128, ფ. 6].

რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტანვარჯიშის განვითარებას, ანუ მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. 1919 წლის 5 აგვისტოს სამინისტრომ მიმართვა დაუგზავნა ყველა სასწავლებელს, რომელშიც განსაზღვრული იყო ტანვარჯიშის დარბაზების მოწყობა, სპეციალური პროგრამის შექმნა და პედაგოგის შერჩევა. მიმართვას ხელს აწერდა ტანვარჯიშის ინსტრუქტორი გ. ეგნატაშილი და სამინისტროს საქმისმწარმოებელი მაქსიმე ბერძნიშვილი [ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 55].

მალე ტანვარჯიშის ინსტრუქტორის თანამდებობა მთავარგამგის თანამდებობად გადაკეთდა. მთავარგამგეს ნიშნავდა მინისტრი, ქართული საგიმნასტიკო საზოგადოება „შავარდენის" წარდგენით. მთავარგამგესთან დაარსდა სპეციალისტების საბჭო, რომელიც მუშაობდა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის გამოცემაზე [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №98].

საზოგადოება „შევარდენში" გაიხსნა ორთვიანი კურსები ტანვარჯიშის პედაგოგებისათვის. კურსებზე სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, მეცადინეობა ტარდებოდა ყოველდღე, 7 საატიდან 12 საათამდეწ. კვირაში სამჯერ კი, საღამოობით, ტარდებოდა პრაქტიკული ვარჯიშები. მსმენელებს ეძლეოდათ საცხოვრებელი ბინა თავად ამ საზოგადოებასთან (* „შავარდენი" მდებარეობდა ანდრიასა და ფეიერვერკის ქუჩათა შესაყარზე). ვინც კურსებს არ გაივლიდა, ის სკოლაში ფიზკულტურას ვერ ასწავლიდა [ქსსა, ფონდი 9, საქმე 1595, ფ. 2].

არსებულ პროგრამებსა და სასწავლო გეგმებს ხშირად აკრიტიკებდნენ ქართველი მწერლები, პუბლიცისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

„სკოლა ერის ყოველმხრივი წარმატების საფუძველია", - წერდა გაზეთი „საქართველო". მისი აზრით, ევროპის ქვეყნების დონემდე საქართველოს აყვანა სკოლას შეეძლო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თავის დანიშნულებას შეასრულებდა და ორგანიზებული იქნებოდა თანამედროვე მეცნიერების დონეზე.

პუბლიცისტ ვასილ წერეთლის თქმით, ახალი სკოლა არათუ გაუმჯობესდა, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მისი მუშაობის პირობები პირიქით, გააუარესა. პუბლიცისტი პროგრესულ მოვლენად მხოლოდ სკოლების გაეროვნებას მიიჩნევდა, სწავლების მეთოდი კი არ მოსწონდა და მას ერთადერთი სიტყვით ახასიათებდა - „სქოლასტიკა", იმდროინდელი სკოლა წინანდელ, რუსულ სკოლაზე უარესად მიაჩნდა. ვ. წერეთელი აკრიტიკებდა სასკოლო პროგრამებს, ჩამოთვლიდა საგნებს, რომლებსაც ან საერთოდ არ ასწავლიდნენ ან არასაკმარისი საათები ჰქონდა დათმობილი. ასეთად მიაჩნდა ბუნებისმეტყველებაც, მის უსწავლელობას კი მიუტევებელ ცოდვად თვლიდა. კერძოდ, წერდა: „მიუტევებელი ცოდვა უმეტესია, ვიდრე რომელიმე მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური დეკრეტი. ფინანსური და

ეკონომიკური დეკრეტების გამოცვლა ადვილია, არცოდნის ცოდნით შეცვლა კი - ძნელი. საკანონმდებლო მუშაობა ცვალებადია, მოწამლული სულის განახლება კი - შეუძლებელი. დიაღ, ცუდად არის საქმე, ქართულ სკოლაში მოწაფის სული იჩაგრება, იწამლება"[გაზეთი საქართველო, 1920, №4, 6 იანვარი].

ვასილ წერეთელი აკრიტიკებდა სკოლაში ფიზკულტურის უსწავლელობასაც, ეს კი, როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, მართალი არ იყო, რადგანაც ამ დროს, მთავრობის მითითებით, დიდი ყურადღება ეთმობოდა ფიზკულტურისა და ჰიგიენის სწავლებას და საამისოდ არაერთი ღონისძიებაც გატარდა.

ამრიგად, ვასილ წერეთლისა და ზოგადად, ოპოზიციის კრიტიკა მაშინდელი სკოლის მიმართ, მძაფრი იყო. დღევანდელი გადასახედიდან, იგი გაზვიადებული და გარკვეულწილად, არაობიექტურიც მოჩანს. სკოლას ჰქონდა ნაკლი, მაგრამ იმ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა, შეუძლებელიც იყო, განათლების სისტემა უნაკლო ყოფილიყო. რაც მთავარია, სისტემისადმი მიდგომა გახლდათ ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალული, სასწავლო პროგრამებში შეტანილი იქნა ის საგნები, რომელთა ცოდნაც განვითარებული ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ყველაფერი კეთდებოდა მაღალპროფესიული პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად. ამიტომ გაზეთ „საქართველოს" ნიჰილიზმი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, თუნდაც ამ ვრცელი პუბლიკაციის დასასრული: „ნუთუ, ქართული სკოლა ვერ განახლდება? ნუთუ დამოუკიდებლობის სულმა სკოლას ახალი სიცოცხლის სული ვერ უნდა შთაბეროს? ნუთუ, ქართულ სკოლას ბედად უსიცოცხლობა უწერია?

არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომასთან ერთად სკოლაც არ აღდგება მკვდრეთით და არ განახლდება. მაშინ კი ქართულ სკოლას ახლანდელ სკოლასთან საერთო არა ექნება რა [გაზეთი საქართველო, 1920, №4, 6 იანვარი].

ამ წერილის დაწერიდან ათეული წლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ სკოლის ყველა პრობლემა მოგვარებული იყო; პრესაც, სპეციალური ლიტერატურაც საბჭოთა სკოლის დიდ მიღწევებზე და ე.წ. „მენშევიკების" დროის

საშინელებაზე წერდა, მაგრამ... ეს ხელისუფლებაც დაეცა და სიმართლე გაირკვა: საბჭოთა სკოლა, ეს იყო იდეური მარწუხი, პარტიული შტამპით დაღდასმული დაწესებულება, სადაც ახალგაზრდობას უაზრო ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის იდეებით სწამლავდნენ, სადაც იდევნებოდა და იჩაგრებოდა ეროვნული სულიერება და კულტურა, რომ არა ცალკეულ პედაგოგთა სიმამაცე და თავად ქართული კულტურის სიდიადე, განსაკუთრებით, ჩვენი მწერლობის დიდი პატრიოტული სულისკვეთება,, საუკუნეების მანძილზე რომ კვებავდა ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულს, მაშინ ერი ნამდვილად გადაგვარდებოდა და მოსწყდებოდა დიდი ეთნოკულტურის ფესვებს. მენშევიკური პერიოდის ქართულ სკოლას ჰქონდა დიდი მატერიალური გასაჭირი, ბევრი ნაკლი, მაგრამ მისი ნიადაგი განოყიერებულ იყო სწორედ ეროვნული სულიერებით. რა იცოდნენ ამ დროის კრიტიკოსებმა, თუ რა ელოდა ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ ქართულ სკოლას!

1918-1921 წლების ქართული სკოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო სახელმძღვანელოები. სხვადასხვა საგნის სწავლება ხდებოდა ქართულ ენაზე შედგენილი თუ გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით. ,,იმდენად მომწიფებული გამოდგა იდეურად გაეროვნების საქმე, რომ ქაღალდის ზღაპრულმა სიძვირემ ოდნავადაც ვერ შეაფერხა იგი და ჩვენი წიგნის მაღაზიები სახელმძღვანელოებით არის სავსე'', - წერდა 1920 წელს გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა''[გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა'', 1920, №78].

სახელმძღვანელოების გამოცემამ არნახული მასშტაბი მიიღო 1918 წლიდანვე. ამ საქმეს სათავეში ედგა ,,წიგნების გამომცემელი ქართველი ამხანაგობა'' , რომლის გამგე - ალექსანდრე ჯაბადარი 1918 წელს მიმართავდა განათლების მინისტრს, ნება დაერთო ქართველი გამომცემლებისათვის, რომ მათ გერმანიაში დაებეჭდათ წიგნები. ამ საქმეს უხელმძღვანელებდა მისი ვაჟი, სტუდენტი შალვა ჯაბადარი. მიმართვაში ლაპარაკი იყო საქართველოში წიგნის გამოცემის საქმეში არსებულ წინააღმდეგობებზე, მასალის სიძვირეზე და სხვ. [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 6-7].

1919 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი ,,ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობისადმი წარდგენის შესახებ'': ვინც

დაბეჭდვიდან ერთი კვირის განმავლობაში არ წარადგენდა თავის პროდუქციას 12 ცალად და არ მიიღებდა მისი გაყიდვის ნებართვას მთავრობისაგან, კანონის მეხუთე მუხლით 3000 მანეთის ჯარიმას ან სამი თვით ციხეს მიიღებდა [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, №74].

ამასთანავე, განათლების სამინისტრომ შეიმუშავა დებულება, რომლის მიხედვით ახალი, საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორები ჯილდოვდებოდნენ სპეციალური პრემიით. ამით მთავრობა ახალისებდა ავტორებს და ხელს უწყობდა ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი ქართული სახელმძღვანელოების შექმნას.

ავტორთა საპრემიოდ, მთავრობამ განათლების სამინისტროს 100 ათასი მანეთი გადასცა. სამინისტროსთან შეიქმნა გამოჩენილი ადამიანებისაგან შემდგარი სახელმძღვანელოთა სარეცენზიო კომისია [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №63].

მთავრობამ, ასევე 5 მილიონი შეღავათიანი სესხი მისცა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას სკოლების დასაარსებლად. ამ საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის თავმჯდომარე - თედო კიკვიძე ამ სესხს მთავრობის მეთაურისგან ითხოვდა [გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, №749, 10 თებერვალი].

განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა (თავმჯდომარე ივანე ჯავახიშვილი, მდივანი - მიხეილ ზანდუკელი) სხვა მრავალ საქმესთან ერთად, საყმაწვილო წიგნების გამოცემასა და საჭირო ტერმინოლოგიის შემუშავებასაც შეუწყო ხელი [გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, №755,, 17 თებერვალი].

სახელმძღვანელოებს ხშირად აკრიტიკებდნენ. კრიტიკის ცეცხლში ეხვეოდნენ აღიარებული მეცნიერები და პედაგოგებიც. პუბლიკაციაში - „სახელმძღვანელოთა შესახებ" - ვარლამ ძიძიგური განიხილავდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებს, კერძოდ, სიმონ ქვარიანის, გორგაძის, სპილიოტ-კასრაძის, ილია ფერაძის ავტორობით გამოსულ წიგნებს და მკაცრად აკრიტიკებდა მათ. ზოგ ავტორს ენას უწუნებდა, ზოგს - მსჯელობის სიღრმეს, ზოგსაც - ისტორიული ფაქტების ანალიზის უნარს, ეჭვი შეჰქონდა ზოგიერთი დებულების ვარგისიანობაში და ა.შ. აქებდა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს, თუმცა, მას პროგიმნაზიის

მოწაფეთათვის მიუწვდომლად თვლიდა, მაგრამ, ასეთივე „სიმსუბუქით" უნდა დაიწეროს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებიცო [გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, №742, 4 თებერვალი].

ვარლამ ძიძიგურის ეს სტატია დაუსაბუთებლად მიიჩნია და თავის მხრივ გააკრიტიკა ილია ფერაძემ [გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, №753, 14 თებერვალი].

სახელმძღვანელოების შედგენაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის ვაჟთა მე-4 გიმნაზიის დირექტორმა მიხეილ ზაალიშვილმა. მან დამოუკიდებლობის წლებში ცხრა წიგნი შეადგინა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 11].

მან გაზეთ „დროებაში" გააკრიტიკა ს. იაშვილის შედგენილი ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები, რაც თავად გამოასწორა საკუთარი წიგნებით ამ დარგში [გაზეთი ერთობა, 1918, №175, 20 აგვისტო].

წიგნის გამოცემის საქმეში განსაკუთრებულად აქტიურობდა „ქუთაისის წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა", სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები - იოსებ ოცხელი, სიმონ ყიფიანი, თომა მთავრიშვილი, დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი) და სხვ. [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 17].

ავტორები სახელმძღვანელოებს საკუთარი ხარჯით ბეჭდავდნენ და საკონკურსოდ აგზავნიდნენ სამინისტროში. ზოგს მშობლიურ ენაზე დაწერილი საუკეთესო წიგნისათვის მიღებული ჯილდო ეამაყებოდა, ზოგს ფინანსურად სასიცოცხლოდ სჭირდებოდა მათგან მიღებული თანხა, ზოგისთვის ასეთი შრომა სულიერი მოთხოვნილება იყო, რაც კარგად სჩანს მათ მიერ განათლების სამინისტროსათვის გაგზავნილ წერილებში [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 14-22].

სახელმძღვანელოების ნაკლებობითა და მათზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდნენ გარკვეული ადამიანები და ვაჭრობდნენ. მშობლებს უჭირდათ გაძვირებული წიგნების შეძენა. მთავრობა ხშირად ახდენდა ასეთი წიგნების რეკვიზიციას [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფურცელი 55].

სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის გამოცემას.

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულთან" დაარსდა წრე, რომელსაც უნდა გამოეცა სხვადასხვა სალიტერატურო და სამეცნიერო-პოპულარული საბავშვო წიგნი, რითაც

დაეხმარებოდა სასკოლო ასაკის მოწაფეებს ლიტერატურულ-მხატვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, ხელს შეუწყობდა მათ ესთეტიკურ აღზრდას .

წრე გამოსცემდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კლასიკას, მსოფლიო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, არაკებს. წრეს ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორი, მწერალი ნინო ნაკაშიძე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეში. 1919 წელს მწერალმა მიმართა მთავრობას, ფინანსური დახმარება გაეწია წრის მუშაობისათვის. მიმართვაში იგი იმედს გამოთქვამდა, რომ მთავრობა გაითვალისწინებდა საბავშვო მხატვრული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, თავის მხრივ კი, მზადყოფნას გამოთქვამდა, ბინით და საგამომცემლო საქმიანობით უზრუნველეყო წრის მუშაობა. მან მთავრობას და განათლების სამინისტროს წარუდგინა იმ 11 წიგნის სია, რომლებიც 1918 წლის 15 ივლისისათვის მზად იყო დასაბეჭდად:

1. ქართველ მწერალთა ლექსები და მოთხრობები, დასურათებული, 7-10 წლის ასაკის ბავშვებისათვის - 80 გვ.
2. ქართველ მწერალთა ლექსები და მოთხრობები, დასურათებული, 10-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის - 80 გვ.
3. დასურათებული კოლხური ზღაპრები, ჩაწერილი სამეგრელოში იოსებ ყიფშიძის მიერ - 80 გვ.
4. დასურათებული კოლხური ზღაპრები - ნოშრევან მეფე და მისის ვაჟიშვილი, ლექსად -80გვ.
5. ჩიტ-ბეღურა, ხალხური ზღაპარი, კორტოსასი, ლექსად, 7-10 წლის ბავშვებისათვის -32 გვ.
6. პირველყოფილი ბავშვის თავგადასავალი, მოთხრობა დ. ერვილისა, თარგმნა იაშვილმა, დასურათებული - 140 გვ.
7. ევალდის ზღაპრები (სამეცნიერო-მხატვრული მოთხრობები- - 80 გვ.
8. ანდერსენის ზღაპრები, 7-10 წლის ბავშვებისათვის.
9. მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი", ფრანგულიდან თარგმანი გ. ჯაბადარისა - 160 გვ.

10. კრებული, ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული შინაარსისა, სხვადასხვა ავტორების - 80 გვ.

11. წიგნი სხვადასხვა მოძრავ სათამაშოებისა და სამუშაო-გართობებისა - 64 გვ.

თითოეული გამოცემა 80 გვერდიანი და დასურათებული წიგნისა (2000 ცალად) ჯდებოდა 2750 მანეთი.

„ნაკადულთან'' არსებულ გამომცემელთა წრეში შედიოდნენ:

1. ნინო ნაკაშიძე - „ნაკადულის'' რედაქტორი
2. ლიდია მეგრელიძე - მწერალი
3. ილია ნაკასიძე - მწერალი
4. ანა ხახუტაიშვილი (ცქვიტი) - მწერალი5.
5. ირაკლი სურგულაძე - ბუნებისმეტყველი, ლიტერატორი [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 3-4].

საინტერესოა დავით დონდუას, სიმონ ჯაფარის, ნინო ნაკაშიძის, ზაქარია ჭიჭინაძის, ალექსანდრე ჯაბადარისა და სხვათა მიმოწერები განათლების სამინისტროსთან ქართული საბავშვო გამომცემლობის - „სურათები-ზღაპრების'' შესახებ, ასევე, ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიპიკონის გამომცემლობის, გერმანიაში ქართული წიგნების ბეჭდვასა და სხვა საკითხებზე [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 1-2].

გამომცემლობა - „სურათები-ზღაპრები'' სიმონ ჯაფარიძესა და დავით დონდუას შეუქმნიათ ქუთაისში. მათ გამოუციათ ოთხი წიგნი, მაგრამ წიგნების დაბეჭდვა ისეთი ძვირი დამჯდარა, რომ გამოცემის საქმე შეუწყვეტიათ. თუმცა გამოცემულ წიგნებზე საუკეთესო რეცენზიები დაიწერა იმ დროის პრესაში.

თავი III.

სკოლების „გაეროვნების” საკითხი და ეროვნულ უმცირესობათა სასწავლებლები 1918-1921 წლებში

ეს დიდი მოძრაობა, რომელიც საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულებების გასაქართულებლად, ეროვნული მიმართულების დასანერგად ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, გამოიხატებოდა ტერმინით - „გაეროვნება”.

ეს პროცესი საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისთანავე დაიწყო. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა, 20 ნოემბრის სხდომაზე დასვა „სკოლების ნაციონალიზაციის” საკითხი და სხვადასხვა სექციებთან ერთად, შექმნა „სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია”, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. მას უნდა შეემუშავებინა და ყრილობისათვის განსახილველად წარედგინა სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი [გაზეთი „ერთობა”, 1917 წელი, 24 ნოემბერი].

ყრილობის გადაწყვეტილებით დაწყებულმა სკოლების გაქართულების მოძრაობამ ფართო მასშტაბები მიიღო.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ და მის მიერ შექმნილმა განათლების სამინისტრომ გაეროვნების პროცესი გააღრმავა. განათლების რეფორმის ვრცელი პროგრამა ამ საკითხის პირველივე ეტაპზე გადაჭრას გულისხმობდა.

განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული მოწყობის შემდეგ, როდესაც იქ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ (გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი, სერგი დანელია და სხვ.), დაიწყო ძველი სკოლების ტიპის შეცვლა, მათი მოწყობა „ახალ” საფუძველზე. 1918-1919 სასწავლო წელს დასრულდა სკოლების გაეროვნება, ამიერკავკასიის კომისარიატის მოღვაწეობის პერიოდში დაბალი საფეხურის სკოლები გაეროვნდა,

შემდგომში კი - საშუალო ტიპის სასწავლებლები. 1919-1920 სასწავლო წლისათვის განხორციელდა სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლება [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.6].

სკოლების გაქართულებისათვის საჭირო იყო ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი მასწავლებლები, რისთვისაც, პირველ რიგში, რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლებლების გაეროვნება უნდა მომხდარიყო: დამოუკიდებლობის პირველსავე წელს სრულიად „გაეროვნდა" თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.7].

გაეროვნებისათვის საჭირო ღონისძიებების ადვილად გასატარებლად სამინისტრომ თავის გამგებლობაში მიიღო და სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანა საზოგადოება „განათლების" ქალთა სემინარია თბილისში და ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სამასწავლებლო სკოლა.

სკოლების გაქართულების გასაადვილებლად სამინისტრომ მოაწყო დროებითი საზაფხულო კურსები საშუალო და დაბალი სკოლების მასწავლებლებისათვის. კურსებთან დაარსდა სატერმინოლოგიო სექციები, რომელთაც შეიმუშავეს სხვადასხვა ტერმინები რესპუბლიკის სკოლებისათვის, სათანადო ქართული სახელმძღვანელოების გამოცემამდე [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.6].

ასეთმა კურსებმა დიდი დახმარება გაუწია პედაგოგებს საჭირო საგნების ქართულ ენაზე სწავლების საქმეში, შესაძლებელი გახადა საქართველოს რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის გაქართულება 1918-1919 სასწავლო წელსვე, გარდა თბილისის სკოლებისა, სადაც ნაციონალიზაცია შეეხო მხოლოდ პირველ ოთხ კლასს. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ქ. თბილისის ვაჟთა მე-7, მე-8, ქალთა მე-7 და საეპარქიო გიმნაზიები, რომლებიც 1919 წლის სრულად იყვნენ გაქართულებულნი [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.6].

„გაქართულების" პროცესს ხელს უწყობდა განათლების სამინისტროს მიერ სამასწავლებლო სემინარიებთან დაარსებული პანსიონები. იგი ამზადებდა კადრებს პროვინციებისათვის, რადგან აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ნიჭიერ და ღარიბ ახალგაზრდებს შეეძლოთ სწავლა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 244, ფ.4].

„გაეროვნების" ღონისძიების გამო, სკოლებიდან ბევრი პედაგოგი დაითხოვეს, თუმცა, დათხოვნილებს 1019 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით რამდენიმე თვის ჯამაგირი მისცეს [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 80].

ბევრმა პედაგოგმა ეს ფაქტი მაინც უკანონოდ ჩათვალა და საპროტესტო განცხადებები წარადგინა სამინისტროში. ასეთები იყვნენ გორელი პედაგოგები - ბარბარე ივანეს ასული ამილახვარი [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 83], ელენე მიხეილის ასული მამაცაშვილი-ლისოვსკისა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 84], მარია რამინის ასული ღვინიაშვილისა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 86], თამარ ილარიონის ასული ციციშვილი-გუბარიოვისა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 99], ქეთევან გიორგის ასული ჯავახიშვილისა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 85] და სხვ.

მასწავლებელთა ძველი კადრების გაშვების შემდეგ, ახლით შევსება დროზე ვერ ხერხდებოდა, რაც სკოლების მუშაობას აფერხებდა. ამის გამო განაწყენებული გორის ქალაქის თავი - რობაქიძე განათლების მინისტრს სთხოვდა მასწავლებელთა დათხოვნის შეჩერებას, მაგრამ ამ პროცესს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. რობაქიძეს უარი უთხრეს, რამაც გორის მაზრის სკოლებში შექმნილი მდგომარეობა გაამწვავა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 75].

ბევრი მასწავლებელი ცდილობდა, ახალი მოთხოვნილების პასუხად ქართული ენის შესწავლას, ითხოვდა დახელოვნების კურსებზე გაგზავნას, ზოგი კი პედაგოგობას თავს ანებებდა და ხელს სხვა საქმეს ჰკიდებდა ხელს [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ. 76-78].

განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საკითხი არა მართო ქართულ, არამედ რესპუბლიკაში არსებულ უმცირესობათა სკოლებშიც. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ქართული ენის მასწავლებლები ვერ პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. როგორც გაზეთი „ერთობა" აღნიშნავდა, ისინი მასწავლებლებად იმ წლებში იყვნენ დანიშნულნი, როდესაც საქართველოში რუსული სკოლა არსებობდა და ხელისუფლება მშობლიური ენის სწავლებას არათუ ხელს უწყობდა, არამედ სდევნიდა კიდეც [გაზეთი „ერთობა", 1917 წელი, 29 სექტემბერი, №208].

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობამ მიაქცია ყურადღება და 1918 წლის 29 იანვარს გამოსცა კანონი ქართული ენის სწავლების შესახებ საქართველოს სკოლებში [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფ.57].

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა სკოლაში, მაგრამ ვინაიდან არაქართველებმა ქართული ენა სულ არ იცოდნენ და ზოგიერთი ქვეყანაში საერთოდ დროებით ცხოვრობდა, შეუძლებელი იყო მათთვის სახელმწიფო ენის სწავლების დაძალება. მხოლოდ პირველ კლასში გამოცხადდა ქართული ენა სავალდებულოდ, ზედა კლასებში კი მის შესწავლას საკუთარი სურვილით ირჩევდნენ. ვინაიდან სახელმწიფოში კანონი კრძალავდა სხვა ენაზე საქმისწარმოებას და ქართული ენის უცოდინრებს წართმეული ჰქონდათ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა, ყველა, ვინც საქართველოში აპირებდა ცხოვრებას, თავისი ნებით სწავლობდა სახელმწიფო ენას. ყველა ტიპის სასწავლებელს დაემატა კიდევ ერთი შტატი ქართულის მასწავლებლებისათვის, რისთვისაც ჯამაგირი, დროებით, სასწავლებლის სპეციალური ხარჯიდან უნდა გაეცათსცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფ.58].

ასევე, სავალდებულო გახდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებაც. მათ, ვინც ქართული ენა არ იცოდა, ამ საგნებს რუსულად ასწავლიდნენ [ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 20, საქმე 381, ფ. 1].

ყველა სკოლაში შეიქმნა ქართული და რუსული ენების სწავლების კომისია, რომელიც იხილავდა მთავრობის მიერ გამოცემულ სპეციალურ პროგრამებს და მათი შესწავლისათვის გარკვეულ პირობებს ქმნიდა.

სანიმუშოდ მოვიტანთ ამონარიდს ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის ამგვარი კომისიის სხდომის ოქმიდან, რაც თვალსაჩინოს გახდის ქართული ენის სწავლების პრობლემებისადმი სკოლების დამოკიდებულებას:

„ქუთაისის რეალური სასწავლებლისა და მასთან არსებული უმაღლეს-დაწყებითი სწავლების ქართული ენის მასწავლებელთა კომისიის სხდომამ განიხილა მთავრობის გამოცემული ქართული ენის სანიმუშო პროგრამები და მსჯელობის შედეგად დაადგინა: უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს მიზნად უნდა ჰქონდეს შეასწავლოს მოწაფეს მკაფიო, თავისუფალი და შეგნებული კითხვა, მიაჩვიოს ქართული

სალიტერატურო ენით ლაპარაკსა და წერას, შეათვისებიოს შეგნებულად ქართული ენის საგრამატიკო და სიტყვიერების ფორმები და კანონები, მისცეს ზოგადი დამთავრებული ცოდნა, მოამზადოს იმდენად, რომ საშ. სასწავლებელში აღარ გაუჭირდეს მას სიტყვიერების ისტორიის სისტემატიურად შესწავლა. ამ მიზნით მოსწავლეები 4 კლასში უნდა გაეცნონ ყველა დიდი თვალსაჩინო ქართველ მწერალს. სახელმძღანელოებად გამოყენებული იქნება: I კლასში -ბუნების კარი (იანვრამდე), ქართველი მწერლები (I ნაწილი, იანვრიდან); II კლასში - ქრესტომათია ოცხელისა, ნიკოლაიშვილისა და მამფორიასი, II კლასში - იგივე ქრესტომათია (ნაწილი II), IVკლასში - გორგაძის „ჩვენი ახალი მწერლობა" (I ნაწილი), „სიტყვიერების ისტორია" ა. ხახანიშვილისა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 244,, ფ. 1-3].

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე, ამ პრობლემის განსაკუთრებულობაზე წერდა მარტვილის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ქართული ენის პედაგოგი ავქსენტი ფარულავა - 1918 წლის 26 მაისს დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც მას მთავრობისადმი წარუდგენია [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.71-72].

ამ ვრცელი დოკუმენტის შესავალში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „საყოველთაო სახალხო განათლების გარეშე შეუძლებელია პიროვნების თავისუფალი განვითარება, სიმართლისა და სიკეთის იდეის ცხოველმყოფელობა, სახალხო სიმდიდრის მოპოვება". განათლების კერას - სკოლას, პედაგოგის აზრით, სრული განახლება ესაჭიროებოდა. განათლების მთავარ ძარღვს შეადგენდა „მშობლიური ენა, ურომლისოდაც ვერცერთი ადამიანი ვერ შეიტანს წვლილს საკაცობრიო კულტურაში, მშობლიური ენის არსებობით შეუძლია შეინარჩუნოს მან თავისი არსებობა და ორიგინალობა, შექმნას მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა," - წერდა ავტორი.

სკოლის ნაციონალიზაციას, ა. ფარულავას აზრით, ხელს უშლიდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ნაწარმოებების არქონა, მეთოდურ-დიდაქტიკური ლიტერატურის ნაკლებობა, პედაგოგთა მომზადების დაბალი დონე. იგი იძლეოდა რეკომენდაციებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სახავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალ დონეზე სწავლების გზებს.

სკოლებისა და დაწესებულებების „გაეროვნების" პროცესი, სინამდვილეში, წარმოადგენდა ქართული ენის განვითარების ახალ, ფართო სახელმწიფო პროგრამას, რომელშიც ჩართული იყო მთელი ქართველი ინტელიგენცია, საზოგადოების ფართო წრეები. კამპანიას თავად ხელისუფლება ხელმძღვანელობდა.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დადგენილებით, 1920 წლის 24 მაისს თბილისში გაიხსნა ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა, რომლის მიზანი იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა.

ყრილობის შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

ა. ყრილობა შედგებოდა სასწავლო კომიტეტიდან არჩეული პირებისაგან, რომელთა რიცხვი თვით ამ კომიტეტმა დაადგინა;

ბ. განათლების სამინისტროდან მოწვეულ პირთაგან;

გ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი წარმომადგენლისაგან;

დ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთი წარმომადგენლისაგან;

ე. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთი წარმომადგენლისაგან;

ვ. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორი წარმომადგენლისაგან.

წინასწარ, ყრილობის მოწვევამდე, შედგა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც შეკრიბა მასალები სალიტერატურო ქართულში სადავოდ გამხდარი ყველა საკითხის შესახებ, რაც კი, სხვადასხვა დროს, პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა.

ყრილობამ იმსჯელა ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსში არსებული ზოგიერთი ფორმის სისწორეზე.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიის წევრები იყვნენ: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, სერგი გორგაძე, ვუკოლ ბერიძე.

ახალმა ტერმინოლოგიურმა ლექსიკონებმა შეავსო და გაამდიდრა ენა და შესაძლებელი გახადა და გაუადვილა მოსწავლეებს მეცნიერების უახლესი მიღწევების დაუფლება. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსუდან ნიკოლაძის მიერ შედგენილ ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონს.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ განათლების სისტემაში გაბატონებული ე. წ. „გაეროვნების" ღონისძიებასთან ერთად, საკმაო ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათათვის სასკოლო სისტემის შექმნას.

თუ დამოუკიდებლობამდე საქართველოს სკოლებში სწავლა, ძირითადად, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რუსული სკოლა იყო ქალაქ თბილისში, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სკოლების ახლებური კვალიფიკაცია მოხდა. ბევრი ძველი სკოლა გაუქმდა, მაგრამ ამასთანავე დაარსდა ახალი, როგორც ქართული, ისე ეროვნულ უმცირესობათა სკოლებიც.

თბილისის სკოლები შემდეგი პროპორციით განაწილდა:

ვაჟთა სასწავლებლები: I, II, V ვაჟთა გიმნაზიები იყო სანახევროდ ქართული, VII-VIII გიმნაზიები - ქართული, III-IV - სანახევროდ ქართული, V -სანახევროდ სომხური, VI - სომხურ-რუსული.

ქალთა გიმნაზიები: VII გიმნაზია და საეპარქიო სასწავლებელი იყო ქართული, III-IV გიმნაზიები - სანახევროდ ქართული, VI გიმნაზია - სანახევროდ სომხური, V - მთლიანად რუსული.

ამგვარადვე განაწილდა უმაღლესდაწყებითი და დაბალი სკოლებიც.

ასევე განაწილდა ეროვნულ უმცირესობათათვის რეგიონების გიმნაზიები - გორში, ქუთაისსა და ფოთში.

სოხუმის საოსტატო სემინარიასთან დაარსდა პარალელური კლასი აფხაზებისათვის, ოსებისათვის კი - უმაღლესდაწყებითი სკოლა ჯავაში.

ქართული სკოლის „გაეროვნებამ" ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევამ განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ სომხებში. ისინი პარალელურად ქართულისა, სახელმწიფო ადმინისტრაციის ენად სომხურსა და რუსულს, უკიდურეს შემთხვევაში, სომხურ-ქართულს ითხოვდნენ. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც სომხური პრესა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ, ცილს სწამებდა ქვეყნის დემოკრატიულ მთავრობას, ადანაშაულებდა მას სხვა ეროვნებათა ჩაგვრაში, ადამიანის უფლებათა

დარღვევაში. განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა ომის შემდეგ გააქტიურდა მათი ავანტიურა საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკის მიმართ.

მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობისა, საქართველოს სამთავრობო ძალები დემოკრატიული მეთოდებით უდგებოდნენ როგორც ყველა სხვა ეროვნების, ასევე სომეხთა კულტურულ ცხოვრებას, მათ აძლევდნენ საკუთარი პრესის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ეროვნული სკოლების დაარსების უფლებას, შეუზღუდავი იყო მათი რელიგიური კერების საქმიანობა და სხვ.

1920 წელს საქართველოში სულ ფუნქციონირებდა 80 სომხური სკოლა. აქედან, თბილისში - 27, თბილისის მაზრაში - 1 (დიდი დურნუკის დაწყებითი სომხური სკოლა), ქუთაისში - ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი, თელავში - 2 პირველდაწყებითი, ბორჯომში -2, სიღნაღში - 2 პირველდაწყებითი და 1 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, სოხუმში -1, ახალციხეში - 2 პირველდაწყებითი სასწავლებელი, ახალციხის მაზრაში - 4 პირველდაწყებითი სასწავლებელი; სხვილის, სუფიის, ნეოხრეპის, წყალთბილის, ახალციხის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ახალქალაქის მაზრაში - 8 პირველდაწყებითი სასწავლებელი: ეშთინის, ალასთანის, ხოსპიის, ხანდოის, სირჯის, ვარევანის, აზავრეთის, არაქვინის დაწყებითი სკოლები, ბორჩალოს მაზრაში - 3: ბოლნის-ხაჩინის, შულავერის, კუშინის დაწყებითი სკოლები; კოდორის მაზრაში - 6: ლაბრჩის, ჯურგუნის, ათარის, წურგილის, ათარო-არმიანსკის, არაქეჩინის დაწყებითი სკოლები; გუმისთის მაზრაში - 15: დრანდის,, ბოგოპოჩტინის, II სიმაღლის, მერხეულის, III მერხეულის, წებელდის, ლემის, ზახაროვკის, ლეჩკოპის, იაშკუტის დაწყებითი სომხური სკოლები, გუმისთის დაწყებითი სასწავლებელი, გუმისთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, სოხუმის ორკლასიანი, ეშერის დაწყებითი სასწავლებლები; გუდაუთის მაზრაში - 5 დაწყებითი სასწავლებელი: გუდაუთის, მწარის, ანუხვინის, ვესელსკოეს, ფსირტეხანის; გაგრის რაიონში - 3 პირველდაწყებითი სასწავლებელი: კავაკლუკის, კალდეხვარის, ქირაშენის [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 26, ფ. 8-9].

(ინფორმაცია აღებულია 1920 წლის 18 დეკემბერს შედგენილი ცხრილიდან).

თურქეთ-სომხეთის კონფლიქტის გამო უამრავი სომეხი ლტოლვილი გაჩნდა საქართველოში. ლტოლვილმა პედაგოგებმა აქ გახსნეს კერძო სასწავლებლები, ყარსისა და გუმბრის (ალექსანდროპოლის) გიმნაზიები, რომლებიც რუსულ ეროვნულ საბჭოს ემორჩილებოდნენ. 1919 წლის იანვარში სახალხო განათლების სამინისტრომ გააუქმა ეს დაქვემდებარება და ისინი ჯერ საქართველოს განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანა, შემდეგ კი მოხდა ამ სასწავლებლების ძირეული რევიზია, რამაც ბევრი არასასურველი ფაქტი გამოავლინა და ამ სკოლების დახურვის საკითხი დააყენა [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 26, ფ. 11-13].

სომხური სასწავლებლები არ ემორჩილებოდნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს - რელიგიის სწავლების გაუქმებას სკოლებში. ისინი არამარტო ასწავლიდნენ გრეგორიანულ სარწმუნოებას, არამედ ითხოვდნენ თავიანთ სკოლებში გრიგორიანული დღესასწაულების აღნიშვნას [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 26, ფ. 13].

მაშინ, როდესაც ინტელიგენცია აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობას და არადემოკრატიულად მიიჩნევდა მის დამოკიდებულებას მართლმადიდებლური რელიგიის მიმართ, მათ მიიღეს უფლება რელიგიის სწავლებაზე, რასაც არ შეიძლებოდა არ აღეშფოთებინა ძალზე შევიწროვებული მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები, ქართული ეკლესიის მესვეურნი. ისინი აღნიშნავდნენ ამას მთავრობისადმი მიმართვებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში: საქართველოში არცერთი რელიგია არ იდევნება, მართლმადიდებლურის გარდაო. ეროვნულ უმცირესობათა სკოლები იმაზეც კი გამოხატავდნენ პროტესტს - რატომ ავალებდნენ ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას, რაც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოში [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 244, ფ. 26]..

თბილისში არსებობდა გერმანული რეალური გიმნაზია, რომლის შესახებ სახალხო განათლებისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ საშუალო სკოლების დაარსების იდეა დიდი ხანია ჰქონდა ადგილობრივ გერმანულ საზოგადოებას. კავკასიაში ამ დროს 20 ათასი გერმანელი ცხოვრობდა, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ კულტურული ერთობა და ეროვნული თვითშეგნება. ძველი რეჟიმის დროს ეს იდეა ვერ განხორციელდა, რადგან ხელისუფლების მხარდაჭერა არ არსებობდა,

შემდეგ კი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, თანაც გერმანია-საქართველოს პოლიტიკური კავშირიც შეიკრა, გერმანელთა მისიამ მხარი დაუჭირა იმგვარი სასწავლებლის შექმნას, სადაც ახალგაზრდები მშობლიურ გერმანულ ენაზე მიიღებდნენ განათლებას. სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯებს კისრულობდა „ადგილობრივი სამწყსო'' - გერმანული საზოგადოება.

გერმანელთა გიმნაზია გაიხსნა 1918 წლის 15 ოქტომბერს. თავდაპირველად, შენობის სიმცირის გამო, ორი შერეული კლასი შეიქმნა - მეხუთე და მეექვსე, თითოში რვა ბავშვით. ამ 16 მოსწავლიდან 10 სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფე იყო, 2 - ეკატერინოფელდის სასწავლებლის, 4 კი - რუსული გიმნაზიებისა. მეექვსე კლასის კონტინგენტი ამგვარად შედგა: ლათინურის შესაფერის მომზადების შემდეგ პირდაპირ მეექვსე კლასში დასვეს ორი ბავშვი, დანარჩენები გადმოიყვანეს რუსული გიმნაზიებიდან. ნამდვილი მსმენელის გარდა, გიმნაზიას ჰყავდა თავისუფალი მსმენელები, როგორც გერმანელები, ისე ქართველები, ისინი იხდიდნენ გადასახადს - 100 მანეთს.

სასწავლებელში შვიდი პედაგოგი იყო, მაგრამ ერთი, როგორც ოფიცერი, გააძევა ინგლისის წარმომადგენლობამ. ამან განაკვეთი გაზარდა და მასწავლებლებს 24 საათზე მეტი გაკვეთილი ჰქონდათ. ზოგჯერ, ზოგიერთი მასწავლებელი 3-4 საგანსაც კი ასწავლიდა.

სასწავლო პროგრამაში შედიოდა შემდეგი საგნები: გერმანული ენისა და ლიტერატურის, ასევე, გერმანიის ისტორიის გარდა, ლათინური (4 საათი), მათემატიკა (2), გეოგრაფია (2), ქართული ენა (3), ქართული წერა (2), ისტორია (3), რუსული ენა (3), გეომეტრია (2), საღმრთო სჯული (1), ფიზიკა (1).

სასკოლო ენა იყო გერმანული, ამიტომ მოწაფეები ზოგიერთი საგნის სპეციალური ტერმინოლოგიის უცოდინარნი აღმოჩნდნენ, ზოგჯერ აერთებდნენ კლასებს სხვადასხვა საგნებში .

სამინისტრომ გერმანულ გიმნაზიას ათოთახიანი შენობა დაუთმო, რომელიც მას ეკუთვნოდა, თუმცა, შენობის ადრინდელმა მეპატრონემ, კოვალენსკიმ, დიდი დავა გამართა საკუთრების გამო, გააქირავა შენობა და გიმნაზიას გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

გიმნაზიაში მძიმე იყო სახელმძღვანელოების პრობლემა. ვინაიდან ყველა საგანი გერმანულ ენაზე ისწავლებოდა, საჭირო გახდა სახელმძღანელოების გერმანიიდან გამოწერა. საქართველოს მთავრობა და განათლების სამინისტრო ამას აკეთებდა კიდეც, მაგრამ ევროპის ქვეყნები დამარცხებული გერმანიის ტვირთს არ ატარებდნენ. ამან დიდი გავლენა იქონია სწავლების ხარისხზე. ოღონდ ის კია, კლასების სიმცირის გამო, რაც ნასწავლი ჰქონდათ, ძალიან კარგად სცოდნიათ[სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 244, ფ. 40].

1918 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს განათლების სამინისტროს ოსთა ეროვნულმა საბჭომ წარუდგინა მოთხოვნა ცხინვალში ოსური გიმნაზიის დაარსების შესახებ, რომელშიც სწავლება ოსურ და რუსულ ენებზე იქნებოდა[სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფ. 123-124].

განათლების სამინისტრომ განიხილა მიმართვა და უარი განაცხადა ფინანსური მდგომარეობის გამო; თუ ამ პასუხს არ დაჯერდებოდა ოსთა ეროვნული საბჭო, მას უფლებას აძლევდნენ საკუთარი ხარჯით გაეხსნა სასწავლებელი, ოღონდ სწავლება მხოლოდ ოსურ ენაზე უნდა ეწარმოებინათ და არა ოსურ-რუსულად.. ეს, რა თქმა უნდა, ცალმხრივი დათმობა იყო, რადგან, ოსურთან ერთად, საქართველოს მთავრობას უნდა მოეთხოვა ოსურ გიმნაზიაში, ოსურთან ერთად, სახელმწიფო ენაზე, ქართულად სწავლებაც. ამასთან, სამინისტრო იუწყებოდა, რომ მთავრობის მიერ მოწონებული პროექტი ოსურ ენაზე უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნის თაობაზე ცხინვალში, უკვე არსებობდა[სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფ. 121-122].

საქართველოს განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთის სკოლებს. აქაურ სკოლებში პედაგოგები იგზავნებოდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან, მაგრამ ძირითად პედაგოგიურ კადრებს თვით სოხუმის სამასწავლებლო სემინარია ამზადებდა, რომელიც სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა.

ეს სასწავლებელი დაამთავრა ცნობილმა აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი გულიამ. მან სახელმწიფო-საგამოცდო ნაშრომად წარადგინა „აფხაზეთის ხალხური ეპოსი'', რომელიც კომისიამ ფრიადზე შეაფასა და დაადგინა, რომ მიეცა მისთვის აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება სამასწავლებლო ინსტიტუტში [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 221, ფ. 7].

არა მარტო საქართველოში მცხოვრები ერები, არამედ მეზობელი ქვეყნებიც აყენებდნენ წინადადებას, ესწავლებინათ ქართულ სკოლებში მათი ენა და კულტურა. თურქეთის მთავრობას მიუმართავს კონსტანტინოპოლში მყოფი საქართველოს მისიისათვის კითხვით, ასწავლიდნენ თუ არა საქართველოს სკოლებში სავალდებულო საგნებად კავკასიის ისტორიას, ოსმალეთისა და სპარსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას, მათ ენებს [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 84, ფ. 25].

პასუხად, სამინისტრო იუწყებოდა, რომ საქართველოს სკოლებში მეზობელი ქვეყნების ისტორია და გეოგრაფია იმდენად ისწავლებოდა, რამდენადაც იგი უკავშირდებოდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებს.

პასუხში ნათქვამი იყო, რომ განათლების სამინისტროსთან არსებული სასკოლო რეფორმის კომიტეტი არკვევდა სკოლების ტიპებს, საფეხურებსა და სასწავლო გეგმებს. იგი დასვამდა და გადაწყვეტდა მომავალში აღმოსავლეთის ხალხთა ენების შესწავლის საკითხსაც. რაც შეეხებოდა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს - თათრულს, სომხურს და სხვა, ისინი არსებობდნენ საქართველოში და მათში ისწავლებოდა კიდეც ეროვნული საგნები - ენები, ისტორია და გეოგრაფია [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 84, ფ. 26].

თავი IV.

პედაგოგთა კადრების მომზადება, პედაგოგთა და მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში

განათლებისკენ სწრაფვა, რაც ასე დიდი იყო საქართველოს ყველა კუთხეში, ძნელი შესასრულებელი იყო სოციალურად შეჭირვებული დაბალი ფენებისათვის, თუმცა, პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველას თითქმის ერთნაირად უჭირდა. უბრალო, დაბალი ფენები მაინც ცდილობდნენ როგორმე გამოეყვანათ შვილები ამ სიღატაკიდან, მიეცათ მათთვის განათლება, რითაც წაადგებოდნენ ქვეყანასაც და საკუთარ ცხოვრებასაც გაიუმჯობესებდნენ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის შემდეგ, სანამ ქვეყანა დამოუკიდებლად გამოცხადდებოდა, მთავრობა, ეროვნული საბჭოს განათლების სექცია ეხმარებოდა ამგვარ მონდომებულ მოსწავლე-ახალგაზრდობას, აძლევდა მათ სწავლის დასრულების შესაძლებლობას. ამდროინდელ მატერიალურ პირობებზე საუბრობდა ეროვნული საბჭოსადმი მიმართვაში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფე, აჭარელი ოსმან ფაღავა. „მესამე წელია, - წერდა იგი, რაც მე ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ვსწავლობ. აქამდი პანსიონში გადასახადი იყო 120 მან. წელიწადში. დღეს, როგორც ყველგან, მდგომარეობა შეიცვალა. ტანსაცმლის გარდა სახარჯოთ წელიწადში 500 მანეთს თხოულობენ, რისი გადახდაც ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია. უმორჩილესათ გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მატერიალურათ გაჭირვებულ მდგომარეობაში და ხელი შემიწყოთ იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც მე დამისახავს ჩვენი ყოველმხრივათ ჩამორჩენილი და ნახევრათ უპატრონო კუთხეში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შეტანის სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები სასწავლებელს თავი დავანებო.

მთხოვნელი ოსმან უსუფისძე ფაღავა, 1918 წელი, იანვრის 19 დღე.”[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 265, ფ.1].

განსაკუთრებით უჭირდათ მასწავლებლებს. თვეების მანძილზე მათ არ ეძლეოდათ ხელფასები, რაც ისედაც მცირე იყო და პედაგოგთა მინიმალურ მოთხოვნებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა.

1918 წლის 21 ივლისის გაზეთი „ერთობა" პათეტიკურად მიმართავდა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში ჩავარდნილ პედაგოგებს: ღირსეული წინაპრებისა და უძვირფასეს მარგალიტის მემკვიდრევ, სოფლის მასწავლებელო, ნუ დაუშვებ დაბლა იმ შენი წინაპრების დროშას, ნუ უღალატებ სახალხო მასწავლებლის ტრადიციას. ერთხელ კიდევ შეიშმუშნე მძიმე ჯვარით დაშვებული მხრები, დაეშურე სოფლად კულტურული მუშაობის გაჩაღებას და მით მხარი დაუჭირე მთავრობას, როგორც ანარქიასთან ბრძოლაში, ისე სააღმშენებლო მუშაობაში. ნუ დაივიწყებ, რომ უდიდესი აქტის წინაშე დგეხარ, რაც შენგან გაორკეცებეულ მუშაობას და ენერგიას მოითხოვს... ყური მიაპყარ! უკვე ისმის იმ ახალშობილის ტირილი, რომელიც ძიძას, მომავალს დაეძებს და ვინ უნდა იტვირთოს ეს ძიძობა, თუ არა შენ, მისმა მოჭირნახულემ? თავი აართვი გულგატეხილობას. წრფელი გულით და განახლებული სულით კრძალვით მიუახლოვდი თავისუფალი სკოლის კედლებს, ამ ჩვენი მომავალი, სულიერად და ხორციელად საღი მოქალაქეების აღსაზრდელ აკვანს და მეტი მხნეობით, მეტი ოსტატობით და ცოდნით დაარწიე იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ" [გაზ. „ერთობა",№152, 1918].

საქართველოს ყველა რაიონში გახშირდა მასწავლებელთა გაფიცვები, რაც ძაბავდა ქვეყანაში ისედაც მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციას და განათლების სამინისტროს რეფორმის გატარებაში ხელს უშლიდა. ამიტომ, სამინისტრო გაფიცვის ყველა შემთხვევას განიხილავდა სპეციალურ სხდომებზე და მთავარგამგეებს გზავნიდა ადგილებზე სიტუაციის გასარკვევად. გამორჩეული იყო ფოთის მასწავლებელთა გაფიცვა 1919 წლის იანვარში [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 26, ფ. 4].

გაფიცვის საკითხს მიეძღვნა ამავე წლის 23 თებერვალს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობაში ჩატარებული აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის კრება. ითქვა, რომ სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო მდგომარეობა, მიემართათ მთავრობის თავმჯდომარისა და განათლების

მინისტრისათვის ამ პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის, „რათა სხვებსაც არ მიებაძათ და არ დაეწყოთ გაფიცვები, რითაც შეფერხდებოდა ნორჩი რესპუბლიკის სწავლა-განათლების საქმე"[გაზ. „სახალხო საქმე", №466, 1919].

გაზეთი წერდა მასწავლებელთა გაუსაძლის მდგომარეობაზე, დაბალ ხელფასებზე, სკოლებში სასწავლო ინვენტარის ნაკლებობაზე, გათბობის უქონლობასა და შენობების უვარგისობაზე. სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი, გ. ჭუმბურიძე წერდა, რომ ასეთ ვითარებაში სკოლა დანიშნულ ფუნქციას ვერ შეასრულებდა, ინსტრუქტორები, პირობების უქონლობის გამო, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, რეალურად დახმარებოდნენ სკოლის ხელმძღვანელებს მუშაობაში და მხოლოდ რჩევების მიცემით კმაყოფილდებოდნენ.

დამოუკიდებლობამდე საშუალო სახელმწიფო სკოლების მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა განისაზღვრებოდა 1912 წლის 10 მაისის და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებული 1918 წლის 3 მარტის კანონით.

1918 წლის 18 ოქტომბერს მიღებულმა კანონმა ეს საკითხი ვითომ დაარეგულირა. მაგ. 1912 წლის კანონით მასწავლებელს თვეში თუ 190 მან. ეძლეოდა, 1918 წ. 3 მარტის კანონით, ფულის გაუფასურების გამო, მას დაემატა 300 მან. ასე რომ, მასწავლებელთა მთელი თვიური ჯამაგირი არ აღემატებოდა 495 მანეთს [სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 8, ფურც. 8].

ეს თანხაც ძალზე მცირე იყო თავისი მსყიდველობითი უნარით. ამიტომ, 1918 წლის 18 ოქტომბრის კანონით, დაბალი კლასების მასწავლებლებს, ნაცვლად 210 მანეთისა, დაენიშნათ 400 მანეთი. ვინაიდან არც ეს იყო საკმარისი, მთავრობის გადაწყვეტილებით, მასწავლებლებს დაენიშნათ 3-წლიანი დამატება, შემოღებული იქნა 8 სამწლიანი დამატება [ჭუმბურიძე 2000:82].

1918 წლის ნოემბერში განათლების სამინისტრომ შეადგინა კანონპროექტი უმაღლესდაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 1919 წლის 28 იანვარს აღნიშნული კანონპროექტი მიიღო პარლამენტმა. ახალი კანონით მასწავლებელთა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა.

ამავე დროს შემუშავდა კანონპროექტი საპროფესიო-სატეხნიკო სკოლების მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუჯობესების შესახებ [სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 54, ფურც. 8].

მასწავლებლებსა და სკოლებს დახმარებას უწევდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და თავადაზნაურთა საზოგადოება, მაგრამ, 1917 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ თავადაზნაურობამ ვეღარ შესძლო ამ მისიის შესრულება. ეროვნული საბჭო ეხმარებოდა სკოლას, მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი, ამიტომ, დამოუკიდებლობის შემდეგ მთლიანად აიღო სახელმწიფომ ხელში საგანმანათლებლო საქმის გაძღოლა. სკოლების დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელში გადავიდა, კერძო სექტორში მისი მცირე ნაწილი დარჩა. ეს სკოლებიც კი, ხშირად ხდებოდა სახელმწიფოს დასახმარებელი

1920 წლის 15 ნოემბერს დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ განიხილა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის საკითხი. დეპუტატმა ნ. იმნაიშვილმა წამოაყენა წინადადება, მასწავლებელთა უაღრესი გაჭირვების გამო გაეზარდათ სწავლის გადასახადი, რაზეც მკაცრი უარი განაცხადა განათლების მინისტრის ამხანაგმა- ნოე ცინცაძემ [სცსსა, ფონდი 1833, საწმე 265, ან. 1, ფ, 140].

მასწავლებელთა, ზოგადად საზოგადო მოღვაწეთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნის გამო, რაც იწვევდა ქართული კულტურის დონის დაწევას, პარლამენტმა მიიღო კანონი სანახაობებსა და გასართობ წარმოდგენებზე გასაყიდი ბილეთები დაბეგრილიყო. ამ ფულით დაეხმარებოდნენ მატერიალურად შეჭირვებულ საზოგადო მოღვაწეებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს [სცსსა, ფონდი 1833, საწმე 265, ან. 1, ფ.98].

მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 1918 წლის 24 აგვისტოს განათლების მინისტრმა გააკეთა მოხსენება საქართველოს პარლამენტში. განხილული იქნა კანონ-პროექტი მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. განათლების კომისიამ ამ საკითხზე განმეორებით იმსჯელა საფინანსო და საბიუჯეტო კომისიასთან ერთად1918 წლის 31 აგვისტოსა და 1918 წლის 26 სექტემბერს [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 256, ფ. 1].

კანონპროექტი მიღებული იქნა და კანონად იქცა 1918 წლის 21 ოქტომბერს [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 256, ფ. 2].

ეროვნული საბჭოსადმი მიმართვაში განათლების მინისტრი საუბრობდა განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე ქვეყნების ცხოვრებაში, კვალიფიკაციის მაღალ დონეზე, რასაც ითხოვდა დამოუკიდებელი ქვეყნის მომავლის პერსპექტივა. მეფის რუსეთში, მისი აზრით, სკოლა სახელმწიფოს ხელში პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა, ქართველი ხალხის შეგროვილი კაპიკები შვილების განათლებისათვის, ხშირად უშედეგო რჩებოდა. მინისტრი ფიქრობდა, რომ ახალი სკოლა შინაარსით უნდა გამხდარიყო სრულიად ახალი, ეროვნული, ქვეყნის ინტერესებზე მორგებული. მასწავლებლის შრომა მეტისმეტად მძიმეა და დატვირთული, - ამბობდა ის, - მისი ანაზღაურება ოდნავადაც არ არის რეალურად შეფასებული. მინისტრის აზრით, მხოლოდ გაკვეთილი არ იყო მასწავლებლის შრომის განსასაზღვრი, ამას უნდა დამატებოდა ის წინასწარი სამზადისი, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დატვირთვა, რასაც მასწავლებელი გაკვეთილების სრულყოფილებისთვის გაიღებდნენ.

„დღეს სახალხო სკოლის მასწავლებელს 210 მანეთი აქვს თვეში, - ამბობდა ის, - აქედან 120 მან. მისი ძირითადი ჯამაგირია, 90 მან. კი სიძვირის გამო დამატება. ყოვლად შეუძლებელია მასწავლებლისა და მისი ოჯახის უსაჭიროეს მოთხოვნათა დაკმაყოფილება, ის წარმოუდგენელი სიძვირე, რომელიც ეხლა ჩვენშია, შეუძლებელს ხდის მასწავლებლის ცხოვრებას. მასწავლებლის წინაშე ამგვარი ალტერნატივაა დღეს: ის ან უნდა დარჩეს სკოლაში და შიმშილით მოკვდეს, ანდა უნდა დაანებოს სკოლას თავი და სხვა პროფესიაში მოძებნოს ხსნა, ამიტომ, თუ გვინდა სახალხო სკოლის მასწავლებელი შევინარჩუნოთ, დაუყონებლივ ჯამაგირი უნდა მოვუმატოთ". ის მთავრობის მძიმე მდგომარეობასაც ითვალისწინებდა და ამ ეტაპზე უმაღლეს დაწყებითი სკოლების მასწავლებლების ხელფასისათვის (325მან.) უნდა გაეტოლებინათ პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა ხელფასები. მისი მოხსენებიდან ირკვევა რაოდენობაც ამ მასწავლებლებისა, ეს იყო: თბილისის გუბერნიაში - 790, ქუთაისის გუბერნიაში - 1736, სოხუმის ოლქში -200. [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 256, ფ. 4].

სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა გაცემულიყო რესპუბლიკის ხაზინიდან 1 253 960 მან.

ეროვნული საბჭოს სხდომას, რომელმაც მასწავლებელთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე იმსჯელა, ესწრებოდნენ და ამ საკითხზე მსჯელობდნენ: დ. თოფურიძე, ი. ლორთქიფანიძე, ნ. ელიავა, ა. ჭიაბრიშვილი, პ. ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, ა. ასათიანი, გ. ქიქოძე, დ. შარაშიძე, დ. ონიაშვილი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კ. კანდელაკი, ა. ჭანტურაშვილი, ბ. მიქაძე.

პარლამენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, სახალხო სკოლების მასწავლებლებს თვეში 400 მანეთი დაენიშნათ, ხოლო 10 მილიონიან ბიუჯეტს, რომელიც განათლების სამინისტროს ჰქონდა, ამ საქმისათვის დაემატა საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 2 071 760 მანეთი [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 256, ფ. 15].

1919 წლის მძიმე ეკონომიკური ვითარება აისახა მასწავლებლებისა და სკოლების ცხოვრებაში.

არანაკლებ მძიმე იყო 1920 წლის ვითარება. მასწავლებელთა მძიმე მდგომარეობაზე, სახელმძღვანელოების უქონლობაზე, ერობების მხრიდან სკოლების უყურადღებობაზე წერდა ეროვნუ-დემოკრატიული გაზეთი - „მიწა". „ცოტა კიდევ ხანი ამისთანა მოღვაწეობისა და განათლების საქმე საქართველოში ისეთივე კატასტრიფით დასრულდება, როგორც ეკონომიური და ფინანსური საქმეები, რაც რესპუბლიკას კულტურული განადგურებით დაემუქრება" - აღნიშნავდა გაზეთის პუბლიცისტი [გაზეთი „მიწა",№27, 1920].

გაზეთი „საქართველო" მასწავლებელსა და მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს სკოლის ქვაკუთხედად მიიჩნევდა. „ჭეშმარიტი მასწავლებლობა ძნელია, - წერდა პუბლიცისტი ძმუისელის ფსევდონიმით. არც არავინ უნდა იკისროს იგი ლუკმა-პურის შოვნისათვის და არ ჩადგეს უმანკო მოზარდთა ცოდვაში. შედეგი ამ ხელობის აბუჩად აგდებისა მალე არ გამომჟღავნდება. ერი თავის პედაგოგთა უხეირობას მთელი მოდგმის შემდეგ იგემებს ხოლმე. მასწავლებლის დამფასებელი საზომი მისი პიროვნება და მის მიერ მიცემული გაკვეთილებია".

პუბლიცისტი არ თვლიდა თანამედროვე სკოლის დონეს დამაკმაყოფილებლად, აყენებდა მისი გაჯანსაღების საკითხს [გაზ. ,,საქართველო'',№ 12, 1920].

საჩხერელ პედაგოგთა ხელმოკლეობასა და აქაური სკოლის საშინელ პირობებზე საუბრობდა ,,სახალხო საქმის'' კორესპონდენტი - ,,აბანოელის'' ფსევდონიმით. ავტორი წერდა: ,,საცოდავი მასწავლებლები! მათ არა აქვთ უფლება მოჰშივდეთ, მოსწყურდეთ, ჩაიცვან დაიხურონ და, თურმე, არ ჰქონიათ უფლება შესცივდეთ. ნუთუ მართლა მასწავლებლებს აკვანში სწყევლით ვინმე და შუბლზე წარწერას უკეთებს, რომ ის მთელ სიცოცხლეში უნდა იყოს უბედური?'' ავტორი აღწერდა საჩხერის სკოლებში ნოე რამიშვილის სტუმრობას, რომელსაც მასწავლებლებმა შესჩივლეს თავიანთი უბედურების შესახებ, რისთვისაც ერობის გამგისაგან დიდი საყვედური მიიღეს [გაზ. ,,სახალხო საქმე , №760, 1920].

გაზეთი ,,სახალხო საქმე'' ეხებოდა თელაველი მასწავლებლების მდგომარეობას, აქაური გიმნაზიის დირექტორის - კლიმიაშვილის უღირს საქციელს, მომდევნო ნომრებში განხილული იყო ზუგდიდისა და შორაპნის მაზრების სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა.

მასწავლებელთა უკმაყოფილებას ზრდიდა ის, რომ მათ აკრძალული ჰქონდათ კერძო პედაგოგიური პრაქტიკა, რეპეტიტორობა [ქსსა, ფონდი 81, საქმე 165, ფ. 16].

სკოლებს არ შეეძლოთ ფასიანი ლიტერატურული საღამოებისა და თეატრალური წარმოდგენების გამართვაც, რაც წაადგებოდა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას [ქსსა, ფონდი 81, საქმე 165, ფ.20].

თუ დამოუკიდებლობამდე სკოლები ამგვარი საქველმოქმედო ღონისძიებებით ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდნენ, ახლა ეს ქმედება დანაშაულად ითვლებოდა, სახელმწიფო ყოველგვარ ხარჯებს ვეღარ აუდიოდა და სკოლაც უსახსროდ რჩებოდა. ამ გასაჭირს ისიც ემატებოდა, რომ ყველა სკოლა საკუთარი შემოსავლიდან იხდიდა 7%- იან გადასახადს განათლების სამინისტროს სპეციალური ფონდისათვის. ამით სკოლებს საკუთარი ფონდიდან ღატაკი მასწავლებლის დაკრძალვაც კი არ შეეძლოთ. ამის გამო, სკოლები ხშირად უარს ამბობდნენ ამ გადასახადზე, 1919-1920 სასწ. წელს ეს გადასახადი მხოლოდ ხუთმა სკოლამ გადაიხადა, რაც განათლების სამინისტრომ გააპროტესტა [ქსსა, ფონდი 6, საქმე 128, ფ.11] .

დამოუკიდებლობის შემდეგ გაუქმდა ე.წ. „დახურული სასწავლებლები", რამაც ბევრი ღარიბი მოწაფე საშინელ დღეში ჩააგდო.

განათლების სამინისტროს შუამდგომლობით მთავრობამ გაიღო 150 000 მანეთი, რომელიც მიეცა სწავლის ფულად აღნიშნული კატეგორიის მოწაფეებს (სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 54, ფ. 8).

1918-1919 სასწავლო წელს სწავლისათვის გადასახდელი ფული საშუალო სკოლებში იყო მინიმუმ 300 და მაქსიმუმ 400 მანეთი. გამონაკლისს შეადგენდა რამდენიმე სასწავლებელი (მაგ.: თბილისის მე-3 ქალ-ვაჟთა გიმნაზიები), სადაც სწავლის გადასახადი მინიმუმ 500 მანეთს უდრიდა.

1919-1920 სასწავლო წლისათვის ეს თანხა გაიზარდა, მაგრამ სამინისტროს სპეციალური დადგენილებით, პირველ სამ კლასში დარჩა 300 მანეთი, ზედა კლასებში კი სწავლის საფასური 500-800 მანეთი გახდა, იყო სკოლები, რომლებშიც ეს თანხა 750-800 მანეთს უდრიდა, რადგან მათ განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდათ, ესაჭიროებოდათ ინვენტარის შეძენა, ძველი ვალების გასტუმრება და ა.შ.

მაშასადამე, სწავლის გადასახადი ყველგან ერთნაირი არ იყო, რაოდენობა სხვადასხვა გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული: მოწაფეთა რიცხოვნებაზე, რამდენად გააჩნდა სკოლას თანხები საზოგადო პირთა მომსახურებისათვის, საკუთარი შენობა ჰქონდა თუ ნაქირავებში იყო განთავსებული და სხვ.

სწავლის საფასურის რაოდენობაზე პედაგოგიურ საბჭოს უნდა ემსჯელა, საბოლოოდ კი მას განათლების სამინისტრო განსაზღვრავდა. ამ საკითხში სკოლებს ავტონომია არ გააჩნდათ, მათ დადგენილი საფასურის შემცირება შეეძლოთ, მაგრამ თვითნებურად გაზრდა კი არა.

მოწაფეთა მიერ შემოტანილი თანხა გადადიოდა ადგილობრივ ხაზინაში, რომელშიც თითოეული სკოლისთვის ცალკე ანგარიში იყო გახსნილი.

1919 წლის 20 იანვრის დროებითი დებულების 26-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული თანხა სასწავლებელს ხმარდებოდა, სამინისტროს მიერ მისთვის დამტკიცებული წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და ყოველგვარი დანარჩენი საჭიროებისათვის, რომელიც გათვალისწინებული არ იყო წლიურ ხარჯთაღრიცხვაში,

„აღნიშნული ფულის დახარჯვა შეიძლებოდა მხოლოდ სამინისტროს ნებართვით, ყოველ კერძო შემთხვევაში" ((სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 54, ფ. 34).

განათლების რეფორმის შედეგად ლიკვიდირებულ სასწავლებლებში დარჩენილი მოსწავლეები სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი ფულით ასრულებდნენ სწავლას. 1919 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე ამიერკავკასიის ყოფილი ინსტიტუტის მოწაფეთათვის გამოიყო 122730 მანეთი, ყოფილ კადეტთა კორპუსის მოწაფეთათვის კი - 41430 მანეთი (გაზეთი „სახალხო საქმე", 1919, 15 იანვარი, №431).

არსებობდა „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება", რომელსაც გადაეცა იმერეთისა და ქართლ-კახეთის ყოფილ თავად-აზნაურთა ქონება და თანხები (სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 135, ფ. 1).

1917 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ ყოველი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც შეადგენდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წოდებრივი ორგანიზაციის საკუთრებას და აგრეთვე, თავიანთი ქონებრივი უფლებანი და ვალდებულებანი მთელი ქართველი ერის კუთვნილებად აღიარა და პირობა დადო, რომ მას გადასცემდა „საქართველოს თვითმმართველობის საჯარო-უფლებრივი ორგანოს კუთვნილებაში, როდესაც ის დამყარდებოდა" ((სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 135, ფ. 10).

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო იმერეთის თავად-აზნაურობამაც 1917 წლის 8 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ქონების შესახებ.

მთელი ეს ქონება ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას გადაეცა.

1918 წლის 21 სექტემბერს მთავრობამ დაადგინა კომისიის შედგენა ფინანსთა, მიწათმოქმედების, გზათა და სახალხო განათლების მინისტრებისაგან იმ ქონების მართვა-გამგეობის წესის შესამუშავებლად, რომელიც სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და რომელიც ადრე ეკუთვნოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა საზოგადოება ((სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 135, ფ. 2).

დაბა ჩოხატაურში, რაიონულ ცენტრში, შესანიშნავი, ქვის ორსართულიანი შენობა, სხვა დამხმარე საოჯახო შენობებით, 8 ქცევა ეზოთი, რომელიც ეკუთვნოდა ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, კონსტანტინე ერისთავს, მფლობელმა ძალზე შეღავათიან ფასად, 150 ათას მანეთად ღირებული 10 ათას მანეთად გადასცა

ჩოხატაურის სასწავლებელს. სწორედ ამ 10 ათას მანეთს ითხოვდა ჩოხატაურის სასწავლებელი სახელმწიფოსგან სესხად ან დახმარების სახით; პირობას იძლეოდნენ, რომ სესხს ნაწილ-ნაწილ დაფარავდნენ. სკოლა ძალიან ცუდ შენობაში იყო განთავსებული, ერისთავის სახლში გადასვლა კი მისთვის მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნას უზრუნველყოფდა. განათლების სამინისტრო, თავის მხრივ, ამ თანხას მთავრობისაგან ითხოვდა და აღნიშნავდა, რომ „ეს კუთხე ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა ჩვენი ქვეყნისა, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მიუხედავად მრავალწლიანი დაბრკოლებისა, მაღალ დონეზეა" ((სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 59, ფ. 25).

ეს მიმართვა 1918 20 აგვისტოს გაკეთდა, 24 აგვისტოს კი მთავრობამ უარი განაცხადა ჩოხატაურის სკოლისათვის 10 ათასი მანეთის გამოყოფაზე. მიუხედავად ამისა, შემდგომში ეს შენობა მაინც გადაეცა ჩოხატაურის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს.

თავად-აზნაურთა მამულები ხშირად მათივე მფლობელთა ანდერძით, ანდა სახელმწიფოს მიერ მოხდენილი კონფისკაციის შედეგად, სკოლების მფლობელობაში გადადიოდა. ასე გადაეცა ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიას გიორგი ზდანოვიჩის კუთვნილი მამული და სახლი.

როდესაც სასწავლებლების რეორგანიზაციის საკითხი დადგა, საქართველოს განათლების სამინისტრომ იმსჯელა გაგრის სასწავლებლის შესახებაც. მან მთავრობაში წარადგინა მოხსენება გაგრის რეალური სასწავლებლის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს სასწავლებელი წარმოადგენდა პრინც ოლდენბურგელის თავშესაფრის განყოფილებას. ამ გარემოებამ თავისი გავლენა მოახდინა სასწავლებელზე, როგორც პედაგოგთა შემადგენლობაზე, ისე თავად სწავლა-აღზრდის მიმართულებაზეც. მაგალითად მოჰქონდათ ის, რომ სასწავლებელს განაგებდა აგრონომი, რომელიც უფროს კლასებში ასწავლიდა მათემატიკას, შუა საუკუნეების ისტორიის პედაგოგი იყო ინჟინერ-ტექნოლოგი, პროფესიით ბუნებისმეტყველი კი ახალ ისტორიას ასწავლიდა. მშობლებმა და მოსწავლეებმა ასეთი პირობები ვერ აიტანეს და სასწავლებლის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა მოითხოვეს.

მინისტრი აღნიშნავდა, რომ ქალაქ გაგრის თვითმმართველობას, რომელმაც ბოლშევიკური ბატონობის ხანა განიცადა, არ შეეძლო ეტვირთა 50 000-იანი მოსახლეობის განათლების ხარჯები. დახმარება ესაჭიროება იმ ორ სახალხო სკოლასაც, რომელიც გაგრაში მოქმედებსო, - დასძენდა სამინისტრო.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ამ სკოლისათვის 22 500 მანეთი იყო საჭირო, მაგრამ თუ მხედველობაში იქნებოდა მიღებული სავარაუდო შემოსავალი, მაშინ სახელმწიფო ხაზინას 10 ათასი მანეთის სუბსიდიის მიცემა დასჭირდებოდა.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატი ეხმარებოდა დაწყებით სასწავლებლებს [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 59, ფ. 3].

1917 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით, ,,ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას'' გადაეცა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა დამხმარე ქონება, მაგრამ 1918 წლის 1 იანვრიდან გართულებულმა მდგომარეობამ მთავრობა აიძულა მთელი რიგი ღონისძიებანი გაეტარებინა სკოლების დასახმარებლად, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინიდან 10 მილიონი მანეთი გამოიყო. უამრავი გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება დაეკისრა ამ ათმილიონიან ფონდს, რაც ამ თანხით მეტად რთული იყო.

განსაკუთრებით უჭირდათ ისეთ სასწავლებლებს, სადაც არსებობდა პანსიონები. ჩამოსული მოწაფეები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, პანსიონთა გაუქმების შემდეგ საშინელ დღეში ჩაცვივდნენ. სასწავლებლის გარეთ დარჩნენ ობლები და ნახევრად ობლები, რომელთაც არავითარი სახსარი არ გააჩნდათ ბინა ექირავათ.

ასეთივე დღეში ჩაცვივდნენ თბილისის ქალთა ინსტიტუტის პანსიონის მოსწავლეები.

ამ სასწავლებელში 274 ქალი სწავლობდა, მათ შორის 63 თბილისის გარეთ ცხოვრობდა (საქართველოში, სამხრეთ კავკასიაში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სპარსეთში), 18 უმისამართო, აქედან რვის მისამართი იყო ინსტიტუტი. 1918 წლის 10 ივლისის ცნობით, ინსტიტუტში 52 მოწაფე ირიცხებოდა, მათ შორის 7 უდედმამო, 28 უმამო (უმეტესობის მამა ომში იქნა მოკლული), ორი უდედო, 8 მოწაფის გარდა, ყველანი სრულიად უსახსრონი იყვნენ. განათლების მინისტრი მთავრობისაგან ითხოვდა ამ უდედმამო ბავშვების თავმოყრას და მათზე ზრუნვას. უნდა გახსნილიყო

ინტერნატი სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვითა და შტატებით. ეს ინტერნატი გათვალისწინებული იყო, უპირატესად, საქართველოში მცხოვრებთათვის, ვინც აქაური იყო ან აქ ცხოვრების სურვილი ჰქონდა (სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 139, ფ. 31).

ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორი იყო ივანე პოლუმორდვინოვი, რომელიც ქართულ ენაზე წარმოადგენდა მოხსენებით ბარათს სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ (სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1. საქმე 139, ფ. 73-74).

მასწავლებელთა გაფიცვებთან ერთად, შექმნილი მდგომარეობის გამო, იფიცებოდნენ მოწაფეებიც. ასეთი გაფიცვა მოხდა ფოთში, რომელიც სამინისტრომ განიხილა და დაასკვნა: „საჭიროა მომავალში ზომები იქნას მიღებული, რათა მოსწავლეთა გამოსვლები კვლავაც წესიერების ფარგლებს არ გასცილდეს" (ქსსა, ფონდი 81, საქმე 153, ფ. 4).

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად იქმნებოდა „მოწაფეთა კავშირები", რომლებიც ასევე ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას სკოლებში. მოსწავლეთა კავშირების შექმნის აუცილებლობის საკითხს აყენებდა პუბლიცისტი მიხეილ მახვილაძე სტატიაში - „სკოლა და თვითგანვითარება". იგი აკრიტიკებდა თავის თანამედროვე სკოლას, რადგან მიაჩნდა, რომ იგი ვერ აღზრდიდა მტკიცე ხასიათის, ძლიერი ენერგიის, განათლებულ და კულტურულ თაობას, რადგან ის ძველი რუსული სკოლის მემკვიდრე იყო და გაქართულების შემდეგ არავითარი ცვლილება არ განეცადა. მთავრობამ ეს იცოდა და ცდილობდა კიდეც სკოლის რეორგანიზაციას, მაგრამ, -პუბლიცისტის თქმით, ეს უფრო მომავლის საქმე იყო, მანამდე კი სწავლა-აღზრდის პრობლემებზე თავად მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ, მათ უნდა დაეფუძნებიათ მოსწავლეთა კავშირები, შეექმნათ წრეები და გაეტარებიათ ღონისძიებანი.

ავტორი მაგალითად ასახელებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის წრეს, რომელიც ბევრს აკეთებდა როგორც ეროვნული კულტურის, ასევე ეროვნულ-საზოგადოებრივი ცნობიერების დანერგვის საქმეში (გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, №759).

ამრიგად, განათლების რეფორმა იმ პირობებში მიმდინარეობდა, როდესაც სკოლას, იქ დასაქმებულ პედაგოგებს და მოსწავლეებს უმძიმესი სოციალურ-

ეკონომიკური პირობები ჰქონდათ. სასწავლო პროცესის ჩატარება ხშირად პედაგოგთა ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული. ხელისუფლება ეხმარებოდა სკოლებს, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების გამო, ეს დახმარება არ კმაროდა რეფორმის წარმატებით გატარებისა და საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილი განხორციელებისათვის.

§ 1. საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები

განათლების რეფორმის განხორციელებას, ახალ საგანმანათლებლო პროექტს მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კადრების მომზადება ჭირდებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები.

პედაგოგთა კადრების მომზადებას ქართული საზოგადოება ცარიზმის პერიოდშიც ესწრაფოდა. ამ სფეროში დასაქმებულთა შორის საპატიო ადგილი ქალებს ეკავათ. ქალთა საოსტატო ინსტიტუტები და კურსები არსებობდა სახელმწიფო სტატუსითაც, მაგრამ უმეტესობა კერძო იყო. ამგვარი კადრების მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ,,განათლების'' საზოგადოებამ, რომელსაც სათავეში ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი -წერეთელი ედგა. საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 21 იანვარს ეს პიროვნება შემდეგი ტექსტით მიმართავდა: „განათლების'' საზოგადოება არსებობს 15 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ის პირნათლად უძღვებოდა ქართველი ერის განათლების საქმეს. ამჟამად ამ საზოგადოებას აქვს ქალთა საოსტატო სემინარია და ქალთა სამხატვრო სახელოსნო სკოლა. პირველ სასწავლებელში არის 400-ზე მეტი მოწაფე, სემინარიაში არის 9-კლასი სამი მოსამზადებელი, 4 პროგიმნაზიული, 2 სპეციალური, სემინარიას არავითარი შემოსავალი არა აქვს, გარდა სწავლის ფულისა. სემინარიის კორპორაცია (23 სული) არ იღებს არავითარ დახმარებას და მარტო საქმის სიყვარულით აიხსნება ის მოვლენა, რომ ახლანდელ პირობებში მასწავლებელნი მსახურობენ სულ მცირე ფასებში. ეხლა მოგმართავთ თქვენ, საბჭოს, უმორჩილესი თხოვნით, მიეცეს ჩვენს მასწავლებლებს დღიურებიც და ერთდროული დახმარება (400 მ.) იმ წესით, როგორც ეს მიეცათ

თბილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებს, არა გვაქვს არავითარი ნივთიერი მოგება დასახული, ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ წმინდა საქმეს ქართველი ერის სწავლა-განათლებისას.

ანასტასია მიხეილის ას. წერეთელი, 21 იანვარი, 1918 წ. [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 264, ფ.6].

ეროვნული საბჭოს ძირითადი გადასაჭრელი პრობლემა და შემოსული თხოვნებიც სასწავლებელთა გაეროვნებას ეხებოდა. სასწავლებლებში რუსულად სწავლის გამო იჩაგრებოდნენ ქართველი მოწაფეები. ამაზე მიუთითებდა საბებიო ინსტიტუტის მსმენელთა თხოვნა, სადაც ისინი საუბრობდნენ მასწავლებელთა შესახებ, რომლებიც მხოლოდ რუსულად ატარებდნენ გაკვეთილებს, სკოლაში კი ძირითადად საქართველოს სოფლებიდან ჩამოსული, 2-კლასიანი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი იყვნენ, რომელთაც სრულიად არ იცოდნენ სხვა ენა. მთხოვნელთა სახელით წერილს ხელს აწერდნენ საბებიო ინსტიტუტის მსმენელები - ე. ნიჟარაძე-ცხვედიანისა, აგრაფინა იაშვილი, ანა ჩიქოვანისა [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 264, ფ.10].

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა ბათუმში გაეხსნა საოსტატო სემინარია. ამისთვის სპეციალური დელეგაცია შედგა და 1918 წლის 22 იანვარს გაემგზავრა ბათუმში მომავალი სასწავლებლის ხარჯების დასადგენად.

კომისიის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით სულ სკოლის გასახსნელად საჭირო იყო 179, 300 მანეთი ამავე კომისიამ დაათვალიერა სოფ. მარადიდის საავადმყოფო, რომელიც ქალაქთა კავშირს ეკუთვნოდა და გადაწყვიტა, სანამ ერ. საბჭო სახელმწიფო უფლებებით აღიჭურვებოდა, მანამდე საავადმყოფოს არსებობა უზრუნველეყო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებას. საავადმყოფოს ფუნქციონირებას ითხოვდა ხალხი და მის ინტერესებს ითვალისწინებდა კომისია, შედგა საჭირო ხარჯთაღრიცხვა საავადმყოფოს გადახალისებისათვის და ეს ხარჯები უნდა გაეღო საქველმოქმედო საზოგადოებას [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 265, ფ.2].

შემუშავდა პროგრამა, რომლითაც ბათუმში საოსტატო სემინარიისათვის კადრების მოსამზადებლად უნდა გახსნილიყო 4-თვიანი კურსები. მას ეროვნულ

საბჭოში სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექცია უხელმძღვანელებდა [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 265 ფ.4].

1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა პარლამენტს მოხსენება წარუდგინა სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების გაეროვნების შესახებ.

საქართველოში ამ დროს 4 პედაგოგიური სასწავლებელი იყო: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. მინისტრი თითოეულ მათგანს ახასიათებდა და იმ პერსპექტივას წარმოაჩენდა, რაც ამ სასწავლებლებს ელოდა დამოუკიდებლობის პირობებში. საინტერესოა ამ სასწავლებლების ისტორია: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი დაარსდა 1872 წელს, მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიისათვის, მაგრამ, როგორც მინისტრი წერდა, ,,დროთა განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინსტიტუტის მოწაფეთა შორის ადგილობრივი მკვიდრთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ხოლო არაჩვეულებრივად იმატა ჩრდილოეთ კავკასიიდან და განსაკუთრებით დონის ოლქისა და სამხრეთ რუსეთიდან ჩამოსულთა რიცხვმა.'' 1917 წლიდან ეს მდგომარეობა კვლავ ადგილობრივ მკვიდრთა სასარგებლოდ შეიცვალა. თუ მანამდე ეს 5%-ს -უდრიდა, ახლა სასწავლებელში ადგილობრივთა რიცხვი 35 % გახდა.

1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის მთავრობამ სასწავლებელში გახსნა ეროვნული განყოფილებები: ქართული და სომხური, თუმცა სომხურს ნაკლები მოსწავლე ჰყავდა, რადგან სომხებს საკუთარი სემინარიები ჰქონდა მასწავლებელთა მოსამზადებლად. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იკლო როგორც ადგილობრივ არაქართველთა რიცხვმა, ასევე ჩამოსულებისამ. რადგან პოლიტიკური ვითარება მძიმე იყო და ეს მდგომარეობა შენარჩუნდებოდა, მინისტრი ვარაუდობდა, რომ ინსტიტუტსა და სემინარიებში რუსული და სხვა არაქართული კლასები შეიძლებოდა დახურულიყო. აზერბაიჯანელებისთვის სემინარია განჯაში იყო გახსნილი, სომხებისთვის ერევანში. ამიტომ, მინისტრი გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ სემინარიებსა და საოსტატო ინსტიტუტში მხოლოდ ქართული განყოფილება დარჩებოდა, სოხუმში კი იქნებოდა ქართული და აფხაზური განყოფილებები.

საამისოდ, კერძოდ, სოხუმის სემინარიის ახალი, აფხაზური განყოფილებისათვის ითხოვდა მთავრობისაგან კრედიტის გაცემას [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 247, ფ.2].

ამ მოხსენების საფუძველზე მინისტრმა პარლამენტს წარუდგინა კანონ-პროექტი 4 პუნქტით:

1. დაიკეტოს თბილისის ინსტიტუტსა და გორის საოსტატო სემინარიასთან არსებული ეროვნული განყოფილებანი;

2. ცნობილი იქნას თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები ქართულ ეროვნულ სასწავლებლებად;

3.გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება;

4. განეგრძოს ოთხსავე სასწავლებელს მთავრობისაგან კრედიტის გაღება თანახმად უკვე არსებულის ხარჯთაღრიცხვისა, თითოეული სასწავლებლის ძირითადი კლასებისათვის, ხოლო სოხუმის სემინარიას აფხაზური განყოფილებისათვის [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 247, ფ.26].

ვინაიდან მასწავლებელთა კადრების სიმცირე იყო, თანაც პედაგოგთა ნაწილს დაბალი ხარისხის კვალიფიკაცია ჰქონდათ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. განათლების რეფორმას სწორედ მაღალკვალიფიციური კადრები განახორციელებდნენ, ამ კადრებს დრო ჭირდებოდა, დრო კი არ იცდიდა. ამისთვის, სამინისტრომ სცადა როგორც ძველი კადრების გამოყენება (მათი გადამზადება თუ გადასამზადებელი კადრებისათვის გამოყენება) , ასევე ძველი სასწავლებლების პედაგოგიური პროფილით რეორგანიზაცია. ამ მხრივ საინტერესოა განათლების მინისტრის მიერ 1918 წლის 2 აგვისტოს პარლამენტში წარდგენილი მოსაზრება საზოგადოება „განათლების" თამარ მეფის სახელობის საოსტატო სემინარიის შესახებ. მინისტრი წერდა: საქართველოს ტერიტორიაზე მთავრობას არა აქვს არც ერთი საპედაგოგო სასწავლებელი, სადაც შეიძლებოდეს ქალთა მომზადება სახალხო სკოლების მასწავლებლებად. არსებული სკოლები ყველა სავაჟოა. საჭიროება ქალთა საოსტატო სემინარიისა დიდია და განათლების სამინისტროც პირველ რიგში აყენებს ამგვარი სკოლის შექმნას. მაგრამ ვინაიდან დღევანდელს პირობებში ახალი სკოლის შექმნა მეტად ძნელია და არც მოკლე ხანში მოხერხდება, სამინისტრო ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა გვესარგებლა უკვე

არსებული ქალთა სემინარიით და იგი სახელმწიფო საჭიროებისათვის შეგვეფარდებინა და გამოგვეყენებინა. ამგვარია „განათლების საზოგადოების" თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია. სამინისტრომ მიიღო მხედველობაში, რომ „განათლების საზოგადოება" იმთავითვე ქართულად აწარმოებდა სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმეს და ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებაც გამოიჩინა, გაითვალისწინა, რომ სასწავლებელს უკვე 2 სემინარიული კლასი ჰქონდა, მაშასადამე ორი წლის შემდეგ სრული ქართული სემინარია გვექნებაო, ამბობდა მინისტრი დაუმატებდა: არა უგულვებელვყოთ ის გარემოებაც, რომ სკოლა მასწავლებელთა მხრივ უზრუნველყოფილია (ყველა მასწავლებელი სათანადო უმაღლესი განათლებით არის აღჭურვილი), აქვს აგრეთვე ბინის ასაგებად შეგროვილი 22, 284მან.

მსჯელობის შემდეგ სხდომამ დაადგინა: აღიძრას, თანახმად „განათლების" საზ-ის თხოვნისა, შუამდგომლობა ეროვნული საბჭოს წინაშე, რომ : ა) „განათლების" საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია ცნობილი იქმნას სახელმწიფო სასწავლებლად და გადავიდეს მთელი სასკოლო მოწყობილობით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით მთავრობის გამგებლობაში; ბ) მიეცეს სემინარიას სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიური დახმარება თანახმად არსებული სახელმწიფო საოსტატო სემინარიების ხარჯთაღრიცხვის ნორმებისა". დოკუმენტს ხელს განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი აწერს [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 252, ფ.2].

ეროვნულ საბჭოში ეს კანონ-პროექტი ნოე ცინცაძემ წარადგინა. საბჭომ მთელი რიგი შესწორებებით მიიღო დოკუმენტი და მიიღო როგორც კანონი 1918 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე, სადაც იგი წარადგინა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა რაჟდენ არსენიძემ [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 252, ფ.22].

1919 წლისათვის მთელი რიგი ცვლილებები შევიდა თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის შტატებში[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 262, ფ. 3].

დიდი ყურადღება ეთმობოდა ე. წ. „სამაგალითო სკოლას", რომელიც სემინარიასთან არსებობდა და სადაც მომავალი სახალხო სკოლის მასწავლებელი ისმენდა სამაგალითო გაკვეთილებს. მას გამოცდილი მასწავლებელი ავარჯიშებდა გაკვეთილის სრულყოფაში, მეთოდურ ჩვევებში. მისი ხელფასი არ იყო გამოკვეთილი

მისი შრომის გათვალისწინებით. განათლების სამინისტრომ დააყენა საკითხი „სამაგალითო მასწავლებელთა" ხელფასების გადიდების შესახებ. სამასწავლებლო სემინარიის (საოსტატოს ნაცვლად, პარლამენტმა სიტყვა სამასწავლებლო შემოიტანა) დამატებითი შტატების შესახებ 1919 წლის იანვარში მიღებული კანონი ასეთ ახალ შტატებს ითვალისწინებდა: 1. ნაცვლად ოთხისა, თამარ მეფის სახელობის სამასწავლებლო სემინარიაში 7 შტატი წესდებოდა; 2. აღდგა ხელგარჯილობისა და ხელსაქმის მასწავლებლის თანამდებობა; 3. სემინარიის მასწავლებელთათვის შემოღებული იქნა 5-წლეულები, თითო 500 მან. 4. კლასის დამრიგებელს წლიურად განესაზღვრა 1800 მან. 5. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი სამოქალაქო უწყების მუშაკთათვის ხელფასების მომატების შესახებ გავრცელდა საოსტატო სემინარიის მასწავლებლებზეც, მათ მოემატა ხელფასი; [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 262, ფ. 16].

§ 2. მასწავლებელთა დახელოვნების კურსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმმა, 1918 წლის 1 მაისს თბილისში მოქმედ დახელოვნების კურსებზე მოიწვია საქართველოში არსებული სკოლების პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ ენებს, ღვთისმეტყველებასა და ისტორიას. კურსები 300 კაცზე იყო გათვალისწინებული. აქ ლექციებს საუკეთესო სპეციალისტები კითხულობდნენ. შემდეგში ეს კურსები გადაკეთდა ქართული ეროვნული სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებად. კურსების მსმენელებს მგზავრობის, ბინის და კვების თანხებს სახელმწიფო უნაზღაურებდა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში განათლების მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი სახალხო სკოლების მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად მასწავლებელთა

საზაფხულო კურსების გახსნის შესახებ [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 251, ფ.2]. სპეციალურ მიმართვაში მინისტრი წერდა, რომ სპეციალისტების ნაკლებობა აფერხებდა სწავლის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს, რეფორმით გათვალისწინებულ სპეციალურ სასწავლებლებსაც კადრების ნაკლებობა შეუშლიდა ხელს სწორად ფუნქციონირებაში, ამიტომ უნდა დაარსებულიყო მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები საქართველოს 10 რაიონსა და ქალაქში.

კურსების გასახსნელი ადგილების სიმრავლე აიხსნებოდა იმით, რომ უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო მსმენელთა მიღება, ამასთან, ნაკლები ხარჯიც იქნებოდა საჭირო. კურსებზე შევიდოდნენ ისინი, ვისაც დამთავრებული ჰქონდა პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, ანდა ვინც გამოცდებს ჩააბარებდა. კურსებთან ერთად გაიხსნებოდა საცდელი სკოლები, სადაც კურსებზე მყოფი მასწავლებლები ჩაატარებდნენ საცდელ გაკვეთილებს, მიიღებდნენ პედაგოგიურ გამოცდილებას, პრაქტიკულ ჩვევებს და სათანადო მითითებებს სპეციალისტებისაგან [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 251, ფ.11].

მინისტრის თქმით, ეს კურსები ვერ უზრუნველყოფდა მასწავლებელთა პროფესიული დონის სრულყოფას, „მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, კურსები დააკმაყოფილებენ ცოტად თუ ბევრად დღევანდელს აუცილებელ საჭიროებას და მოთხოვნილებას''. კურსებზე 300 მსმენელი იქნებოდა (30 თითოეულ ადგილზე). მინისტრი იმასაც აღნიშნავდა, რომ პარლამენტის განათლების კომისიაში გაჩნდა კურსების შექმნის მოსაზრება და ხარჯთაღრიცხვაც იქვე გაითვალისწინეს. პარლამენტმა კანონ-პროექტი დაამტკიცა საზაფხულო კურსების გახსნის შესახებ და მინისტრს დაავალა სათანადო პროგრამის შემუშავება, თუ რა და როგორ უნდა ესწავლებინათ კურსების მსმენელებისათვის. მასვე უნდა დაეზუსტებინა კურსების მოწყობის ადგილები, განესაზღვრა კურსების გამგეებისა და მასწავლებლების ვინაობა, უნდა შეემუშავებინა წესი, რის მიხედვითაც მოიწვევდნენ მსმენელებს და მისცემდნენ მათ მასწავლებლობის უფლებას. კურსებისთვის დამტკიცდა ბიუჯეტი - 252,500 მანეთის ოდენობით. მიღებულ კანონს მასწავლებელთა საზაფხულო კურსების დაარსების შესახებ ხელს აწერდნენ ეროვნული საბჭოს თავ-რე ნ. ჩხეიძე და

საქართველოს რესპუბლიკის თავ-რე -ნ. ჟორდანია. კანონი მიღებული იქნა 1918 წლის 16 ივლისს [სცსსა, ფ. 1833, ან. 1, საქმე263, ფ. 22].

მასწავლებელთა საზაფხულო კურსების გახსნას მომდევნო სასწავლო წლისათვის ახალი კანონ-პროექტის მიღება დასჭირდა. 1919 წლის ზაფხულში პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის მოწყობილი საზაფხულო კურსებისათვის მიღებული საპარლამენტო კანონი ამგვარ დებულებებს შეიცავდა: „1. გაიხსნას მიმდინარე წლის 25 ივნისიდან სახალხო სკოლების 250 მასწავლებლის მოსამზადებლად ორი თვის კურსები; 2. მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი კურსების საერთო ხელმძღვანელობისა, აგრეთვე მასწავლებელთა მოწვევის, მსმენელთა მიღების, გამოცდის და წოდების მინიჭებისა; 3.აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაღებული იქნას სახელმწიფო ხაზინიდან 334,000 მანეთი; 4. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ [სცსსა, ფ. 1833, ან. 1, საქმე263, ფ. 22].

მასწავლებელთა დახელოვნების კურსებს ხელმძღვანელობდნენ: თბილისში - ბ. შიუკაშვილი, გორში - ვ. ჯაფარიძე, თელავში - ივ. გომელაური, ქუთაისში მ. გავაშელი, ზუგდიდში - პავლე ნადირაძე, სენაკის მაზრაში - ვლ. გაგუა. შემდეგში კურსების ქსელი თანდათან გაიზარდა, იგი თითქმის ყველა რაიონში გაიხსნა. სახელმწიფო კურსების ორგანიზებისთვის საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდა. მაგ. 1919 წლის ზაფხულში თბილისის კურსებზე დაიხარჯა 236 000 მანეთი, რაც ეკონომიკური სირთულეების მქონე ქვეყანაში სოლიდური თანხა იყო. კურსები ფაქტობრივად უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებს ენაცვლებოდა, რადგან მისი გავლის შემდეგ სპეციალისტს ეძლეოდა გარკვეული საგნების სწავლების უფლება [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 399, ფ. 11-12]. 1918 წლის ზაფხულშივე დაიწყო სპეციალურმა სასწავლო კურსებმა მუშაობა. კურსების ხელმძღვანელად განათლების სამინისტრო გზავნიდა სპეციალურ ინსპექტორებს, რომლებიც ირჩევდნენ ცალკეული საგნების მასწავლებლებს. დიდი ნაწილი ასეთი ლექტორ-მასწავლებლებისა ასევე თბილისიდან იგზავნებოდა, თუმცა ზოგჯერ ადგილობრივი მაღალკვალიფიცური პედაგოგებიც გამოიყენებოდა. მაგ.: თელავის კურსების ინსპექტორის ვრცელი ანგარიშიდან ჩანს, რომ გამოიყენეს ადგილობრივი კადრები: ხატვის მასწავლებლად თელაველი

ვალერიან სიდამონოვ-ერისთვი, ხალხურ სიმღერებში ზაქარია ჩხიკვაძე, საზოგადო პედაგოგიკის თემაზე ლექციები წააკითხეს ადგილობრივი გიმნაზიის დირექტორს - ზაქარია კლიმიაშვილს, გეომეტრია-მათემატიკაში თამარ ყაზახაშვილს და სხვ.

მსმენელთა რაოდენობა სულ სამოცამდე ყოფილა. მსმენელები ამ კურსებზე იყვნენ სიღნაღის, ყვარლის და თიანეთის მაზრებიდან.

1919 წელს თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთათვის გამართულ კურსებს ნ. შიოლაშვილი მეთაურობდა. მის მიერ შედგენილი ვრცელი ოქმიდან ჩანს, რომ სპეციალური კურსების გავლის შემდეგ, მსმენელებმა ჩააბარეს გამოცდები და მიიღეს ცენზი, მასწავლებლობის უფლება. კურსების ლექტორები ყოფილან: დავით კარიჭაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, მიხეილ ზაალიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, სოლომონ ხუციშვილი.

დასავლეთ საქართველოს კურსებს ხელმძღვანელობდა მიხეილ გავაშელი. კურსების ლექტორები იყვნენ: ტრ. ჯაფარიძე, დ. ქუთათელაძე, მ. ცაგარეიშვილი, დეკანოზი მ. კელენჯერიძე, კ. ჭანტურია, არკადი ჩხენკელი, ვლ. ნაცვლიშვილი და სხვ. გალობის ლექციები და ვარჯიშები ჩაატარა კოტე ფოცხვერაშვილმა. 122 მსმენელიდან კურსების გავლის მოწმობა გამოცდების შემდეგ 78 კაცს მიეცა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე399, ფ. 21-25; 26-27 ფ.57].

კურსების დამთავრების შემდეგ მიღებული მოწმობა ასეთი იყო: მოწმობა ესე მიეცა ...ალექსანდრე გიორგის ძე მამულაშვილს, მას შინა, რომ მან მოისმინა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის ქალაქ ტფილისში 1918 წლის 1 აგვისტოდან ამავე წლის 1 ოქტომბრამდე გამართული კურსები და, თანახმად სამინისტროს მიერ ამ კურსების შესახებ დამტკიცებული ოქმისა, 1918 წლის 28 ოქტომბრიდან, მას, მამულაშვილს ენიჭება სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდება. ხელს აწერს მთავარგამგე და საქმის მწარმოებელი.

საზაფხულო, ან საღამოს კურსებზე მრავალი პედაგოგი იმაღლებდა კვალიფიკაციას. აქ ასწავლიდნენ და გამოცდას აბარებინებდნენ სკოლის მასწავლებლებს სხვადასხვა საგნებში. მაგ. ქუთაისის მასწავლებელთა კოლეგიის საზოგადო განათლების საღამოს კურსებზე მასწავლებელმა მელიტონ ჩეჩელაშვილმა მოისმინა სრული კურსი და გამოცდები ჩააბარა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და

სიტყვიერება, რუსული ენა და სიტყვიერება, ფილოსოფიური პროპედევტიკა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, ლათინური ენა, მათემატიკა, ფიზიკა, მათემატიკური გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მსოფლო ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, კანონთმეტყველება. ეს მოწმობა ანიჭებდა მას სახაზინი გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სწავლების სათანადო უფლებას. გამოცდას ესწრებოდა სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი [სცსსა, ფონდი 1935, აღწერა 2, საქმე 1426, ფ. 2].

1920 წლის აგვისტოში თბილისში ჩატარდა იტალიური პედაგოგიკის სპეციალური, ე.წ. მონტესორის კურსები. განათლების სამინისტრომ სპეციალურად გამოიძახა იტალიიდან მონტესორის ერთ-ერთი მოწაფე - ლოლა კონდულ მარი, რომელიც 4 აგვისტოს ჩამოვიდა თბილისში. მან წაიკითხა ლექციები მონტესორის სისტემაზე, რათა საქართველოს პირველდაწყებითი სკოლების პირველ განყოფილებაში გატარებული ყოფილიყო ამ სისტემის ზოგიერთი ღონისძიება და პირველდაწყებითი სკოლა საბავშვო ბაღის პრინციპზე მოწყობილიყო. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა როგორც განათლების სამინისტრო, ასევე ქალაქის თვითმმართველობა, რომელსაც გადაცემული ჰქონდა საბავშვო ბაღების მოწყობის საქმე. ღონისძიებას მრავალი თბილისელი და ჩამოსული პედაგოგი დაესწრო. დოკუმენტში მათი სახელები და გვარები ზუსტადაა მითითებული. კურსები მუშაობდა თბილისის I ვაჟთა გიმნაზიაში, ესწრებოდა 36 მასწავლებელი თბილისის სკოლებიდან: ვახვახიშვილი, წერეთელი, ცინცაძე, არდაზიანი, ხმიადოვა, ლორთქიფანიძე, ქართველიშვილი, მაჩაბელი, უნაფქოშვილი, შიუკაშვილი, გიორგობიანი, დეკანოზიშვილი, ჩუბინიშვილი, ეგოროვა, შესტაკოვა, ზუბჩენკო, კარამურზა, მოლკინა, მასლოვა, ტრუშიჩევა, როზენბერგი, კაპანაკოვა და სხვ. [სცსსა. ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 959, ფ. 5-6].

საქართველოს პროვინციებიდან ჩამოსული იყო შემდეგი 16 მასწავლებელი: თამარ მაჭავარიანი, ნატალია ურუშაძე, მემარნიშვილი ივანე, ცანავა არსენ, პატარაია სოფიო, შიუკაშვილი თამარ, გოგნიაშვილი ნინო, სუკიაროვისა ოლღა, პაატაშვილი მარიამი, იაშვილი ლუბა, კანდელაკი ანა, ციხისელი ლუბა, ლობჟანიძე მარო, იშხნელი ანა,

რაზმაძე ოლღა, ღოღობერიძე ნადეჟდა. კურსებს ესწრებოდნენ სამოქალაქო სკოლების ინსპექტორებიც. კურსებმა იმუშავა 25 აგვისტომდე.

კონდულ მარის ლექციები მოიცავდა შემდეგ თემებს: ბიოგრაფიული და ბიოლოგიური ცნობები, ფსიქოლოგიის შესწავლა, საბავშვო სახლი, წრე, სადაც იმყოფება ბავშვი, საკლასო ავეჯი, განსხვავებანი მონტესორისა და სხვათა მეთოდებს შორის, თავისუფლების დისციპლინა, დამოუკიდებლობა, ჯილდოსა და სასჯელის ფორმები, მასწავლებელი საბავშვო ბაღში, სხეულის ვარჯიში, გრძნობათა და გონების განვითარება, ენა, მეტყველებისა და ყურადღების განვითარება, დისციპლინა და სხვ. კონდულ მარმა დიდი ადგილი დაუთმო პრაქტიკულ გაკვეთილებს, აღსაზრდელებში პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბების ფორმებს. ხსნიდა გეომეტრიული ფორმებით, ცილინდრებით, ფერადი ძაფებით და სხვ. იყო ბუნებაში გასვლა და ბავშვისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემის მაგალითებიც, ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში სასნოვსკის ხელმძღვანელობით და სხვ.

სამინისტრო და ქალაქის თვითმმართველობა კმაყოფილნი დარჩნენ იტალიელი პედაგოგის მიერ მოწყობილი სახელდახელო კურსებით. კურსების შესახებ შედგენილ ვრცელ მოხსენებით ბარათს ხელს აწერდა თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი, თარიღით - 1920 წლის 14 ოქტომბერი.

თბილისში ბევრი ისეთი კურსები გაიხსნა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული კადრების მომზადებას. ასეთი იყო: მედდების, საბუღალტრო, უმაღლესი საინჟინრო კურსები, რომელსაც 2 განყოფილება ჰქონდა-საინჟინრო-სამშენებლო და საინჟინრო-მექანიკური. ეს იყო სასწავლებელი, რომლის მზრუნველთა საბჭოს გიორგი ანდრონიკაშვილი ხელ-ობდა. მისი მოადგილე იყო - გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი, პედაგოგთა საბჭოს ხელმძღვანელობდა პეტრე ლუკინი, კურსების დირექტორი იყო ინჟინერი გრიგოლ შარმაზანოვი. იმ მასწავლებლებს, რომელსაც სამინისტროს სარევიზიო კომისია უწუნებდა კვალიფიკაციას, აგზავნიდნენ კურსებზე და ამით მათ ენიჭებოდათ მასწავლებლობისთვის საჭირო ცენზი [გაზ. „საქ. რესპუბლიკა",№101, 1919].

§ 3. მასწავლებელთა კავშირები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მასწავლებლები გაერთიანებულნი იყვნენ პროფესიულ კავშირებში. არსებობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირები. ისინი ხელმძღვანელობდნენ განათლების რეფორმის განხორციელების პროცესს და სკოლებში გაშლილ საგანმანათლებლო მუშაობას, იცავდნენ მასწავლებელთა უფლებებს, ზრუნავდნენ მათი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. მასწავლებელთა კავშირის უმაღლესი ორგანო მასწავლებელთა ყრილობა იყო. 1918 წლის 5ოქტომბერს დასავლეთ საქ-ს მასწავლებელთა კავშირის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც დას. საქ.-ში რეფორმის გატარების ფორმებს ეხებოდა [ქუთაისის სახ. საისტ. არქივი, ფონდი 15, საქმე 3828, ფურც. 90]. დადგენილებაში ეწერა: 1. დას. საქ.-ს საშ. სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კავშირის კრება მხარს უჭერს საქ. დემოკრატ. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს რეფორმებს, აღუთქვამს მას დახმარებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, რომ საშ. სასწავლებლების მართვა-გამგების საკითხში იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი პრობლემების მიხედვით, მაგა. ქუთაისის გუბერნიაში, დაცული იქმნეს სავსებით სკოლის ავტონომია, ე.ი. მასწავლებლების, ინსპექტორების და დირექტორების კანდიდატურას უნდა ადგენდნენ პედაგოგიური საბჭოები და ამტკიცებდეს მთავრობა. 2. დას. საქ.-ს საშ. სკოლების მასწავლებელთა კავშირმა იქონია მსჯელობა ამა თვის ოქტომბრის 1918 წლის, კავშირის საერთო ყრილობაზე მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და დაადგინა: ა) მოსთხოვოს მთავრობას 3 მარტის კანონის ძალით ბოძებული დახმარების გაორმაგება, მაგრამ ვინაიდან ეს გაორკეცებული დახმარება მთავრობისა ვერ დააკმაყოფილებს მოსამსახურე პირთ, ეთხოვოს პედაგოგიურ საბჭოებს, აღმოუჩინონ მათ ყოველთვიური დახმარება დამატებითი ჯამაგირის სახით სპეციალური თანხიდან, მისი რაოდენობის მიხედვით. წინადადება მიეცა საშ. სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, მკაცრად დაეცვათ სკოლის ავტონომია და „არ მიეღოთ თავის წრეში მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირნი"[გაზ. „სახალხო საქმე"№723, 1920]. საქართველოს მასწავლებელთა კავშირების უმაღლესი

ორგანო იყო რესპუბლიკური ყრილობა. 1920 წლის იანვარში, თბილისის რეალური სასწავლებლის დარბაზში გაიხსნა მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობა. ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავ-რე იყო ალექსანდრე მდივანი. მასწავლებელთა კავშირის შექმნასა და მის მიერ მოწვეულ ამ ყრილობას დიდ შეფასებას აძლევდა პრესა. ყრილობამ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელა. ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს: დამფუძნებელი კრების თავ-რის ამხანაგმა- სიმონ მდივანმა, დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის წარმომადგენელმა ლეო ნათაძემ, სოც-ფედერალისტმა იოსებ ბარათაშვილმა. მასწავლებელთა კავშირის მუდმივ მდივნად აირჩიეს პ. ჭანიშვილი. შეირჩა შენობა ამ კავშირისათვის, - ჟურნალ „განათლების'' რედაქცია, საბავშვო და პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემელი კომისია და ლექციების წასაკითხი აუდიტორია. ბიუროს უნდა მოეწვია კვირაში ერთი სხდომა, მისი თაოსნობით მასწავლებელთა კავშირის საბჭოსთან დაარსდა მუდმივი პედაგოგიური ლიტერატურის კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია და ეთარგმნა პედაგოგიური წიგნები. დარსდა საბავშვო ლიტ-ისა და ჟურნალის კომისია, რაზედაც ნივთიერი დახმარება სამინისტროს უნდა გაეწია. განათლების სამინისტრომ მასწ. კავშირს 80 ათასი მანეთის დახმარება მისცა[გაზ. „სახალხო საქმე''№740, 1920]..

1920 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა მასწავლებელთა სრულიად საქართველოს კონფერენცია. ყრილობაზე მასწავლებლებმა წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთა დიდი ნაწილი ხელისუფლებამ თავისი არგუმენტებით უარყო. მასწავლებელთა კავშირის საქმიანობა, მათი ყრილობები და კონფერენციები განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გამოაშკარავებასა და მოგვარებას ეხმარებოდა. ის ხელს უწყობდა განათლების რეფორმის განხორციელებას ქვეყანაში [ჭუმბურიძე 2000: 80-100].

§ 4. 1918-1921წლებში მოღვაწე ცნობილი პედაგოგები

მიუხედავად მასწავლებელთა დაბალი მატერიალური მდგომარეობის, მათი თვალშისაცემი ნივთიერი ხელმოკლეობისა, საქართველოს სასწავლებლებში პედაგოგთა საუკეთესო კადრები მუშაობდნენ. მათ შორის ბევრი შემდეგში სახელგანთქმული მეცნიერი, მწერალი, საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. აი, ვინ მუშაობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში დამოუკიდებლობის პირველ სასწავლო წელს: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე, სეით ლუარსაბის ძე იაშვილი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, მღვდელი არსენ ფხალაძე, გრიგოლ იასონის ძე ნათაძე, პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი, კონსტანტინე სვიმონის ძე გამსახურდია, დავით დავითის ძე პარკაძე, აკაკი გიორგის ძე შანიძე, გრიგოლ კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე, ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე, ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი, ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი და სხვ. [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 263, ფურც.16].

მოვიტანთ საქართველოს სკოლებში, დამოუკიდებლობის წლებში, მომუშავე ზოგიერთი ცნობილი პედაგოგის ბიოგრაფიას.

იოსებ ოცხელი(დ. 16 სექტემბერი [ძვ. სტ. 28 სექტემბერი], 1865, ქუთაისი — გ. 27 მარტი [ძვ. სტ. 9 აპრილი], 1919, ქუთაისი) — ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. აღმსარებლობით კათოლიკემ დაწყებითი სწავლა კათოლიკურ სასწავლებელში მიიღო, საშუალო განათლება ვაჟთა გიმნაზიაში. ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1885 წელს. შემდეგ მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის მმართველად და თბილისის სახელმწიფო ბანკის თანამშრომლად. 1900 წლიდან შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1900 წელს ოცხელის და სილოვან ხუნდაძის თაოსნობით ეს სკოლა გადაკეთდა ქართულ კერძო სათავადაზნაურო გიმნაზიად. ეს იყო პირველი ქართული საშუალო სასწავლებელი დასავლეთ საქართველოში. 1901 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით იგი დაამტკიცა ქუთაისის პირველი ქართული სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად. ოცხელის ინიციატივითა და

გულმოდგინებით დაარსდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც არაერთი მოღვაწე (გრიგოლ რობაქიძე, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე წერეთელი, ვასილ წერეთელი, დიმიტრი უზნაძე და სხვანი) კითხულობდა ლექციებს. იოსებ ოცხელის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სახელი გაუთქვა ქუთაისის ქართულ გიმნაზიას.1918-1919 სასწავლო წელს ის ამ გიმნაზიის დირექტორი იყო. 1919 წლის 28 მარტს სილოვან ხუნდაძე უდეპეშებდა განათლების მინისტრს, რომ მოულოდნელად, პარტახტიანი ტიფით, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა იოსებ ოცხელი [ქუთაისის სახ. ისტ. არქივი, ფონდი 1681, ფ. 78].

ჯერ ჩვეულებრივ სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ გადაასვენეს მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. განსვენებულის ანდერძის თანახმად, გვირგვინები არავის მიუტანია, მისთვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხა ოცხელის სასტიპენდიო ფონდში, რომელსაც გაჭირვებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს აძლევდნენ[დავით კლდიაშვილი, მემუარები გვ. 223].

ოცხელის ადგილზე, ქუთაისის II გიმნაზიის დირექტორად სილოვან ხუნდაძე აირჩიეს.

იოსებ ოცხელის აღზრდილთა რიგებს ეკუთვნიან: აკადემიკოსები დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე ერისთავი და ალექსანდრე ჯანელიძე, პროფესორი სევერიან ბუაძე, პროფესორი ვიქტორ ნოზაძე, მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია და სხვა მოღვაწენი [სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები... 1953: 283-290].

იოსებ ოცხელის პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი აღმზრდელობითი ნიჭი და უნარი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულიერი მასაზრდოებელი, რაც კიდეც დაგვირგვინდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში 1918 წლის 26 მაისს. მართალია, მან დიდხანს ვეღარ იცოცხლა ამ საოცნებო აქტის განხორციელების შემდეგ, მაგრამ მისი, როგორც პედაგოგისა და მოღვაწის სახელი სამუდამოდ დარჩა ქართული აზროვნების ისტორიაში.

სილოვან ხუნდაძე (1860- 1928), ცნობილი პედაგოგი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი დამდგენი, ლიტერატორი და პუბლიცისტი. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ კალაგონში, მღვდელ თომა ხუნდაძის ოჯახში.

1880 წელს სილოვან ხუნდაძემ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1879-1880 წლებში მისი რედაქტორობით გამოვიდა გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალ "სამშობლოს" ოთხი ნომერი. 1884 წელს დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას, ჟურნალ "ივერიის" 1882 წლის მე-12 ნომერში გამოაქვეყნა თავისი პირველი საყურადღებო ნაშრომი "ისტორიული კილო გრიგოლ ორბელიანის ლექსებში". პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1884 წლის შემოდგომაზე, სილოვან ხუნდაძე შეუდგა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1888 წლამდე იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველი სენაკის ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში. 1888 წელს დაინიშნა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად. ამის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ქუთაისთან. 1880-იანი წლების დამლევს ხუნდაძე აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილ წევრად.1900 წელს ხსენებული სკოლის ინსპექტორის იოსებ ოცხელის და სილოვან ხუნდაძის თაოსნობითა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თანადგომით შესაძლებელი გახდა სკოლის ბაზაზე ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დაფუძნება. იგი საქმიანობას შეუდგა, როგორც კერძო სრული გიმნაზია. თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიასთან ერთად ეს სასწავლებელი წარმოადგენდა საქართველოში საშუალო განათლების უმნიშვნელოვანეს კერას. გიმნაზიის პირველ დირექტორად დაინიშნა იოსებ ოცხელი, ხოლო ინსპექტორად - სილოვან ხუნდაძე. ამ გიმნაზიასთან იყო დაკავშირებული ხუნდაძის მთელი შემდგომი პედაგოგიური მოღვაწეობა. მის აღზრდილთა შორის ბევრი იყო შემდგომში გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის: ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე ერისთავი, არნოლდ ჩიქობავა, პეტრე ქავთარაძე, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, ვიქტორ ნოზაძე და სხვანი.1907 წელს სილოვან ხუნდაძე აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელ წევრად. 1913 წელს მისი

ინიციატივით დაარსდა ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. 1916 წელს იგი იყო დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდა ამისა, 1910 წელს იოსებ ოცხელთან ერთად მან დააარსა გამომცემლობა "მერანი", რომელმაც გამოსცა არაერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო [გ. ახვლედიანი, „ქართული მწერლობა",1928].

1907 წელს სილოვან ხუნდაძე უდიდესი მწუხარებით გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძეს, რომელთანაც აკავშირებდა ხანგრძლივი ურთიერთობა. ილიას ხსოვნას მიეძღვნა იმავე წელს ქუთაისში გამოცემული მისი ნაშრომები "ილია ჭავჭავაძის სახსოვრად" და "მკვლელები და მცველები". 1914 წელს კავკასიის სასწავლო ოლქმა ქუთაისის ქართული გიმნაზიის შესამოწმებლად მიავლინა თავისი ინსპექტორი კორიცკი. მას არ მოეწონა გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა და "ატესტატების სიმცირის" საბაბით გადაწყვიტა მათი რაოდენობის შემცირება. გიმნაზიის პედაგოგები, პირველყოვლისა - იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, აღაშფოთა მისმა თვითნებობამ. მეორე დღეს კორიცკის სამასწავლებლოში სილოვან ხუნდაძე შეხვდა და ხელი არ ჩამოართვა. ეს უთანხმოება გახდა გიმნაზიიდან მისი დათხოვნის მიზეზი [„სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", წიგნი I, 1953:251-253]. ხუნდაძე გიმნაზიას 1916 წლის დამლევს დაუბრუნდა.1917 წლის 17 მაისს ქუთაისში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში შედგა სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საორგანიზაციო საკითხები. კრების მონაწილეთა შორის იყო სილოვან ხუნდაძეც. სხდომაზე შეიქმნა "თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება" [ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1717, ფ. 44-61];

1919 წელს გარდაიცვალა იოსებ ოცხელი. გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა სილოვან ხუნდაძე. ამ მოვალეობას ასრულებდა იგი 1923 წლამდე. სილოვან ხუნდაძე გარდაიცვალა 68 წლის ასაკში. დაკრძალულია ქუთაისში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ქუთაისის ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის ეზოში დადგმულია მისი ბიუსტი.

გერასიმე ცაგარეიშვილი. ცნობილი პედაგოგი, დაიბადა 1864 წელს, სოფელ გოჩა-ჯიხაიშში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი 1883 წელს. ქუთაისის

გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1893 წელს დაასრულა. იმავე წელს იაკობ ფანცხავასთან ერთად ბათუმში გახსნა პირველდაწყებითი სკოლა პანსიონით და გაკვეთილების გასამეორებელი კლასებით; 1894 წელს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. აქ იგი წარმატებით ასწავლიდა რუსულსა და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას, არითმეტიკის სწავლებაც ეხერხებოდა; 1904-1905 სასწავლო წლიდან ქუთაისის სააზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა, გიმნაზია მალე გადაიქცა განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ კერად დასავლეთ საქართველოსათვის. გერასიმე ცაგარეიშვილი ყველა კულტურული დაწესებულების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო; ამავე დროს ის რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად; სილოვან ხუნდაძესთან ერთად იგი გიმნაზიის ინსპექტორად იქნა არჩეული და თანამდებობაზე დარჩა გიმნაზიის ტექნიკუმად გადაკეთებამდე; მან თავისი წვლილი შეიტანა სკოლის გაეროვნების საქმეშიც [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 9, საქმე 1535,ფ,45; 68-87.]. 1920 წელს გამოიცა მისი გეოგრაფიის სახელმძღვანელო; გარდაიცვალა 1927 წლის 14 დეკემბერს (63 წლის ასაკში) [„სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები 1955:243-247].

იასონ ნიკოლაიშვილი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ცნობილი პედაგოგი, იასონ ნიკოლაიშვილი (ბელზებელი) დაიბადა 1865წლის 24 მარტს. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1885 წელს დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაინიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის განყოფილების აღმზრდელად და გალობის მასწავლებლად სოფელ ძველ სენაკში. მომდევნო წლიდან იმავე სკოლაში ყველა საგნებს ასწავლიდა. ყოველ ზაფხულს მიდიოდა გურიაში და იქ ამხანაგებთან ერთად ეწეოდა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ მუშაობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი აბრეშუმის საუკეთესო თესლის შეძენისა და ხალხში გავრცელების საქმეში. სხვებთან ერთად ადგენდა სცენის მოყვარულთა დასს. ისინი მოგზაურობდნენ გურიაში და მართავდნენ წარმოდგენებს, ხოლო მიღებულ შემოსავალს ახმარდნენ სოფლის სამკითხველოებს და ფულად დახმარებას უწევდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს. 12 წელი მუშაობდა ძველ

სენაკში მასწავლებლად, შემდეგ გადავიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და ასწავლიდა მოსამზადებელ კლასებში, მოგვიანებით დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად უფროს კლასებში. აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის ყველა კულტურულ წამოწყებაში. სამწერლო ასპარეზზე 1889 წელს გამოვიდა. პირველი მოთხრობა "პერიას ოჯახში" დაიბეჭდა გაზეთ "ივერიაში", ამის შემდეგ განაგრძობდა წერას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1912 წელს გამოსცა "ქართული ენის მოკლე გრამატიკა". კარგად ერკვეოდა მუსიკაში. მის მიერ ნოტებზე გადაღებული სიმღერები საყმაწვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა. მისი საბავშვო სიმღერები, ნოტებზე გადაღებული, წლების მანძილზე ისწავლებოდა. დამოუკიდებლობის წლებში მოღვაწეობდა ქუთაისში, ასწავლიდა ვაჟთა II გიმნაზიაში. გარდაიცვალა თბილისში, 1941 წლის 2 მაიის, 76 წლის ასაკში. დაკრძალულია ახალი ვერის სასაფლაოზე [„სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები II, 1955:269-270].

სიმონ ოცხელი. ცნობილი პედაგოგი, მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელი, იოსებ ოცხელის ძმა. დაიბადა ქუთაისში, 1868 წელს. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1889 წელს. ორმოცდასამი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას: 1893-1905 წ წ. ასწავლიდა თბილისის მესამე ვაჟთა გიმნაზიაში; 1905-1921 წწ. ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში; 1921 წლიდან ქუთაისის სხვადასხვა სკოლასა და ტექნიკუმში; 1921-1924წწ. მეექვსე ცხრაწლედში; სამეურნეო-ეკონომიურ ტექნიკუმში; 1933 წელს იგი მიიწვიეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექტორად, სადაც 1937 წლამდე მუშაობდა. დამოუკიდებლობის წლებში მონაწილეობა მიიღო სკოლების გაეროვნების საქმეში; შეადგინა დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის ქართული სახელმძღვანელოები ალგებრაში, გეომეტრიაში, არითმეტიკაში, ფიზიკაში. პედაგოგიური მუშაობის გარდა მონაწილეობდა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებებში; მონაწილეობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში და ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების უშუალო მონაწილე იყო. ძმები სიმონ და იოსებ ოცხელების ხელმძღვანელობით ქუთაისში დაარსდა გამომცემლობები "განათლება" და "სკოლა", სიმონ ოცხელი გამომცემლობა "განათლების" მთავარი რედაქტორი იყო.

ნიკოლოზ შარაბიძე. ცნობილი პედაგოგი, კომპოზიტორი ნიკოლოზ შარაბიძე დაიბადა 1878 წელს. დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი 1900 წელს, პეტერბურგის სამეფო კართან არსებული სასიმღერო კაპელის რეგენტის კლასი 1902 წელს.

მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა საგუნდო სიმღერას და თეორიულ საგნებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიაში, სხვადასხვა სკოლასა და მუსიკალურ სასწავლებლებში; 1946 წლიდან ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში, 1923–1954წწ. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში; დაწერილი აქვს: საგუნდო ნაწარმოებები, საბავშვო სიმღერები, რომანსები, დამუშავებული აქვს ქართული ხალხური სიმღერები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ის აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში.

ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძე (დ. 24 ოქტომბერი (5 ნოემბერი), 1888, სოფელი ნიკორწმინდა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, — გ. 16 იანვარი 1975, თბილისი) — ქართველი პედაგოგი, გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1923), პროფესორი (1925), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1910 წელს დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტი (სორბონი), 1916 — ყაზანის უნივერსიტეტი. ალექსანდრე ჯანელიძე ქართული გეოლოგიის სკოლისა და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1911-1915 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისში; 1918-1920 წლებში — თბილისში. 1920-1923 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ (1920-1921 წლებში მუშაობდა გრენობლში ვ. კილიანის, 1921-1922 წლებში — პარიზში გუსტავ ემილ ოგის, ხოლო 1922-1923 წლებში — ჰალეში ი. ვალთერის ხელმძღვანელობით) [ზესაშვილი ვ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 538-539, თბილისი, 1987;].

1928-1946 წლებში — გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1925-1955 წლებში ალექსანდრე ჯანელიძე იყო მის მიერ დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი) დირექტორი. 1926-1929 წლებში იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია; 1941-1963 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე; 1951-1955 წლებში — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; 1941-1972 წლებში — აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. გარდაიცვალა 1975 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. გეოლოგიის ინსტიტუტის ეზოში დგას მისი ძეგლი. თბილისში არის ალექსანდრე ჯანელიძის ქუჩა.

პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე, ქართული ენის მასწავლებელი ქუთაისის I კლასიკურ გიმნაზიაში. 1918 წლის დეკემბერში განათლების სამინისტროსგან ის სომხეთთან დაწყებულ ომში წასვლის უფლებას ითხოვდა. პარმენ თვალჭრელიძის დეპეშა, განათლების სამინისტროსადმი გაგზავნილი ასეთია: გულს ვეღარ ვიკავებ, ჯარში ვეწერები, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ, გთხოვთ შეეკითხოთ მინისტრის ამხანაგს. პ. თვალჭრელიძე [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 468, ფ. 1].

დეპეშაზე ასეთი პასუხი მიიღო: "თქვენს ტელეგრამას ბ-ნმა მინისტრის ამხანაგმა შემდეგი რეზოლუცია დააწერა: ახალგაზრდობას, რომელიც სასწავლებელში სწავლობს, ისევე ჭირდება ხელმძღვანელნი, როგორც სამშობლოს დღეს მეომარნი. ვფიქრობ, ბ-ნი თვალჭრელიძე უნდა დარჩეს სასწავლებელში. დირექტორის მაგიერ ალ. მიქაბერიძე; საქმის მწარმოებელი ნ. ჩიმაკაძე. 30 დეკემბერი, 1918 წელი.

"1919 წლის 31 აგვისტოს საღამოს 6 საათზე თავის მამულში წყალწითელაზე უცნობმა ბოროტგანმზრახველებმა მოკლეს ჩემდამი რწმუნებული გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე.

გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ მისაბიშვილი [ფ. 6]", ამ დეპეშით სკოლის დირექტორი მის უეცარ დაღუპვას ატყობინებდა განათლების სამინისტროს. . მას არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, მაგრამ იყო კარგი პედაგოგი, სპეციალისტი და უფლებრივად გაუთანაბრეს უმაღლეს დამთავრებულ მასწავლებლებს. როგორც გიმნაზიის დირექტორი წერდა, მანამდე თვალჭრელიძე მუშაობდა მასწავლებლად ბეშნაგირის ერთკლასიან სასწავლებელში 1888-1889 წლებში. ხსენებული თვალჭრელიძე ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან 25 აგვისტოდან

1908 წლისა დროებით დაშვებული იყო ქართული ენის მასწავლებლად ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. ამავე საგნის შტატის მასწავლებლად ის დაამტკიცეს 1918 წლის 1 სექტემბრიდან სახალხო განათლების კანცელარიის დირექტორის მოწერილობით 14 სექტემბრიდან 1918 წლისა. ჰქონდა მოზდოკის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოწმობა 1888 წლიდან, რითაც მინიჭებული ჰქონდა სამოქალაქო და სამრევლო მასწავლებლობის წოდება. 2. კავკასიის სასწავლო ოლქის მოწმობა 1911 წლის ქართული ენის მასწავლებლის წოდების შესახებ. პარმენ თვალჭრელიძის მეუღლის - ლუბა ალექსის ასული თვალჭრელიძის თხოვნაში ვკითხულობთ, რომ დარჩა 4 შვილი : თამარი-19 წლის, მარიამი 16 წლისა, თინათინი (ოლიმპიადა) 14 წლის, არჩილი - 11 წლის. ამათგან თამარი სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში, მარიამი ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიაში, თინათინი თბილისის ქალთა გიმნაზიაში და არჩილი თბილისის რეალურ სასწავლებელში. ‘‘რა საშუალებით შემიძლია იმათი რჩენა და გამოზრდა იმ დროს, როდესაც მე დღეს აღარაფერი გამაჩნია ვალების მეტი. ადგილ–მამული, რომელიც წყალწითელაზე მქონდა, ქმრის სიცოცხლეშივე ჩამომართვეს და იმ დროზედ ვართ მისული მთელი ოჯახი, რომ ლამის შიმშილით დავიხოცოთ. მოგახსენებთ რა ამას, უმორჩილესად გთხოვთ მიშუამდგომლოთ ვისადმიც ჯერ არს, რომ დამენიშნოს სრული პენსია, რადგანაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლე შესწირა ქართული ენის მასწავლებლობას და დიდი ბრძოლა დასჭირდა ძველი რეჟიმის დროს, რადგან ქართულ ენას იმ დროში მკაცრად ეკიდებოდნენ.

ლუბა ალექსის ასული, ქვრივი თვალჭრელიძისა.15 ივნისი, 1920 წელი [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 468, ფ. 18].

ოლგა ვასილის ასული დოდაშვილი-მაღაროელი. ოლღა ვასილის ას. დოდაშვილი-მაღაროელი დაიბადა 1880 წლის 25 მაისს დუშეთში, იყო კოლეგიის მრჩევლის ქალიშვილი, მართლმადიდებელი ქრისტიანი’’. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი 1898 წელს, წარჩინებით. ამის შემდეგ ის შევიდა ამავე სასწავლებლის VIII კლასის ორწლიან კურსზე, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ მიიღო კერძო მასწავლებლის წოდება რუსულ ენაში, მშობლიურ ენასა და ღვთისმეტყველებაში. იყო კარგი პედაგოგი და მამულიშვილი, 1918 წლის ივლისში

განათლების სამინისტროს დაბალ სასწავლებლის გამგეს გიორგი ჭუმბურიძეს მან ასეთი შინაარსის თხოვნა წარუდგინა: „უმორჩილესად გთხოვთ დამნიშნოთ თბილისის რკინიგზის დაბალ სასწავლებლის მასწავლებლის ადგილზე. მე გავათავე ქუთაისის ქალთა გიმნაზია, 4 წლის განმავლობაში ვმასწავლებლობდი ქუთაისის კერძო დაბალ სასწავლებელში, ხოლო ათი წელი ბაქოს საბჭოს სხდომის ნავთის მრეწველობის სკოლაში. გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, გამოვეშურე სამშობლოსაკენ, რათა აქ მემსახურა ჩემი ერის საკეთილდღეოდ" [სცსსა, ფ. 1935, აღწერა 2, საქმე 353]. მთავარგამგე, როგორც გამოცდილ მასწავლებელს, მას რეკომენდაციას აძლევდა დანიშნულიყო შესაბამის ადგილზე. [იქვე].

მარიამ ვარდოსანიძე

ქუთაისის ქალთა წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის ცნობილი მასწავლებელი იყო მარიამ ვარდოსანიძე. [სცსსა, ფონდი 1935, აღ. 2, საქმე 398]. დაიბადა ქ. ქუთაისში, 1864 წელს. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი 1883 წელს, შემდეგ დამატებითი მერვე კლასი 1884 წელს და მიიღო მასწავლებლის წოდება. 1884-1886წწ. ქუთაისის ერთ-ერთი კერძო სკოლის მასწავლებელია; 1986 წელს სკოლა სამრევლო სკოლად გადაკეთდა და იგი აქ 1894 წლამდე მუშაობდა; 1894-1904წწ. იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში მუშაობს; 1904-1906წწ. ქუთაისის ქალაქის ერთკლასიანი სკოლის გამგე-მასწავლებელია; 1906-1919წწ. ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის გამგე; 1919-1921წწ. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის უფროსი; 1921-1923წწ. ქუთაისის მე-12 შრომის სკოლის გამგე; 1923-1928წწ. ქუთაისის პირველი ოთხწლიანი შრომის სკოლის გამგე. იგი მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლებს აყვარებდა და მათ სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს უნერგავდა. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, სხვა მუშაკებთან ერად შეუდგა საკვირაო სკოლების ორგანიზაციის საქმეს. 1891-1914წწ. იყო ქუთაისის პირველი საკვირაო სკოლის შეუცვლელი გამგე. სკოლის სასარგებლოდ სისტემატურად მართავდა საღამო-კონცერტებს, წარმოდგენებს, კერძო პირებისგან აგროვებდა შემოწირულობებს და ასეთი საშუალებებით საკვირაო სკოლას არსებობისთვის საჭირო პირობებს უქმნიდა. დამოუკიდებლობის წლებში მან დიდი

როლი ითამაშა სკოლების გაეროვნების, განათლების რეფორმის გატარების საქმეში. გარდაიცვალა 1943 წელს, 79 წლის ასაკში].

ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო თბილისის ვაჟთა მე-7 გიმნაზიის მასწავლებელი.

ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე (დ. 4 იანვარი/16 იანვარი, 1866, სოფელი ნოღა, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი — გ. 24 ივნისი, 1919, თბილისი) — ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაადგა მასწავლებლობის რთულ გზას. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო წყალტუბოს სკოლაში, სადაც 3 წელი დაჰყო, რის შემდეგ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს. 1908 წელს დააარსა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი „განათლება", რომელსაც რედაქტორობდა 1908-1918 წლებში. 1890-იდან გარდაცვალებამდე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თვალსაჩინო წევრი. ბოცვაძეს ეკუთვნის 350-მდე პედაგოგიური ნაშრომი და სტატია, სასწავლო პროგრამები სახალხო სკოლებისათვის. ბოცვაძის პედაგოგიური შეხედულებების საფუძველია ხალხურობის იდეა: საყოველთაო სავალდებულო და უფასო სწავლება ყველა ბავშვისათვის; ქალისა და ვაჟის თანასწორი განათლება; სწავლება რეალური, ცხოვრების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; მშობლიური ენის მთავარი ადგილი სწავლებაში; პატრიოტიზმისა და შრომისმოყვარეობის აღზრდა; რუსული ენის სწავლება რუსული და ევროპული კულტურის დაუფლებისათვის. ბოცვაძე აკრიტიკებდა „თავისუფალი აღზრდის" თეორიას; აღზრდა მიაჩნდა ორგანიზებულ, მიზანმიმართულ პროცესად, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გონებრივსა და მორალურ აღზრდას, მაგრამ ვერ ითვალისწინებდა მორალის კლასობრივ არსს და შეცდომით ქადაგებდა ერთნაირ ზნეობრივ ნორმებს კლასობრივი საზოგადოების ყველა წევრისათვის, აღზრდის მთავარ საშუალებად ბოცვაძეს მიაჩნდა შრომა; შრომითი აღზრდის მიზანი, მისი აზრით, პროფესიული მომზადება კი არ იყო, არამედ აღსაზრდელის შრომითი ჩვევების, შრომის უნარის გამომუშავება. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ბოცვაძე წამყვან როლს ანიჭებდა სკოლას. მან გააკრიტიკა

მაშინდელი სკოლა, წამოაყენა ახალი სკოლის პრინციპები: სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, სწავლების საერო ხასიათი, სკოლისა და ოჯახის კავშირი აღზრდის საქმეში, მასწავლებლის წამყვანი როლი აღზრდისა და სწავლების პროცესში, მასწავლებლის მუშაობის ჰუმანური მეთოდები. ბოცვაძე სწავლებისა და განათლების თეორიაში კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის მიმდევარი იყო. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მასთან პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე — ნინო იოსების ასული ბაქრაძე (დ. 1883, თბილისი — გ. 5 სექტემბერი, 1971, იქვე).

პეტრე ჩარექიშვილი, ცნობილ პედაგოგებს შორის იყო პეტრე ჩარექიშვილი, 1883 წელს დაბადებული, დაასრულა ქუთაისის 6-კლასიანი სასწავლებელი, 1899 წელს შევიდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტში, 1903-1907 წლებში მასწავლებლად მუშაობდა ქუთაისის 6კლასიან სასწავლებელში, ხელმძღვანელობდა ამავე სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კურსებს, მონაწილეობდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რის გამოც 1907 წელს დააპატიმრეს და საქართველოდან გაასახლეს. მოღვაწეობა გააგრძელა განჯაში, აქაურ 6 კლასიან სასწავლებელში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და პარალელურად სიმწიფის ატესტატზე გამოცდა ჩააბარა. 1910 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი. მიიწვიეს მოსკოვის გერმანულ სკოლაში გამგის თანამდებობაზე, 1916 წელს დაბრუნდა საქართველოში და თბილისის სკოლებში მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად; 1917 წელს აირჩიეს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად. დამოუკიდებელ საქართველოში ეს თანამდებობა გაუქმდა და 1918-1920 წლებში პეტრე ჩარექიშვილი ჯერ თბილისის წმინდა ნინოს გიმნაზიის დირექტორი იყო, შემდეგ კი თელავის წმინდა ნინოს გიმნაზიისა. [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1414, ფ.1-24].

სიმონ გაჩეჩილაძე. ცნობილი პედაგოგი, სიმონ გაჩეჩილაძე ლანჩხუთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში ქართულ ენას, გეოგრაფიასა და ისტორიას ასწავლიდა. გაჩეჩილაძეს ქუთაისის ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და გაიარა 5 სემესტრი საქართველოს სახ. უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკ-ზე. ლანჩხ. ქალთა

გიმნაზიის დირექტორი ფხაკაძე მას ახასიათებდა როგორც ნიჭიერსა და დისციპლინიან მასწავლებელს, საგნის მცოდნეს, რომელსაც დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული როგორც მოსწავლეებს, ასევე პედაგოგთა შორის. [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 231, ფ. 1-7].

მელიტონ ჩეჩელაშვილი. გეომეტრიის მასწავლებელი., ასწავლიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. როგროც პედაგოგს, მელიტონ ჩეჩელაშვილს (დაბადებულს 1888 წელს) ასე ახასიათებდა რეალური სასწავლებლის დირექტორი: "მცოდნე და გამოცდილი მასწავლებელია, საქმის ერთგული, კეთილსინდისიერად აღმსრულებელი თავის მოვალეობის, ენერგიით სავსე და დაუღალავი მუშაკი. მან სასურველ ნიადაგზე დააყენა თვალსაჩინო გეომეტრიის სწავლება, მოაწყო ამ საგნის პრაქტიკული მეცადინეობა და სულ ცოტა ხანში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია" [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1426, ფ. 12].ის ასწავლიდა სოფელ ჯურყვათსა და ზედა მაღლაკში. უმაღლესი არ დაუმთავრებია, მაგრამ ჩააბარა სხვადასხვა გამოცდა, გაიარა კურსები და 1919 წლის 1 ნოემბრის თარიღით დაინიშნა ქუთაისის რეალურ სასწავლებელთან არსებულ უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის თვალსაჩინო გეომეტრიის მასწავლებლად [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1426, ფ. 14]. მას ჰქონდა საჩვენებელი გაკვეთილები და დიდი ავტორიტეტი პედაგოგთა და მოსწავლეთა შორის.

პეტრე ჭაბუკიანი . 1918-1921 წლებში პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა შემდეგში ცნობილი მხარეთმცოდნე, გეოგრაფი, სათაფლიის მღვიმის აღმომჩენი და მუზეუმის გამგე - პეტრე ივნეს ძე ჭაბუკიანი(1889-1982). ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში 1919 წლის სექტემბერში ის გეოგრაფიის შტატის მასწავლებლად დაინიშნა. მის შესახებ გიმნაზიის დირექტორი შ. მხეიძე წერდა: "პეტრე ჭაბუკიანი არის მეტად ბეჯითი და შესაფერისად მომზადებული მასწავლებელი: ის სახელოვნად შრომობს ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოზარდ თაობის სწავლა-განათლების საქმისათვის" [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1539, ფ.7].

პეტრე ჭაბუკიანი დორპტის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ I მსოფლიო ომში გაიწვიეს, სადაც ტყვედ ჩავარდა და განათლების ცენზის აღმნიშვნელი საბუთები დაკარგა, რის გამოც მას დაბრკოლებები შეექმნა პედაგოგის შტატში ჩარიცხვისას.

თუმცა, განათლების სამინისტრომ მხედველობაში მიიღო მისი წერილობითი განცხადება ამის თაობაზე და მასწავლებლის სრული განაკვეთი მისცა.

ალექსანდრე გერსამია. საღვთო სჯულის მასწავლებელი, სასულიერო პირი, შემდეგში წილკნელი ეპისკოპოსი. დაიბადა 14 აპრილს, 1865 წელს, ქუთაისის მაზრის სოფელ გადიდში, მღვდლის ოჯახში. 1878 წლიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ 1882 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. ორივე სასწავლებელში მასთან ერთად სწავლობდა მომავალი კათოლიკოს–პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

1886 წელს ალექსანდრე მესტიის სამრევლო–საეკლესიო სასწავლებელში მასწავლებლად დაინიშნა. ამავე პერიოდში დაოჯახდა თეოლინა პავლეს ასულ ბერუჩაშვილზე და მათ შეეძინათ სამი შვილი. 1890 წელს ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა იგი დიაკვნად აკურთხა და მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დანიშნა. 1891 წელს ამავე ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი და ლაილაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1893 წელს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს და ცაგერის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. მასვე დაევალა ლეჩხუმ–სვანეთის სამრევლო–საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა და იმერეთის საეპარქიო საბჭოს ლეჩხუმის განყოფილების თავმჯდომარეობა. 1895 წლის აღდგომას მეუფე გრიგოლმა საგვერდულით დააჯილდოვა, 1900 წლის 6 მაისს სკუფია უბოძეს, ხოლო 1904 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.1900 წლიდან მღვდელი ალექსანდრე "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ნამდვილი წევრია, ხოლო 1912 წლიდან საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი. "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრობაზე მისი თავმდებნი იყვნენ: გრ. ყიფშიძე, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, პ. მირიანაშვილი. 1906 წლიდან მღვდელი ალექსანდრე ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია და პარალელურად ქუთაისის საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში საღვთო სჯულს ასწავლის. 1911 წლის 6

მაისს მამა ალექსანდრე სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1916 წელს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1918-1919 სასწ, წელს საღვთო სჯულს ასწავლიდა ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიაში. 1920 წლის 27 ივნისს დეკანოზი ალექსი, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებას ესწრებოდა. 1925 წელს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ბერად აღკვეცის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ამბროსიმ, ნინოწმინდელი მიტროპოლიტის კალისტრატეს, წილკნელი ეპისკოპოსის პავლესა და და ბოდბელი ეპისკოპოსის სტეფანეს თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ცაგერის ეპარქიის მმართველად დაადგინა. ეკლესიისათვის უმძიმესი წლები იდგა. სვანეთში ჩასულ მღვდელმთავარს ადგილობრივი ხელისუფლება მტრულად დახვდა. მეუფე ალექსი იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო და იქიდან ემართა ეპარქია. 1928 წელს კათოლიკოს–პატრიარქმა ქრისტეფორემ ეპისკოპოსი ალექსი ჭყონდიდის ეპარქიაში გადაიყვანა და მასვე ჩააბარა ბათუმ–შემოქმედის ეპარქიაც. 1930 წელს ეპისკოპოსი ალექსი წილკნის ეპარქიაში დაინიშნა. გასული საუკუნის 30–იან წლებში, როცა მრავალმა სასულიერო პირმა გაიხადა ანაფორა და საერო სამსახურში გააგრძელა მოღვაწეობა, მეუფე ალექსი ერთ–ერთი იყო მათ შორის, ვისაც არ უღალატია თავისი რწმენისა და საქმისათვის და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა დედაეკლესიას. წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი 1938 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა. წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა კალისტრატემ. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

ოლღა შარაბიძე. ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზიაში (დირექტორი დ. ქუთათელაძე) ხელსაქმის შტატის მასწავლებელი იყო ოლღა იოსების ას, შარაბიძე, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც პედაგოგთა შორის, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით. ახალგაზრდა პედაგოგი (დაბად.1898 წ.) ძალას არ ზოგავდა პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით, 1917 წელს იყო პეტროგრადში საზოგადოება „ბაგატირის" საგიმნასტიკო ინსტიტუტში, ასევე გაიარა ხელსაქმის კურსები. ქალთა II გიმნაზიასთან ერთად დაინიშნა საზ-ბა

„სინათლის ქალთა გიმნაზიაში ხელსაქმის მასწავლებლად”. [სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1368, ფ.1-12].

ტროფიმე შარაშიძე. ოზურგეთის სახალხო სკოლების ინსპექტორი ი. ფერაძე გამორჩეულად ახასიათებს ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ტროფიმე დავითის ძე შარაშიძეს, რომელიც ბათუმის მეორე ქართული სკოლის გამგე იყო 15 წელი, 1918 წლის 1 იანვრიდან კი გადაიყვანეს მისსავე სასწავლებელთან გახსნილ უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის გამგედ და შტატის მასწავლებლად. ოსმალთა მიერ ბათუმის აღების შემდეგ ის დანიშნეს ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად”[სცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1373, ფ.1-12].

1919 წლის 9 ოქტომბერს პარლამენტარმა ქრისტინე შარაშიძემ დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის კრებაზე გააკეთა კერძო მოხსენება სიღნაღის მაზრის სკოლებისა და მასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. მოსწავლეთა რაოდენობას სკოლებში ვეღარ იტევენ, თქვა მან, - მასწავლებლები დაბალცენზიანი არიან, მატერიალურად დიდ გაჭირვებას განიცდიან, ერთი მასწავლებელი შიმშილითაც კი მოკვდაო. პავლე ბიულმაც გაახსენა კრებას თბილისის მაზრის სხვა სკოლაში მომხდარი ამგვარივე ამბავი. კრების დადგენილებით ქრისტინე შარაშიძე გაიგზავნა სიღნაღის მაზრაში, რათა სკოლების სასარგებლოდ მუშაობა გაეშალა, „აემოძრავებინა ადგილობრივი ძალები და პედაგოგიური პერსონალი”, შეესწავლა ყველა საზოგადო და კერძო შემთხვევა და საჭირო ცნობები მიეწოდებინა სიღნაღის სამაზრო ერობისათვის [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 283, ფ.8].

თავი V.

საქართველოს გარეთ არსებული ქართული სკოლები 1918-1921 წლებში

განათლების სამინისტრო არ ივიწყებდა იმ რაიონებსაც, რომლებიც დროებით სამშობლოს იქნა მოწყვეტილი. ამ მიზნით, მან თავისი რწმუნებული გაგზავნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ადგილობრივი სკოლების მუშაობის შესასწავლად და მათი დახმარებისათვის ღონისძიებების მისაღებად.

მას შემდეგ, რაც 1919 წლის გაზაფხულზე აჭარა-ბათუმის ოლქთან ერთად, თურქებმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაც დაიკავეს, ყველა ადგილობრივი დაწესებულება გააუქმეს, მათ შორის ქართული სკოლების მდგომარეობაც კრიტიკული გახდა.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რომ აქაური სკოლების მასწავლებლები არ დაეტოვებინა საზაფხულო ჯამაგირებისა (1918 წ.) და სალიკვიდაციო ფულის გარეშე. სამინისტრო ამ თანხების გაცემას ბიუჯეტიდან ვერ ახერხებდა, რადგან ეს ტერიტორია სახელმწიფოს ფარგლებში აღარ შემოდიოდა, ამიტომ აქაურ პედაგოგებს ძალიან გაუჭირდათ 1918-1919 სასწავლო წლისათვის, მომდევნო წელს, კი, როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" არ ნიშნავდა, ახალციხე უკვე საქართველოს ტერიტორიული კუთვნილება გახდა. ამიტომ, იქაურ მასწავლებლებს უნდა მიეღოთ როგორც სალიკვიდაციო თანხები, ისე ის დანამატები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით გადაეცათ პედაგოგებს. განათლების მინისტრი მთავრობის წინაშე შუამდგომლობდა ახალციხის სკოლებისათვის დამატებითი თანხების გამოყოფას [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. №101]

ამასთანავე, ითხოვდა ქართველ მასწავლებლებს ახალქალაქის მაზრის სკოლებისათვის. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ უპირატესობა ქალებს მიეცემოდათ [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. 14 იანვარი,№1].

1919 წლის 6 მარტს ქ. ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კუთხეში ეროვნული სულისკვეთების გასაძლიერებლად.

მთავრობამ ამ საქმისათვის გამოჰყო 100 000 მანეთი [სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ. 9].

გიმნაზიის გახსნას ხელმძღვანელობდა სამუსულმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება, რომელმაც 1919 წლის იანვარში ქართულ პრესაში გაავრცელა მიმართვა მასწავლებლებისადმი, რომელსაც ხელს აწერდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული - ი, თევზაძე.

მიმართვაში სათანადო პირობების გაუმჯობესებას სთავაზობდნენ იმ პედაგოგებს, რომლებიც ბათუმის გიმნაზიაში წავიდოდნენ სამუშაოდ. აჭარის სკოლებს მთავრობა ზაფხულის ხელფასების მიღებაშიც დაეხმარა [გაზეთი „სახალხო საქმე", 1919 წ. 23 იანვარი, №438].

საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით, ბათუმში გაიხსნა ქალთა გიმნაზიაც [გაზეთი „სახალხო საქმე", 1919 წ. 9 თებერვალი, №453].

განათლების სამინისტროს 10 მილიონიანი ფონდიდან დიდი ნაწილი სწორედ იმ რაიონების ქართულ სკოლებს ერიცხებოდა, რომლებიც ქვეყნის გარეთ მდებარეობდა და მეტად ძნელ, ხშირად მტრულ გარემოცვაში უხდებოდა მუშაობა.

1918 წლის 7 ოქტომბერს (ბრძანება№10268) სახალხო განათლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის სახალხო კონტროლს ახალციხის ქართული, საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებისათვის წლიურად 19200 მანეთი გამოეყო, კონტროლის თავმჯდომარე დაეთანხმა განათლების სამინისტროს ამ თხოვნას და ფინანსთა მინისტრს ამ თანხის გამოყოფის ნება დართო [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.. 1, საქმე 598, ფ. 67-68].

ფინანსთა მინისტრი საქართველოს მთავრობის საქმეთა სამმართველოში გაგზავნილ დოკუმენტში აღნიშნავდა, რომ ახალციხის სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აქაური მოსახლეობისათვის და ამიტომ მიაჩნდა საჭიროდ მისთვის ყოველწლიური დახმარების გამოყოფა ხაზინიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.. 1, საქმე 598, ფ. 69].

განათლების სამინისტრო კურირებდა ყველა იმ რაიონის სკოლას, რომლებიც დროებით საქართველოს იყო მოწყვეტილი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ მათი უკან დაბრუნება აუცილებელი იყო. მათ შორის შედიოდა

სოჭის ოლქიც. 1917-1918 სასწავლო წელს ეს ოლქი ტუაფსეს რაიონის სახალხო სკოლების ინსპექციას ემორჩილებოდა და საჭირო კრედიტსაც ტუაფსეს ხაზინიდან იღებდა. სოჭის რაიონში ამ დროს უმძიმესი პოლიტიკური პირობები შეიქმნა. იგი ჯერ ბოლშევიკებმა დაიკავეს, შემდეგ დენიკინის მოხალისეთა ძალებმა, მოხალისეთა უკანდახევის შემდეგ კი, იქ ქართული ჯარი შევიდა. საქართველოს მთავრობამ აუცილებლად ჩათვალა ამ ისტორიულად ქართული ტერიტორიის შემომტკიცება და ერთიანი საქართველოსთვის შემოერთება.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სოჭის რაიონი ტუაფსეს ოლქს გამოეყო, გაუქმდა ტუაფსეს განათლების ინსპექცია და შეიქმნა საკუთრივ სოჭის საქალაქო ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა თბილისის სასწავლო კომისარიატთან კავშირის დასამყარებლად. თბილისიდან განკარგულება კრედიტის გაცემაზე და სოჭის ოლქის სკოლების დახმარებაზე დაგვიანდა, ამის შემდეგ კი, 1918 წლის თებერვალში, ეს ოლქი ბოლშევიკებმა დაიკავეს, აქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს და სკოლების ხარჯიც საკუთარ თავზე აიღეს.

1918 წლის აპრილში მათ გასცეს სასკოლო კომიტეტის გაუქმების განკარგულება, მაგრამ როდესაც ეს მთავრობა დაეცა, ხელახლა აღდგა სასკოლო კომიტეტიც და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლების, ნოე რამიშვილის, მთავრობის კომისრის, ფერაძის და გაერთიანებულ სპეციალისტთა საბჭოს თანხმობით - საქართველოს განათლების სამინისტრომ ხელახლა აიღო საკუთარ თავზე სოჭის ოლქის სასკოლო საქმეებზე ზრუნვა, მანამ, სანამ საბოლოოდ არ მოეწყობოდა საერთო-სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 95].

1918 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვიდა სოჭის ოლქის სასკოლო კომიტეტის წარმომადგენელი ი. აბულაშვილი, რომელსაც განათლების მინისტრმა სიტყვიერად აღუთქვა დახმარება, მანამდე ურჩია სასკოლო კომიტეტის მუშაობის გაგრძელება, სანამ საქართველოს განათლების სამინისტროდან ახალ ბრძანებას არ მიიღებდა. განათლების სამინისტროს სოჭის სასკოლო კომიტეტთან კავშირი ჰქონდა მიწერ-მოწერითა თუ სხვადასხვა პირთა საშუალებით.

სოჭის ოლქის სასკოლო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს განათლების სამინისტროს წინაშე მასწავლებელთა ხელფასების გაცემისა, სკოლების სამეურნეო ხარჯების, სიძვირის გამო ხელფასების დამატებისა და სხვა პრობლემების შესახებ. სულ მოითხოვა 192880 მანეთი, რაც გადაეცა კიდეც [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 96].

ქართული ეროვნული საბჭო მდებარეობდა ქალაქ ტუაფსეში, რომლის თავმჯდომარე, ბარათაშვილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს უგზავნიდა თხოვნას, იქაური ქართული სკოლისათვის მასწავლებელი გაეგზავნათ, რომელიც მუდმივად იცხოვრებდა ტუაფსეში და ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას გასწევდა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 176, ფ. 6].

1918 წლის აგვისტოში, ამავე საბჭოს ინიციატივით, ტუაფსეს ოლქში შექმნილი სახალხო განათლების საქმეთა მმართველობის დროებითი კომისარიატი თხოვდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს, რომ გაეღო ხარჯები ტუაფსეს ქართული სკოლის შესაკეთებლად, ასევე, მის უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

ამასთან, აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკების მიერ ტუაფსეს დაკავებამ და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მძიმე ეკონომიკური პირობები შექმნა ქართველი მასწავლებლებისათვის, სთხოვდა მინისტრს, რომ მათ ეკონომიკურად დახმარებოდა სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 176, ფ. 5].

განათლების სამინისტრომ მთავრობის მიერ გამოყოფილი 10 მილიონიანი ფონდიდან 100 000 მანეთის კრედიტი გაუხსნა სოჭის ოლქის სკოლებს [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 27, ფ. 38].

სამწუხაროდ, ეს თანხა ქაღალდზე დარჩა, რადგან პოლიტიკური სიტუაცია სოჭის ოლქსა და გაგრის რაიონში უკიდურესად დაიძაბა. ჯერ დენიკინმა დაიკავა სოჭი და გაგრა, მაგრამ მოხალისეების ჯარი იქიდან ქართულმა არმიამ განდევნა, მან არა მარტო სოხუმისა და გაგრის რაიონი, არამედ სოჭიც დაიკავა, მდინარე მეხადირიდან ბზიფამდე და ბზიფს აქეთ ტერიტორიას მთლიანად საქართველოს რესპუბლიკა აკონტროლებდა., როდესაც ინგლისელები ჩაერივნენ უკიდურესად გამწვავებულ სიტუაციაში, რომელსაც დენიკინი ქმნიდა, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა.

დენიკინისა და ინგლისელი გენერლების მოთხოვნით, ქართულმა ჯარმა დროებით უკანდახევა ამჯობინა, სოჭის ოლქი დროებით ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა, რომელსაც ინგლისელთა ან იტალიელთა ძალები გააკონტროლებდნენ. გენერალი დენიკინი კი ცდილობდა, ეს რაიონი კვლავ ეკატერინოდარისთვის მიეერთებინა.

განათლების სამინისტროსადმი ფინანსთა მინისტრის მიწერილობიდან ჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესაც მოსვლია დეპეშები ამ რაიონიდან, აქაური მოსახლეობა ითხოვდა, რომ ეკატერინოდარის სახაზინო პალატის ნაცვლად, საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადმოეყვანათ. მთავრობის თავმჯდომარე, პოლიტიკური სიტუაციის გარკვევამდე, ამ საკითხის გადაწყვეტას აყოვნებდა, ამიტომ ფინანსთა სამინისტრომაც ვერ შეძლო მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება - სოჭის ოლქის სკოლებისათვის ფულადი დახმარების მიცემა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 99].

1918 წლის პირველი აპრილიდან, აზერბაიჯანმა დაიკავა საქართველოს ძველი კუთხე - საინგილო. დახურეს ქართული სკოლები: ერთი ორკლასიანი ვაჟთა გიმნაზია, ქალთა სკოლა და ოთხი ქალ-ვაჟთა სამრევლო სკოლა, სულ ექვსი სასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში გაურკვეველი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა მთავრობისაგან საინგილოს ქართული სკოლების დასახმარებლად 20 250 მანეთის გამოყოფა მოითხოვა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 125], რაზედაც სახელმწიფოს კონტროლის პალატამ თანხმობა განაცხადა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 127].

დახმარება მიიღეს საინგილოს შემდეგმა ქართულმა სკოლებმა: კახის ქალთა, ალიბეგლოს, ქოთოკლის, ეშაბაშის, ყორაღანის (კახში ორი ქართული სკოლა იყო) [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59, ფ. 130].

განათლების სამინისტროში განუწყვეტლად შედიოდა იმ მასწავლებელთა განცხადებები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ მუშაობდნენ. ისინი საქართველოს მთავრობისაგან ითხოვდნენ პენსიებს და იმ წლების ჩათვლას სამსახურში ხუთწლიანი დამატებისა და პენსიის მისაღებად, რაც საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სკოლებში იმუშავეს [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. №130].

სამინისტრომ, ამ საკითხის გადასაწყვეტად, შეადგინა საგანგებო კომისია, რომელიც თითოეულ შემოსულ განცხადებას იხილავდა [გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა'', 1919 წ. №93].

.

თავი VI.

„საფროფესიო-სატეხნიკო“ და სხვა სპეციალური სასწავლებლები 1918-1921 წლებში

დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია სპეციალისტების აღზრდას და პროფესიული სასწავლებლების დაარსებას. ბევრი ახალგაზრდა პროფესიული ცოდნის შესაძენად საზღვარგარეთ იგზავნებოდა მთავრობის სტიპენდიით. ხაზინიდან ამ მიზნის განსახორციელებლად სპეციალური თანხა გამოიყო 1 მილიონი მანეთის სახით [სცსსა ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 5, ფურც. 1-59].

პროფესიული განათლების პრობლემაზე სპეციალურად იმსჯელა 1918 წლის 3 დეკემბერს მოწვეულმა განათლების სამინისტროს საბჭომ.

სხდომას ესწრებოდნენ: განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი, მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) ალექსანდრე მდივანი, დაბალ სკოლათა მთავარგამგე გიორგი ჭუმბურიძე, კანცელარიის დირექტორი ვუკოლ ბერიძე, მდივანი კონსტანტინე აბაშიძე.

მოხსენება გააკეთა ალექსანდრე მდივანმა. შესავალშივე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური განათლება სრულიად განუვითარებელი იყო. სულ რამდენიმე სპეციალური სკოლა არსებობდა და ისიც დაბალი დონისა. არ იყო დარგის ასაღორძინებლად საჭირო კადრები, არც ორგანიზატორი ჰყავდა ამ დარგს და არც მომზადებულ მასწავლებელთა კონტიგენტი. სამინისტროს მიაჩნდა, რომ საამისოდ სათანადო ზომები სასწრაფოდ უნდა გატარებულიყო, ვინაიდან „განახლებულ პოლიტიკურ ცხოვრებას ესაჭიროებოდა პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილი ხალხი”.

მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტები -ერობები და საქალაქო თვითმმართველობები ამ საქმის განხორციელებაში დიდ წვლილს შეიტანდნენ. ისინი შეარჩევდნენ ყველა რეგიონისთვის საჭირო პროფესიონალური სკოლების ტიპს და განათლების სამინისტროს დახმარებით სათანადო კადრების შერჩევასაც შეძლებდნენ. უცხოეთში

გასაგზავნ ახალგაზრდობასაც ისინი შეარჩევდნენ და რეკომენდაციას გაუწევდნენ მთავრობის წინაშე.

განათლების სამინისტროს აღნიშნულმა სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. ეცნობებინათ ერობებისათვის, რომ შეერჩიათ ადგილობრივად საჭირო საპროფესიო სკოლების ტიპი და, საზოგადოდ, წამოეყენებინათ საპროფესიო განათლების შესახებ თავიანთი მოსაზრებანი;

2. შემუშავებულიყო მოხსენება უცხოეთში პროფესიონალური განათლების მისაღებად ახალგაზრდობის გაგზავნისათვის და ეს მოხსენება წარდგენილიყო მთავრობასა და დამფუძნებელ კრებაში;

3. გადაკეთებულიყო ბორჯომის სახელოსნო სკოლა საშუალო-ტექნიკურ სკოლად, გარდა ამისა, გარკვეულიყო თუ რა სახოს პროფესიონალური სკოლების გახსნა იყო შესაძლებელი მომავალი სასწავლო წლიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 27, ფ. 9].

პროფესიული სკოლების დაარსებასა და მისი ფართო ქსელის შექმნის აუცილებლობაზე საუბარია ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტის - მიხეილ თაქთაქიშვილის წერილში - „სპეციალური სკოლა", რომელიც გაზეთ „საქართველოში" გაგრძელებებით დაიბეჭდა [გაზ. „საქართველო", 1920 წლის 17 იანვარი, №7].

პედაგოგი-პუბლიცისტი აანალიზებდა ამ ტიპის სკოლების ისტორიას საქართველოში და მისი არსებობის სიმცირეს ხსნიდა სხვადასხვა მიზეზით. მთავარ მიზეზად რუსულ საგანმანათლებლო პოლიტიკას მიიჩნევდა და წერდა:

1. რუსული სკოლა არ იყო აგებული თავისუფალი სკოლის პრინციპებზე , მას ყოველთვის პოლიტიკური მიზნები ედო საფუძვლად, რაც აფერხებდა სკოლის განვითარებას;

2. რუსული - ტოლსტოისა და დელიანოვის (რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრები იყვნენ) სკოლა არ იყო სახალხო, მისი მიზანი სახელმწიფო მოხელეების მომზადება იყო, სკოლა იყო წოდებრივი, სადაც თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილებისათვის იყო გაადვილებული შესვლა;

3. მასწავლებელი დაჩაგრული იყო, როგორც უფლებრივად, ასევე ნივთიერად, არჰყოფნიდა არც განათლება და არც პრინციპულობა, შეწინააღმდეგებოდა უვარგის სასწავლო სისტემას;

4. ამას ემატებოდა სკოლის სიღარიბე. 150-200 მილიონიანი რუსეთის განათლებისათვის მცირე ხარჯები იყო გამოყოფილი, პოლიტიკური ცხოვრების დანგრევის შემდეგ ეს სკოლაც დაინგრა.

საქართველოში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო, საერთო განათლების უვარგისობას აქ ემატებოდა რუს მოხელეთა ნაციონალური შოვინიზმი, სკოლა იყო უსახსრო, უინვენტარო და ა. შ. სპეციალური სკოლა კი უფრო მეტ ინვენტარსა და ფინანსებს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი.

მიხეილ თაქთაქიშვილი ქართული სპეც. სკოლის ჩამორჩენის ასევე 4 მიზეზს გამოყოფდა: 1. ნახევარი საუკუნის მანძილზე სკოლების ჩამორჩენა. რაც ხელს უშლიდა სპეციალური სკოლების დაარსებას; 2. სპეციალური სკოლებისათვის საჭირო მასწავლებლების სიმცირე; 3. პოლიტიკური ტენდენციის გამო სპეციალური სკოლის პროგრამაში შეტანილი ზოგიერთი საგნის ზედმეტ ტვირთად გახდომა მოწაფეთათვის; 4.ნივთიერი სიღარიბის გამო სპეციალური სკოლების უვარგისობა [გაზ. „საქართველო", 1920 წლის იანვრის 18, №8].

§ 1. სასოფლო-სამეურნეო და კომერციულ-ტექნიკური სასწავლებლები

დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში 4 სამეურნეო სასწავლებელი იყო: ერთი ქუთაისში, ორი თბილისში და ერთი წინამძღვრიანთკარში. ყველა ეს სასწავლებელი ითვლებოდა კერძო სკოლად. ამის გარდა, იყო პრაქტიკული სკოლა საქარაში და თბილისში- ბოტანიკურ ბაღთან. სკოლები ისეთ უმწეო მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ, რომ არსებობა უჭირდათ. თბილისში მთავრობის განკარგულებით დაიკეტა საბაღოსნო სკოლა. მიზეზი ისიც იყო, რომ სკოლის პროგრამა აღარ შეეფერებოდა ახალ მოთხოვნებს ამგვარ სასწავლებელთა მიმართ. სკოლა მოურავებსა და მებაღეებს ამზადებდა. არსებული სასოფლო-სამეურნეო სკოლები ახალი ტიპის სასწავლებლებად გადაკეთდა. ამგვარ სკოლებში, ისევე როგორც ზოგადად, იყო ბევრი პრობლემა, უპირველესი კი მაინც

პროფესიონალი პედაგოგების საკითხი იყო, რომლებსაც ქართულ ენაზე შეეძლებოდათ გაკვეთილების ჩატარება. ეს პრობლემა იმდენად მწვავედ იდგა, რომ მთავრობას უჭირდა მისი მოგვარება ადგილობრივი კადრების არარსებობის გამო. პრობლემა იყო ფინასური საკითხიც, რისთვისაც ისინი მთავრობისაგან ითხოვდნენ გაზრდილ სუბსიდიებს, სახელმწიფო ხაზინას კი უჭირდა ამგვარ მოთხოვნათა მასიური დაკმაყოფილება.

დამოუკიდებლობამდე არსებულ სპეციალურ სასწავლებლებში ქართველები ნაკლებად სწავლობდნენ, რასაც ამდროინდელი დოკუმენტები ყურადღებას აქცევენ.

ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ სასწავლო წელს პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სპეციალური სასწავლებლების არსებობის ასეთ სურათს გვაძლევს:

1. თბილისის მიწისმზომელთა სასწავლებელი, სადაც 154 მოწაფე სწავლობდა. აქედან რუსი - 110, ქართველი 20 (სასწავლებელი მთავრობის დადგენილებით უნდა გაეროვნებულიყო);

2. რკინიგზის საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი. აქ იყო 71 მოწაფე. აქედან რუსი - 42, ქართველი - 18 (ამ სტატისტიკურ მონაცემში, ვფიქრობთ, ეთნიკურობა კი არა, ფრო ენობრივი მონაცემი იგულისხმებოდა, ანუ 42 ეთნიკურად რუსი კი არა, რუსულენოვანი მოწაფე იყო). ეს სასწავლებელი გამოცხადდა სახელწიფოდ, უნდა გაერთიანებულიყო 1 და II კლასები, III და მომდევნო კლასში სწავლა ქართულად უნდა გაგრძელებულიყო.

3. ტფილისის I და II კომერციული სასწავლებლები, I-ში იყო 644 მოწაფე, აქედან სომეხი - 453, ქართველი - 84, II-ში 407 მოწაფე იყო, სომეხი 188, ქართველი - 132. სასწავლებელი პირველი კლასიდან უნდა გაეროვნებულიყო და სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გადასულიყო;

4.ტფილისის სავაჭრო სასწავლებელი, სადაც 1917-1918სასწ, წელს სწავლობდა 312 მოწაფე, აქედან სომეხი 255, ქართველი - 67.

5, საფერშლო სასწავლებლები ნავთლუღში და მიხეილის საავადმყოფოსთან. ნავთლუღის უნდა დახურულიყო და დარჩენილიყო მიხეილის საავადმყოფოსთან არსებული საფერშლო სკოლა.

6. ქუთაისის კომერციული სასწავლებელი, 1918 წლის შემდეგ იგი 2 მოსამზადებელი და 4 ძირითადი კლასისაგან შედგებოდა. ამ სასწავლო წელს მოხდა მისი სრული გაეროვნება.

7. ბორჯომის, ხონისა და ფოთის სახელოსნო სასწავლებლები, რომლებიც უნდა გადაკეთებულიყვნენ სატეხნიკო სასწავლებლებად;

8. გორის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთდებოდა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1,საქმე 59, ფ. 26].

მიწამოქმედების მინისტრი 1919 წლის 1 იანვრიდან წინამძღვრიანთკარის, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და თბილისის კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებლებისათვის ითხოვდა 232, 451 მანეთის დახმარებას [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 282, ფ. 2].

დოკუმენტში ყველა მსგავსი ტიპის სასწავლებელი შეტანილი არაა.

პროფესიული სასწავლებლებისათვის შედგა სპეციალური დებულება, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებდა ყველა სასწავლებელს. ერთმანეთს ჰგავდა ბორჯომისა და ხონის სასწავლებელთა დებულება მათი ერთნაირი პროფილის გამო, სხვა სასწავლებლების დებულება ერთმანეთისგან ბევრ რამეში განსხვავდებოდა [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1,საქმე 7, ფ. 9-10].

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ საერთო კანონი ძალაში შევიდა 1919 წლის 1 იანვრიდან [ჭუმბურიძე 2000:193].

დასავლეთ საქართველოში სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდ როლს ასრულებდა **ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** მას ეკუთვნოდა აჯამეთის მამული, ჰქონდა უამრავი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და დანადგარი.

1919 წელს სკოლა საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა, სკოლის მმართველი (დირექტორი) ამ დროს იყო ალექსანდრე დავითის ძე შარაშიძე [ქსსა, ფონდი 82, საქმე 50, ფურც. 22-37].

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას ჰქონდა მეტეოროლოგიური სადგური, რასაც საქართველოს ობსერვატორიის მუშაობაში დიდი როლი ჰქონდა.

სკოლაში ასწავლიდნენ და მისდევდნენ პრაქტიკულ მეფუტკრეობას, მეღვინეობას, სოკოს მოყვანას, გეოდეზიას, მიწისმზომელობას, საბეითლო საქმეს და სხვ.

მასწავლებლებად მუშაობდნენ როგორც მცოდნე სპეციალისტები, ასევე პრაქტიკოსი ადამიანები, რომლებიც გამოცდილებას ფლობდნენ ამა თუ იმ დარგში. მაგ. ქამა სოკოს მოყვანასა და სარდაფების მოწყობას ასწავლიდა პოლკოვნიკი ივანე სერგოს ძე ქავთარაძე {ქსსა, ფონდი 19, საქმე 137, ფ.2-3].

სკოლას დიდი მეურნეობა ჰქონდა, რის გამოც შემოსავალიც საკმაოდ დიდი იყო (492 250 მან.). სკოლა ექვემდებარებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს. მოწაფეთა მიერ მოყვანილი სასოფლო პროდუქტები ბაზარზე იყიდებოდა. დამოუკიდებლობის ბოლო სასწავლო წელს სკოლაში 31 თანამშრომელი მუშაობდა, რომელთა ხელფასი შეადგენდა 651 480 მანეთს.

დიდი მნიშვნელობა და როლი ჰქონდა მიკუთვნებული ახალი სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნას და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებას. ამ მიზნით შედგენილ დებულებაში ეწერა, რომ ამგვარი პროფილის სკოლები შესაძლოა ყოფილიყო ქალთა და ვაჟთა, ზოგადი განათლების და სპეციალური, სადაც მხოლოდ რომელიმე ერთი სპეციალობა შეისწავლებოდა. სასოფლო სამეურნეო სასწავლებლები განათლების სამინისტროს დებულებით იყოფოდნენ საშუალო და დაბალ სასწავლებლებად. საშუალო სასწავლებლები მოსწავლეებს მოამზადებდნენ სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. დაბალი ტიპის სასოფლო სასწავლებლებად ითვლებოდნენ: დაბალი პირველდაწყებითი და პრაქტიკული ტიპის სკოლები, რომლებიც მოამზადებდნენ ტექნიკურ მუშაკებს, ასწავლიდნენ მცხოვრებთა შორის სოფლის მეურნეობისთვის საჭირო აუცილებელი ცოდნის გავრცელებას, მოაწყობდნენ პრაქტიკულად მეურნეობებს როგორც მოწაფეთა მშობლების ნაკვეთებში, ასევე სკოლების მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას სკოლებთან ერთად მოემსახურებოდნენ სპეციალური სამეურნეო კურსები, სადაც იქნებოდა ლიტერატურის კითხვა, საუბრები, საჩვენებელი მეურნეობები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები, დებულების მიხედვით, უნდა ყოფილიყვნენ განათლების სამინისტროს შემადგენლობაში, საშუალო და დაბალი სკოლები კი - მიწათმოქმედების სამინისტროს შემადგენლობაში, რომელსაც განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა ემართა ამგვარი სკოლების

სასწავლო სისტემა. ახალ სკოლებსაც ეს ორი სახელმწიფო უწყება ერთად გახსნიდა მთავრობასთან შეთანხმებით, ერთადვე შეიმუშავებდნენ სასწავლებლების წესდებას, პროგრამებსა და და სასწავლო გეგმებს [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 47].

დებულება ითვალისწინებდა სკოლაში სასწავლო საკითხების განსახილველად პედაგოგიური საბჭოს არსებობის აუცილებლობას დირექტორის მეთაურობით, ასევე, სამეურნეო საკითხების განსახილველად - სამეურნეო კომიტეტის შექმნას. პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურნეო კომიტეტში შესაძლებელი იყო მოწვევა ადგილობრივ მცხოვრები გამოცდილი და საპატიო პირებისა, ოღონდ მათ ვერ ექნებოდათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

დირექტორის, მასწავლებლის და სამეურნეო ნაწილის (ფერმის) გამგის თანამდებობის დაკავება სასოფლო სასწავლებლებში ეძლეოდათ მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთ. მასწავლებლებად, აღმზრდელებად და ლაბორანტებად ინიშნებოდნენ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი. ზოგჯერ, ენების, მიწისზომვის, ანგარიშის და სხვა მასწავლებლებად შეიძლებოდა დანიშნულიყო სპეციალური განათლების მქონე, ან სპეციალურად მოწყობილ გამოცდაში გამარჯვებულები.

სასწავლებლის პირველ კლასში მიიღებოდნენ მაღალი დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულნი, სხვა კლასებში მიღება შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში - მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით, თუ მისაღები გამოცდისას პირი გამოიჩენდა ცოდნას წინა კლასებში გავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალისას.

სამინისტრო ასე აყალიბებდა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად აუცილებელ დებულებებს:

1. სოფლის მეურნეობის რიგიანად წარმოებისათვის საჭიროა სრული აგრონომიული მეცნიერების ცოდნა;

2. ამ ცოდნის მიცემა შეუძლია მხოლოდ უმაღლეს აგრონომიულ სკოლას;

3. თანამედროვე ეკონომიკური განვითარება არ აძლევს სახელმწიფოს საშუალებას, ყველა სოფლის მეურნეს მიაღებინოს უმაღლესი აგრონომიული განათლება;

4. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელის შესაწყობად თანამედროვე სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ მოამზადოს მოღვაწენი აგრონომიულ ასპარეზზე;

5. ცხოვრებაში საჭირო არის როგორც მოღვაწე-მკვლევარი, რომლის მიზანია შეისწავლოს სოფლის მეურნეობის მოვლენები, აგრეთვე მოღვაწე პრაქტიკოსი, რომელიც განახორციელებს გამოკვლევის შედეგებს;

6. აგრონომ-მკვლევარებს იძლევა უნივერსიტეტი, აგრონომიული ინსტიტუტები, აგრონომ პრაქტიკოსს კი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლები;

7. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ცოდნა რომ გავრცელდეს სოფლის მცხოვრებთა შორის, ამისთვის საჭიროა დაარსდეს რაც შეიძლება ბლომად სასოფლო ტიპის დაბალი სასწავლებელნი, რომლებიც უნდა იყვნენ იაფფასიანნი და მცხოვრებთან დაახლოებულნი;

8. სახელმწიფო და საზოგადოებრივ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებისათვის საჭირო გამოცდილი მუშების მოსამზადებლად უნდა დაარსდეს პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლები მუშებისათვის;

9. დაბალი აგრონომიული პერსონალის, კურსების და პრაქტიკული სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად დროებით გაიხსნას დაბალი სასოფლო-სამეურნეო 4-კლასიანი სკოლები;

10. ეს უკანასკნელი ტიპის სასწავლებლები თანდათან უნდა გადაკეთდნენ სპეციალურ სასწავლებლებად [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 57].

შედგა სასოფლო-სამეურნეო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 66].

სასოფლო-სამეურნეო 2-წლიანი კურსების მასწავლებლები აწარმოებდნენ სასოფლო სამუშაოებს 15 დესეტინა მიწაზე, დებულება ითვალისწინებდა ზაფხულობით მოენახულებინათ მოსწავლე-შეგირდების მამულები, მიეცათ მათთვის პრაქტიკული რჩევა-დარიგება, რაც ცოდნის გაღრმავებასაც უწყობდა ხელს. საამისოდ მასწავლებლებს ეძლეოდათ სახელმწიფოსგან გზის ფული და დღიური ხარჯი, მოსამსახურეებს ეძლეოდათ ბინა ან მისი ღირებულება, ვინც 10 წელი მსახურობდა სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში, მათი შვილები თავისუფლდებოდნენ სასწავლებლებში გადასახადისაგან [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 76].

სასოფლო-სამეურნეო სკოლების დაარსება და სკოლათა ტიპები შემუშავებული იყო სწავლული სპეციალისტების მიერ. ვინაიდან ამგვარი სასწავლებლების ძირითადი ნაწილი მიწათმოქმედების სამინისტროში შედიოდა, ეს უწყება იწვევდა ამგვარ სპეციალისტებს, ჯერ წერილობით ადგენინებდა საკუთარ თვალსაზრისს მომავალი სასწავლებლების შესახებ, შემდეგ კი სხვა პედაგოგებთან ერთად ადგენინებდა მათ სასწავლებლების სამუშაო გეგმას. ერთ-ერთი დოკუმენტი ასე განმარტავდა სპეციალური მებაღეობის სასწავლებლების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამეურნეო-საცდელი ნაკვეთების ნორმებს :

1. ხილისა და დეკორატიულ მცენარეთა სანერგე ზომით 1,1/2დესეტინა ხეხილის მყნობისა და გამრავლების შესწავლაში სავარჯიშოდ;

2. ხილის ბაღი, ზომით 4 დესეტინა, ყვავილობის, მოსავლიანობის ჯიშების, ამტანობის, ნაყოფთა ვარგისობის, დამწიფების დროის და სხვ. თვალყურის სადევნებლად, აგრეთვე ხეხილის მოსავლელად;

3. ბოსტანი, ზომით 1 დესეტინა, სადაც მოსწავლენი გაეცნობიან ბოსტნეულის კულტურის მოყვანის წესებს: თესვა, გადარგვა, დარგვა, მიწის შემოყრა და სხვ., თვალყურს ადევნებენ ბოსტნეულის განვითარებას და შეისწავლიან მის ჯიშებს;

4. ვენახი, ზომით 3 დესეტინა, ამერიკული ვაზის ნამყენისა ნახევარ დესეტინაზე, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან ვაზის მყნობას, მოვლას და მათ ჯიშებს;

5. ღვინის სარდაფი, სადაც მოწაფენი ღვინის დაყენებას, მოვლას და შენახვას შეისწავლიან;

6. სათბურები, ორანჟერეები და დეკორატიული ყვავილნარები; მესაქონლეობის დარგში: ბაგა-ბოსელი 10 ძროხისათვის, 1 ბუღისათვის, 2 დედა-ღორისათვის და 1 ტახისათვის. ყველის მოსამზადებელი, აბრეშუმის ჭიისთვის შენობა, საქათმეები, სკები [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 68].

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო სკოლები დიდ ხარჯებს ითხოვდა, მარტო სასკოლო და სამეურნეო შენობებისთვის, საცდელი ნაკვეთებისა და საძოვრებისათვის მას დიდი ფართობი ჭირდებოდა. მაგრამ საქართველო სასოფლო-აგრარული ქვეყანა იყო და ამგვარი სპეციალისტების აღზრდის გარეშე მას გაუჭირდებოდა არსებობა. ამდროინდელი ეკონომიკური სიძლიერე ეყრდნობოდა

ღვინის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის გაყიდვას ევროპულ ბაზარზე, საჭირო იყო ამ პოტენციალის გაზრდა, სასოფლო -სამეურნეო განათლების გარეშე კი დარგი რენტაბელური ვერ იქნებოდა.

სამეურნეო ე. წ. ნორმალური სკოლები, რომელიც სოფლის მეურნეობის ტექნიკურ მუშაკებს ამზადებდა, იყო 4-წლიანი, ხოლო ე. წ. „პრაქტიკული სკოლები" ამზადებდა მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშა-ტექნიკებს და იყო 2-წლიანი. პრაქტიკული სკოლები კვირაში მხოლოდ 12 საათს (დღეში 2 სთ.)უთმობდნენ თეორიულ სწავლებას მაშინ, როდესაც პრაქტიკულ სწავლას კვირაში 36 საათი (დღეში 6 სთ.) ეთმობოდა.

1919 წლის 9 ნოემბრისათვის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის შტატები იყო:

№ რიგზე	თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა	მოსამსახურეთა რიცხვი	წლიური
1	სკოლის გამგე	1	12,000
2	სპეციალური საგნების მასწავლებელი	3	28,800
3	ბუნების მეტყველების მასწავლებელი	1	9,600
4	საზოგადო საგნების მასწავლებელი	2	19,200
5	მებაღე	1	6,000
6	ფერშალი (იგივე ეკონომი)	1	7,200
7	მზარეული	1	3,000
8	შეგირდების შენახვა (60 პანსიონერი)		90,000
9	მებუფეტე	1	2,400
10	დურგალი	1	3,000
11	მერწყული	1	2,400
12	გზირი	1	2,400
13	საქონლის მომვლელი	2	2,400
14	წლიური მუშა	2	4,800
15	სკოლის დარაჯი	2	2,400
16	მუშებს შესანახი ხარჯი		18,000
17	სოჯახო სხვადასხვა დარგის ხარჯი		2,750
18	ფერმის შემოღობვა		2,000
19	საქონლის შენახვა		4,000
20	სკოლის მასწა, ბინების გათბობა		5,100
21	განათება		1,500

22	შეკეთება შენობათა და ინვენტარისა	1,698
23	ბიბლიოთეკების შევსება და სასწავლო ინვენტარის შეკეთება	500
24	ტელეფონი	600
25	საკანცელარიო ხარჯი	600
26	მოსწავლეთა ექსკურსიები	500
27	აჯამეთში სასწ. მეურნეობის ხარჯი	15,000
	ს უ ლ 18	247, 848
	შემოსავალი	119, 000
	ხაზინიდან გადადებულ იქნეს	128, 848

[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 282, ფ.32-33].

წინამძღვრიანთკარის სკოლას სულ 17 შტატი ჰქონდა, სკოლის ხარჯები შეადგენდა 85, 260 მანეთს, შემოსავალი 12, 000 მან. იყო, ხაზინიდან სასწავლებელს უნდა მიეღო 73, 260 მანეთი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 282, ფ.25].

დამოუკიდებლობის წლებში იმდენი მოთხოვნა იყო აგრონომ -სპეციალისტებსა და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელობისათვის საჭირო პროფესიულ ცოდნაზე, რომ მთავრობა ცდილობდა სპეციალური კურსებით აენაზღაურებინა კადრების დანაკლისი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და დამფუძნებელი კრების თავ-რის ხელმოწერილი დეკრეტები 1919-1920 წლებში ამაზე ნათლად მეტყველებს. აქ ვხედავთ, რომ რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კურსები გაიხსნა (3-სემესტრიანი, 4-იანი) აგრონომებისა და ბუღალტრების მოსამზადებლად.

1919 წლის 22 ოქტომბერს მიღებული ერთ-ერთი დეკრეტით მიწათმოქმედების სამინისტრომ მიიღო 4 სემესტრიანი კურსების გახსნის უფლება. [გაზ. „საქართველო’’, 1920 წლის იანვარი 17, №7].

დებულებაში შემდეგი მუხლები იყო:

1. ეხებოდა გახსნის ნებართვას.

2. მიწათმოქმედების მინისტრისათვის უფლების მინიჭებას- მიეცა კურსდამთავრებულთათვის აგრონომ–მებაღის აგრონომ-მემინდვრის, აგრონომ -ზოოტექნიკოსის წოდება და შესაფერისი მოწმობა ამ დარგების სპეციალისტობაზე, ეს წოდება მინიჭებოდათ მათ, რომლებიც გაივლიდნენ კურსებს და ჩააბარებდნენ

გამოცდებს, გაივლიდნენ ექვსთვიან პრაქტიკას , ჩააბარებდნენ ამ პრაქტიკის გავლის ანგარიშს, ამასთანავე, ერთი წლის განმავლობაში იქნებოდნენ სადმე ნამუშევარი.

წოდების მინიჭების შემდეგ კურსების გამვლელთ საშუალება ექნებოდათ ეხელმძღვანელათ ქარხნების, ფაბრიკების, რომელიმე სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებისათვის, ყოფილიყვნენ სპეციალისტი მოსამსახურენი. მათ შეეძლებოდათ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში შტატის მასწავლებლებად ემუშავათ [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 275, ფ. 43].

თბილისის საშუალო კულტ-ტექნიკურ სასწავლებელს სულ 25 შტატი ჰქონდა, სკოლის ხარჯები შეადგენდა 391, 940 მანეთს, შემოსავალი 127, 300 მან. იყო, ხაზინიდან სასწავლებელს უნდა მიეღო 264, 640 მანეთი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 282, ფ.34].

აგრონომიის სპეციალობით ახალი ფაკულტეტი გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 1919 წლის სექტემბერში. ამის შესახებ განათლების სამინისტროს მაშინდელ მიმართვაში მინისტრთა საბჭოსადმი ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნდა გაიხსნას სააგრონომიო განყოფილების მეორე და მესამე კურსები. აღნიშნული განყოფილების გახსნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ფარგლებში ბლომად აღმოჩნდნენ სააგრონომიო სასწავლებელთა მოსწავლენი, რომელნიც წინეთ რუსეთში სწავლობდნენ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ იქ სწავლის გაგრძელება დაუცხრომელ არეულობის გამო. მართალია, თფილისში, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში არსებობს სააგრონომიო განყოფილება, მაგრამ იქიდან საუკეთესო პროფესორების წასვლამ ამ განყოფილების სასწავლო-სამეცნიერო მხარე მეტად დააქვეითა და სწორედ, ამ განყოფილების სტუდენტები შეადგენენ მეორე დიდ ნაწილს, რომელმაც სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებული სააგრონომიო განყოფილება უნდა შეავსონ.” დასაწყისში საერთო ხარჯები შეიკვეცებოდა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის დახმარებით, რადგანაც სასწავლო პროგრამა ამ ორი ფაკულტეტის ემთხვეოდა, შემდეგ კი, სახელმწიფო ხაზინა უნდა დახმარებოდა უნივერსიტეტს ამ ფაკულტეტების გამართვაში, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო „ჩვენი ქვეყნისათვის სამეურნეო ცოდნით აღჭურვილპირთა მომზადების უაღრესი მნიშვნელობა და მიუცილებელი

საჭიროება". ხაზინიდან უნივერსიტეტს 1920 წლის 1 ივნისამდე უნდა გამოყოფოდა 91, 800 მანეთი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 281, ფ.4-5].

1919 წლის ივლისში საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა თბილისის სატეხნიკო სასწავლებელი. მთავრობისადმი წარდგენილ ვრცელ დასააბუთებაში განათლების მინისტრი ასაბუთებდა ტექნიკური კადრების აუცილებლობას ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, მას მოჰქონდა ბელგიის მაგალითი, რომელიც ტერიტორიის სიდიდით ჩამოუვარდებოდა საქართველოს, მაგრამ ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა მისი თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ევროპულ სამყაროში. საქართველო ბუნებრივად მდიდარი ქვეყანა იყო და ჰქონდა მსგავსი პერსპექტივა, თუ სათანადოდ მომზადებული ტექნიკური კადრები ეყოლებოდა. მინისტრი ამ მხრივ არსებულ არასასურველ დონეზე საუბრობდა, მისი აზრით დაბალი სასწავლებლები ვერ ასრულებდნენ დასახულ მიზანს, შედარებით მაღლა მდგომად მიაჩნდა თბილისის სატეხნიკო და მიწისმზომელთა სასწავლებლები. უფრო მაღალი დონის მიღწევას მინისტრი ფიქრობდა ამ სასწავლებელთა რეორგანიზაციით. გაუმჯობესდებოდა ახალი კადრების ხარისხი, მაგრამ ამას ჭირდებოდა მასწავლებელთა ახალი კადრები და საჭირო დანადგარ-იარაღების შეძენა, რისთვისაც მთავრობას ხაზინიდან უნდა გაეღო ხსენებულ სასწავლებელთა სასარგებლოდ 200, 800 მანეთი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 279, ფ.3].

დამფუძნებელმა კრებამ დეკრეტი თბილისის სატეხნიკო სასწავლებლის საშუალო საპოლიტეხნიკურო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ1919 წლის 25 ივლისს მიიღო და ეს გადაწყვეტილება 1919-1920 სასწავლო წლიდან განხორციელდა.

გამორჩეული ყურადღება იყო სახელოსნო სკოლებისადმი. ასეთი სასწავლებლები იყო თბილისში, ხონში, ფოთსა და ბორჯომში. დამფუძნებელი კრების განათლების კომისიას ფოთის სასწავლებლის დირექტორი ა. სამსონაძე ხშირად მიმართავდა სასწავლებლის ტექნიკური ბაზისა და მასწავლებელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ. იმ ახალი შტატების დასამტკიცებლად, რაც გააუმჯობესებდა მასწავლებელთა მდგომარეობასაც და სკოლასაც შეუნარჩუნებდა არსებობას. ერთ-ერთი ასეთი მიმართვა 1919წლის 9 მაისს კარგად გვიჩვენებს სკოლაში შექმნილ რეალურ ვითარებას. კომპეტენტურ სამთავრობო კომისიას დირექტორი ატყობინებდა

საკუთარ დამოკიდებულებას შექმნილ ვითარებაზე: ,,გაახლებთ რა ჩემს მოსაზრებებს ჩემდამი რწმუნებული სკოლის ახალი შტატების შესახებ, - წერდა. სამსონაძე, - მაქვს პატივი, მოგახსენოთ შემდეგი: ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მეტად საჭიროა პროფესიონალურ განათლების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება. როგორც მოგეხსენებათ, გარდა თბილისისა, ჩვენში სახელოსნო სასწავლებლები არსებობს ბორჯომში, ხონში და სახელოსნო სკოლა ფოთში, ე. ი. ისეთ ადგილებში, სადაც არ არსებობს სხვა, ბევრად თუ ცოტად სავარგისი სამექანიკო სახელოსნოები, გარდა ამ სკოლების სახელოსნოებისა.

თუ ასეა, ამ სკოლებში, გარდა თავის პირდაპირ დანიშნულებისა, უნდა შეასრულონ სამრეწველო დარგების დამხმარე ორგანოს როლი, ამიტომ სულერთი არ არის ამ სკოლებში გვეყოლება ისეთი ხალხი, რომელნიც შეძლებენ ამ მიზნების შესრულებას, თუ ისეთნი, რომელნიც ერთ რომელიმე მხარეს შეასრულებენ და მეორეს დატოვებენ უყურადღებოდ, ან შეასრულებენ ორივეს სანახევროდ, მითუმეტეს, რომ ორივე მოხსენებული მხარე ამ საქმისა რაციონალურად შეფარდებული ერთიმეორეს ხელს უწყობს.

ძლიერ ცუდია მოუმზადებელი მოსწავლის სკოლიდან ცხოვრებაში გამოშვება, აგრეთვე ცუდია, როდესაც რომელიმე სკოლის რაიონის რომელიმე ქარხანა რამოდენიმე დღით და კვირეებით მეტი უნდა გაჩერდეს მანქანების შეკეთების საჭიროების დროს იმიტომ, რომ იმ რაიონის სკოლას ამ მიზნისათვის ვერ დაეხმარონ ან არ მოისურვონ დახმარება.'' სამსონაზე საუბრობდა იმაზე, რომ სახელოსნო სკოლებს დიდი მოვალეობა ჰქონდათ, ისინი ასრულებდნენ არა მხოლოდ სკოლის, არამედ მანქანების შემკეთებელ და გამომშვებ სახელოსნოების მოვალეობასაც. საჭირო იყო ასეთი სასწავლებლების კადრები ყოფილიყვენ, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, გონებრივად და ზნეობრივად მაღალ დონეზე მდგარნი. ამისთვის ის მასწავლებელთა მაღალპროფესიონალურ კადრებს ითხოვდა, ,,და არა ისეთს, რომელნიც სხვაგან არ გამომდგარან''. ამ მიზნის შესრულებას, მისი აზრით, ჭირდებოდა არსებული პედაგოგიური კადრების დაკმაყოფილება მატერიალურად, მათი ხელფასების გაზრდა. გათავისუფლებულ ადგილებზე მაღალი პროფესიული დონის ოსტატების მოწვევა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, როდესაც

აქაური პირობები სხვა სასწავლებლებზე მაღალი იქნებოდა. ის ასახელებდა მაგალითებს სკოლის ვითარებიდან: პრაქტიკული მეცადინეობის პედაგოგი არ ჰყოლია სასწავლებელს, ამ მოვალეობას ოსტატი ასრულებდა. ასევე არ ჰყავდათ ცალკეული პრაქტიკოსი სპეციალისტი, მაგალითად, დურგლები, ვინც ჰყავდათ, გაცილებით მეტს მუშაობდნენ, ვიდრე ევალებოდათ. ამიტომ, დირექტორი ითხოვდა შტატების მომატებასა და ხელფასების 50%-ით გაზრდას. „თუ რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 9 ივნისის კანონით საპროფესიო სასწავლებლებში სპეციალური საგნების გაკვეთილების საფასური 1, 1/2-ჯერ მეტი გახადა, ვიდრე ზოგადი საგნებისა, იმიტომ რომ ეშოვათ რაც შეიძლება უკეთესი სპეციალისტები, მით უმეტეს, ეს საჭიროა ჩვენთვის, ვინაიდან საკმაოდ მომზადებული ხალხიც ნაკლები გვყავს და სკოლების ნაციონალიზაციაც ართულებს ამ საქმეს" [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 9].

დირექტორი ითხოვდა ოსტატების უფლებრივ გათანასწორებას სხვა მასწავლებლებთან, ითხოვდა სამინისტროს მიერ ამგვარი სასწავლებლებისათვის შემუშავებული დებულების ზოგიერთი მუხლის შესწორებას (ჩამოთვლიდა ამ მუხლებს), რადგან ისინი რეალურ ვითარებასთან თანხმობაში არ მოდიოდა. თუ ეს მოსაზრებები არ იქნა მიღებული მხედველობაში, ლაპარაკიც ზედმეტია სკოლის საქმის წინ წაწევაზე", - ასკვნიდა ა. სამსონაძე.

სკოლის გამგე მიმართვას თან ურთავდა მის მიერ შემუშავებულ დროებით დებულებას ფოთის სახელოსნო სკოლის მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ის კიდევ ერთხელ ახსენებდა სამინისტროსა და დამფუძნებელ კრებას რუსეთში სპეციალური სასწავლებლების შესახებ მიღებულ 9 ივნისის კანონს, დოკუმენტს შენიშვნებითა და რეკომენდაციებით ურთავდა საკუთარ დებულების პროექტს და თხოვდა სამთავრობო ორგანოებს ამ კანონების ცალკეულ მუხლებზე მის მიერ გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინებას. ამის საფუძვლად, როგორც მინაწერით ამტკიცებდა, მიაჩნდა ის, რომ რუსეთში პროფესიული განათლება ყოველთვის უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე საქართველოში[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 13-14].

პროფესიული სკოლებიდან აღსანიშნავია ქუთაისის შრომის სკოლა, ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ქუთაისის მუშა-ქალთა ორგანიზაციამ დააარსა. სკოლაში

ასწავლიდნენ ქსოვას, კერვას, ქარგვას, სკოლაში დამზადებული ქსოვილი, როგორც მაშინდელ პრესაში წერდნენ, არ ჩამოუვარდებოდა ფაბრიკაში დამზადებულ ნაწარმს, ფასიც ხელმისაწვდომი იყო. სკოლამ დიდი ზიანი მიიღო 1918 წელს ოსმალეთის აგრესიის დროს. გაზეთ „ერთობის'' პუბლიცისტი - ი. სადემეტროველი დაწვრილებით აღწერდა სკოლის მდგომარეობას და ხელისუფლებას მისთვის დახმარებისკენ მოუწოდებდა [გაზ. „ერთობა'', 1918, №152].

არანაკლებად რთულ მდგომარეობაში იყო **ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი.** იმის გამო, რომ 1918 წელს საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთის დიდ აგრესიას ჰქონდა ადგილი, სკოლის სასწავლო საკლასო ოთახები ხშირად ჯარისკაცებისა თუ „ათასი გამვლელ-გამომვლელის'' ღამის გასათევ ადგილად იქცა. ასეთივე დღეში იყო ბორჯომის 4 პირველდაწყებითი სასწავლებელიც. მათი მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ ბეწვზე ეკიდა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი. დამფ. კრების სახალხო განათლების კომისიას ბორჯომის ქალაქის თავი ს. გაგუა თხოვდა დახმარებას, ძველი სასწავლებისათვის, ასევე, ბორჯომში ახალი უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 45].

1919 წლის 10 ივლისს ხონში შედგა ხონის, ბორჯომისა და ფოთის სახელოსნო სასწავლებლების წარმომადგენელ პედაგოგ-დელეგატთა ყრილობა. ამ ღონისძიებას 9 კაცი დაესწრო, რომელთაც გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდათ. ესენი იყვნენ: ბორჯომის სასწავლებლის მმართველი ალექსანდრე ფიფია. ამავე სასწავლებლის ოსტატი ქრისტეფორე მაისურაძე, ფოთის სკოლის გამგე არისტარხო სამსონაძე, ამავე სკოლის სპეციალური საგნების მასწავლებელი ნიკო მეიშვილი, ხონის სასწავლებლის მმართველი ანტონი სოგლობოვი, სახელოსნოების გამგე ლავრენტი კაკაბაძე, მასწავლებლები: ალექსანდრე საღარეიშვილი და ნიკო ჩხენკელი, ოსტატი ენუქი ბახტაძე, მოწვეულები იყვნენ პედაგოგებო სათათბირო ხმის უფლებითაც. კრება გახსნა სოგლობოვმა, თავმჯდომარე იყო ალ. ფიფია, მდივანი ნ. ჩხენკელი. კრებამ განიხილა მასწავლებელთა მდგომარეობის საკითხი ამ სასწავლებლებში. გაირკვა, რომ ეს საკითხი იმდენად გამწვავებულა, რომ ახალი პედაგოგიური შევსება გაჭირდა, დასახელდა უამრავი მაგალითი თითოეული სასწავლებლის ცხოვრებიდან. კრებამ

მიიღო დადგენილება, რომ ხედავდა დიდ საფრთხეს ამ სკოლების არსებობისას და მიმართავდა განათლების სამინისტროსა და დამფუძნებელი კრების განათლების კომისიას, რათა გაეთვალისწინებინა სკოლების უკიდურესი მდგომარეობა, მიეღო ახალი შტატები [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 103].

ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი იყო კერძო სასწავლებელი, სადაც გაეროვნების პროცესი იმდენად იყო საჭირო, რომ ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა, თანაც ქართულ ენას სასწავლო გეგმაში ადგილი არ ჰქონდა, ისწავლებოდა ასეთი საგანი: სამშობლომცოდნეობა [Отечествоведение], მაგრამ მასში ქართული ენა და საქართველო ნამდვილად არ იგულისხმებოდა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 28].

სასწავლებელი დაარსდა 1915 წლის 18 იანვარს, ინჟინერ ვინოგრადოვისა და იურისტ ნ. ს. ძიძიშვილის მიერ. დირექტორობა დამფუძნებლებმა იმთავითვე თხოვეს თბილისის პირველი გიმნაზიის ყოფილ დირექტორს ივ. ევ. გამყრელიძეს.

სასწავლებელი 2 განყოფილებისაგან შედგებოდა: 1. სამიწისმზომლო და 2. ჰიდროგანყოფილება. თითოეული იყო 4-წლიანი კურსით, რომლის დასრულების შემდეგ ღებულობდნენ მიწისმზომელებისა და სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკების სპეციალობებს. წარჩინებით კურსდმთავრებულებს უფლება ჰქონდათ სწავლა გაეგრძელებინათ უმაღლეს სასწავლებლებში: სამეურნეო ან სატყეო ინსტიტუტებში, ან პოლიტექნიკუმში. სასწავლებელთან არსებობდა 2 მოსამზადებელი კლასი: დაბალი და უფროსი.

სასწავლებელი გახსნისას დაექვემდებარა რუსეთის მიწათმოქმედების სამინისტროს და საქართველოში ამიერკავკასიაში სასოფლო მეურნეობის ინსპექტორს (ს. ნ. ტიმოფეევს).

ვინოგრადოვმა ისეთი ფართო პროპაგანდა გასწია, რომ სასწავლებელს, არა მარტო ამიერკავკასიიდან, არამედ შიდა რუსეთიდანაც უამრავი ადამიანი მოაწყდა. ასე რომ, 1915 წლის ნოემბერში მოსამზადებელ და სპეციალურ კლასებში ირიცხებოდა სხვადასხვა ეროვნების 408 მოწაფე. მომდევნო 1916-1917 წლებში მოწაფეთა რიცხვი 600-ს აღემატებოდა. შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რუსეთში მოსწავლეთა რიცხვი თითქმის გაანახევრა, ამან სასწავლებლის მდგომარეობა გაართულა: მას

ესაჭიროებოდა კარგად მოწყობილი ლაბორატორიები და სახელოსნოები, სამეცნიერო კაბინეტები, ფერმები და სხვ. ვინოგრადოვი მთლიანად სწავლის ფულით აპირებდა პრობლემების გადაწყვეტას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ახალი რეალობის გამო. მან გაზარდა სწავლის ფული, რაც მოსწავლეებმა ექსპლოატაციად ჩათვალეს და მოითხოვეს მისი გადაყენება, სასწავლებლის გადაყვანა სახელმწიფოს საკუთრებაში. ვინოგრადოვი არ თმობდა თავის უფლებებს, ძიძიშვილმა კრიზისის შექმნისთანავე დაანება თავი მუშაობას, ვინოგრადოვის წინააღმდეგ გამოსვლები კი არ წყდებოდა. 1917 წლის ბოლოს სასწავლებელი სახაზინოდ (ახელმწიფო უწყებაში გადავიდა) გამოცხადდა და დაიწყო მისი რეორგანიზაცია.

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მას, როგორც სახელმწიფო სასწავლებელს, მისცა 60 ათასი მან. წლის ბოლომდე სასწავლებლის შესანახად. ვინოგრადოვმა სასწავლებლის შენობა კერძო საკუთრებაში დაიმტკიცა მანამ, ვიდრე ეს მოვლენები განვითარდებოდა, როდესაც სასწავლებლიდან მისი გაძევების საკითხი დადგა, მან მოითხოვა შენობა და იქ დაცული ინვენტარი. პედაგოგიურმა კოლექტივმა სთხოვა სამინისტროს დაებრუნებინათ ის ფული ვინოგრადოვისათვის, რომელიც გადახდილი ჰქონდა შენობის ყიდვაში, ანუ სამინისტროს გამოესყიდა ვინოგრადოვისაგან სასწავლებლის შენობა, სამინისტრომ ეს არ გააკეთა. ამ შენობის საკუთრების შესახებ საარქივო დოკუმენტი, რომელსაც ხელს მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი აწერს და რომელიც 1918 წლის 9 სექტემბერსაა შედგენილი, გვამცნობს: „ამ იდეამ(სკოლის დაარსების) შემოკრიბა მის გარშემო ჯგუფი მასწავლებლებისა, რომელნიც ითმენდნენ სხვადასხვა შევიწროებას და არ ზოგავდნენ არაფერს, რათა მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინათ სასწავლებელი, მთავრობაც სიმპატიურად ეკიდებოდა ვინოგრადოვისაგან დაწყებულ საქმეს, ეპყრობოდა რა ნდობით მის განცხადებებს. შეძენილი იქნა როგორც ინვენტარი, აგრეთვე 1916 წელს სახლი სასწავლებლისათვის ალექსანდრეს ქუჩაზე №57, დიდი ადგილი, ზომით ათას ორმოცდაჩვიდმეტი კვ. საჟენი, იშვიათი სახლი სპეციალურად გამოსადეგი ასეთი დიდი სასწავლებლისათვის, რომელშიც ბოლო დროს შვიდას შეგირდამდე იყო. ამასთანავე, ვინაიდან დამაარსებელსა და სკოლის გამგეთა შორის სრული ნდობა იყო, დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ იმას, თუ ვისზე იწერებოდა

შეძენილი ქონება, დამაარსებელზე თუ თვით სასწავლებელზე. მაგალითად, როცა ყიდულობდნენ სახლს სასწავლებლისათვის, პირველად ნასყიდობა იყო სასწავლებელზე, მაგრამ საბოლოოდ დამტკიცებული ქაღალდი შედგენილი იყო თვით ვინოგრადოვის სახელზე.'' მინისტრი წერს, რომ სასწავლებლის წესდება იყო ბუნდოვანი და ვინოგრადოვზე იმიტომ მოხდა შენობის გაფორმება, რომ უპრობლემოდ და მალე მოხდებოდა შენობის ყიდვა, ვინოგრადოვი კი მას სასწავლებელს გადასცემდა. ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ ნამდვილი მყიდველი და მესაკუთრე შენობისა სასწავლებელი იყო, ბანკმა მას დიდი სესხი უსიტყვოდ მისცა. სახლის ფასი იყო 116,000 მან. , ბანკმა გადაიხადა 90,000 მან, 20,000 ვინოგრადოვს უნდა გადაეხადა, სინამდვილეში კი ეს ფული ნაწილ-ნაწილ სასწავლებელს უნდა ეხადა [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 259, ფურც. 1-4].

1918 წლის სექტემბერში მთავრობის სპეციალური ბრძანებით სასწავლებელი კერძო სტატუსიდან სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ამავე ბრძანებით მას ჩამოერთვა სასწავლებლის შენობა და ინვენტარი [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 259, ფურც.5].

მთავრობის მიერ შედგენილ კანონ-პროექტში გათვალისწინებული იყო ვინოგრადოვის მიერ კერძოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება და ამისთვის სპეციალური კომისიის შექმნა [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 259, ფურც.7].

მაგრამ ყოფილმა დირექტორმა არ იკმარა ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება, მან სასწავლებლიდან გათავისუფლების შემდეგ სახლიც და ინვენტარიც თავისად გამოაცხადა და იბრძოდა მისი დასაკუთრებისათვის.

ვინოგრადოვი საქართველოდან წავიდა აზერბაიჯანში და იქ პარლამენტის წევრიც გახდა, მაგრამ არ დავიწყებია საქართველოში დარჩენილი ქონება და განაგრძო ბრძოლა მის ხელში ჩასაგდებად. აი, რას წერდა მთავრობის დოკუმენტი ამის შესახებ: „ჯერ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატს არ ჰქონდა უფლება წაერთმიოს მისთვის სასწავლებელი, რადგანაც მან უფლება მიიღო დიდი რუსეთის სამინისტროსაგან, და ამიტომ ის თავის თავზე უფლებამოსილად სთვლის და ჰყიდის სასწავლებელს თავის ინვენტარით და ადერბაიჯანის მთავრობის სახელით, მოწაფეებს იწვევდა ბაქოში და ჰპირდებოდა კარგ საცხოვრებელ პირობებს. ჩვენმა

მთავრობამ ვინოგრადოვის მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია, მოწაფეები კი დაპირებებს სიცილით შეხვდნენ, გაჭირვებულმა ვინოგრადოვმა მოინდომა სხვა ხერხით შენობის ხელში ჩაგდება: ბაქოდან მომავალ ინგლისელ ოფიცრებს დაუთმო ჯარისთვის სასწავლებლის შენობა, ოფიცრები მოგვადგენ აქ კარზე და მოითხოვეს შენობის განთავისუფლება, მაგრამ ჩვენ უარით ვუპასუხეთ და მივუთითეთ მიწათმოქმედების სამინისტროზე, რომელმაც რეკვიზიცია უყო ამ შენობას შარშან ენკენისთვეში, ამგვარად, სასწავლებლის შენობის საკითხი, რომელიც ამჟამად დიდი ღირებულებას წარმოადგენს, ჯერ არ გადაწყვეტილა ჩვენს სასარგებლოდ" [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 58].

მთავრობას რომ არ ჰქონდა ბოლომდე გარკვეული ვინოგრადოვთან დავის შედეგი, კარგად ჩანს სამინისტროს მიერ შედგენილ თბილისის კულტურულ-სატეხნიკო სასწავლებლისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვიდან, სადაც წერია: ,,ვინოგრადოვსა და სამინისტროს შორის დავაა შენობის, თუ ვინოგრადოვმა მოიგო, სასწავლებელმა უნდა გადაიხადოს წელიწადში 20,000 მანეთი" [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 69].

1919-1920 სასწავლო წლისთვის სასწავლებელში შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები, მოხდა რეორგანიზაცია. დარჩა ორი განყოფილება: სასოფლო-სამეურნეო და ჰიდროტექნიკური. მოსწავლეთა რიცხვი 410-ს შეადგენდა, აქედან 62% ქართველები იყვნენ, რუსები 12%, სომხები 15, დანარჩენი სხვა ერების წარმომადგენლები იყვნენ. მიწათმოქმედების სამინისტროში არსებული საგანმანთლებლო განყოფილება, რომლის უფროსი იყო ვაწაძე, სასწავლებელს ვერ უზრუნველყოფდა საჭირო ინვენტარით, 1919-1920 წლის მანძილზე სასწავლებლის პედაგოგები ჩიოდნენ განათლების სამინისტროსა და დამფუძნებელი კრების განათლების კომისიაში ამის შესახებ და ითხოვდნენ ხელფასების მომატებას, ასევე სასწავლებლის სხვა საჭიროებისათვის თანხას იმ სასწავლებელთა მსგავსად, რომლებიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში იყვნენ [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273,ფურც. 73].

1918 წელსვე შედგა და დამტკიცდა დროებითი დებულებები კერძო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლისა და მათი ახალი შტატების

შესახებ. ესენი იყვნენ: თბილისის საფერშლო სკოლა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 4], ფოთის სახელოსნო სკოლა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 5-6], თბილისის მიწათმზომელთა სასწავლებელი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 7], ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 9],ხონის სახელოსნო სკოლა[სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 13], თბილისის საშუალო პოლიტეხნიკური სკოლა [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 268,ფურც. 15-16],

საზღვაო სკოლა. სპეციალურ სკოლებს შორის იყო საზღვაო სკოლა, რომლის გახსნასაც თავისი ენთუზიასტები ჰყავდა. ერთი მათგანი მიმართავდა პარლამენტის განათლების კომისიას და ასე ხსნიდა იდეის განხორციელების აუცილებლობას: „ზღვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და მითუმეტეს ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, რომელიც დღესდღეობით მტრებისგან გარშემორტყმული, ევროპასთან კავშირის დასაჭერათ ჰპოვებს ერთადერთ გზას. ეს გზა არის საზღვაო გზა. და კიდეც რომ გაიხსნას ხმელეთით გზა, საზღვაო გზას მაინც ექნება უპირატესობა (სიიაფე, სიადვილე მიმოსვლისა) და იგი დარჩება უმნიშვნელოვანეს ფაქტორათ ჩვენი ქვეყნის აყვავებისა და განათლების". ამიტომ, წინადადების ავტორი მოუწოდებდა მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას მიექცია ამ საკითხისთვის ჯეროვანი ყურადღება. მისი აზრით, ამ საქმეში საჭირო სპეციალისტები საქართველოს არ ჰყავდა და ის სპეციალურ სასწავლებლებს უნდა გამოეზარდათ. რუსეთში მიღებული სწავლით ძველი მეზღვაურების რიცხვს ის სულ 5-6 კაცს ვარაუდობდა, საჭირო იყო დროზე მათი გამყენება და საზღვაო სასწავლებლის გახსნა. აქამდე ამგვარი სულ ერთი- ფოთის სასწავლებელი იყო, რომელიც ვერ ასრულებდა საჭირო მოთხოვნებს ამ სფეროს პროფესიულ განათლებაზე, სასწავლებლის ფართობი, სწავლის დონე დაბალი იყო. არც დირექტორი და არც მასწავლებლები არ იყვნენ პროფესიონალები. წერილის ავტორის აზრით, უნდა მომხდარიყო სასწავლებლის რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა თანამედროვე საზღვაო სასწავლებლად, რომელსაც ეყოლებოდა პედაგოგთა მოწინავე გუნდი, ექნებოდა საჭირო ინფრასტრუქტურა და ა.შ.

სასწავლებელი ფოთიდან ბათუმში უნდა გადატანილიყო. მოსწავლეებს პრაქტიკა უნდა გაევლოთ უცხოეთის გემებზე, ზოგიერთი საერთო სამხედრო საქმის

შემსწავლელი საგანი უნდა ამოღებულიყო პროგრამიდან. საამისოდ უნდა განხორციელებულიყო სამხედრო ფლოტილიის სარდლის - დ. ნ. თაყაიშვილის პროექტი. 10 ახალგაზრდა საზღვაო საქმის შესასწავლად უნდა გაეგზავნათ საზღვარგარეთ, (7 ოფიცერი და 3 ზღვის ინჟინერ-მექანიკოსი). ის დიდ დანაკლისად თვლიდა ინჟინერ-მექანიკოსის -პ. მეიშვილის სიკვდილს.

ამ ვრცელ მიმართვას დამფუძნებელი კრების განათლების კომისიას უგზავნიდა 1920 წლის 19 ოქტომბერს, ბათუმიდან [სცსსა, ფონდი 1833, საქმე 265, ან. 1, ფ, 211-215].

1919 წელს გადაწყდა სპეციალური განათლების მისაღებად **საზღვარგარეთ გაგზავნა 83 ახალგაზრდისა** და ხაზინიდან ამ ხარჯების დასაფარად გამოიყო 2 მილიონი მანეთი [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 269,ფურც. 3].

სპეციალური სკოლების დაარსებას ყურადღება მიაქციეს ჯერ გერმანელებმა, შემდეგ იტალიის მისიამ. ამ მიზნით პაპის ლეგატმაც კი იმოგზაურა საქართველოში და ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეადგინა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

იტალიის მისიამ 1919 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობას წარუდგინა რომის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლის - დელფიუშეს მომართვის პირი, როლის მეორე მუხლი ეხებოდა საქართველოში სწავლა-განათლების საკითხს [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1,საქმე 84, ფ. 23].

დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი იტალიელებთან ერთად ამ საქმის წარმატებით განხორციელებას იმედოვნებდა. ამასთანავე, ის ითხოვდა იმ საერთო საფუძვლების მონიშვნას, რაზედაც უნდა აგებულიყო იტალიის მისიის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში. ამას გიორგი ლასხიშვილი ასე აყალიბებდა:

1. იტალიელების მიერ სკოლების გახსნა უნდა მომხდარიყო რესპუბლიკის სკოლებისათვის დადგენილი საერთო წესით;

2. ამ სკოლებს იგივე უფლებები უნდა ჰქონოდა, როგორც რესპუბლიკის ყველა კერძო სკოლას;

3. ყველა სასწავლებელი უნდა დაქვემდებარებოდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას, თავის სასწავლო გეგმები შეეფარებინა იმავე ტიპის სახაზინო სასწავლებლების გეგმებთან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1,საქმე 84, ფ. 22].

პოლიტიკური მოვლენების გართულების გამო იტალიამ უარი თქვა თავის მისიაზე საქართველოში და ეს გეგმა ჩაიშალა.

§ 2. სასულიერო სასწავლებლები და საღვთო რჯულის სწავლების საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

სპეციალურ სასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც ზრდიდნენ არა მარტო საეკლესიო-სასულიერო პირებს, არამედ საღვთო სჯულის მასწავლებლებს საერო სკოლებისათვის. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებიდან ყველაზე დიდი კრიტიკა ერგო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განსაზღვრას, საღვთო სჯულის სწავლების ამოღებას საერო სკოლების პროგრამებიდან. ხელისუფლება სწორად თვლიდა დემოკრატიული მმართველობის სიტემისათვის ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას, რასაც, საქართველოს ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, ბევრი არ ეთანხმებოდა. სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას კრიტიკოსები ამ პოლიტიკას ბოლშევიკურად, ხალხის საწინააღმდეგო ქმედებად უთვლიდნენ.

განათლების რეფორმის თანახმად, საღვთო სჯული ამოღებული იქნა სკოლაში სასწავლო სავალდებულო საგნების სიიდან. კანონი ამის შესახებ 1918 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა და ასეთ სახეს ატარებდა:

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში უნდა გაუქმებულიყო საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა;

2.დაიხურებოდა კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებლების ჯამაგირისათვის სკოლებში;

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებლებს მიეცემოდათ 1918 წლის 5 ივლისის კანონით გათვალისწინებული ჯილდო;

4. კანონი ძალაში შევიდოდა დღიდან მისი გამოქვეყნებისა სახელისუფლო ორგანოში, გაზე „საქართველოს რესპუბლიკაში", ე. ი. 1918 წლის 26ნოემბრიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 345, ფურც. 5].

კანონის მიღებამდე, ცნობა საღვთო სჯულის სასკოლო პროგრამებიდან ამოღების შესახებ დაეგზავნა დას. საქართველოს 4 რაიონის, ზუგდიდისა და სოხუმის სკოლათა ინსპექტორებს [სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 345, ფურც.2].

კანონმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ოპოზიციური პარტიები და პრესა, ასევე ინტელიგენციის დიდი ნაწილი ამას ქვეყნის საზიანო აქტად მიიჩნევდნენ. სოფლებსა და ქალაქებში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა, სადაც გმობდნენ მომხდარს და მთავრობისგან საღვთო სჯულის სწავლების სკოლებში დაბრუნებას მოითხოვდნენ. ასეთი სახალხო ყრილობები ჩატარდა სენაკში, სოხუმში, აფხაზეთის სოფლებში. სოხუმის სამღვდელოების კრების დადგენილებით, ხელისუფლებას გაეგზავნა მოთხოვნა, რათა აღმდგარიყო საგნის სწავლებაც და მის პედაგოგებს მომატებოდა ხელფასი. „ ჩვენი ერი განსაკუთრებით მორწმუნეა და ქრისტიანობის დაცვისათვის საუკუნეების მანძილზე მებრძოლი, - წერდნენ ისინი. მათი აზრით, ეკლესია განსაკუთრებული დაწესებულება იყო და ხაზინასაც მისი თანამშრომლებისათვის უნდა მიეცა კარგი ჯამაგირი [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 3, ფ.3].

ასეთივე მოთხოვნები მიიღო განათლების სამინისტრომ სოხუმის სოფლებიდან : ლერქოფიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 3, ფ.5], წებელდიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 3, ფ.6], აგაფო კილასურიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 3, ფ.7], მერხეულიდან [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 3, ფ.8] და სხვ.

მიუხედავად ამგვარი საერთო-სახალხო განწყობისა, ხელისუფლება არ აპირებდა დათმობას. პარლამენტმა იმსჯელა ამ საკითხზე და გარკვეული დასკვნაც დადო. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობას წარმოადგენდნენ, თვლიდნენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო რელიგიის საკითხებში. საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება ასეთ გადაწყვეტილებას, მათი აზრით, ხელს შეუშლიდა. თუ ხელისუფლება ერთ რელიგიას დააფინანსებდა და

პრივილეგირებულს გახდიდა, მაშინ ეს აღარ იქნებოდა დემოკრატიული მიდგომა, სხვა რელიგიები დაიჩაგრებოდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები რუსეთისკენ სწრაფვას სწორედ ერთმორწმუნეობის გამო იჩენდნენ, მაგრამ დაპყრობის შემდეგ რუსეთმა სწორედ მართლმადიდებლური ქართული სამოციქულო ეკლესია შეავიწროვა, ხოლო სხვა რელიგიები, მათ შრის სომხური გრიგორიანულიც კი ხელშეუხებელი დატოვა. გამოვიდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქრისტიანობა კვლავ იჩაგრებოდა იმ ნიშნით, რომ სხვაზე პრივილეგირებული არ გამოჩენილიყო და დემოკრატობა არ დაეწუნებინათ ხელისუფლებისათვის. მთავრობის პოზიციის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატი და სხვა ოპოზიციონერი დეპუტატები, კერძოდ: გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე, რევაზ გაბაშვილი და სხვ. ამ უკანასკნელმა ვრცელი, მთავრობის საეკლესიო პოლიტიკის დასაგმობი სიტყვაც წარმოთქვა პარლამენტში [გაზ. „ერთობა", 27 ნოემბერი, 1918,№255] .

ღელავდა ქუთაისის საზოგადოებაც. 1917 წლის 1 ივნისიდან რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად, ყველა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი გადაეცა სახალხო განათლების მინისტრს. მათ შორის იყო ქუთაისის გუბერნიის საეკლესიო-სამრევლო სკოლებიც, რომელთა პედაგოგები ამ ცვლილების შემდეგ დაზარალდნენ, ხელფასები დროულად ვერ მიიღეს და 1917 წლის მაისიდან მათთვის გამოყოფილი თითო თუმნიანი დამატებაც დაკარგეს. ამ ვითარების გასწორებას ითხოვდა განათლების ახლად დანიშნული მინისტრი და მთავრობასა და პარლამენტს სპეციალურ მიმართვას უგზავნიდა. [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 258, ფ.16].

1918 წლის 24 სექტემბერს, ქუთათელი მიტროპოლიტის - არსენის დასაფლავების დღეს, ქუთაისის საარქიელო სახლში, საღამოს 8 საათზე შეიკრიბნენ საქართველოს საკათალიკოსო და გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს წარმომადგენლები და იმერეთის საეპარქიო საბჭოს მთელი შემადგენლობა, ასევე მთლიანად ქუთაისის სამღვდელოება. შეკრებას ესწრებოდნენ მიტროპოლიტები - ლეონიდი და ამბროსი. კრებაზე დაისვა საკითხი - თუ როგორ უნდა შეხვედროდნენ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც მეორე თემაც მოჰყვა: ისედაც ხელმოკლე

სამღვდელოებას ხელიდან ეცლებოდა პედაგოგობით მიღებული გროშებიც, რაც კიდევ უფრო დაამძიმებდა მის მდგომარეობას.

დიდი კამათის შემდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. ვინაიდან ქართველი ერი ისტორიულად შეთვისებულია თავის სჯულთან და მისი დიდი უმრავლესობა კვლავაც ღრმად მორწმუნეა, სარწმუნოების ცოდნა აუცილებელია მისი შემდგომი განვითარებისათვის, ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ საღვთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში სავალდებულო საგნად;

2. მოეთხოვოს საოლქო საბჭოებს, საშუალო სასწავლებლების მშობელთა წრეებს და, სადაც ასეთი არ არის, მშობელთა კრებებს, გამოიტანოს თავიანთ აზრი, სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლების აუცილებლობაზედ და დაგდენილება ამის შესახებ წარადგინონ პირდაპირ ეროვნულ საბჭოში;

3. საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით ეროვნულმა საბჭომ უნდა მისცეს დამატებითი ჯამაგირები სამღვდელოებას, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და უამისოდ იძულებული იქნება შეწყვიტოს თავისი სამსახური, თუ მალე ვერ მიიღებს სათანადო ნივთიერ დახმარებას;

4. რ4ადგანაც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და მისი მსახური სამღვდელოება წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას და ეწევა უპირატესად სახელმწიფო სამსახურს, იგი ხაზინამ უნდა შეინახოს, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, ხალხმა უნდა იტვირთოს მისი შენახვა, ხალხს კი ამჟამად ეს არ შეუძლია. ამიტომ, საქართველოს მორწმუნე ერი ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა შეკრიბოს, მოიწვიოს ყრილობა და მიმართოს ეროვნულ საბჭოს - ეკლესიის ხაზინიდან დაკმაყოფილების შესახებ.

პირველი სამი მუხლი საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეგზავნა, ბოლო ორი კი საეგზარქოსო საბჭოებს, რათა მათ მოეწვიათ საოლქო და სასოფლო ყრილობები აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად და მათ ეროვნულ საბჭოში წარსადგენად.

ამ დადგენილების ამონაწერი დაეგზავნა რესპუბლიკის სკოლებსაც, სადაც იმართებოდა მშობელთა კრებები ამ პრობლემის განსახილველად. კრების

მონაწილეები ყველგან ითხოვდნენ საღმრთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვებას [ქსსა, ფონდი 15, საქმე 3828, ფ. 111].

1919 წლის 6 მარტს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მშობელთა კრებამ გამოიტანა ამგვარი დადგენილება და გადაუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს. დადგენილებაში ეწერა: „მივიღეთ რა მხედველობაში გარდამავალი არაჩვეულებრივი ისტორიული მომენტი, სკოლებში არასასურველი, თითქმის ანარქიული მდგომარეობა, ბავშვების გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება, მათი ხშირი არასასურველი თვითნებობა - სწავლის შეწყვეტა, ომში, თითქოსდა სამშობლოს დასაცავად წასვლა მთავრობისა და მშობლების დაუკითხავად, ინდიფერენტული დამოკიდებულება სწავლა-განათლების საქმესთან, ჩვენ, მშობლები, ქრისტიანულ სწავლას ვთვლით მაღალ ისტორიულ–მორალურ ფაქტორად სკოლებში და დარწმუნებული მასში, რომ მარტო თეორეტიკული განყენებული ცოდნა, თუ მასთან ერთად არ ვითარდება ორგანული ხასიათი, ზნე, ჩვეულება, გრძნობა, ნამდვილ ადამიანს ვერ შექმნის და ჩვენ ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას ნამდვილ მაღალ იდეალებით აღჭურვილ მოქალაქეების ნაცვლად, მისცემს არასასურველ მავნე ელემენტებს. ყოველივე ამის მიხედვით მშობელთა წრე მოითხოვს:

1. საღმრთო სჯული ესწავლებინათ სურვილისამებრ, მასწავლებელს ჰქონოდა ჯამაგირი იმ ფულიდან რომელსაც მშობლები გადაიხდიდნენ;

2.ამ საგნის მასწავლებელს ჩათვლოდა სამსახური შტატში მუშაობად ისევე, როგორც ეს მუშებსა და სხვა დარგის სპეციალისტებს ჰქონდა და მათ ამით დანიშვნოდათ პენსია;

3. საგანი ესწავლებინათ ჩვეულებრივ სწავლის დროს და არა გაკვეთილების შემდეგ, პედაგოგიური პრინციპების დაცვით;

4. თუკი შექმნება რაიმე მაღალი მორალისა და ეთიკის მასწავლებელი სახელმძღვანელო, მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ სხვა თემაზე, მაგრამ დღეს საღვთო სჯულის სწავლება აუცილებელია, თუნდაც არასავალდებულო საგნად [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 3, ფურც.24].

საკითხზე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში კვლავ იმსჯელეს. მღვდელმა ნესტორ აბესაძემ (რომელიც საღვთო სჯულს ასწავლიდა ამავე სასწავლებელში) განუმარტა

მშობლებს, რომ ამგვარი რამ, ანუ ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა, ევროპის ქვეყნებში განხორციელდა, მაგრამ იქ ეს კათოლიკური ეკლესიის რეაქციულმა ხასიათმა გამოიწვია, რაც აფერხებდა ქვეყნების განვითარებას, ჩვენთან კი ასეთი რამ არ არსებობსო. ქართული სახელმწიფოს განვითარება და წინსვლა მხოლოდ ეკლესიას უკავშირდებაო. არც ახლა არის ის მიუღებელი, რადგან სამშობლოს სიყვარულსა და რჯულს ასწავლის ახალგაზრდობას და არ ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაშიო.

სამღვდელო პირი თვლიდა, რომ თავისი ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება ებრძოდა ეკლესიას: სჯული არ ასწავლო ბავშვებს და ეკლესიაში ატარო, -ამბობდა ის, - ეს იგივეა, გეოგრაფია რომ არ ასწავლო სკოლაში და მინდორში ატარო მოწაფეებიო. ეკლესიაში სიარული და სჯულის უსწავლელობა ხელის შეწყობა იქნება უვიცობისა და ურწმუნოებისათვისო. ამავე სიტყვაში მამა ნესტორი თვლიდა, რომ პარლამენტში ბევრი უვიცი იყო, სოციალ-დემოკრატიული პარლამენტი დროებითი პარლამენტია, რადგან მისი უმრავლესობა ურწმუნოა და ამიტომ გვმართებს მას არ დავემორჩილოთო [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 3, ფურც.25-26].

მსგავსი კრებები თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში გაიმართა, თუმცა, პარლამენტმა მაინც ის დადგენილება გამოიტანა, აც მთავრობის ახალი მიდგომა იყო ამ პრობლემისადმი: საღვთო სჯულის სწავლება სავალდებულო საგნებიდან ამოიღო და ის ასარჩევ დისციპლინად გამოაცხადა. თუ მშობლები და მოსწავლეები ნებაყოფლობით მოინდომებდნენ მის სწავლას, მასწავლებლებს ხელფასსაც ისინი გადაიხდიდნენ. მასწავლებლებს ჩატარებული სამუშაო არ ჩაეთვლებოდათ სტაჟში და პენსიაც არ მიეცემოდათ [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 3, ფურც.27].

არსებული სასულიერო სასწავლებლები ან გაუქმდა, ანდა გადაკეთდა საერო სასწავლებლებად. მაგალითად, ხონისა და ზაქათალის წმინდა მარინეს სასწავლებლები გადაკეთდა უმაღლეს დაწყებით სკოლებად, ასევე მოხდა ბანძის ვაჟთა და ზუგდიდის ქალთა საეკლესიო სკოლებში [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 27, ფურც.4-5].

სამთავრობო გაზეთები აკრიტიკებდნენ სასულიერო სასწავლებლებს, იქ გამეფებულ სქოლასტიკურ რეჟიმს, ხოლო სამთავრობო ოპოზიციური პრესა

მთავრობის პოლიტიკას არაეროვნულად და ხალხის საწინააღმდეგოდ წარმოაჩენდა [გაზ. „ერთობა", 1918, №227].

კანონ-პროექტის გამოქვეყნებიდან (1918 წლის ივლისი) მის მიღებამდე (1918 წ. ნოემბერი) საღვთო სჯული სკოლებში მაინც ისწავლებოდა, ოღონდ მასწავლებლებს თავად სამინისტრო ნიშნავდა, ეკლესიის მესვეურებს ამ საქმეში არ რევდა. ამის გამო უკმაყოფილო თბილელმა მიტროპოლიტმა - ლეონიდმა (ოქროპირიძე) საპროტესტო წერილი მისწერა განათლების მინისტრს - გიორგი ლასხიშვილს. წერილის ტონი კატეგორიული იყო. წმინდა მამა საყვედურობდა მინისტრს, რომ უცნობ ადამიანებს ნიშნავდნენ პედაგოგებად და არაფერს ეკითხებოდნენ ეკლესიას, რომლის წიაღში კარგად იცნობდნენ მათგან საღვთო რჯულის მასწავლებლებად შერჩეულ ყველა მღვდელს. „უმორჩილესად გთხოვთ, კეთილი ინებოთ, მოახდინოთ განკარგულება, - წერდა ლეონიდი 1918 წლის 26 ოქტომბერს, - რომ საკვლავისოდ მაინც, ყოველ ამისთანა შემთხვევაში, შეკითხვა წარმომეგზავნოს და სჯულის მასწავლებელი ჩემის თანხმობით ინიშნებოდეს" [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 138, ფურც.2].

26 ნოემბრის კანონმა საღვთო სჯულის პედაგოგები უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო. ეს კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტებიდან, კერძოდ, უმუშევრად დარჩენილ მასწავლებელთა წერილებიდან, საკათალიკოსო საბჭოსა და განათლების სამინისტროს კანცელარიის მასალებიდან. ამ ადამიანებს არც საერო სამსახურში იღებდნენ, რის გამოც საკათალიკოსო საბჭომ სპეციალურად იმსჯელა ამ მოვლენაზე და მიმართვა გაუგზავნა განათლების მინისტრს. საბჭო სამღვდელოების დისკრიმინაციად თვლიდა მათთვის საერო სამსახურზე უარის თქმას და მოითხოვდა განათლების მინისტრისგან აღნიშნული მოვლენისთვის ყურადღების მიქცევას. დოკუმენტს ხელს აწერდა საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 138, ფურც.17].

დისკრიმინაციად სამღვდელოება თუნდაც იმიტომ თვლიდა სამთავრობო პოლიტიკას, რომ სამეურნეო სკოლები და სხვა სპეციალური სასწავლებლები არ გადასულა განათლების სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში, სასულიერო სკოლები კი ჯერ მთლიანად ხელისუფლების კონტროლს დაემორჩილა, შემდეგ გაუქმდა, ან გადაკეთდა.

მთავრობის პოლიტიკა გააკრიტიკეს მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. განსაკუთრებით მკაცრი იყო ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტების თვალსაზრისი. დეკანოზმა პოლიექტოვ კარბელაშვილმა კი, წერილში - „საქართველოს სამღვდელოებისათვის"- ხელისუფლება ბარბაროსებსა და ქვეყნის მტრებს შეადარა: „ამაზე მეტი მტრობა არც აღმოსავლეთის ბარბაროსებს ჩაუდენიათ და არც რუსებს ქართველების მიმართო"[გაზ. „საქართველო", 1919, №71].

სასულიერო სასწავლებლების გაუქმების შემდეგ საკათალიკოსო საბჭო ხელისუფლებისგან ითხოვდა გარკვეულ დათმობებზე წასვლას, კერძოდ: სასულიერო სასწავლებლების შენობები და ქონება ეკლესიის საკუთრებაში დარჩენილიყო, მომხდარიყო სასწავლებლების ასეთი სახით რეორგანიზაცია: თბილისის სასულიერო სემინარია და გიმნაზია შეერთებულიყო და ისეთ სასწავლებლად გადაკეთებულიყო, სადაც იქნებოდა სრულუფლებიანი 8 კლასიანი გიმნაზია სასულიერო სასწავლებლით, სემინარიის 4 კლასით და ორკლასიანი საღვთისმეტყველო კურსები, სადაც შევიდოდნენ როგორც ამ გიმნაზიის, ისე სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. ამგვარ სასწავლებელში ადგილების 30-40 % უნდა დათმობოდა ეკლესიის მსახურთა შვილებს, რომლებიც თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ სწავლის ქირისაგან. ამას სამართლიანობის აღდგენას უწოდებდა კალისტრატე ცინცაძე [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 238, ფურც.25].

საკათალიკოსო საბჭომ ამ მიმართვის საპასუხოდ მიიღო შემდეგი პასუხი: სასულიერო სასწავლებლების გადასვლა განათლების სამინისტროს შემადგენლობაში იმ შენობებისა და ქონების გადასვლასაც ნიშნავს, რაც ამ სასწავლებლებს ეკუთვნოდაო[სცსსა, ფონდი 1935, საქმე 238, ფურც.25].

დავა იყო თბილისის სასულიერო სემინარიის ირგვლივ. ამ სასწავლებლის შენობა თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, თავად საკათალიკოსო საბჭომ სტუდენტებს აჩუქა აქ დაცული ბევრი ნივთი, მაგრამ ნაწილი ქონების გატანას აპირებდა. განათლების სამინისტრომ, საბჭოს დაუკითხავად, ბრძანებით, ყველაფერი უნივერსიტეტს გადასცა, რამაც ეკლესიის მესვეურთა გულისწყრომა გამოიწვია. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაზის ხელმოწერით საპროტესტო წერილი გაეგზავნა განათლების სამინისტროს [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 138, ფურც.16].

მღელვარების საგანი გახდა ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სემინარიის შენობისა და ქონების გადაცემა სიღნაღის ერობისათვის, რაც კათალიკოს -პატრიარქმა ლეონიდმა გააპროტესტა ახალი განათლების მინისტრის - გრიგოლ ლორთქიფანიძისთვის მიწერილი წერილით [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 138, ფურც.18].

განსაკუთრებული მღელვარება კანონმა გამოიწვია აჭარის მუსულმან ქართველებში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ შარიათის წინააღმდეგ დაპირისპირება დიდ არეულობას დაუკავშირდებოდა, რაც საქართველოს ერთიანობას არ წაადგებოდა. ამ პრობლემას ფართოდ აშუქებდა გაზეთი „სამუსულმანო საქართველო"[გაზეთი „სამუსულმანო საქართველო",№328, 1920].

მთავრობა იძულებული გახდა სჯულის სწავლება დაეტოვებინა მუსულმანურ, როგორც ქართულ, ასევე არაქართულ სასწავლებლებში. სამინისტროს მთავარგამგე - გიორგი ჭუმბურიძე, რომელმაც ამ საკითხზე გააკეთა მოხსენება, სასტიკად გააკრიტიკა სომხურმა გაზეთმა - „ნორ აშხატავორ". გაზეთმა ეს ფაქტი სომეხთა დისკრედიტაციად მიიჩნია.

სინამდვილეში არც სომხური და არც აზერბაიჯანული სკოლების პროგრამებიდან არ ამორებულა საღვთო სჯულის სწავლება, რაც, სამართლიანად, ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების დაჩაგვრად აღიქვა ქართველმა საზოგადოებამ.

სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციაზე ხელისუფლებას თავიანთი მოსაზრებები წარუდგინეს თბილისის სემინარიის რექტორმა დეკანზმა კორნელი კეკეკლიძემ და თბილის ვაჟთა სასულიერო გიმნაზიის დირექტორმა ანტონ ნატროშვილმა. არცერთი ეს მოსაზრება ხელისუფლებას არ გაუზიარებია [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 231, ფურც.18-19, 25-26].

ხელისუფლებამ ეკლესიას მოთხოვა სადავო შენობებსა და ქონებაზე კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის მოძიება არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან ამ ქონების დიდი ნაწილის ისტორია უძველეს დროს მიეკუთვნებოდა. შედგა დიდი ახსნა-განმარტებითი დოკუმენტი კათალიკოს პატრიარქის - ლეონიდისა და კანცელარიის გამგის- დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ხელმოწერით [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 960, ფურც.13-15]..

ასევე ვრცელი მოხსენება დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაზემ წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს იურისტ-კონსულტანტს - დ. პ. კვირკველიას [[სცსსა, ფონდი 1935, საქმე 960, ფურც.9-11]..

ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან მართლმადიდებლობის მოსალოდნელ დაღუპვას უწოდებდა მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე [გაზ. „საქართველო'',№9, 1920].

საპატრიარქომ შექმნა „მორწმუნეთა საბჭო'', სადაც შევიდნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები. საბჭოს თავმჯდომარედ კათალიკოს- პატრიარქი დასახელდა, მდივნად - დ. დავითაშვილი. სასულიერო პირთაგან საბჭოში პატრიარქის წინადადებით შეიყვანეს დეკანოზები: პროფესორი კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე და იასონ კაპანაძე. საერო პირთაგან კრებაზე მყოფნი - გენერალი ლავრენტი ბალუაშვილი და ივანე როსტომაშვილი, გარედან მოწვეულებად - პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იასონ ჯავახიშვილი. მათ კომისიის წევრობა თავად უწმინდესმა სთხოვა [გაზ. „საქართველო'',№9, 1920].

საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კანონების გადამსინჯავმა კომისიამ კვლავ განიხილა კანონი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ, მაგრამ კანონი საბოლოოდ მიიღო. ხელისუფლებას სწამდა, რომ ეს დემოკრატიის ის აუცილებელი მოთხოვნა იყო, რითაც საქართველოს სახელმწიფო ევროპულ დიდ ოჯახში უნდა გაწევრიანებულიყო.

თავი VII.

განათლების რეფორმა და ქართული საზოგადოება 1918-1921 წლებში

§ 1. ერობებისა და სკოლების ურთიერთობა

როგორც ვიცით, საქართველოში საერობო რეფორმა რუსეთს არ გაუტარებია. ამ თემაზე ქართულ საზოგადოებაში სულ იყო კამათი, დგებოდა საერობო პროექტები, საიმპერიო ხელისუფლებისადმი წაყენებული მოთხოვნები ერობის შემოღებაზე იგზავნებოდა იმპერიის ცენტრში. საბოლოოდ, საერობო რეფორმა 1917 წელს გატარდა, როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ერობები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივად მიმდინარე სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებს, თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო მათი კომპეტენციის საზღვრები ზუსტად გამიჯნული.

სახალხო განათლების სისტემაში სულ იყო კამათი იმაზე, თუ ვის უნდა ეგო პასუხი და ვის ემართა ადგილობრივი სკოლები განათლების სამინისტროსთან ერთად. ცალკეული სპეციალური სკოლები სამართავად იმ უწყებებს გადაეცა, რომლებიც ამ სკოლებს პროფილით შეესაბამებოდნენ, მაგ.: სასოფლო სკოლები - მიწათმოქმედების სამინისტროს, სავაჭრო-ეკონომიკური - ვაჭრობის სამინისტროს. მაგრამ ცხადი გახდა, რომ განათლების სამინისტრო უნდა ყოფილიყო ყველა ტიპის სკოლის მუშაობის კოორდინატორი, მას მხოლოდ უნდა დახმარებოდნენ ცალკეული სახელმწიფო უწყებები, საქალაქო და სასოფლო საზოგადოებები.

1918 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო სკოლების გადაცემა-ჩაბარების პროცესი ერობებისათვის. ერობები „შეუდგნენ სამინისტროს უწყების ყველა სახალხო სკოლის ადგილობრივად მიღებას თავისი ინვენტარით, რისთვისაც, საქმის გაადვილებისათვის, თითოეულმა სკოლამ წინასწარ შეადგინა ჩასაბარებელი უწყება" [ქსსა, ფონდი 105, საქმე 31, ფ. 1].

განათლების სამინისტრომ ერობებს და საქალაქო თვითმმართველობებს სკოლების ხელმძღვანელობისათვის შემდეგი ინსტრუქცია მისცა: „დაბალი სკოლების (პირველ და უმაღლესდაწყებითი და საპროფესიო-სატეხნიკო) თვითმმართველობათა

ხელში გადასვლის შემდეგ, ამ სასწავლებელთა საერთო ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა და მათი სამეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს თვითმმართველობათა კომპეტენციას, მათ უფლებებსა და მოვალეობას. ამის მიხედვით, სკოლების საქმის გასაძღოლად, თვითმმართველობა სარგებლობს შემდეგი საშუალებით:

1. სკოლების გამგე ინსტრუქტორებსა და მასწავლებლებს იწვევს ასეთი წესით:

ა. უმაღლესი-დაწყებითი და საპროფესიო-სატეხნიკო სკოლათა გამგე მასწავლებელნი უნდა წარდგენილ იქნენ სახალხო განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად;

ბ. პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთ თვითმმართველობა იწვევს არსებული კანონის მიერ დაწესებული ცენზის მიხედვით და საერთო სიის საშუალებით აცნობებს სამინისტროს;

შენიშვნა: გამგეთა ცალკე თანამდებობა განსაკუთრებული სასყიდლით არ არსებობს,

2. სკოლებისათვის საჭირო კრედიტები გადადის თვითმმართველობათა განკარგულებაში ხარჯთაღრიცხვის პარაგრაფებსა და მუხლებში აღნიშნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,

შენიშვნა: უმაღლესდაწყებითი და საპროფესიო-სატეხნიკო სკოლების კრედიტები დროებით გახსნილია ამ სასწავლებელთა გამგეობის სახელზე".

ინსტრუქციას ხელს აწერდა მთავარგამგე გ. ჭუმბურიძე [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №101].

ერობებს ხშირად არ ჰქონდათ სათანადო თანხები სკოლების დახმარებისათვის გამოსაყოფად, ამ შემთხვევაში მათ განათლების სამინისტრო ურიცხავდა საჭირო ფულს. სამინისტრომ 1919 წელს გაუგზავნა ქუთაისისა და ზუგდიდის ერობებს 150 ათასი მანეთი, შორაპნის, ლეჩხუმისა და სენაკის ერობებს - 100 ათასი „სახალხო განათლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად" [გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №110] .

ერობებს ევალებოდა ახალი სკოლების გახსნაც. მაგ.: თელავის ერობას 1919 წელს 26 სკოლა ჩაუბარებია, მომდევნო წლისთვის 8 ახალი სკოლის გახსნის ვალდებულება

აუღია და, ამასთანავე, უკისრია, რომ უფასო სწავლებას თანდათანობით განახორციელებდა. თავის ინიციატივით, თელავის ერობამ დამოუკიდებლობის წლებში 4 მოძრავი სკოლა გახსნა, რომელიც 12 სოფელს ემსახურებოდა. გაიხსნა ე. წ. „სამაგალითო სკოლაც", სადაც წერა-კითხვის უცოდინარი 24 ბავშვი ჩაირიცხა. თელავის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი ვ. მამალაძე, ერობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, სახალხო განათლების სფეროში ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებდა [გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №211] .

კარგად იმუშავა თიანეთის სამაზრო ერობამ. ამ მაზრის განათლების განყოფილების ინსპექტორთან - ვლადიმერ პაპავასთან ერთად, ერობამ აღადგინა სკოლები, შეკრიბა მასწავლებლები. მაზრაში 1919-20 სასწავლო წელს 13 სასწავლებელი იყო და მალე ერობის დახმარებით 7 ახალი სასწავლებელი დაარსდა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, №72] .

ერობებისა და სკოლების ურთიერთობა კარგად ჩანს დოკუმენტში - „თეზისები და დასკვნები განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მოხსენების მთავრობასა და ერობათა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ".

აღნიშნული საკითხი განათლების სამინისტროს მიერ 2 ნაწილად იყო გაყოფილი:

1. დამოკიდებულებათა პრინციპიალური მხარე, ძირითადი დებულებები, რომლებიც უნდა შემუშავებულიყო სამინისტროს მიერ, - რაც შევიდოდა რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონმდებლობაში;

2. საკითხი ეხებოდა სკოლების თვითმმართველობათა ხელში გადასვლით გამოწვეულ მდგომარეობას, რაც მოითხოვდა სამინისტროსაგან კონკრეტული შემთხვევების შესაფერი პრაქტიკული ზომების მიღებას.

მსჯელობას პრაქტიკულ საშუალებათა შესახებ სამინისტრომ ორი საფუძველი დაუდო, რომელიც ასე ჩამოაყალიბა: 1. დაბალ სკოლას დღეს ფაქტობრივად ინახავს სახელმწიფო ხაზინა, სამინისტრო არის ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვის შემდგენი და გამანაწილებელი საზოგადოებრივ თვითმმართველობას შორის.

2. საყოველთაო სასკოლო განათლებას ხელმძღვანელობს მთავრობა და ახორციელებს ერობათა საშუალებით.

1919 წელს სამინისტროს მიერ შედგენილი მოხსენების დასკვნაში ეწერა:

1. დღევანდელი სახალხო სკოლების ინსპექტორები უნდა დარჩნენ მანამდე, სანამ არ მოხდება მათი კანონიერი ლიკვიდაცია;

2. ინსპექტორები არიან სამინისტროს წარმომადგენლები, უწევენ სკოლებს მეთვალყურეობას სწავლა-აღზრდის მხრივ, ახორციელებენ სამინისტროს კონტროლს და ერობისაგან დამოუკიდებლად უდგენენ მას მოხსენებებსა და ანგარიშებს, ინსპექტორები არ ერევიან სკოლის ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმეებში;

3. სამინისტრო გამოთქვამს სურვილს, რომ დღევანდელი ინსტრუქტორები, შეძლებისდაგვარად, იყვნენ აღჭურვილნი უმაღლესი განათლებით და ჰქონდეთ შესაფერისი პედაგოგიური სტაჟი, იშვიათ შემთხვევაში ინსტრუქტორის განათლების ცენზი უნდა იყოს არანაკლებ სამასწავლებლო ინსტიტუტისა, თვითონ კი მას ჰქონდეს 8-10 წლის პედაგოგიური პრაქტიკა;

4. ახალ დებულებათა შემოღებამდე, ინსტრუქტორებს ჯამაგირით აკმაყოფილებს ერობა;

5. ერობის ხელში გადადის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებიც;

6. ერობას აქვს უფლება გახსნას თავის რაიონში საკუთარი ხარჯით სასწავლებელი მხოლოდ სამინისტროს მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, რათა დაცული იქნეს სისტემის წესი და მთლიანობა'' [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 26, ფ.17].

1919 წლის თებერვალში თბილისში გამართულმა საქართველოს ერობის წარმომადგენელთა ყრილობამ განიხილა განათლების სისტემისა და ერობის ურთიერთობის საკითხი და დაადგინა, რომ ერობასაც და ქალაქის თვითმმართველობასაც სკოლისადმი დახმარებაში ავტონომიურად უნდა ემოქმედა, თუმცა, ეს დამოკიდებულება თვითნებობად არ უნდა გადაქცეულიყო [გაზ. „სახალხო საქმე'', №474, 1919].

1919 წლის 18 თებერვალს ერობებისა და სკოლების ურთიერთობის საკითხი განიხილა პარლამენტის განათლების კომისიამაც. სხდომას ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები: სახალხო სკოლებს მთავარგამგე გიორგი ჭუმბურიძე, კანცელარიის დირექტორი ვუკოლ ბერიძე, საპარლამენტო განათლების კომისიის თავ-რე - ლეო ნათაძე. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორი ი. ღულაძე და მეშვიდე გიმნაზიის

მასწავლებელი ლუარსაბ ბოცვაძე. მიღებული იქნა დებულება იმავე 6 პუნქტით, რაც განათლების სამინისტროს ჰქონდა შემუშავებული [სცსსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 27, ფ.29].

ერობას ხშირად უჭირდა სკოლის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა. საშინლად რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში მას ბევრი რამ არ შეეძლო, რასაც კარგად აჩვენებს ამდროინდელი პრესა და საარქივო დოკუმენტები.

შორაპნის მაზრის სკოლების მდგომარეობას აღწერდა გაზეთი „სახალხო საქმე" წერილში - „აბუჩად აგდებული სახალხო სკოლა და მასწავლებელი". პუბლიცისტი მასწავლებელთა გაუსაძლის მდგომარეობაზე, ერობის სისუსტესა და უნიათობაზე საუბრობდა. ვერც ახლადდაარსებულ შორაპნის მაზრის მასწავლებელთა კავშირს უშველია, პრობლემის ერთი ასპექტი მაინც რომ მოეგვარებინა [გაზ. „სახალხო საქმე" 1920, №749].

წერილს გაზეთის ერთ-ერთ ნომერში პასუხი გასცა შორაპნის სამაზრო ერობის სასკოლო განყოფილების გამგემ - ჯუღელმა. მან ახსნა, რა უმწეო მდგომარეობაში იყო თავად ერობა, რომ ამ დაწესებულებას არ შეეძლო მეტის გაკეთება, გადასახადებსაც კი ვერ კრეფდნენ, მოსახლეობას ისე უჭირდა და მასწავლებელთა ხელფასებს ამიტომაც ვერ არიგებდნენ [გაზ. „სახალხო საქმე" 1920, №789].

როდესაც შორაპნის მაზრის პედაგოგებს სამინისტროში წასვლა და თავიანთი მდგომარეობის გამორკვევა გადაუწყვეტიათ, მათ ერობის წარმომადგენელი დამუქრებიათ, რასაც იმავე გაზეთის პუბლიკაციაში გულისტკივილით ამხელდა მაზრის პედაგოგიური საზოგადოების წარმომადგენელი [გაზ. „სახალხო საქმე"1920, №780].

ლეჩხუმელი პედაგოგი ისე აუღელვებია აქაური ერობის უმოქმედობას, რომ გულმოკლული საკუთარი ლექსით იწყებდა წერილს:

„ღმერთო, იმას მომასწარი, მამულს კაცი ჰყოლოდესო, ქვეყნის მოვლა-პატრონობა შესწავლილი ჰქონოდესო"[გაზ.„სახალხოსაქმე"1920, №749].

მიუხედავად კრიტიკისა, ახლადშექმნილი ერობები ყველაფერს აკეთებდნენ განათლების უკეთესი მომავლისათვის, მაგრამ უფინანსობის გამო საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდათ.

§ 2. ოპოზიციური საზოგადოებრივი აზრი განათლების რეფორმისა და სკოლების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, იყო დადებითი და ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის სასარგებლო შედეგებიც მოჰქონდა, რეფორმის განხორციელებაში მაინც თვალნათლივ ჩანდა ბევრი ხარვეზიც. იმდროინდელ ურთულეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, ვერ ხერხდებოდა რეფორმით გათვალისწინებული ყველა მიზნის შესრულება. იყო სუბიექტური მიზეზებიც. რაც მთავარობისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ცუდი მუშაობით, დაუდევრობითა და უცოდინრობით იყო გამოწვეული. მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და მათი პრესა ამ მიზეზებს არ მალავდა და ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცევდა.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ყველაზე რადიკალურად განწყობილი ოპოზიციური პარტიის - ეროვნულ-დემოკრატების გაზეთ „საქართველოს" მასალებს, მის დამოკიდებულებას განათლების რეფორმისადმი.

ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე - იპოლიტე ვართაგავა პუბლიცისტური წერილების სერიაში - „სკოლის რეორგანიზაციისათვის" ეხებოდა განათლების რეფორმის ძირეულ საკითხებს. პუბლიცისტი საუბრობდა რეფორმის გატარებაში არსებულ ხარვეზებზე, ქართული სკოლის ჩამორჩენას და ამ სფეროსადმი სახელმწიფო ორგანოების დაუდევრობაზე. „ერის გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიკური წინსვლა სკოლაზეა დამოკიდებული, - წერდა ვართაგავა, - სკოლა ერთგვარი ლაბორატორიაა სადაც მზადდება და გროვდება ის მასალა, რომელიც უნდა მოხმარდეს ცხოვრების სხვადასხვა დარგის ჯეროვნად მოწყობას და გაფართოებას, აქ ეყრება საფუძველი მოქალაქის ცოდნას, აქ მუშავდება მისი მსოფლმხედველობა".

ხასიათის, ნებისყოფის, ქვეყნის მომავალი ღირსეული მოქალაქის ყველა საუკეთესო თვისების ჩამოყალიბება, პუბლიცისტის აზრით, სკოლაში უნდა მომხდარიყო. იგი მახინჯ მოვლენად მიიჩნევდა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების

მცდელობას - ჰყოლოდათ სკოლა თავიანთ გავლენაში, საკუთარი ნება-სურვილით მოეწყოთ მისი ორგანიზაცია, გამოეყენებიათ მოსწავლეები და პედაგოგები პარტიული იდეების გასავრცელებლად. პუბლიცისტი თვლიდა, რომ ქართული სკოლა შინაარსით ტიპობრივად კვლავ რუსული იყო. მას არ მოსწონდა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული დებულება დირექტორების შესახებ, რაც ზღუდავდა იმ მცირე ავტონომიასაც, რევოლუციის შემდეგ ქართულმა სკოლამ რომ მიიღო. საქმე ეხებოდა დირექტორთა უფლებას - დაეთხოვათ მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს დაუკითხავად. ვართაგავას ეს კანონი მიაჩნდა არაკოლეგიალურად, პედაგოგის შეურაცხყოფად და დამცირებად, ძველი რუსული სკოლის მეთოდად. ის ასევე აკრიტიკებდა სასწავლო გეგმებს, სწავლის სისტემას და ასკვნიდა: „ამნაირად ჩვენში დრემდე სკოლა რ განახლებულა ფაქტიურად იგი ისევ რუსული ელფერისა და ხასიათისაა. ამ ახალ ცხოვრებას, ახალ მოთხოვნილებებს და განცდას მისი სახე არ შეუცვლია.'' პუბლიცისტი ითხოვდა მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას: სკოლის გაქართულებას, მისი პროფილის სწორად შემუშავებას, სწავლა-აღზრდის ახალი სისტემის შემოღებას. მისი აზრით, ეს საქმე გადაწყდებოდა არა კაბინეტებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით.

პუბლიცისტი აკრიტიკებდა ქუთაისში წასულ „დამსჯელ ექსპედიციას", - რევიზიას, რომელსაც არ ჰქონდა მტკიცედ შემუშავებული სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რითაც გააკონტროლებდა სწავლებაში არსებულ ვითარებას. ამიტომ, რევიზიასაც იგი რუსულს უწოდებდა, სინანულით და ირონიით დასძენდა იმ მდგომარეობაზე, რაც, შესაძლოა, გამოჩენილ ქუთაისელ პედაგოგს იოსებ ოცხელს დამმართნოდა ამგვარი რევიზიის სტუმრობისას. [„საქართველოს'', 1919,№75]

პუბლიცისტი "ზ-ედილი" აღწერდა სახალხო სკოლების მდგომარეობას ქართლში, თანამდებობის პირთაგან სკოლების აწიოკებას, სოფლის სამღვდელოების დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი, საუბრობდა გორის სასულიერო სასწავლებლებზე.

„საქართველოს" მიერ გამოქვეყნებული ამ პუბლიკაციით ნათელი ხდება, თუ როგორ უჭირდა ქართულ სკოლას ქვეყნის ერთ მნიშვნელოვან რეგიონში - ქართლში, როგორ ფერხდებოდა აქ სასკოლო რეფორმის განხორციელება. ფრონის ხეობის

ოცდაათამდე სოფელში ამ დროს მხოლოდ ერთი კერძო, კ. ამირეჯიბის სკოლა ყოფილა. გორის სამაზრო ერობას მიზნად დაუსახავს ამ საქმის გამოსწორება ახალი სკოლების დაარსებით, მაგრამ საამისოდ საჭირო კადრების ნაკლებობის გამო, 1919 წლის 10 თებერვლიდან გაუხსნია მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

კურსებზე ოთხკლასდამთავრებულებს ღებულობდნენ. პუბლიცისტის მართებული შენიშვნით, უმჯობესი იყო ადგილობრივი კადრები მოემზადებინათ, რომლებიც ადვილად წავიდოდნენ სამუშაოდ აქაურ სოფლებში. მომხდარა ისე, რომ მსმენელებად ჩარიცხულან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები. ამის მიზეზი კი ის გამხდარა, რომ განცხადება კურსების შესახებ გამოქვეყნებულა თბილისისა და ქუთაისის პრესაში, რადგან გორში გაზეთი არ გამოდიოდა. მასწავლებლების დახელოვნების კურსების გახსნას გორში პუბლიკაციის ავტორი მაინც დადებით მოვლენად აფასებდა. ის ითხოვდა მასწავლებელთა უფლებების დაცვას, მოჰყავდა მოხელეთა თვითნებობისა და სოფლის პედაგოგთა გაუსაძლისი ყოფის მაგალითები. პუბლიცისტი აკრიტიკებდა სასულიერო ცხოვრებაში არსებულ მდგომარეობას და ქვეყნის სასულიერო ხელისუფალთაგან რეგიონების მიმართ მეტ ყურადღებას ითხოვდა. სასულიერო პირთა დაკნინებას იგი აბრალებდა მთავრობას, რომელმაც დახურა სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები, სამღვდელოებას მოუსპო ის მცირე შემოსავალიც, რაც პედაგოგიური საქმიანობიდან ჰქონდა. ის არასამართლიანად მიიჩნევდა გორის სასულიერო სემინარიის გადაკეთებას გიმნაზიად , მიიჩნევდა, რომ გორი ორ გიმნაზიას ვერ შეინახავდა, ამიტომ მოითხოვდა სემინარიის სასოფლო-სამეურნეო სკოლად გადაკეთებას. ამ სკოლისთვის ორმოცი დესეტინა მიწის გამოყოფა იყო შესაძლებელი სკვერის ხეხილის ბაღის სახით, რომელიც ჩამოერთვათ მემამულეებს - ავსარქისოვსა და ფრიდონოვს. პუბლიცისტის აზრით, გორის მაზრა ასეთი ტიპის სასწავლებელს ნამდვილად საჭიროებდა[“საქართველო”, 1918, №68].

მდგომარეობა არც კახეთში იყო უკეთესი. “მგზავრი-მოკეთის” ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში გაზეთი “საქართველო” კახეთის ამბებს ასე გადმოგვცემდა: “კახეთში სკოლები ყველგან უკან და უკან მიდიან, სამკითხველოებს ზედაც აღარავინ

უყურებს, არის რამე კი შიგ? ამბობენ, ეულ დაცარიელებულიაო“ [„საქართველოს“, 1919 №69]

გაზეთის აზრით, განათლების სფეროს პოლიტიკა არ უნდა შეჰხებოდა. პუბლიცისტ პავლე მოსულიშვილის თქმით, „პოლიტიკა ამ ძვირფას იარაღს, როგორც მიწა ჟანგს, ისე სჭამდა“ ქართული სკოლებისა და საგანმანათლებლო სფეროს კრიტიკის მიუხედავად, „საქართველო“ ამ დარგში სომხეთის მაგალითს მიმართავდა და ამბობდა, რომ ამ მეზობელი ქვეყნის შოვინისტური წრეები წამლავენ ერის აზროვნებას, აკნინებენ მას ზნეობრივად, საქართველოში კი ამგვარი რამ არ ხდებოდა, ჩვენში მცხოვრები სომხები, მოსულიშვილის აზრით, ‘‘კუჭის პოლიტიკას’’ ამჯობინებდნენ, ქართველი პატრიოტები კი უკანასკნელ გროშებს იღებდნენ ერის გასანათლებლად გამოცემული სამეცნიერო და საკითხავი ლიტერატურისათვის. მას მოჰყავდა თბილისში გამოცემული წიგნების სტატისტიკა. 1918 წლისათვის პოლიტიკური წიგნი გამოსულა სომხურ ენაზე - 28, ქართულ ენაზე – 6, სამეცნიერო ხასიათის - სომხურად - 26, ქართულად - 35, საკითხავი წიგნები - სომხურად !2, ქართულ ენაზე - 50. ეს ფაქტი სომეხი პოლიტიკოსების ღალატად მიაჩნდა პუბლიცისტს საკუთარი ხალხისადმი, ქართულ სინამდვილეს, ჩვენში განათლების მიმართ ზრუნვას კი მაღალ შეფასებას აძლევდა. მითუმეტეს, ეკონომიკური საშუალებები სომხური დიასპორის წარმომადგენლებს მეტი ჰქონდათ, ვიდრე ქართველ მამულიშვილებს [,,საქართველო ‘‘,1920, №40].

თუმცა ოპოზიციური პრესა არც ქართულ სინამდვილეს ინდობდა. ის აკრიტიკებდა საზოგადოებას, რომელსაც ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხებისადმი მეტი ინტერესი გააჩნდა, ვიდრე ერისათვის სასიცოცხლო - ქართული კულტურისადმი. პუბლიცისტი გიორგი ნადირაშვილი რადიკალურ მოსაზრებას გამოთქვამდა განათლების იმდროინდელი სისტემისადმი და სრულიად უვარგისად მიიჩნევდა მას. ‘‘ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო წყობილება, - წერდა იგი, - გავაძლიერეთ შინაური და გარეშე პოლიტიკური ძალები, მოვახდინეთ ყველა ძალის ფილტრაცია ნაციონალური მიზნების მიხედვით, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ ჩვენ სკოლას და პედაგოგიკას არაფერი ახალი არ შემატებია.’’ სკოლა უნდა გამხდარიყო ახალი კადრების სამჭედლო, რისთვისაც მისი სრული გარდაქმნა

იყო საჭირო. ძველი სკოლა ქართული ენის ემიგრაციას ახდენდა, წერდა პუბლიცისტი, - ახლა კი უნდა დაბრუნდეს ეს ენა სკოლაში, უნდა დაიშალოს სწავლების ანტიქართული სისტემა, რუსიციზმი, დაბრუნდეს ეროვნული სჯული. ‘‘ის ქართული ნაციონალიზმი, - ამტკიცებდა იგი, - რაც სამინისტრომ ამოწურა, დღეს ლასხიშვილის სამინისტრომ უკანვე უნდა ჩაასწოროს. ის ქართული სული, რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ ამოგვხადა, ჩვენმა მთავრობამ უნდა დაგვიბრუნოს.’’ ასეთი კრიტიკა შეიძლება უსაფუძვლოდ მოგვეჩვენოს, თუ მაშინდელ სასკოლო პროგრამებს გადავხედავთ, თუ განათლების რეფორმის პროექტს წავიკითხავთ, მაგრამ, როგორც ნადირაშვილი წერდა, ეს ყველაფერი თეორიულად ხდებოდა და არა პრაქტიკულად. მას მოჰყავდა ერთ-ერთი ვაჟთა გიმნაზიის მაგალითი, სადაც უფროს კლასებში სწავლა ძირითადად, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზად დასახელებული იყო მოსწავლეთა შერეული კონტინგენტი, სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისათვის კი სკოლის ხელმძღვანელობა უმჯობესად რუსულ ენაზე სწავლებას მიიჩნევდა. ეს ყველაფერი, პუბლიცისტის თქმით, ეროვნულ ნიადაგს აცლიდა ქართულ სკოლას, გადაგვარებით ემუქრებოდა მას. [„საქართველო“, 1920,№50]

გაზეთი „საქართველო“ სწავლობდა და აქვეყნებდა მასალებს საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარე მოვლენების, სკოლების მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით შუქდებოდა იმ რეგიონების სასწავლო დაწესებულებების მუშაობა, სადაც ხშირი იყო გარეშე ძალების მიერ მოწყობილი დივერსიები, ანდა ოკუპირებული იყო ტერიტორია. ასეთი იყო აფხაზეთის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის მხარეები. მთავრობა ცდილობდა სასწავლო პროცესის აღდგენას ამ რეგიონებში, ბიუჯეტიდან გამოყოფდა თანხებს ახალი სკოლების აშენებისა თუ ძველი შენობების შეკეთებისათვის. 1929 წლის აგვისტოში ერთი მილიონი მანეთის კრედიტი მიუღია მესხეთ-ჯავახეთის სკოლებს. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ახალციხის ერობა ხელმძღვანელობდა, რომელიც ცდილობდა ეროვნული პოლიტიკის გატარებას ამ მხარეში, რომელიც ცოტა ხნის წინათ თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი.

გაზეთ ,,საქართველოს“ ცნობით, ამ მხარეში შესაკეთებელი ყოფილა 27 სკოლა. რედაქცია მწუხარებით აუწყებდა მკითხველს, რომ თურქებზე მეტად სკოლები ადგილობრივ მცხოვრებლებს დაურბევიათ, ჭერი და იატაკი საწვავად გამოუყენებიათ.

განსაკუთრებით განადგურებულა არაკვას, არასტანის და დილისკის სასკოლო შენობები შედარებით კარგად ყოფილა დაცული ქართული სკოლები ბარალეთში, ქალდასა და ჩენჩხში. ყველაზე კარგად დუხობორების რუსული სკოლები შენახულა.

ახალციხის მაზრაში, 1919 წელს, გაზეთ "საქართველოს" ცნობით" 14 მოქმედი სკოლა ყოფილა, აქედან ხუთი თვითონ ახალციხეში, ცხრა - მაზრის სოფლებში. ახალციხეში ერთი სკოლა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი იყო, ქართულ-სომხური კლასებით, ოთხი - დაწყებითი ქართველი, სომეხი და მუსულმანი მოსახლეობისათვის. 1920 წელს აქ ათი დაწყებითი სკოლა გახსნილა, რაც მიუთითებდა რესპუბლიკის ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას მხარის მიმართ.

ჯავახეთში (ახალციხის მაზრა) ყოფილა მხოლოდ ოთხი სკოლა, ორი ახალციხეში: უმაღლეს-დაწყებითი და დაწყებითი, ორი კი მაზრაში: ქართული და

რუსული - დუხობორებისათვის. 1920 წელს ახალქალაქის მაზრაში ოცამდე დაწყებითი სკოლა გახსნილა. ეს რიცხვი უთუოდ სოლიდური იყო და მოწმობდა იმას, თუ რა წვლილი შეჰქონდა განათლების რეფორმას მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ["საქართველო",1920,№88]

პრესა აკრიტიკებდა სკოლების მდგომარეობას თერჯოლაში. "საქართველო" აღწერდა სკოლებს, რომლებიც შედარებით მშვიდობიან პირობებში მუშაობდნენ, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოების დაუდევრობით, არანაკლებ მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ განაპირა რაიონების, კერძოდ - მესხეთ-ჯავახეთის სკოლებთან შედარებით. ჩამტვრეული ფანჯრები, ფარღალალა კედლები, სადაც „ქარი კი არა, დათვიც კი ფაეტეოდა", უბინაო მასწავლებლები და ინვენტარის გარეშე მდგარი სასკოლო შენობები, - ასე არ წერდა გაზეთი სკოლების სურათს. პუბლიცისტი შეუძლებლად მიიჩნევდა ამ პირობებში მუშაობას. მისი აზრით, სათემო ერობას სამაზროც უნდა დახმარებოდა და ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა აღმოეფხვრათ. "ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება სკოლებს და მასწავლებლებს. აკმარეთ შიმშილი მასწავლებლობას და სიცივით ნუ მოჰკლავთ მათ!" - ასეთი მიმართვით მთავრდებოდა პუბლიკაცია. ["საქართველო"1918, №136]

გაზეთი ეხებოდა რესპუბლიკის გარეთ არსებული ქართული სკოლების მუშაობასაც. ასეთი იყო ბაქოს ქართული სკოლა. ამ დროს აზერბაიჯანში ბევრი ქართველი ცხოვრობდა ესენი იყვნენ ნავთობსარეწებში მომუშავე მუშები, ინტელიგენცია, სამხედროები, რომლებიც რუსეთიდან დაბრუნდნენ და ქართულ ჯარში ვერ იშოვეს სამსახური. სამაგიეროდ, ისინი აზერბაიჯანის არმიის მშენებლობაში ასრულებდნენ დიდ როლს. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების შეკრების ცენტრი იყო ბაქოს ქართული სკოლა. აქვე მოქმედებდა ქართული ეროვნული საბჭოც.

როდესაც 1918 წლის ზაფხულში თურქები, აჭარისა და სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აზერბაიჯანში შევიდნენ, იქ მცხოვრები ოთხასი ქართველი ბაქოს ქართულ სკოლაში შეიკრიბა. მათ 82 სომეხიც შეუერთდა. ისინი თურქული ჯარისაგან ანგარიშსწორებას ელოდნენ, მითუმეტეს აზერბაიჯანულ ნაწილებს ბაქოს დაცვისას ძირითადად ქართველები ეხმარებოდნენ. მართალია, ამ რაზმის ერთი ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა თურქებს, მაგრამ ისინი გაათავისუფლეს. მშვიდობიანი მოსახლეობაც ელოდა რეპრესიებს, მაგრამ თურქმა გენერალმა ნური-ფაშამ დაამშვიდა სკოლაში თავშეფარებული ადამიანები. მან დაარწმუნა ისინი, რომ საქართველოსთან მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მისმა ქვეყანამ და დახმარებაც კი მისცა ბაქოელ ქართველებს., ორმოცდაათი ათასი მანეთი გამოუყო სესხად და დაჰპირდა სურსათით უზრუნველყოფას. ოსმალები ტყვე ქართველ ჯარისკაცებს და იმ სამიათას კაცს, რომლებსაც საქართველოში დაბრუნება სურდათ, დაჰპირდნენ გამომგზავრებასა და საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გადმოცემას. ქართველებთან ერთად, წამოსვლა ისურვეს სომხებმა და რუსებმა, რომლებმაც საქართველო უფრო მშვიდობიან ადგილად მიიჩნიეს. მათ მიმართეს ბაქოს ქართულ სკოლაში მოქმედ ქართველთა ეროვნულ საბჭოს და თანხმობა მიიღეს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპეციალური ვაგონები გამოჰყო ამ ხალხის გამოსაგზავნად, მაგრამ დაჰპირდა, რომ ყველა სადგურში გაჩხრეკდნენ მატარებელს, რათა დამნაშავე ელემენტებს არ ესარგებლათ შემთხვევით და არ გაჰყოლოდნენ მათ. [“საქართველოს”,1918, №184]

გაზეთი “საქართველო” აკრიტიკებდა სახელმძღვანელოებს, სასკოლო პროგრამებს, ცალკეული საგნების სწავლებას ქართულ სკოლებში და სახავდა ამ ნაკლოვანებების გამოსწორების გზებს.

გარდა ძირითადი ძირითადი საგნებისა: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, წამიჭრა ფიზიკური კულტურის სწავლების გაუმჯობესების საკითხი, ახალგაზრდა ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეში მისი უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით.

ამ საკითხის ეხებოდა “საქართველოს” პუბლიკაციების სერია, რომლის ავტორი იყო ალექსანდრე მანსვეტაშვილი. ავტორი ფიზიკურ აღზრდას ერის მომავლისათვის მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა, აკრიტიკებდა ქართულ სკოლას ფიზიკური აღზრდის ძველი, რუსული მეთოდების გამოყენების გამო. პუბლიცისტი მართალი იყო, როდესაც აყენებდა ამ საგნის სწავლებაში ძველი ქართული, სპორტული ტრადიციების აღდგენის, ასევე, ევროპული გამოცდილების გადმოტანის საკითხს. ის ახასიათებდა შვედურ გიმნასტიკას, მისი წარმოშობის ისტორიას, მეცნიერული გიმნასტიკას ფუძემდებლის - ჰენრიკ ლონგის თეორიას და გაზეთის მკითხველს უხსნიდა, თუ რით იყო ქართველი მკითხველისათვის ეს თეორია საინტერესო. ვინაიდან საგანი ეყრდნობოდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის მონაცემებთან სპორტული ვარჯიშის სინთეზს, მანსვეტაშვილი მოითხოვდა საგნის მასწავლებლებად ფართო განათლების მქონე პირების მომზადებას. მისი აზრით, ფიზიკური აღზრდის სწავლება სავალდებულო უნდა ყოფილიყო 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. მანსვეტაშვილის ვრცელი წერილი განიხილავდა ათწლეულების მანძილზე სკანდინავიის ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილებას ფიზიკური აღზრდის სწავლების, შეჯიბრებების, ქალთა და მამაკაცთა პროგრამების მრავალფეროვნებას.

პუბლიცისტი ითხოვდა სპეციალისტების მივლენას შვეიცაში, იქაური გამოცდილების გადმოტანას ქართულ სკოლებში და მასთან ძველი ქართული სპორტული ტრადიციების შერწყმას. [„საქართველო“, 1918, №185]. ამავე თემაზე საინტერესო სტატიები გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა გიორგი ნიკოლაძემ 1918 წლის აგვისტოში, გაზეთ “საქართველოში”.

1918-1920 წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ტოვებდა სკოლას და ჯარში მიდიოდა. ბევრი მათგანი ეწირებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. უცხოეთიდან ახკლად დაბრუნებული პეტრე სურგულაძე აღფრთოვანებით წერდა ასეთ შემთხვევებზე, აღნიშნავდა, რომ ნატანებში საკუთარი თვალით ნახა საქვეყნო ინტერესებისათვის თავგადადებული ყმაწვილები. ისინი იმ ჯარში იყვნენ, რომელსაც "ბევრი კეთილი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ნაჩქარევად იყო მოწყობილი". ამიტომ იყო შიმშილი, უბინაობა, უსუფთაობა ამ ჯარისკაცებისთვის ჩვეულებრივი და მოსწავლეებიც იზიარებდნენ ამგვარ მძიმე ტვირთს. ბევრი მათგანი ეწირებოდა სამშობლოს. სურგულაძე არ გამორიცხავდა, რომ საფრთხე კვლავაც ბევრი შეექმნებოდა დამოუკიდებელ ქვეყანას და ამ გულწრფელად პატრიოტი მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯარში ყოფნას სასიკეთოდ მიიჩნევდა. სწავლა და ცოდნა ისეც არ გვაკლია ქართველებს, საჭიროა ზნეობა და სიმტკიცე შევიძინოთო, დასძენდა ის და ახალგაზრდების სულიერი, ზნეობრივი და პატრიოტული სულისკვეთების აღზრდისათვის ჯარში სამსახურს აუცილებლად თვლიდა. ["საქართველო", 1920, №184]

ამ საკითხს სხვაგვარად უყურებდა საზოგადოების მეორე ნაწილი. ის თვლიდა, რომ სტუდენტობა თუ მოსწავლე ახალგაზრდობა არ უნდა მოცდენოდა თავის ძირითად საქმეს, ჯერ განათლება უნდა მიეღო სამშობლოს დაცვაში თავისი წვლილი პროფესიული საქმიანობით შეეტანა. ჯარში გაწვეულ სტუდენტთა კრებებზე იმართებოდა კამათი, ზოგიერთი სტუდენტი თვლიდა, რომ განათლებული სტუდენტები საჭირონი იყვნენ ჯარში დისციპლინის განსამტკიცებლად, ზოგიერთი სწავლასა და ჯარში სამსახურის შეთავსებას ითხოვდა, ზოგი კი დასცინოდა ამას: ერთ ხელში ორი საზამთროს დაჭერას ჰგავსო. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სტუდენტები მაინც ეწერებოდნენ არმიაში, იბრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ["საქართველო", 1920,№185]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები ხშირად საყვედურობდნენ მათი ინტერესების უგულვებელყოფის, ზედმეტად ნაციონალური პოლიტიკის გამო. ოპოზიციური გაზეთი "საქართველო" მხარს არ უჭერდა ამგვარ კრიტიკას, პირიქით, მთავრობისაგან

უფრო მეტად აქტიურ ეროვნულ პოლიტიკას ითხოვდა. როდესაც ხელისუფლება დათმობაზედ მიდიოდა სხვა ერების მიმართ, ოპოზიციური პრესა მკაცრად იხილავდა და გმობდა ასეთ შემთხვევებს. ასეთი იყო ამიერკავკასიის რუსული უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხი. ეს უნივერსიტეტი 1917 წელს დააარსა რუსეთმა, თითქოსდა, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ერებისათვის. სინამდვილეში, იგი ატარებდა რუსულ პოლიტიკას, ემსახურებოდა პრორუსული ორიენტაციის კადრების მომზადებას, ხელს უშლიდა ქართული უნივერსიტეტის მუშაობას, იზიდავდა სტუდენტთა და ლექტორთა კონტიგენტს. როდესაც საქართველოს მთავრობამ ორმოცდაათი ათასი მანეთი გამოჰყო ამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ, გაზეთმა "საქართველომ" მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლება. პუბლიცისტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლელი ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ ეს იყო კაპიტულანტური, რუსეთის წინაშე პოლიტიკური ქედმოხრის გამომხატველი ქმედება. ჯაფარიძის აზრით, დემოკრატიულ და ძლიერ ქვეყანაში შესაძლოა დაარსდეს უცხოური უნივერსიტეტი, მაგრამ მას სახელმწიფო კი არ უნდა აფინანსებდეს, არამედ კერძო პირები. პუბლიცისტის აზრით, სწორედ რუსულმა უნივერსიტეტებმა მოახვიეს თავს ახალგაზრდობას მარქსიზმი, სოციალური უტოპიური თეორია და თუკი ასეთი სასწავლებლის პოზიციებს განვამტკიცებდით საქართველოში, მომავლისათვის მის დამოუკიდებლობას აქ აღზრდილ კადრები აუცილებლად შეუქმნიდნენ საფრთხეს. კულტურაც ისევე უნდა ჩამოსცილდეს რუსეთს, როგორც პოლიტიკა, - ამტკიცებდა პუბლიცისტი, "ჩვენში კი პროტექციას უკეთებენ ყველაფერს რუსულს დ კიდეც ამკვიდრებენ მის გავლენას." "რუსული უნივერსიტეტის დამტკიცება და მისთვის საგანგებო დახმარების აღმოჩენა აპოგეაა იმ რუსოფილური პოლიტიკისა, რომლის დატოვება ასე უძნელდება ჩვენს მმართველ პარტიას", - დასძენდა ავტორი.

მთავრობას ქართული უნივერსიტეტისათვის უნდა გაეღო ფული და არა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მტრულად განწყობილი ადამიანებისათვის, - ასეთი იყო მისი დასკვნა.

ლელი ჯაფარიძე აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატ პარლამენტარს - კირილე ნინიძეს ქართული უნივერსიტეტის მუშაობის არასწორად შეფასებისათვის, ასევე რუსულ ენაზე სწავლების აუცილებლობის დასაბუთებისათვის, აზერბაიჯანელი და

სომეხი მცხოვრებლებისათვის. მიაჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ერებს განათლება ქართულ ენაზე უნდა მიეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მისაღებად რუსეთში ან საკუთარ ქვეყნებში გამგზავრებულიყვნენ. [“საქართველო”, 1920, №187]

1920 წელს მთავრობამ გააუქმა რუსული უნივერსიტეტი, რამაც პრორუსულად განწყობილი ადამიანების პროტესტი გამოიწვია, ოპოზიციური გაზეთი “საქართველო” კი ამ ფაქტს მიესალმა.

განათლების საკითხს ქართველი მოღვაწეები სამართლიანად მიიჩნევდნენ პოლიტიკურ საკითხად. ამიტომ იხილავდნენ განათლების რეფორმის მიმდინარეობას, აკრიტიკებდნენ იმას, რაც მასში მიუღებლად მიაჩნდათ. ს. დარიანის ვრცელი წერილი - “საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის” აანალიზებდა სკოლებში შექმნილ მდგომარეობას ძველი სკოლის ძირითად ნაკლად დარიანს მართვა-გამგეობის უვარგისი წესი მიაჩნდა. ძირითადად, ეს იყო დირექტორის როლის გაზვიადება, მისი ერთპიროვნული უფლებები სკოლაში. მასწავლებელს ერთმეოდა პირადი ინიციატივა, რაც აკნინებდა სასწავლო პროცესში მის შემოქმედებით როლს. ამგვარი დამოკიდებულება იდეოლოგიით განისაზღვრებოდა, დირექტორს პოლიტიკური ზეგავლენა უნდა ჰქონოდა პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივზე, სკოლა მას მთავრობისათვის უნდა დაემორჩილებინა.

დარიანის აზრით, სკოლის პოლიტიზაცია დამოუკიდებლობის წლებშიც გრძელდებოდა. ეს იქნებოდა მანამ, სანამ სკოლა სრულიად დამოუკიდებელი არ გახდებოდა, სახელმწიფოს მატერიალურ დახმარებაზე თუ არ იქნებოდა მიჯაჭვული, თუ მას თვალყურს მიადევნებდა განვითარებული და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი. [“საქართველო”, 1920,№196]

სამწუხაროდ, როგორც “საქართველოს” პუბლიკაციები ცხადყოფს, სკოლა აღმოჩნდა პოლიტიზებული. მაღალი კულტურის მონე ქვეყნებში ასეთი რამ არ ხდება, ჩვენც უნდა ვეცადოთ მისი თავიდან აცილებაო, - მოუწოდებდა გაზეთი საზოგადოებას. [“საქართველო”, 1920, №138]

ოპოზიციური პრესა განათლების საკითხების სწორად გადაჭრას უკავშირებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპლექსურ მოქმედებას, ცენტრალიზმის პრინციპს.

დარგში დაშვებული შეცდომები გაზეთ "საქართველოში" ასე იყო დაჯგუფებული:

1. სკოლა გახდა უსისტემო. ახალი სასწავლებლების გახსნა ხდებოდა სტიქიურად. ისინი იქმნებოდნენ იქ, სადაც უკვე იყო ძველი სკოლები, რამაც სკოლათა რიცხვის არნახული ზრდა გამოიწვია, რაც არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, აზიანებდა სწავლების ხარისხს. პრესას მოჰქონდა პრუსიის მაგალითი, სადაც სკოლების რაოდენობა, საქართველოსთან შედარებით შვიდჯერ ნაკლები იყო. ადგილობრივი ორგანიზაციები სასწავლებლებს ხსნიდნენ მთავრობის იმედით, რომელიც, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფდა მათ შენახვას, რასაც მოჰყვებოდა პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ.

2. საერობო და საქალაქო ორგანიზაციები ვერ უძღვებოდნენ განათლების სისტემას, დროულად ვერ არიგებდნენ ჯამაგირებს, რადგან ხაზინიდან მიღებულ ფულს ხშირად პირადი ინტერესებისათვის ხარჯავდნენ. უხელფასო მასწავლებლები ან სარტოდ ანებებდნენ თავს სამსახურს, ანდა ნაკლები მონდომებით მუშაობდნენ. სკოლებს აკლდა მომზადებული ინსტრუქტორები, სასკოლო ინვენტარი, სასკოლო შენობები უვარგისი იყო, ბიბლიოთეკები - ღარიბი["საქართველო", 1920, №135].

სკოლების დაბალ დონეს გაზეთი "საქართველო" სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებს აბრალებდა, მიუღებლად თვლიდა ინგლისის, ამერიკის და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითზე მის მოწყობას, დეცენტრალიზაციის მიბაძვას, რადგან საქართველოს პირობები არ შეესაბამებოდა ამ ქვეყნების დონეს. ["საქართველო", 1920, №146]

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო განათლების რეფორმა, რაც ითვალისწინებდა უფასო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას, საგანმანათლე–ბლო კერების ფართო ქსელის შექმნას და სხვ.

რეფორმა თეორიულად მაღალ დონეზე იყო მოფიქრებული, მაგრამ მის განხორციელებაში დაშვებული იქნა მთელი რიგი შეცდომები. ოპოზიციური პრესა, უწინარესად კი ყველაზე რადიკალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი "საქართველო" მწვავედ აკრიტიკებდა ამ შეცდომებს, არ მალავდა ცალკეულ პიროვნებათა თუ მთავრობის დანაშაულს ამ სფეროში, ცდილობდა განათლებას

შეესრულებინა ის დიდი სახელმწიფოებრივ-კულტურული და სულიერ-ზნეობრივი მისია ერის ცხოვრებაში, რაც მას ისტორიულ წარსულში გააჩნდა.

განათლების რეფორმის საკითხი დღევანდელ საქართველოშიც აქტუალურია. ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის მიერ წარსულში გამოთქმული სურვილები სწავლ-აღზრდის უკეთ ორგანიზებისათვის, განათლების რეფორმის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის, ქართული ეროვნული სკოლის უკეთ მოწყობისათვის, ამ დარგის თანამედროვე მესვეურებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ისტორიული გამოცდილების გახსენება-გაანალიზება, მისი გათვალისწინება ზედმეტი არასოდეს არაა.

თავი VIII. უმაღლესი განათლება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები 1918-1921 წლებში

§ 1.პირველი ქართული უნივერსიტეტი და უმაღლესი სკოლა დემოკრატიულ საქართველოში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც კერძო უნივერსიტეტი, დაარსდა 1918 წლის 26 იანვარს. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის სექტემბერში ის გადაკეთდა სახელმწიფო უნივერსიტეტად.

1919 წლისათვის თბილისის უნივერსიტეტში იყო სამი ფაკულტეტი: 1. სიბრძნისმეტყველების; 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო; 3. სამკურნალო ფაკულტეტები. უნივერსიტეტს ჰქონდა შტატით დაშვებული შემდეგი თანამდებობები: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე 9 პროფესორი, 4 პროფესორის მოადგილე, 8 ლექტორი; სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკ-ის 4 პროფესორი, 6 პროფესორის მოადგილე, 11 ასისტენტი, პროფესორებისათვის ზედმეტი საგნის წასაკითხად 3 ლექტორი; სამკურნალო ფაკულტეტს ჰყავდა 10 პროფესორი, 1 პროფესორის მოადგილე, 25 ასისტენტი, ორდინატორი -8, პრეპარატორი -5. უნივერსიტეტს ჰყავდა რექტორი, 3 ფაკულტეტის დეკანი და სამიც -მდივანი. მდივანი ჰყავდა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს. საპროფესოროდ მოსამზადებლად უნ-ში დატოვებული იყო 5 და უცხოეთში გაგზავნილი 10 სტუდენტი. უნივერსიტეტს ჰქონდა სამეცნიერო-სასწავლო კაბინეტები, საცდელი ლაბორატორიები. [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 278, ფურც. 19-20].

1919 წელს უნივერსიტეტში მუშაობდნენ პროფესორები: რექტორი, დამს. პროფესორი - პეტრე მელიქიშვილი; პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, ვარლამ მოსეშვილი, აკაკი შანიძე (შეთავსებული ჰქონდა არაბული ენის კათედრისა და წიგნთსაცავის გამგეობის ხელმძღვანელობა), გიორგი ახვლედიანი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, დიმიტრი უზნაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, იასონ მოსეშვილი, სერგი ნავაშინი.

ლექტორები და ასისტენტები იყვნენ: იუსტინე აბულაძე, ზაქარია აისურაძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, თამარ ნიკოლაძე, ნიკოლოზ სუდაკოვი, ვანდა ღამბაშიძისა, ზაქარია ყანჩაველი, დავით ყიფშიძე, ილია ყიფშიძე, ნინო ციციშვილი, არჩილ ხარაძე, ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანი, ჯელალ მემარნიშვილი.

უნივერსიტეტში დატოვებულები იყვნენ: ივანე გვარაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, რაჟდენ ხუციშვილი, ნიკო ქოიავა, სილიბისტრო ლომია, ეს უკანასკნელი სპარსეთში გაიგზავნა სპარსულ ენაში მოსამზადებლად. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში მუშაობდნენ: ბარბარე ყიფიანი, გიორგი ბაქრაძე, გიორგი მამრაძე, ფოტოკაბინეტში მხატვარი -თევდორე კიუნე, ხაზინადარი იყო ივანე გველესიანი, მდივან-მწიგნობარი - ვლადიმერ გეგეჭკორი და სხვ. [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 278, ფ. 23].

1919 წლის 24 ივლისს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ (თავ-რე გრ. გიორგაძე) შეიტანა ჩასწორებები დებულებაში საოსტატო სემინარიის უნივერსიტეტთან გაერთიანებისა და პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ[სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 275, ფ. 1].

დებულებით პედაგოგიური ინსტიტუტი იარსებებდა სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებთან. მას გადაეცემოდა თბილისის უნივერსიტეტის საოსტატო ინსტიტუტის შენობა და მთელი ქონება. ინსტიტუტის კურსი იქნებოდა 2 საფეხურისაგან შემდგარი, ორ-ორი წლის კურსით. პირველი საფეხური მოამზადებდა უმაღლესდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებს, ხოლო ორივე საფეხური ერთად საშუალო სკოლის მასწავლებლებს. ინსტიტუტის მსმენელად მიიღებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების ყველა სტუდენტი. პირველ საფეხურზე ასევე მიიღებოდნენ საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულნი და ის პირნი, რომლებიც უნივერსიტეტის საგამოცდო კომისიასთან წარმატებით ჩააბარებდნენ გამოცდას. თეორიულ საგნებს სტუდენტები გაივლიდნენ უნივერსიტეტში და გამოცდებსაც იქ ჩააბარებდნენ, ხოლო პრაქტიკულ-პედაგოგიურს ინსტიტუტში. ინსტიტუტის სრული კურსი იყოფოდა დარგებად და შემდეგი საგნებისაგან შედგებოდა: საერთო საგნები: პედაგოგიური ფსიქოლოგია, სასკოლო ჰიგიენა, პათოლოგიური პედაგოგიკა, სკოლის ორგანიზაცია და ისტორია, პედაგოგიკის შესავალი. სპეციალური საგნები: მეთოდიკა

და ისტორია სასკოლო საგნებისა: მათემატიკის, ქართული ენისა და სიტყვიერების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის, მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის მეცნიერებათა, ფიზიკისა და ქიმიის, სასკოლო ხელოვნების - სიმღერა, მუსიკა, ხატვა, ძერწვა, ხელგარჯილობა, არანორმალურ ბავშვთა აღზრდა. ამ საგნების შესწავლას თან ახლდა პრაქტიკული მეცადინეობები, რაც გამოიხატებოდა: სამეცნიერო დემონსტრაციებში, რეფერატების კითხვაში, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და სხვა დარგების კვლევებში, ცნობილ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებასა და გარჩევაში[სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 275, ფ. 4-5].

თბილისის უნივერსიტეტის გახსნამდე არსებობდა **ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი.** იგი დაარსდა 1917 წელს. 1917 წლის ოქტომბრამდე ის ცნობილი იყო „ტფილისის ქალთა კერძო უმაღლესი კურსების" სახელით. 1920 წლის მდგომარეობთ ის ვერ იდგა სათანადო დონეზე. ამის მიზეზი გახდა სამეცნიერო პერსონალის ბაქოში გადასვლა, რის გამოც დაიხურა სიტყვიერებისა და ისტორიის ფაკულტეტი. დანარჩენ ფაკულტეტებზეც სასწავლო კურსები შეიკვეცა, სამკურნალო ფაკ-ის II კურსი, რომლის გახსნა ჰქონდათ განზრახული, ვეღარ გახსნეს, უნ-ს პროფესორები ამ ხნის მანძილზე „შემოეფანტნენ". 1920 წელს სამკურნალო ფაკულტეტზე სრულუფლებიანი პროფესორი მხოლოდ 8 აღმოჩნდა, ამათგან სამი თბილისის სხელმწიფო უნ-შიც იყო პროფესორი. ბევრი ბაქოში ცხოვრობდა და მხოლოდ რამდენიმე ლექციას თუ კითხულობდა თბილისში. ასეთები იყვნენ მაგ. პროფ. ანფიმოვი და მირიგოვოროვი, პრივატ-დოცენტი ტიხონოვიჩი და სხვ. შემოწმების შემდეგ გამოვლინდა ლექტორ-მასწავლებლების არაკვალიფიცურობა, პრაქტიკული ცოდნის მისაღებად აუცილებელი კაბინეტ-ლაბორატორიების, პროზექტურების, კლინიკების, ახალი სამედიცინო ხელსაწყოების არქონა და სხვ. ცხადი გახდა, რომ საკუთარი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ეს უნივერსიტეტი კარგავდა მის ფუნქციას და მთავრობასაც არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობა მის დასახმარებლად [სცსსა, ფონდი 1935, საქმე 437, ფ.26-27].

ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება 1919 წლის 7 სექტემბრის მთავრობის დადგენილებით გადაეცა თბილისის ქალაქის თვითმმართველობას კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის.

1917 წელს დაარსდა **თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.** ის იყო პირველი უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლა საქართველოში. სასწავლებელს ჰქონდა საინჟინრო, ეკონომიკური, ჰიდრომექანიკური, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, ფიზიკის, ქიმიის, მინერალოგიის, კრისტალოგრაფიის, გეოდეზიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, მეფუტკრეობის, ცხოველთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის, გეოდეზიის, საერთო და კავკასიის გეოგრაფიის, მათემატიკის კათედრები, კაბინეტ-ლაბორატორიები. სასწავლებელში ძირითადად არაქართველი პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ. რექტორი იყო პროფესორი გამბაროვი. იყვნენ ქართველებიც, მაგ.: 1917 წლის სექტემბერში მოიწვიეს მოსკოვის ქალთა გიმნაზიის პედაგოგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი. გამბაროვის შემდეგ რექტორად პროფესორი დიდებულიძე დაინიშნა [სცსსა, ფ. 1935, საქმე 265, ან. 1, ფ,:157-158].

1918 წლის სექტემბერში განათლების სამინისტროს კომისიამ შეისწავლა პოლიტექნიკურის ხარჯები და ეკონომიკური მდგომარეობა და დაადგინა, რომ „პოლიტექნიკური ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება არ არის საჭირო", რომ იგი ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს უნდა შეერთებოდა. დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ სპეციალურად რამდენიმე სხდომა მიუძღვნა ამ საკითხის განხილვას. საინტერესო იყო პოლიტ. ინსტიტუტის რექტორის პროფესორ დიდებულიძისა და ივანე ჯავახიშვილის დისპუტი კომისიაში პოლიტექნიკური განათლების შესახებ. ვრცელ მოხსენებაში, დიდებულიძემ ახსნა პოლიტექნიკური უმაღლესი განათლების მნიშვნელობა და არსი როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. დიდებულიძის აზრით, „პოლიტექნიკურსა და უნივერსიტეტს შორის დიდი განსხვავება არის, თუმცა, ფაკულტეტები სახელწოდებით ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსით კი სულ სხვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ევროპაში პოლიტექნიკური ყველგან დამოუკიდებლად არსებობს, და სადაც კი დაკავშირებული იყო, ეს შეუძლებლად დაინახეს და ჩამოაშორეს უნივერსიტეტებს. მას მიაჩნდა, რომ

საქართველოშიც პოლიტექნიკუმი ცალკე უნდა ყოფილიყო, უნივერსიტეტთან კავშირით ის დაკარგავდა დამოუკიდებლობას და საზიანო იქნებოდა ქვეყნისთვის. დიდებულიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილმა. მისი აზრით, ცალკე პოლიტექნიკურის შენახვა საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა და ამიტომ უნდა გაერთიანებულიყვნენ. საქართველოს აუცილებლად ჭირდებოდა სამთამადნო, ჰიდროტექნიკური და სხვა დარგები და აუცილებელი იყო პოლიტექნიკურის გახსნა, ოღონდ ეს უნივერსიტეტთან უნდა მომხდარიყო. სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯავახიშვილის აზრით, შეეძლო ამ საქმეს გაძღოლოდა. პირველ სამ წელს აქ მოისმენდნენ სტუდენტები ზოგად საგნებს, შემდეგ კი გაივლიდნენ სპეციალურ კურსს. ამის შემდეგ დიდებულიძემ ილაპარაკა იმაზე, რომ სასწავლებელს ჰქონდა ფული და სასწავლო კაბინეტები, მაგრამ იდგა საკითხი მისი გადასვლისა მთავრობის ხელში, ასევე გაეროვნების, ყველაფერი ეს განხორციელდებოდა, პოლიტექნიკურის გაერთიანება მთავრობას არაფერს მისცემდა არც მატერიალურად და არც სხვა მხრივ, ის არც პრაქტიკულად იყო გამართლებული: უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი გაორმაგდებოდა, საჭირო გახდებოდა მეტი კაბინეტ-ლაბორატორიები, ამიტომ ის რჩებოდა ამ სასწავლებლის დამოუკიდებლობის მომხრედ. ივანე ჯავახიშვილმა ეჭვი გამოთქვა იმაზე, რომ პოლიტექნიკურს საკუთარი თავის შესანახად საკმარისი ფული ჰქონდა, ან საკმარისი პროფესორები, არც აუდიტორიები ეყოფოდა და არც კაბინეტები, სტუდენტებს მოუწევდათ აქეთ-იქით სიარული, გაეროვნებასაც ცალკე ვერ შეძლებდა, რადგან პროფესორების უმეტესობამ არ იცოდა ქართული ენა [სცსსა, ფ. 1935, საქმე 265, ან. 1, ფ.100].

ხანგრძლივი დავის შემდეგ, განათლების კომისიის წევრებმა რამდენჯერმე უყარეს კენჭი სხვადასხვა წინადადებას, საბოლოოდ მიიღეს მუხრან ხოჭოლავას აზრი: ორი უმაღლესი სასწავლებელი ფართო ავტონომიის ნიადაგზე შეერთებულიყო .

§ 2. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და განათლების რეფორმით განსაზღვრული მათი ფუნქციები 1918-1921 წ. წ.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება და სასკოლო რეფორმის გატარება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა იმ მხრივაც, რომ საქართველოში განათლების დაბალი დონე იყო, ბევრმა ადამიანმა სრულიად არ იცოდა წერა-კითხვა, ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების შექმნას.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის განათლების სამინისტროში სპეციალური კომისია შეიქმნა. მას ხელმძღვანელობდა დაბალ სკოლათა მთავარგამგე გიორგი ჭუმბურიძე და თბილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის დირექტორი - ნ. მგელაძე. ხელმძღვანელთა აზრით, კომისია, თუ ხელისშეწყობა ექნებოდა, „ძალზე ეფექტურად და სამშობლოსათვის სასარგებლოდ იმუშავებდა" [სცსსა ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 900, ფ. 1-3].

რესპუბლიკისერობათა წარმომადგენლების მე-2ყრილობაზე 1919 წლის 24 სექტემბერს სკოლის გარეშე კულტურული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, განათლების სამინისტროს დავალებით, მოხსენება გააკეთა ვარლამ ბურჯანაძემ.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა კავკასიის **პედაგოგიური მუზეუმი**, რომელიც სასწავლო-საჩვენებელი დაწესებულება იყო. მუზეუმის დირექტორი იყო გ. ზინჩენკო.

პედაგოგიური მუზეუმი დაარსდა 1903 წელს. ის 6 განყოფილებისაგან შედგებოდა. 1907 წელს მუზეუმის რეორგანიზაცია დაიწყო ნ. რუდოლფმა და ის გადააკეთა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმად. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მუზეუმის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, სადაც 23 ათასზე მეტი წიგნი ინახებოდა.

1919 წლის 3 მაისის განკარგულებით, სახალხო განათლების სამინისტრომ მოახდინა მუზეუმის რევიზია ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია. 1919 წელს დამფუძნებელმა კრებამ გაუქმებულად გამოაცხადა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, რომელიც ნიკოლოზის სახელს ატარებდა.

მის ნაცვლად, დაარსდა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია. გადაწყვეტილებას წინ უძღოდა თბილისის ობსერვატორიის რევიზია, რომელიც ჩაატარა დამფუძნებელი კრების სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შედიოდნენ: შ. ნუცუბიძე, პ. ბიული, ნ. იმნაიშვილი. კომისიამ დავალების პირნათლად შესრულების მიზნით, რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი ა. ბენაშვილი და ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორი მ. კონიაშვილი.

კომისიამ გადაწყვიტა შეხებოდა მხოლოდ ობსერვატორიის მუშაობის სამეცნიერო მხარეს, ასრულებდა თუ არა ის თავის მეცნიერულ დანიშნულებას და ჰქონდა თუ არა ამ მხრივ რაიმე ხარვეზი.

კომისიამ მუშაობა დაიწყო 21 მაისს და დაამთავრა 7 ივნისს. მან დაწვრილებით დაათვალიერა ობსერვატორიის შემდეგი განყოფილებები: 1. მეტეოროლოგიურ სადგურთა ქსელის გან-ბა;2. დაკვირვებათა გან-ბა; 3. სეისმოლოგიური გან-ბა; 4. ლიტოგრაფიული გან-ბა; 5. ობსერვატორიის მაგნიტური გან-ბა, რომელიც მოთავსებული იყო კარსაანში, მცხეთასთან, 7 ვერსზე მთებში. კომისიამ დაკითხა ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს წევრები და დირექტორი.

კომისიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები: ყოფილი დირექტორის - გლასეკის წასვლის შემდეგ სამეცნიერო მუშაობა შეფერხებულა, ეს იმიტომ მომხდარა, რომ ზოგი მცოდნე და საჭირო პირი წასულა ობსერვატორიიდან, ზოგი ლიკვიდაციაში მოყოლილა (გაეროვნების გამო ჩატარებულ წმენდაში), ზოგსაც საკუთარი სურვილით მიუტოვებია ობსერვატორია, რასაც შეუფერხებია ისეთი სპეციფიკური განყოფილებების მუშაობა, როგორიც იყო მაგნიტური და სეისმური. „უმნიშვნელოვანესი სეისმოგრაფები გოლიცინისა და აგრეთვე კანკანისა გაცერბულან ნოემბრიდან და ნაწილობრივ ამუშავებულან მხოლოდ აპრილის დამდეგს. ამგვარად, დიდი მიწისძვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თებერვალში, ტფილისის ობსერვატორიაში აღუნუსხავი და გამოუკვლეველი დარჩენილა. შესანიშნავად

მოწყობილ კარსანის მაგნიტურ განყოფილებაში სისტემატიური მუშაობა არ წარმოებულა. ვინაიდან ხელმძღვანელობა ვერავის გაუწევია, მაგალითად, დიდი ხანია არავის მოუხდენია მაგნიტოგრაფების მგრძნობელობის და სხვა გამოკვლევანი. თუმცაღა, - დასძენენ რევიზიის დასკვნაში ავტორები, - კარსანის მაგნიტური გან-ბა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის თანახმად არის მოწყობილი და მოიპოვება ყველანაირი დიდი და პატარა იარაღები, " მაგნიტურ სადგურს არ ჰყავს სპეციალისტი გამგე, ვინც უხელმძღვანელებს სამეცნიერო გამოკვლევებს. ობსერვატორიის ახალი დირექტორი ლემლეინი, რომელსაც ამ ორი გან-ბის ხელმძღვანელობა უთავებია, ვერ აუდის საქმეს და ფაქტიურად განყოფილებები მეცნიერული მუშაობის გარეშე დარჩენილან. კომისიის აზრით, სამეცნიერო იარაღთა საწყობიც უყურადღებოდ იყო დარჩენილი, დაკარგული იყო საჭირო ნივთები, არ მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები და სხვ.

დასკვნის სახით წარმოდგენილ დოკუმენტში გამოყოფილი იყო შემდეგი პუნქტები: 1. დირექტორის არაკომპეტენტურობა და არაპროფესიონალიზმი; ვერ მოუწვევია საჭირო პირები წასულების სანაცვლოდა და ჩაბარებული ორი განყოფილებაც, ფაქტობრივად, გაუჩერებია; 2. კომისია მიუთითებდა, რომ დირექტორს არ ჰქონდა უმაღლესი განათლების მოწმობა, ნამუშევარი იყო სხვადასხვა ობსერვატორიებში, მაგრამ ეს ვერ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დაწესებულების ხელმძღვანელობა შესძლებოდა. ამისთვის უმაღლესი განათლების გარდა, სამეცნიერო გამოცდილება და ხარისხიც იყო საჭირო. დაწესებულებაში იყო ,,მოსამსახურეთა კომიტეტი'', რომელიც ერეოდა ადმინისტრაციულ საქმეებში და დირექტორის ნებართვის გარეშე აძლევდა ადმინისტრაციულ შენობას სხვა პირებს.

დასკვნაში ეწერა, რომ „ობსერვატორიის სასურველ დონეზე მუშაობისათვის საჭირო იყო: 1. მას ჩაუდგეს სათავეში შესაფერისი ცოდნით, გამოცდილებით და უფლებით აღჭურვლი პირი, რატა გამოცოცხლდეს მისი დადუნებული მუშაობა, უნდა განთავისუფლდეს ლემლეინი დაკავებული თანამდებობიდან განათლების სამინისტროში შემოტანილი მისი თხოვნის მიხედვით. „ობსერვატორია, რომელიც ერთადერთია საქართველოში და ამ მხრით იშვიათ სიმდიდრეს წარმოადგენს ჩვენი

სახელმწიფოსთვის და რომელსაც პავლოვსკის ფიზიკური ობსერვატორიის შემდეგ თავისი მნიშვნელობით და მოწყობით რუსეთში მეორე ადგილი ეჭირა, აუცილებლად მუდმივ დაკავშირებული უნდა იყოს რომელიმე ჩვენს მეორე სამეცნიერო დაწესებულებასთან. ამიტომ, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს ჯერ ისეთი სამეცნიერო დაწესებულება, როგორიც მეცნიერებათა აკადემია - ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია უნდა გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც მის სათავეში სათანადო პირის დანიშვნით სხვა თანამდებობის ირთა და მოსამსახურეთა შესაფერი შტატის შემუშავებით გადაახალისებს მთელ მის მუშაობას და საშუალებას მისცემს მას ემსახუროს თავის დიდ მეცნიერულ დანიშნულებას.” [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 280, ფ.3-5].

შემუშავებული იქნა და დამტკიცდა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება. [სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 280, ფ.8]. დებულების თანახმად ეს ახალი დაწესებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა.

საქართველოს ცენტრალური არქივი. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი არის მემკვიდრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ექვთიმე თაყაიშვილის მცდელობით და ხელშეწყობით შექმნილი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივისა. არქივის შექნის აუცილებლობას დიდი ქართველი მეცნიერები - ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, სარგის კაკაბაძე და სხვები ქვეყნისთვის მეტად ღირებული დოკუმენტების გადარჩენით ხსნიდნენ. იმ მძიმე დროს, როდესაც ქაღალდის შოვნა ჭირდა, ზოგჯერ ძვირფას დოკუმენტებს ვაჭრები პროდუქტების შესახვევად იყენებდნენ, ნადგურდებოდა ეროვნული სიმდიდრე, ქართველი ერის სულიერი საგანძური. ამიტომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი ყურადღება გამოიჩინა ამ საკითხის მიმართ [სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 1, საქმე 440, ფ. 35].

1920 წლის 23 აპრილს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ და, იმავდროულად, მიუჩინა მას ადგილსამყოფელი მაშინდელ ოლღას ქუჩის № 48-ში არსებულ სამხედრო-საოლქო სასამართლოს მყარ და უსაფრთხო სამსართულიან შენობაში. დამოუკიდებლობის წლებშივე სამეცნიერო არქივის მაშინდელმა მუშაკებმა შეძლეს ბევრი გაფანტული

დოკუმენტის შეგროვება, თავმოყრა და გადარჩევა-დახარისხება. მათმა დაუღალავმა და მუხლჩაუხრელმა შრომამ უგზოუკვლოდ გაფანტული არქივების გადარჩენის მიზნით და მათი ერთ ადგილზე კონცენტრაციისათვის, საკმაო შედეგი გამოიღო. ერთი წელიც არ იყო გასული არქივის დაარსებიდან, რომ საქართველო რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაიპყრო და აქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1921 წლის 1 ივლისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი საქართველოში საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. დაარსდა საარქივო საქმეთა სამმართველო, რომელიც სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო არქივის საქმიანობას.

საქართველოს სამეცნიერო არქივის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: სარგის კაკაბაძეს, მიხეილ პოლიევქტოვს, შალვა ჩხეტიას, სამხედრო ისტორიკოსს სიმონ ესაძეს, ძველი საარქივო საბუთების მოპოვებაში ამაგდარ მეცნიერს, ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძეს. XX ს.-ის 20-იან წლებში სარგის კაკაბაძის უშუალო ინიციატივით საქართველოს დაუბრუნდა 1915 წელს, ოსმალეთისგან შესაძლო შემოტევებისგან არქივების გადარჩენის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში ევაკუირებული, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დიდძალი უძვირფასესი საარქივო ფონდები. ამ ფონდების ევაკუირება სარგის კაკაბაძის ხელ-ობით მოხდა 1923 წლის იანვარ-თებერვალში. 1925 წელს არქივის ფონდები გაამდიდრა შალვა ჩხეტიას მიერ მოსკოვსა და პეტერბურგის საცავებიდან ჩამოტანილმა ქართულმა ხელნაწერებმა და საბუთებმა. სამწუხაროდ, საქართველოს სამეცნიერო არქივში დაცული ბევრი სამხედრო-ისტორიული ხასიათის მქონე და დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის ფონდი 1964 წელს სსრ კავშირის მთავარი საარქივო სამმართველოს მოთხოვნით მოსკოვს გაიგზავნა. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი სიძველეთსაცავია, სადაც ინახება დოკუმენტები X საუკუნიდან 1921 წლამდე. დოკუმენტთა საერთო რაოდენობა მილიონს აღწევს [ჭუმბურიძე, 2003:339].

საქართველოს საეკლესიო მუზეუმი. საქართველოს საეკლესიო მუზეუმი, - „საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებული საეკლესიო განძთსაცავი" - დაარსდა 1888 წელს, 15 ივლისს. მისი დამაარსებლები იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ნიკო თვარელიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკოლოზ კალისტოვი. დამოუკიდებლობის წლებში, 1918 წლის 3

სექტემბრიდან 1921 წლის 21 მარტამდე ის მდებარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (1888-1916 წლებში ის სიონის ეკლესიაში იყო მოთავსებული, 1916-1918 წლებში თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში). იყო არასახელმწიფო, კერძო ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე(1888-1890 წწ.), თედო ჟორდანია (1889-1898), მოსე ჯანაშვილი (1898-1918), კორნელი კეკელიძე (1918-1921). 1918 წლის 3 სექტემბერს სიძველეთსაცავი გადატანილი იქნა ახლადაფუძნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეიქმნა "სიძველეთა დაცვის მუზეუმი". მუზეუმის გამგედ დაინიშნა კორნელი კეკელიძე, მოადგილედ - მოსე ჯანაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საეკლესიო მუზეუმში საქართველოს ეკლესიებიდან შეტანილი ბევრი საეკლესიო ნივთი იქნა დაცული, რამაც ეს ნივთები ძარცვა-განადგურებას გადაარჩინა, რაც იმდროინდელ არასტაბილურ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა განხორციელებულიყო. საქართველოს საეკლესიო მუზეუმი -„ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების საეკლესიო სიძველეთსაცავი" - საქართველოს გასაბჭოების გამო, 1921 წლის 21 მარტს დაიხურა. თვით კოლექცია უნივერსიტეტის შენობაში დარჩა. 1930 წელს ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, 1956 წელს ახლადდაფუძებულ ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც დღემდე დაცულია ცალკე „A" კოლექციის" სახით [იაკობაშვილი,2003: 72-84].

მოძრავი ბიბლიოთეკები, სახალხო წიგნთსაცავები და სამკითხველოები.

საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგება დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო. 1918 წლის 1ივლისს მოეწყო საბიბლიოთეკო კომისიის პირველი შეკრება, მთავარი საკითხი იყო ყოფილი მეფისნაცვლისა და მთავრობის სასახლის ბიბლიოთეკის მდგომარეობის გაცნობა. ამ საკითხზე განმარტებისათვის მოწვეული იქნა დეპუტატი კაჩუხოვი.

ეროვნულმა საბჭომ დაადგინა, რომ კანცელარიასთან ჰქონოდა სათანადოდ შედგენილი მდიდარი ბიბლიოთეკა. ერ. საბჭოს კანცელარიის გამგე წერდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს, რომ პარლამენტის საბიბლიოთეკო კომისიამ დაათვალიერა მეფისნაცვლის ყოფილი წიგნთსაცავი და ნახა, რომ აქ წიგნები

არეული და უწესრიგო მდგომარეობაში იყო, ისინი კანცელარიის ორ ნესტიან სარდაფში ეყარა, ზოგი დერეფნის გასასვლელებში იყო შენახული. ერ. საბჭოს კანცელარიის გამგე ითხოვდა ეს წიგნები გადაერჩია და აღენუსხა საბიბლიოთეკო კომისიას, რათა შექმნილიყო ერ. საბჭოს ბიბლიოთეკა. კომისიას ასევე უნდა ეცნობებინა ერ. საბჭოს პრეზიდიუმისთვის იმ წიგნების სია, რომელთა შეძენა გაამდიდრებდა ამ ბიბლიოთეკას **[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 273. ფ.2].**

ეროვნული საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიამ პარლამენტის დანარჩენ კომისიებს მიმართა თხოვნით, ეცნობებინათ იმ წიგნების სია, რისი შეძენაც მათ მიაჩნდათ საჭიროდ. მიმართვის ადრესატები იყვნენ შემდეგი კომისიები: სარწმუნოების კომისია, საზავო კომისია, სამხედრო, საფინანსო, აგრარული, იურიდიული, საკონსტიტუციო, მუშათა და შრომის, მართველობითი და თვითმართველობითი, გზების, დამფუძნებელ, სამეურნეო საქმეთა, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის კომისიები[**[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 273. ფ.6].**.

საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ოლია სოლოღაშვილი [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 273. ფ.7].

კომისიამ შეადგინა უშაობის გეგმა, სადაც ჩაწერილი იყო, რომ ყველა „მესტამბესა" და გამომცემელს 12ეგზემპლარი უნდა წარედგინა პარლამენტის ბიბლიოთეკაში. კომისიის თავმჯდომარეს -ე. თაყაიშვილს დაევალა, რომ გაცნობოდა ვეიდენბაუმისეულ ბიბლიოთეკას, რომელიც იმ დროს იყიდებოდა და თავისი მოსაზრება გამოეთქვა ამ ფონდის შეძენაზე [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 273. ფ.11]. თაყაიშვილმა გააკეთა მოხსენება ბიბლიოთეკის შესახებ , მან თქვა, რომ უძვირფასესი წიგნადი ფინდი იყო, საქართველოსა და კავკასიის შესასწავლად, არც ძვირი ღირდა . კავკასიის შესახებ მასში 2050 წიგნი იყო, უცხო ენაზე 357, რუსულ ენაზე200 წიგნი, სულ 2607 წიგნი ღირდა 40,000 მანეთი. კომისიამ შეიძინა აღნიშნული ბიბლიოთეკა.

ეროვნულმა საბჭომ თავისი წიგნთსაცავისათვის გადადო 120, 000 მან. **[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 273. ფ.14].**

მთავარი იყო კანონპროექტის შედგენა მთელ საქართველოში „წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ". ეს დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს კომისიამ 1918 წლის 8 ოქტომბერს წარუდგინა [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.1].

ვინაიდან საქმე ეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლებში წიგნსაცავ-სამკითხველოების მოწყობას, ამასთანავე, კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად პრობლემა იყო იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივ-შემეცნებითი დონის გაზრდა, შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ღონისძიებას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. ბიბლიოთეკების გახსნა სოფლებში საერობო თვითმმართველობების საქმე იყო, მაგრამ ეს ორგანოები ნელა ფორმირდებოდა, ზოგან კი სულაც არ დაუწყია მუშაობა იმ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, რაც ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკაში იყო. „ცხოვრება კი არ ითმენს და თავისას ითხოვს, - წერდა მინისტრი ნოე რამიშვილი, - შექმნილი პირობების გამო ერის კულტურული და ზნეობრივი მხარე მოდუნდა, ბევრ ჩვენს სოფელში კვლავ მძვინვარებს ანარქია, ამისთვის რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლება და დემოკრატიული რეფორმები რომ უფრო მტკიცე საფუძველზე იქნეს აგებული, საჭიროა ეხლავე ხელი შევუწყოთ ხალხის კულტურულ შემოქმედებას და თვითშემეცნებას. ამ მიზნით სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლებში წიგნთსაცავ-სამკითხველოების მოწყობას, რისთვისაც საჭიროდ რაცხს ეხლავე გახსნას ყოველ სოფლის საზოგადოებაში არსებულ სკოლებთან წიგნთსაცავ-სამკითხველოები, განსაკუთრებით უკანასკნელნი, ვინაიდან შესაძლებელია წიგნთსაცავების გახსნა ამჟამად ყველგან არ მოხერხდეს”. მინისტრი თვლიდა, რომ სადაც სკოლა არ იყო, იქ წიგნთსაცავ-სამკითხველო უნდა გახსნილიყო სოფლის სამმართველოსთან. სკოლებთან არსებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს მასწავლებლები უხელმძღვანელებდნენ, ხოლო სამმართველოებთან არსებულს - კომისრები, სანამ ერობა არ აიღებდა ხელში მართვას და ამ საქმეს არ გაუძღვებოდა. მასწავლებლებთან ერთად, სამკითხველოებში მორიგეობით დაკავდებოდნენ უფროსკლასელები.

სულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 500 წიგნთსაცავ-სამკითხველო უნდა დაარსებულიყო, ზოგი არც მოითხოვდა სახელმწიფოს დახმარებას, ხოლო სადაც ასეთი პირობები არ იყო, მთავრობას უნდა მიეცა ხარჯები. საამისოდ სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გამოყოფილიყო 50,000 მანეთი შსს მინისტრის ანგარიშზე და ის გასცემდა საჭიროებისამებრ თანხას. სამინისტროს იმედი ჰქონდა, რომ ამ საქმეში სახელმწიფოს დაეხმარებოდნენ ცალკეული საზოგადოებრივ-კულტურული და

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქველმოქმედო და სხვა დაწესებულებანი, ასევე წიგნის გამომცემლობები. მთავრობა ამ წიგნთასაცავ-სამკითხველოებს უსასყიდლოდ მიაწვდიდა ,,საქართველოს რესპუბლიკის'' ყველა ნომერს. ,,მოგახსენებთ რა ამას და ვიღებ რა მხედველობაში დასახელებული კანონ-პროექტის მნიშვნელობას, მაქვს პატივი გთხოვოთ სათანადო კანონ-პროექტი სასწრაფოდ იქნას შეტანილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში განსახილველად'', - ამთავრებდა მინისტრი [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.2].

შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგა კანონ-პროექტი, რომელიც 8 მუხლისგან შედგებოდა და მის განხორიცელებას კისრულობდა შსს სახალხო განათლების სამინისტროსთან ერთად. დოკუმენტის განხილვამ ორი სამინისტროს ფუნქციების დამთხვევა და შეუსაბამობა აჩვენა. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ ფორმირების ხანაში რომ იყო და ბევრი რამ მკაფიოდ გარკვეული არ ყოფილა, დოკუმენტისადმი დამოკიდებულებიდანაც ჩანდა.

შსს მინისტრის მოხსენება და შედგენილი კანონ-პროექტი გადაეცა განათლების სამინისტროს, რომელმაც დაიწუნა ის ინიციატივა, რადგან მიიჩნია, რომ ,,ამ კანონ-პროექტის ძალით შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის თავზე ღებულობს განათლების სამინისტროს ფუნქციებს და თავის მოხელეებს ახალ მოვალეობას აკისრებს'' [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.4].

განათლების სამინისტროს სრულიად მიუღებლად მიაჩნდა სოფლის კომისარს ეზრუნა წიგნთსაცავზე. მისი აზრით, მშრომელი ხალხის კულტურასა და განათლებაზე ზრუნვა მხოლოდ განათლების სამინისტროს ევალებოდა და შსს არაფერ შუაში იყო. მითუმეტეს, მის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტიც ნაჩქარევი და ბუნდოვანი ჩანდა. განათლების სამინისტრო ითხოვდა 50, 000 მანეთს მის განკარგულებაში, კისრულობდა წიგნთსაცავ-სამკითხველოების ორგანიზებას, დასახარჯი ფულის განკარგვის კონტროლს კი მასთან ერთად შსს-ც მოახდენდა.

აღნიშნული კანონ-პროექტი გადაეგზავნა კონტროლის პალატას, რათა საჭირო თანხების გამოყოფა დაესაბუთებინა. სახელმწიფო კონტროლიორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა პარლამენტს წარმოუდგინა დაწვრილებითი აღწერა საქართველოს იმ სოფლებისა, სადაც შეიძლებოდა მოაზრებული ყოფილიყო ბიბლიოთეკა-

სამკითხველოების გახსნა და დაუსაბუთა, რომ 500 სოფლის ნაცვლად, 260 სოფელი იყო ასეთი, თუ რატომ, დაწვრილებით იყო ნაჩვენები მის მიერ გაკეთებულ ცხრილში [სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.6-8]. მიუხედავად ამისა, გაითვალისწინა მოთხოვნილი თანხის სიმცირე და მაინც დატოვა ეს თანხა ხსენებული მიზნის განსახორციელებლად (50, 000 მან.). სახელმწიფო კონტროლიორის ეს დასკვნა პარლამენტს წარედგინა, სადაც ის კვლავ მიუღებელი აღმოჩნდა.

საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან ამონაწერში ვკითხულობთ: „მინისტრმა მოახსენა კომისიას, რომ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს დიდი მნიშვნელობა აქვს ერის განვითარებისათვის, როგორც ცნობილა, მაგრამ მას ჩვენთვის კიდევ პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უმეტესად ევროპის დიპლომატიისა და მათი პოლიტიკის გავლენასაც განიცდის. თუ ევროპას ჩვენ დავანახებთ, რომ ჩვენი ხალხი კულტურით მაღლა სდგას, ჩვენი სახელმწიფო კულტურული სახელმწიფოა, მაშინ ჩვენ დამოუკიდებლობას ადვილად ვერ შეეხებიან, ამისთვის მთავრობა ითხოვს ეს კანონ პროექტი მიღებული იქნას. ხოლო მთავრობის პროექტით წარმოდგენილია 50, 000 მან. ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ ეს თანხა არ იკმარებს, და თუ კომისია შესაძლოთ დაინახავს საჭირო იქნება 100,000 მან. კრედიტი წიგნთსაცავების მოსაწყობად, აუცილებელია ამ წიგნთსაცავებს გაეგზავნოთ უფასოდ მთავრობის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", რათა ხალხმა იცოდეს ვინ არის უზენაესი მთავრობა და რას აკეთებს იგი. ბ. მინისტრი შეეხო კონტროლიორის აზრებს. კონტროლიორის აზრით საჭიროა 260 წიგნთსაცავი და ამისთვის 50 000 მან. არ არის საკმარისი, ხოლო რიცხვი ამ ანგარიშით დამყარებულია სასოფლო საზოგადოებათა რიცხვზე, მაგრამ სამინისტროს განზრახული აქვს წიგნთსაცავის დაარსება ყველა სკოლასთან, სკოლები კი თითო საზოგადოებაში რამოდენიმეა, ასე რომ, იმათი რიცხვი იქნება 500-მდე. ამ ანგარიშით 100 000 მან. აუცილებლად საჭიროა.

მოხსენება ყურადღებით მოისმინა კომისიამ და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებული იქნა 100 000 მან. კრედიტით"[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.10].

საბოლოოდ, შესწორებების შემდეგ, კანონმა ასეთი სახე მიიღო: 1. დაარსდეს რესპუბლიკის სოფლის ყოველ სკოლასთან წიგნთსაცავი-სამკითხველო; 2. იმ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლა ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთსაცავ-სამკითხველო გახსნილი იქნეს სოფლის სამმართველოსთან; 3. სოფლის სკოლებთან დაარსებული წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამგებლობა დროებით დაევალოს სკოლების ზედამხედველებს, ხოლო სოფლის სამმართველოებთან - კომისრებს; 4. დღიდან საერობო თვითმართველობის შემოღებისა, წიგნთსაცავ-სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებას და ამ უკანასკნელს დაევალოს მათი პატრონობა; 5. დაეთმოს უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა; 6. ამ მიზნით გაცემულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად 100 ათასი მან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში; 7. ამ კანონის განხორციელება დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით; 8. კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ"[სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 274. ფ.14],

როგორც დავინახეთ, სახალხო განათლების სამინისტროს პრეტენზია საბოლოოდ მხოლოდ ისე იქნა გათვალისწინებული, რომ კანონის განხორციელებაში მხოლოდ მისი თანამონაწილეობა დაიგეგმა, რაც იმის შედეგი იყო, რომ მკვეთრი გამიჯვნა სამინისტროების უფლება-მოვალეობებში არ არსებობდა. ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა მაშინ, როდესაც სახალხო განათლების სამინისტროს მართვა ჯერ შინაგან საქმეთა, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტრომ შეითავსა.

საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს თავ-რე - ვ. ბურჯანაძე მიმართავდა დამფუძნებელი კრების განათლების კომისიას, ყველა სკოლასთან ბიბლიოთეკის და საყმაწვილო ლიტერატურის ფონდის არსებობის აუცილებლობაზე. ამგვარი ბიბლიოთეკების უქონლობა, მიმართვის ავტორის აზრით, სახალხო სკოლების მუშაობას აფერხებდა, მომავალი თაობების განათლებას უშლიდა ხელს. „ცნობილია, რომ წიგნი არის ყველაზე უფრო იაფი და მაშასადამე დემოკრატიული საშუალება სწავლა-განათლების სახალხოდ გავრცელებისა და ჩვენი მასა მოკლებულია დღეს განათლების ამ უდიდეს საშუალებას", - აღნიშნავდა ის და

კომისიას სთავაზობდა გამოსავალს. მას მიაჩნდა, რომ საბავშვო გამომცემლობები - „ნაკადული" და „ჯეჯილი" ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რადგან ამ გამოცემებს არსებობა უჭირდათ და მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამიტომ მოუწოდებდა ახალი გამომცემლობის დაარსებისაკენ, რომლის ორგანიზაცია და წიგნების გასაღების გეგმა წინასწარ უნდა შემდგარიყო. ამ საქმეს უხელმძღვანელებდა საქართველოს მასწავლებელთა კავშირი, თანახმად მასწავლებელთა პირველი რესპუბლიკური ყრილობისა, ის დააარსებდა ახალ გამომცემლობას ყმაწვილებისათვის. ამ ორგანიზაციის მესვეურობის პრიორიტეტს ვ. ბურჯანაძე ასე ხსნიდა: 1. „მასწავლებელი ყველზე ახლოსაა როგორც სკოლასა და ნორჩ თაობასთან, ისე თვით ხალხთან. მან იცის მათი სულიერი მოთხოვნილება და სხვებზე უკეთ შეუძლია საჭირო სალიტერატურო მასალის შერჩევა-მიწოდება; 2. მასწავლებლის, როგორც სახალხო განათლების ასპარეზზედ მოღვაწისა, ერთგვარ მოვალეობასაც შეადგენს ეს საქმე, ვინაიდან წიგნიცა და სკოლაც ორივე სწავლა-განათლებას ემსახურება; 3. მასწავლებელთა კავშირს შეუძლია გამომცემლობისათვის საკმაო თანხის შეგროვება და წიგნების გავრცელების გარდა მოწყობა ისე, რომ წიგნები მიაწოდოს პირდაპირ მომხმარებელს და ამრიგად, კომისიონერების თავიდან აშორებით, გააიაფოს წიგნი უმეტეს შემთხვევაში 20-30%-ით. "

ის ასკვნიდა, რომ უკანასკნელი მესამე მოსაზრება ქვაკუთხედი იყო მისი წინადადებისა და ამიტომ მოჰქონდა ამასთან დაკავშირებული მომავალი მოქმედების გეგმა: მასწავლებელთა კავშირი ყოველწლიურად, მთელ საქართველოში გამართავდა ე. წ. „განათლების დღეს", რესპუბლიკის ყველა სკოლაში ამ დღეს მოეწყობოდა ფასიანი ლიტერატურული საღამოები ლექცია-საუბრები, წარმოდგენები, მასში მოწაფეები მიიღებდნენ მონაწილეობას და მთელი შემოსავალი შევიდოდა სკოლის საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში, ეს ფული გადაეგზავნებოდა რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირს, რომელიც ნელ-ნელა მიაწვდიდა სკოლას საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებს, 20-30 %-ის ფასდაკლებით. კავშირი ამით ორ მიზანს ადვილად მიაღწევდა: წიგნების გავრცელების უზრუნველყოფას და დიდი თანხის შეგროვებას, რესპუბლიკაში იყო 2000-მდე სკოლა, ნაჩვენები გზით, ვ. ბურჯანაძის აზრით, ისინი 3000 მანეთამდე თანხას შეაგროვებდნენ, შეგროვდებოდა 6 მილიონი მანეთი, ყოველი სკოლა

წლიურად მიიღებდა 300 ცალ 16 გვერდიან საყმაწვილო წიგნს, რაც საკმაოდ იაფი დაუჯდებოდა სკოლას და ბიბლიოთეკაც გაუჩნდებოდა.

გარდა ამ პრაქტიკული ღირებულებისა, ბურჯანაძე საუბრობდა ,,განათლების დღის'' იდეურ მნიშვნელობაზეც: მისი საშუალებით შეიძლებოდა მომხდარიყო განათლების ფართო პროპაგანდა, მასების სწავლა-აღზრდით დაინტერესება და მეტი ინტერესის აღძვრა ხალხის ყველა სოციალურ ფენაში, სკოლისა და მასების დაახლოვება. მასწავლებელთა საბჭომ ჟურნალ ,,ნაკადულის''(რომელიც ვეღარ გამოდიოდა) გამოცემით დაიწყო ხსენებული გადაწყვეტილების განხორციელება[სცსსა, ფონდი 1833, საქმე 265, ან. 1, ფ, 110].

სახალხო უნივერსიტეტები. სახალხო უნივერსიტეტი საქართველოში უკვე XX ს.-ის დასაწყისიდან ფუნქციონირებდა. პირველი სახალხო უნივერსიტეტი ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში გაიხსნა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. სახალხო უნივერსიტეტები იყო: თბილისში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ხონში, ფოთში, თელავში და სხვ. სულ ასეთი 12 უნივერსიტეტი არსებობდა [სცსსა, ფ. 1935, საქმე 13, ფ.. 38].

აქ საინტერესო ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებად ეწერებოდა მრავალი მსურველი. დამოუკიდებლობის წლებში სახალხო უნივერსიტეტების გახსნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ის უკვე სოფლებშიც იხსნებოდა. მაგ.: თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, სოფელ ფშაველში, სადაც ითხოვდნენ ისიდორე რამიშვილის ლექციას და უნივერსიტეტისთვის მისი სახელის მინიჭებას. 1920 წელს დაიწყო არსებული სახ. უნივერსიტეტების რეორგანიზაცია თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორის - ივანე ჯავახიშვილის თავ-რეობით. სარეორგანიზაციოდ აირჩა სპეციალური კომიტეტი. მათ უხელმძღვანელებდა თბილისის სახალხო უნ.-ი [გაზ.,,საქ. რესპუბლიკა'', №227, 1920].

მთავრობას უჭირდა ამ დაწესებულებების დაფინანსება, ამიტომ მას ხალხი ეხმარებოდა. ამგვარი უნივერსიტეტების როლზე საუბრობდა პუბლიცისტი ივანე

როსტომაშვილი გაზეთის სპეც. რუბრიკაში - „სახალხო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი".

განათლების რეფორმა და საბავშვო სკოლამდელი აღზრდის სისტემა

განათლების რეფორმა, როგორც უკვე ვთქვით, მოიცავდა ფართო სფეროს, დაწყებული საბავშვო ბაღებიდან, სხვადასხვა საფეხურის სკოლებიდან, უმაღლესი და პროფესიული განათლების (სპეციალური სასწავლებლების) კერებიდან, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებათა შექმნას, რაც ამ სისტემის კომპლექსურ და სრულყოფილ მუშაობას შეუწყობდა ხელს.

ყველაზე დაბალი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რგოლი მომავალი თაობის სულიერ და გონებრივ ფორმირებაში, საბავშვო ბაღები იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოში არცერთი სახელმწიფო საბავშვო ბაღი არ იყო. თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებას ამ სფეროსთან, კარგად ჩანს განათლების მინისტრის 1918 წლის 26 სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში, რომელიც მან საქართველოს პარლამენტს და მთავრობას წარუდგინა.

დოკუმენტში ნათქვამია: „უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ საბავშვო ბაღს და განსაკუთრებით ბავშვთა სახალხო ბაღს სწავლა-აღზრდის საქმეში. ამ უკანასკნელი ტიპის საბავშვო ბაღების დანიშნულება ის არის, რომ მან შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს მუშა-ხალხის ხელვიწრო ოჯახებს, სადაც ცხოვრების მძიმედა არანორმალურ პირობათა გამო სასკოლო ასაკის ბავშვები რჩებიან სრულიად უყურადღებოდ, უზრუნველად, უპატრონოდ.

საბავშვო ბაღების ძირითადი მიზნები შემდეგია: ბავშვთა ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა. ზნეობრივი აღზრდისათვის საჭიროა ბავშვის საზოგადოებრივი გრძნობების განვითარება, ნებისყოფის გაწვრთნა და განმტკიცება, თვითმოქმედების შეგნება და შრომისმოყვარეობის შეჩვევა. ჭკუა-გონების განვითარებისთვის კი აუცილებელია: საგნობრიობა (კონკრეტული, ნათელი წარმოდგენა საგნებისა)და ინდივიდუალური ნიჭის გაშლა. ამასთანავე, საბავშვო ბაღი ერთგვარი საფეხურია, საიდანაც ყმაწვილი შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ ადვილად გადადის სასწავლებელში, ეს კი აყვარებს ყმაწვილს სკოლას, აჩვევს საზოგადოებაში ტრიალს და უადვილებს საზოგადოებრივი ინტერესების შეგნებას.

მიუხედავად საბავშვო ბაღის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მთელ საქართველოში არც ერთი ასეთი დაწესებულება არ მოგვეპოვება. ეს ფრიად დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის საზოგადოდ და განსაკუთრებით ტფილისისათვის, რომ ამ დიდამა ქალაქმა დღემდისაც ვერ შექმნა სახალხო ბავშვთა ბაღი ისეთი რაიონებისათვის , როგორიცაა, მაგალითად ვერა და ნაძალადევი".

მინისტრს თბილისის ეს ორი რაიონი მიაჩნდა ქალაქის ეკონომიკურ საყრდენად, აქ ბევრი მუშა ცხოვრობდა, რომელთა შვილების აღზრდა-განათლებაზეც უნდა ეზრუნა მთავრობას და ამიტომ, საჭიროდ თვლიდა ამ ორი რაიონიდან ერთში მაინც, მთავრობის ხარჯით, გახსნილიყო პირველი სახალხო (სახელმწიფო) ბაღი. მინისტრი საამისო წლიურ ხარჯთაღრიცხვასაც წარმოადგენდა: 1. ბინის დაქირავება გათბობა-განათებით - 3,600 მან; 2. სასწავლო მასალების შეძენა - 2,400 მან; ორი მასწავლებლის ჯამაგირი - თითოეულს 4,800 მან, სულ - 9, 600 მანეთი; მოსამსახურის ჯამაგირი - 2,400; მოულოდნელი ხარჯები - 1,200 მანეთი [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 248, ფ.1-2].

განათლების მინისტრის მოხსენება , რომელიც მოიწონა როგორც პარლამენტმა, ასევე ფინანსთა სამინისტრომ თანხმობა გამოაცხადა მის დაფინანსებაზე, კანონ-პროექტის სახით ჯერ პარლამენტის განათლების კომისიამ განიხილა და უარყო, რადგან მიიჩნია, რომ საქმე არა სამინისტროს, არამედ ქალაქის თვითმმართველობას უნდა განეხორციელებინა. [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 248, ფ.5].

განათლების სამინისტრო საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ დაეთანხმა., მისი აზრით საბავშვო ბაღები განათლების ერთ-ერთ-საფეხურს წარმოადგენდა და მისი საქმიანობა სამინისტროს უნდა დაეგეგმა და ეკონტროლებინა. მინისტრის ამხანაგი - ალექსანდრე მდივანი თავის მოსაზრებას პარლამენტის განათლების კომისიას უზიარებდა. ის წერდა: „1. განათლების სამინისტროს აზრით საბავშვო ბაღების საქმე საერთო განათლების საკითხის ერთი ნაწილია და ამიტომ მასზე ზრუნვა, მისი გახსნა, მოვლა და შენახვა განათლების სამინისტროს პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს. სამინისტრო ხსნის ასეთ საბავშვო ბაღებს და შეუძლიან გადასცეს ქალაქის თვითმმართველობას. 2. როცა სამინისტრომ შეიმუშავა ეს პროექტი, მას ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული ჰქონდა პრაქტიკული შესაძლებლობაც როგორც ბინით, ისე საპედაგოგო პერსონალით უზრუნველყოფის

მხრივ. სამინისტრო ვერ დაეთანხმება განათლების კომისიას, რომ საბავშვო ბაღის გახსნა იმ სახით, როგორც ამას კანონპროექტი დამასთან დართული განმარტება საზღვრავს, წარმოადგენდეს მუშაობის დაწვრილმანებას. 3. განზრახული საბავშვო ბაღი ერთგვარი სამაგალითო დაწესებულებაა, ერთგვარი პედაგოგიური ცდა იქნება და სრულიად ხელს არ შეუშლის საერთო გეგმის შემუშავებას. საერთო გეგმა იმ ბავშვთა სწავლა-აღზრდისა, რომელთაც სკოლის ასაკი არ დასდგომიათ, შესაძლებელია სულ მოკლე ხანში შემუშავდეს, მაგრამ მისი განხორციელება დღევანდელი პირობების მიხედვით პრაქტიკულად სავსებით მოუხერხებელი გახდეს.

განათლების მინისტრის ამხანაგი ალ. მდივანი. 1918 წლის 6 ნოემბერი [სცსსა, ფონდი 1836, საქმე 262, ფ. 6].

შემდეგ კი პარლამენტმა 1918 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 248, ფ.9].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და განათლების რეფორმა. განათლების რეფორმა შეეხო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებსაც, როგორც ერთ-ერთ- მნიშვნელოვან კულტურულ-საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო ორგანიზაციას. ეს საზოგადოება დიდი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ამიტომ, მთავრობამ განათლების მინისტრის მიმართვის საფუძველზე უფლება მისცა მინისტრს მისთვის გამოყოფილი 10 მილიონიანი ფონდიდან გამოეყო ამ დაწესებულებისთვის 500,000 მანეთი სახელმძღვანელოების და სხვა ბეჭდვითი მასალების გამოსაცემად. გამოსაცემ წიგნთა სიაში იყო ,,დედა-ენა'', ,,ბუნების კარი'', მათემატიკის სახელმძღვანელოები, ფიზიკა, რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. კარიჭაშვილისა, რუსულ-ქართული ლექსიკონი მ. ჭანაშვილისა, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დ. კლდიაშვილის. გ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, ვ. რუხაძის, ა. ხოშტარიას თხზულებები, ასევე უცხოური ენებიდან თარგმნილი საკითხავი მხატვრული ლიტერატურა, რომლის ,,გამოუცემობა დააზიანებდა ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს''. თანხა წ. კ. გ. -ს უნდა მისცემოდა ნაწილ-ნაწილ, უპროცენტოდ, ასევე ნაწილ-ნაწილ უნდა დაებრუნებინა ის ორგანიზაციას სახელმწიფოსათვის [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 277, ფ. 2-18].

მთავრობამ გადაწყვეტილება 1919 წლის 26 ივლისს მიიღო.

გამოსაცემ წიგნებს არჩევდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან არსებული კომისიები: 1. ლიტერატორ-კრიტიკოსთა (წევრები: ივანე გომართელი, დავით კასრაძე, ვ. ბაქრაძე, დ. ხოშტარია, შ დედაბრიშვილი); ისტორიკოსთა კომისია (ივანე ჯავახიშვილი, გრ. ნათაძე, ალ. ჟორჟოლიანი, სარგის კაკაბაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე ქავთარაძე, მოსე ჯანაშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე); ბუნებისმეტყველთა კომისია(ს. იაშვილი, სოლ. გულისაშვილი, ტ. ხარაძე, მ. სირაძე, თ. ყიფშიძე); პირველდაწყებითი სახელმძღვანელო წიგნების შემსწორებელი კომისია(ივ. გომელაური, ლ. ბოცვაძე, ვ. ბურჯანაძე, თ. კიკვაძე, პ. კაკაბაძე, იპ. ვართაგავა და სხვა).წერა-კითხვის გამგეობის თავმჯდომარე იყო დ. კარიჭაშვილი).

წ.კ. საზოგადოების სამწიგნობრო სექციამ გადაწყვიტა ხელი შეეწყო მედიცინის დარგის პოპულარიზაციისათვის, ხალხში არსებული ცრურწმენების აღმოფხვრისა და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც ექიმ-სპეციალისტებს შეუკვეთა წიგნების დაწერა ისეთ დაავადებათა შესახებ, რაც ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. სამწიგნობრო სექციის მიმართვაში ეწერა, რომ ,,წიგნები უნდა დაიწეროს მეცნიერულათ და მდაბიურათ, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის'', ავტორს უნდა წარედგინა თავისი პირობები, ჰონორარის რაოდენობის, წიგნის დაწერის ვადების, ტერმინების ქართულად გადმოტანის და ასე შემდეგ, იმ პრობლემების შესახებ, რაც წიგნის დაწერას ახლდა. სასურველ თემებს სექცია თავად აწვდიდა სპეციალისტებს. ეს იყო: ბინის, ტანსაცმლის, საჭმელ-სასმელის, ყურის, ცხვირის, თვალის ჰიგიენის შესახებ, ასევე პროფესიონალურ (ასოთამწყობების, მაღაროს მუშების) დაავადებათა, იმ დროს გავრცელებული ისეთი საშიში სენის შესახებ, როგორიც იყო ტუბერკულოზი, მალარია, დიზენტერია, ცოფი, ხოლერა, შავი ჭირი, რევმატიზმი, ნაწლავების ჭიები. ჩამოთვლილი იყო ბავშვთა და ქალური დაავადებების , თვალის დაავადებათა გრძელი სია[სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 277, ფ. 20-21].

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. დაარსდა 1907 წლის 20 სექტემბერს. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის საისტორიო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატური, ლიტერატურული, ანთროპოლოგიური და სხვა ნიმუშების შეგროვება და მეცნიერულად დამუშავება-შესწავლა. საზოგადოებამ

თბილისში დააარსა მუზეუმი და ბიბლიოთეკა, სადაც თავს უყრიდა შეგროვებულ მასალებს, ასევე ბეჭდავდა კრებულებს, ატლასებს, ალბომებს, ნოტებს და ა. შ. აწარმოებდა არქეოლოგიურ კვლევას ვანში, ახალციხეში, ახალქალაქსა და სხვაგან, ახატვინებდა დაზიანებულ ფრესკებს , თვალს ადევნებდა ქართული სიძველეების დაცვა-შენახვის საქმეს. ხალხი ხშირად უსასყიდლოდ გადასცემდა ამ საზოგადოებას ძველ ნივთებს, სიგელ-გუჯრებს. ეს სიმდიდრე გადანაწილებული იყო სხვადასხვა მუზეუმების ფონდებში. საზოგადოებამ ეკატერინე სარაჯიშვილის ნაჩუქარი ფულით, 100, 000 მანეთად შეიძინა მამული წყნეთის ქუჩაზე, რომელიც წლიურად იძლეოდა 10 ათასი მანეთის შემოსავალს. საზ-ს ჰქონდა წიგნის გამომცემლობები: ,,საქართველოს სიძველენი'', ,,ძველი საქართველო'', ,,ძველი ქართული მწერლობა'', ,,ხალხური სიტყვიერება'', ,,კალიგრაფიული ალბომები''. სახალხო განათლების ახალი რეფორმით ამ საზოგადოებისა და მისი სამუზეუმო ფონდების რეორგანიზაციაც განისაზღვრა. შედგა ახალი ხარჯთაღრიცხვა , განისაზღვრა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა და ანაზღაურების ოდენობა.

1919 წლის 28 მაისს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადებისათვის 120 ათასი კრედიტის მიცემისა და მისი ზოგიერთი განყოფილების სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანების შესახებ. მანამდე, 3 აპრილის დადგენილებით შემდგარმა კომისიამ, რომელსაც განათლების მინისტრის ამხანაგი ხელმძღვანელობდა, შეიმუშავა კანონპროექტი საეთნოგრაფიო – საისტორიო საზოგადოებასთან ერთად, კავკასიის საარქეოგრაფიო საზოგადოებისა და კავკასიის მუზეუმის სათანადო დარგებში უნივერსიტეტთან გაერთიანებაზე. კომისიამ აუცილებლად სცნო ყველა მუზეუმის გაერთიანება, მაგრამ, ვინაიდან იმჟამად არ არსებობდა საამისო შენობა თბილისში, საჭირო იყო ამ დაწესებულებების არსებული სისტემისათვის გაეწიათ დახმარება ფონდების დაცვისა და კვლევის გაგრძელების საშუალების მისაცემად. საამისოდ სამინისტრომ მთავრობისაგან მოითხოვა 120, 160 მანეთი. ამ საკითხზე კანონ-პროექტის პარლამენტში გასატანად და მომხსენებლად გამოიყო ჯერ დეპუტატი ქრისტინე შარაშიძე, შემდეგ კი დეპუტატი ა. სოლოღაშვილი. კანონპროექტი განიხილა პარლამენტმა და მიიღო. [სცსსა, ფონდი 1833, ან. 1, საქმე 276, ფ. 6, 24]..

ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი

1918 წლის სექტემბერში განათლების მინისტრმა პარლამენტსა და მთავრობას წარუდგინა გეგმა-მოხსენება თბილისში ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის გახსნის შესახებ[სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 250, ფ.1].

მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქთან არსებობდა ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი, რომელიც შემდგარი იყო თბილისის სახალხო სკოლების დირექციასთან არსებული პედაგოგიური მუზეუმის ბაზაზე. მუზეუმს სახელმწიფო ხაზინიდან ისე ცოტა ხარჯი ეძლეოდა, რომ ნორმალურ ფუნქციონირებას ვერ ახერხებდა. მინისტრი მიიჩნევდა, რომ მუზეუმს უნდა დაეჭირა დიდი ადგილი სახალხო განათლების საქმეში და უფრო უნდა დაახლოებოდა ეროვნული სკოლის ინტერესებს. ის წერდა: „მუზეუმის მოღვაწეობას რომ უფრო მტკიცე ხასიათი მიეცეს, ამიტომაც საჭიროა, რომ ეს მუზეუმი და უახლოვეს სკოლასა და საზოგადოთ სახალხო განათლების საქმეს საქართველოს რესპუბლიკაში, რაც თავისთავად გამოიწვევს მუზეუმის რეორგანიზაციას და ამ სამეცნიერო დაწესებულების სპეციალისტების ხელში გადასვლას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამ ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულების საქმეთა სათანადო დონეზე დაყენება, მისი მოწესრიგება.” მუზეუმის რეორგანიზაციისათვის მინისტრი ითხოვდა გარკვეულ თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სათანადო მხარდაჭერას. მთავრობამ და პარლამენტმა მოიწონეს კანონ-პროექტი, მაგრამ განათლების მინისტრს ხარჯების დაკონკრეტება შესთავაზეს [სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 250, ფ.5].

ქართველ მწერალთა საზოგადოება. ქართველ მწერალთა საზოგადოების შექმნა, მწერლების ორგანიზაციული გაერთიანება XX ს.-ის დასაწყისშივე დადგა დღის წესრიგში. მიზანი მწერალთა ნაწარმოებების გამოცემაზე, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა იყო, რასაც ორგანიზაციული კავშირის ხელმძღვანელები მოახერხებდნენ. ამ მიზნით 1908 წელს დაარსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება”. გარდა ამისა, არსებობდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაც, რომელიც ატარებდა მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვას, მწერალთა ლექცია-მოხსენებებს, იყო ასევე ქართული ტექსტების რუსულად მთარგმნელთა საზოგადოება ბაქოში. მწერლობის

პროფესიული საკითხების მოსაგვარებლად საჭირო გახდა ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანება ერთ კავშირში, რის გამოც, 1917 წელს გადაწყდა მწერალთა კავშირის შექმნა. ქართველ მწერალთა I კონფერენცია გაიხსნა 1917 წლის 8 (21) ოქტომბერს, სასახლის ქუჩაზე, ქართული კლუბის დარბაზში. კონფ. გახსნა მწერალმა კოტე მაყაშვილმა. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1. მისალმებანი; 2. მოხსენებები; 3.სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების ანგარიში;4. მწერალთა კავშირის დაარსება; 5.მუდმივ ორგანოთა წევრების არჩევნები.

კონფერენციის მეორე სხდომაზე გადაწყდა ,,ქართველ მწერალთა საზოგადოების კავშირის'' შექმნა. მასში გაერთიანდებოდა მანამდე არსებული ყველა შემოქმედებითი ორგანიზაცია, მათ შორის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორგანიზაცია, ,,შოთას საზოგადოება'' და სხვ. დამფუძნებელმა კონფერენციამ საჭიროდ ცნო ისეთი ჟურნალის გამოცემა, სადაც დაიბეჭდებოდნენ ყველა ლიტ. მიმართულების მწერლები, პაოლო იაშვილმა წინადადება წამოაყენა რუსთაველის ძეგლის აგებისა და ქართული ხელოვნების სადღესასწაულოდ ერთი დღის გამოყოფისათვის. კონსტანტინე გამსახურდიას წინადადებით, კონფერენციამ მომავალ საბჭოს დაავალა ეშუამდგომლა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა გოლოვინის პროსპექტს დარქმეოდა შოთა რუსთაველის სახელი. სამსონ დადიანის წინადადებით, რუმინეთიდან უნდა გადმოესვენებინათ პოეტ ბესარიონ გაბაშვილის, პეტროგრადიდან კი გრიგოლ აბაშიძის ნეშტი. კონფერენციამ მისალმებები გაუგზავნა ავადმყოფ კიტა აბაშიძეს, ,,ვეფხისტყაოსნის'' რუსულ ენაზე მთარგმნელ - კონსტანტინე ბალმონტს, ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობის მეგობრებს - ოლივერ უორდროპსა და არტურ ლაისტს, მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხსა და კათალიკოს პატრიარქს - კირიონს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი კათალიკოსად არჩევის გამო. კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს 10 წევრი: კონსტანტინე გამსახურდია, სამსონ დადიანი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, დავით სულიაშვილი, კოტე მაყაშვილი, აკაკი პაპავა, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი. კონფერენცია დახურა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმა ქართველ მწერლებს გაერთიანებისკენ მოუწოდა. 1917 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე მწერალთა კავშირის ათ კაციანმა საბჭომ თავმჯდომარედ კოტე მაყაშვილი

აირჩია, რომელიც ამ თანამდებობაზე 1926 წლამდე იმყოფებოდა. თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე 1917-1920 წლებში მუშაობდა შალვა დადიანი, მოლარედ - დავით სულიაშვილი, მწერალთა ჟურნალის სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში - აკაკი პაპავა და ლეო ქიაჩელი. მდივნად მიწვეული იქნა იოსებ გრიშაშვილი. მწ. კავშირის სარევიზიო კომისიაში შევიდნენ: არტემ ახნაზაროვი, გიორგი მუმლაძე და ლევან მეტრეველი.

1919 წლის 16 ივნისს მწერალთა საბჭოს სხდომამ, რომელიც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში ჩატარდა, განიხილა საკითხები: 1. მემორანდუმის გაგზავნა მთავრობისათვის მწერალთა ფონდის შესაქმნელად და 2. რესტორან „ანონაში" მხატვრული კლუბის გახსნა; 3. ევროპაში მწერლების გაგზავნა. მალე მწ. კავშირმა ქალაქის გამგეობისაგან შეიძინა რესტორანი "ანონა" და იქ მოაწყო კაფე-რესტორანი და კლუბი „ქიმერიონი". კაფე მოხატეს: რუსმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა, ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა - ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ, ასევე: კირილე ზდანევიჩმა და პოლონელმა მხატვარმა ზიგმუნდ ვალიშევსკიმ [გაზეთი „ერთობა", 1920 წლის 4 აპრილი].

1920 წლის 4 აპრილს გაიხსნა ქართველ მწერალთა კავშირის მეორე კონფერენცია. გაზეთი „ერთობა" აუწყებდა საზოგადოებას და კონფერენციაზე დასასწრებად იწვევდა როგორც მწერალთა კავშირის რიგებში შემავალ, ასევე მის გარეთ მყოფ 165 მწერალს, ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში კვლავ გამოქვეყნდა დამატებითი 16 მწერლის სია, რომლებიც კონფერენციაზე იყვნენ მიწვეულნი. კონფერენციის თავ-რედ არჩეულ იქნა ნიკო ნიკოლაძე, თავ-რის ამხანაგებად: ივანე გომართელი და პეტრე მირიანაშვილი. პირველ სხდომას ივანე გომართელი თავ-რეობდა, რადგან ნიკოლაძე ვერ დაესწრო, პრეზიდიუმში ისხდნენ საპატიო თავ-რეები: შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი და დუტუ მეგრელი. საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ქართველ მწ. კავშირის საბჭოს თავ-რემ - კოტე მაყაშვილმა. კონფერენციამ შეცვალა წესდების ზოგიერთი პუნქტი: ქართველ მწ. კავშირს ეწოდა „მწერალთა კავშირი", გადაწყდა, კონფერენციები ჩატარებულიყო ყოველ წელს; ქართველ მწერალთა დღეს, ტიციან ტაბიძის წინადადებით, დაერქვა „პოეზიის დღე". ამ დღის აღნიშვნა უნდა მომხდარიყო ყოველ 7 მაისს. ამ გადაწყვეტილებამდე, 1919 წლის 28

აგვისტოს ქართული კლუბის ბაღსა და საზაფხულო დარბაზში გაიმართა ქართველ მწერალთა პირველი სადღესასწაულო შეკრება. პოეზიის დღეს- 7 მაისს მთელ საქართველოში დღესასწაულობდნენ. 1920 წელს პირველად აღინიშნა ეს დღე და გამოიცა ერთდროული გაზეთი - პოეზიის დღე". მეორე კონფერენციამ დაავალა საბჭოს შეედგინა საავტორო უფლებების დაცვის წესები, გამოეცხადებია პრემიები, ეზრუნა მწერლებისათვის აგარაკების ასაშენებლად, ევროპაში მათ გასაგზავნად, მწერალთა პენსიებისა დასანიშნად და სხვ. კონფერენციამ მწ. კავშირის ახალი საბჭო აირჩია, რომელშიც შევიდნენ: ალ აბაშელი, ი. აგლაძე, ი. გომართელი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, ს. თავაძე, ა. პაპავა, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე. თავ-რედ ხელახლა აირჩიეს კ. მაყაშვილი, მის ამხანაგებად, მდივნად და ხაზინადრად: ნიკო ლორთქიფანიძე, აკაკი პაპავა, ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია) და ტიციან ტაბიძე. 1920 წლის 10 ივნისს სახ. ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის საღამოები, ამავე წელს (24 მაისს) მოეწყო აშუღი პოეტის - ჰაზირას საღამო [გაზ ეთი „სახალხო საქმე", 1919, № 550].1921 წლის 27 იანვარს პოეტების ჯგუფმა გალაკტიონ ტაბიძე „პოეტების მეფედ" გამოაცხადა საკონკურსოდ წარდგენილი ლექსისათვის - „პოეზია უპირველეს ყოვლისა". საქართველოს მწერალთა კავშირმა არსებობა გააგრძელა საბჭოთა პერიოდში. სამწუხაროდ, ამ წლებში ის ტოტალიტარული რეჟიმის ხელში „იდეურად არაკეთილსაიმედო" მწერლების დამსჯელ იარაღად იქცა [კვერენჩხილაძე 1983].

სახელოვნო ცენტრი. 1919 წელს დაარსდა ორგანიზაცია - „სახელოვნო ცენტრი". მისი დაარსების ინიციატორი და განმახორციელებელი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი კოტე მაყაშვილი. „მრავალ მიზეზთა გამო, - წერდა გაზეთი „სახალხო საქმე", - ჩვენს ხელოვნებას ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარი ძალ-ღონით მართოს თავისი სვე. მას სჭირია განსაკუთრებული შეკავშირება, ძალების შეთანხმება და სახელმწიფოებრივ ორგანოთა სათანადო დახმარება - მთავრობის თანაგრძნობა და მფარველობა. მხოლოდ ამ გზით შეძლება ჩვენი ხელოვნების მტკიცე ნიადაგზე დამყარება და განვითარება. ამ მიზნით უკვე შედგა „ხელოვანთა ცენტრი"... შეიმუშავა სათანადო წესდება და ახლო მომავალში გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს" [გაზ ეთი „სახალხო საქმე", №538, 1919]..

„სახელოვნო ცენტრში” შევიდა როგორც მწერალთა კავშირის ორგანიზაციის, ასევე, სამუსიკო საზოგადოების, მხატვართა საზოგადოების და მსახიობთა კავშირის 3-3 წარმომადგენელი. ცენტრში შესვლა შეეძლო ყველა ორგანიზაციას, რომელიც ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეს ემსახურებოდა. ცენტრს უფლება ჰქონდა:1. გაეწია შუამდგომლობა მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებების პირთა წინაშე როგორც ცენტრში შემავალი ორგანიზაციების, ასევე თავად ცენტრისთვის;2. მოეწვია ხელოვანთა ყრილობები (კონფერენციები) საერთო საკითხების გამოსარკვევად, დროგამოშვებით მოეწყო ხელოვანთა გაერთიანებული გამოსვლა, დაეარსებინა კლუბები, მოეწყო ექსკურსიები და ა. შ. 1919 წლის ივნისში ცენტრში 12 კაცი შედიოდა. ესენი იყვნენ: მწერალთა კავშირიდან: კოტე მაყაშვილი (ცენტრის თავ-რე), გრიგოლ რობაქიძე (თავ-რის ამხანაგი), აკაკი პაპავა; მხატვართა საზოგადოებიდან: იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი; სამუსიკო საზ-დან: ე. მაჩაბელი (ხაზინადარი), ვლ. აბაშიძე, დ. არაყიშვილი; მსახიობთა კავშირისგან: შალვა დადიანი (ცენტრის მდივანი), ფრონისპირელი, ალ. იმედაშვილი. 1919 წლის 10 ივნისს ცენტრის 4 წევრი (კ. მაყაშვილი, დ. არაყიშვილი, შ. დადიანი და ი. ნიკოლაძე) წარუდგნენ მთავრობის თავმჯდომარეს - ნოე ჟორდანიას და ესაუბრნენ ცენტრის მომავალ გეგმებზე [გაზ. „სახ.საქმე”№549, 1919]. ჟორდანიამ ცენტრის დაარსება მოიწონა და მას დახმარება აღუთქვა მომავალ მუშაობაში. სახელოვნო ცენტრმა 1920 წელს გამოსცა აკაკი პაპავას წიგნი - „სოლეილ-დორ”.

ძირითადი დასკვნები

1. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმების გატარება ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განათლების რეფორმას, რომელიც ითვალისწინებდა ეტაპობრივად საყოველთაო სწავლების შემოღებას, სკოლების გაეროვნებას, ახალი დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და სპეციალური სკოლების დაარსებას ქვეყანაში, სადაც სწავლა მსოფლიო სტანდარტებით წარიმართებოდა. საამისოდ გათვალისწინებული იქნა ევროპული ქვეყნების გამოცდილება. ახალ სკოლებთან ერთად დაარსდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება-ორგანიზაციები, რომელიც განათლების რეფორმის გატარებას უზრუნველყოფდა;

2. ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები, ძველი ინსტიტუტის - ამიერკავკასიის სახალხო განათლების კომისარიატის ნაცვლად, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. განათლების მინისტრად დაინიშნა სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი. ასევე, განათლების მინისტრებად 1920-1921 წლებში შეთავსებით იყვნენ: ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, შემდეგ კი - სამხედრო მინისტრი - გრიგოლ ლორთქიფანიძე. გან. სამინისტრომ სკოლების გაეროვნების დასასრულებლად დაარსა 2 კომისია, რომელთაც დაევალა ახალი ტიპის საშუალო და დაბალ სკოლათა პროგრამების შემუშავება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს რეფორმის გასატარებლად მთავრობისაგან გამოეყო 10 მილიონიანი ფონდი;

3. დაიწყო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება. დაბალ სკოლათა გაეროვნება დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატმა და იგი 1918 წელს დასრულდა, მომდევნო ორ წელს განხორციელდა სხვა ტიპის სკოლების გაეროვნებაც. გაეროვნებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებდა ძირითადი სასწავლო პროგრამების ქართულად სწავლებას, მთავრობამ ეროვნულ უმცირესობებს დაუტოვა საკუთარ ენაზე სწავლის უფლება, ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში

აუცილებელ საგნად ჩაითვალა ქართული ენა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა დ გეოგრაფიის სწავლება.

4. 1918-1919 წლებში საქართველოს დ. რ. განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები: 1. თბილისის უნივერსიტეტი; 2. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი;3. პოლიტექნიკუმი; 4. კონსერვატორია; 5. თბ. ობსერვატორია; 6. კავკასიის მუზეუმი; 7. საოსტატო ინ-ი; 8. საოსტატო სემინარია (5); 9. ვაჟთა გიმნაზია (28); 10. ქალთა გიმნაზია (24); 11.რეალური სასწავლებლები (3); 12. საკომერციო სასწავლებლები(3); 13. სატეხნიკო სასწავლებელი (1); 14. სახელოსნო სასწავლებელი (3); 15. უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი (108); 16. დაწყებითი სკოლა (1460),17. კერძო საშუალო სკოლა (50);

5. კანონპროექტი საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ შეიქმნა 1919 წლის 17 ივლისს. სახელმწიფოს დაფინანსებაზე არსებული ყველა სკოლა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იქნებოდა ერთი ტიპის. 1919-21 წლებში საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასი უნდა გადაკეთებულიყო უმაღლესდაწყებით სკოლებად. საშუალო სკოლის რეორგანიზაცია 1923 წლამდე უნდა დასრულებულიყო. პროექტში ნათქვამი იყო, რომ ის ახალი საფუძველი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს სკოლა უნდა დაფუძნებოდა, იქნებოდა ‘‘დემოკრატიზმი, ადამიანის ჰარმონიული განვითარება. განათლების უფლება უნდა ჰქონოდა ყველა ადამიანს, ამასთანავე, კანონპროექტი მოითხოვდა: ერთიანი სკოლის პირველ საფეხურზე საშუალო სკოლებს გამოყოფოდა მოსამზადებელი კლასები. ერთიანი სკოლის შექნის მეორე საფეხურზე პირველი ოთხი კლასი უნდა გამოყოფოდა და პროგრამულად გაერთიანებულიყო გარდაქმნილ უმაღლეს დაწყებით სკოლასთან. საშუალო სკოლად ითვლებოდა მე-5-მე-8 კლასი, სადაც კანონპროექტის ავტორები შესაძლებლად თვლიდნენ ე. წ. ბიფურკაციას, ანუ მოწაფეების მიერ საკუთარი ნიჭის ინდივიდუალურად გამოკვეთას, თუმცა, ამისთვის საჭირო მატერიალური თუ საზოგადოებრივ-კულტურული დონის იმჟამად არარსებობის გამო, უბრუნდებოდნენ საშუალო სკოლაში საერთო განათლების ერთი ტიპის დაკანონებას;

6. საქართველოს მთავრობა და პარლამენტი აქტიურად მუშაობდნენ განათლების რეფორმის განსახორციელებლად. 1917 წლის ნოემბერში შექმნილ ეროვნული საბჭოში სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა სასკოლო სექცია. სასკოლო სექცია, განათლების სექციის სახელით არსებობდა დამფუძნებელ კრებაშიც და აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სფეროს მოწესრიგების, განათლების რეფორმის განხორციელებისათვის. დამფუძნებელი კრების განათლების კომისია ეროვნულ საბჭოში შეიქმნა 1918 წლის ივლისში და იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცა სკოლების მართვა-გამგეობისა და გაეროვნების (ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლების) პრობლემები. ის ეხმარებოდა განათლების სამინისტროსა და მთავრობას განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განსახორციელებლად. კომისია იკრიბებოდა კვირაში ორჯერ, განათლების კომისიის თავ-რე იყო ლეო ნათაძე. ყველა ის კანონ-პროექტი, რომელსაც განათლების სამინისტრო საჭიროდ თვლიდა სისტემაში რეფორმების გასატარებლად, იხილებოდა საპარლამენტო კომისიაში და მთავრობასთან თანხმობით მტკიცდებოდა, ხშირი იყო აზრთა დაპირისპირებაც;

7. .საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროში შეიქმნა „სამოსწავლო საბჭო", როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაუქმებული კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნაცვლად. სამოსწავლო საბჭოს დებულების პროექტი შეადგინა და 1919 წლის 15 ივნისს განსახილველად წარუდგინა განათლების მინისტრს - ა. ჯავახიშვილმა. დებულების პროექტი სამინისტრომ დაამტკიცა. „სამოსწავლო საბჭოს" პირველი შეკრება მოხდა 1919 წლის 20 ივნისს. 1920 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა, მდივნად - მიხეილ ზანდუკელი. ამ ორივე ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა განათლების რეფორმის ისეთი ასპექტების განხორციელებაში, როგორიც იყო ქართული ტერმინოლოგიის ლექსიკონის შექმნა, სკოლების გაეროვნება, ახალი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო დონეზე დაფუძნებული სასწავლო გეგმების შედგენა. 1920-1921 სასწავლო წელს სასწავლო კომიტეტის სულ 57 სხდომა გაიმართა, რაც მოწმობს კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობაზე;

8. 1919 წელს არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში სხვა საპარლამენტო კომისიებთან ერთად, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი ენიჭებოდა სახელოვნებო კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების განხორციელებას საგანმანათლებლო-კულტურულ სფეროში. სახელოვნებო კომისია იხილავდა სხვადასხვა საკითხებს დემოკრატიულ საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგში არსებულ პრობლემებზე. განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი მას ჰქონდა სამუსიკო, თეატრალურ და სხვა საზოგადოებებთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან. 1920 წელს სახელოვნებო კომისია სისტემატურად იხილავდა საქართველოში კონსერვატორიის დაარსების საკითხს, მსჯელობდა იმ პრობლემებზე, რაც ამ საკითხის გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული. ხელოვნების საზოგადოების თავმჯდომარე ჯერ იყო კოტე ანდრონიკაშვილი (მდივანი დ. გორგილაძე), შემდეგ პავლე საყვარელიძე, ბოლოს კი ივანე გომართელი. კომისიამ მრავალ ეროვნულ კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენას ჩაუყარა საფუძველი, დაეხმარა უამრავ მწერალს, მუსიკოსს, მხატვარს, თეატრისა და კინოს მსახიობებს, მანვე უხელმძღვანელა პირველი დოკუმენტური ფილმების შექმნას, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა;

9. 1918-1919 სასწავლო წელს დაწყებული განათლების რეფორმა ითვალისწინებდა სკოლების რეორგანიზაციას, რაც, პირველ რიგში, ახალ სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს უნდა დაყრდნობოდა. რეფორმის დაწყების შემდეგ გაირკვა, რომ საქართველოს სკოლებში ძირითადად რუსეთიდან შემოტანილი სახელმძღვანელოები გამოიყენებოდა, საჭირო გახდა ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, ან ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი საუკეთესო სახელმძღვანელოების მაღალხარისხიანი თარგმანი. სახელმძღვანელოების შედგენაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის ვაჟთა მე-4 გიმნაზიის დირექტორმა მიხეილ ზაალიშვილმა. მან დამოუკიდებლობის წლებში ცხრა წიგნი შეადგინა. წიგნის გამოცემის საქმეში განსაკუთრებულად აქტიურობდა ,,ქუთაისის წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა'', სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები - იოსებ ოცხელი, სიმონ ყიფიანი, თომა მთავრიშვილი, დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი) და სხვ.

ავტორები სახელმძღვანელოებს საკუთარი ხარჯით ბეჭდავდნენ და საკონკურსოდ აგზავნიდნენ სამინისტროში. ზოგს მშობლიურ ენაზე დაწერილი საუკეთესო წიგნისათვის მიღებული ჯილდო ეამაყებოდა, ზოგს ფინანსურად სასიცოცხლოდ სჭირდებოდა მათგან მიღებული თანხა, ზოგისთვის ასეთი შრომა სულიერი მოთხოვნილება იყო, რაც კარგად სჩანს მათ მიერ განათლების სამინისტროსათვის გაგზავნილ წერილებში. „გაეროვნების'' შემდეგ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. ეს იყო, უპირველესად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, რაც ყველა ტიპის სკოლისათვის (ქართული, რუსული, სომხური, გერმანული, ოსური და სხვ.)სავალდებულო იყო. საზოგადოებრივი აზრის კვალდაკვალ, პროგრამები და სახელმძღვანელოები ხშირად იცვლებოდა, მითუმეტეს, სკოლებს ერთგვარი ავტონომია გააჩნდათ ამ საკითში. პროცესის დასაჩქარებლად და წასახალისებლად დაწესდა პრემიები საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის.

10. ის დიდი მოძრაობა, რომელიც საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულებების გასაქართულებლად, ეროვნული მიმართულების დასანერგად ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, გამოიხატებოდა ტერმინით - „გაეროვნება''.ეს პროცესი საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისთანავე დაიწყო. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა, 20 ნოემბრის სხდომაზე დასვა „სკოლების ნაციონალიზაციის'' საკითხი და სხვადასხვა სექციებთან ერთად, შექმნა „სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია'', რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. მას უნდა შეემუშავებინა და ყრილობისათვის განსახილველად წარედგინა სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი.1918-1919 სასწავლო წელს დასრულდა სკოლების გაეროვნება.

11. პედაგოგთა და მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში დაბალ დონეზე იყო, რადგან ქვეყანას უჭირდა და ფულიც გარკვეულ ინფლაციას განიცდიდა მუდმივი ომებისა და გაძლიერებული გარეშე საფრთხეების

გამო. ხელისუფლებამ გამოცემული დეკრეტებით რამდენჯერმე გაზარდა ხელფასები, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი. მასწავლებელთა გაფიცვების ფონზე მდგომარეობა სასწავლო დაწესებულებებში კიდევ უფრო მძიმდებოდა. ხელისუფლება სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის: ეხმარებოდა სკოლებს, ხელმოკლე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამ საქმეში რთავდა ახლადშექმნილ ერობებს, საქალაქო თვითმმართველობებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, კერძო, შეძლებულ პირებს;

12. დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მასწავლებელთა პროფესიონალური კადრების აღზრდას უთმობდა. განათლების რეფორმის განხორციელებას, ახალ საგანმანათლებლო პროექტს მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კადრების მომზადება ჭირდებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა საოსტატო ინსტიტუტები და სემინარიები. საქართველოში ამ დროს 4 პედაგოგიური სასწავლებელი იყო: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. ყველა ეს სასწავლებელი გაეროვნდა და მთავრობა მათგან სწავლების მაღალ დონეს ითხოვდა;

Commented [C1]:

13. პედაგოგთა კადრების მომზადება ხდებოდა მასწავლებელთა დახელოვნების სპეციალური კურსებისა და წრეების საშუალებითაც. სპეციალურ მიმართვაში განათლების მინისტრი წერდა, რომ სპეციალისტების ნაკლებობა აფერხებდა სწავლის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს, რეფორმით გათვალისწინებულ სპეციალურ სასწავლებლებსაც კადრების ნაკლებობა შეუშლიდა ხელს სწორად ფუნქციონირებაში, ამიტომ უნდა დაარსებულიყო მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები საქართველოს 10 რაიონსა და ქალაქში. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საზაფხულო კურსებმა, სადაც უამრავი პედაგოგი სწავლობდა და აბარებდა გამოცდებს. კურსების პედაგოგთა შერჩევა დიდი სიფრთხილით ხდებოდა. იმ მასწავლებლებს, რომელსაც სამინისტროს სარევიზიო კომისია უწუნებდა კვალიფიკაციას, აგზავნიდნენ კურსებზე და ამით მათ ენიჭებოდათ მასწავლებლობისთვის საჭირო ცენზი.

14. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მასწავლებლები გაერთიანებულნი იყვნენ პროფესიულ კავშირებში. არსებობდა აღმოსავლეთ და

დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირები. ისინი ხელმძღვანელობდნენ განათლების რეფორმის განხორციელების პროცესს და სკოლებში გაშლილ საგანმანათლებლო მუშაობას, ხშირად საერთო კანონის იმ სახით განხორციელებას ითხოვდნენ, რასაც ადგილობრივი პირობები შეესაბამებოდა. მაგალითად: 1918 წლის 5 ოქტომბერს დასავლეთ საქ-ს მასწავლებელთა კავშირის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც დას. საქ.-ში რეფორმის გატარების ფორმებს ეხებოდა. მასწავლებელთა კავშირები იცავდნენ მასწავლებელთა უფლებებს, ზრუნავდნენ მათი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. მასწავლებელთა კავშირის უმაღლესი ორგანო მასწავლებელთა ყრილობა იყო. დამოუკიდებლობის წლებში მასწავლებელთა რამდენიმე ყრილობა ჩატარდა, რომლებიც სკოლის რეფორმირების საკითხს დაეთმო;

15. მიუხედავად მასწავლებელთა დაბალი მატერიალური მდგომარეობის, მათი თვალშისაცემი ნივთიერი ხელმოკლეობისა, საქართველოს სასწავლებლებში პედაგოგთა საუკეთესო კადრები მუშაობდნენ. მათ შორის ბევრი შემდეგში სახელგანთქმული მეცნიერი, მწერალი, საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. ამ დროს პედაგოგებად მუშაობდნენ: ოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე გამსახურდია, პეტრე მირიანაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ზაქარია ფალიაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, გრიგოლ ნათაძე, ანდრია ყარაშვილი, ვასილ ბარნოვი, იასონ ნიკოლაიშვილი და სხვ. მათი მაღალი ინტელექტი და პროფესიონალიზმი ქართულ სკოლას ეხმარებოდა მაღალზნეობრივი და ნიჭიერი ადამიანების აღზრდაში;

16. განათლების სამინისტრო არ ივიწყებდა იმ რაიონებსაც, რომლებიც დროებით სამშობლოს იქნა მოწყვეტილი. სამინისტროს 10 მილიონიანი ფონდიდან დიდი ნაწილი სწორედ იმ რაიონების ქართულ სკოლებს ერიცხებოდა, რომლებიც ქვეყნის გარეთ მდებარეობდა და მეტად ძნელ, ხშირად მტრულ გარემოცვაში უხდებოდა მუშაობა. ასეთი იყო ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმისა და ბათუმის ოლქის, საინგილოს, ასევე, სოჭის რაიონის ქართული სკოლები. სამინისტრო მათ ეხმარებოდა

როგორც ფინანსურად, ასევე საჭირო კადრებით, სახელმძღვანელოებითა და ინსტრუქციებით;

17. დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია სპეციალისტების აღზრდას და პროფესიული სასწავლებლების დაარსებას. ბევრი ახალგაზრდა პროფესიული ცოდნის შესაძენად საზღვარგარეთ იგზავნებოდა მთავრობის სტიპენდიით. ხაზინიდან ამ მიზნის განსახორციელებლად სპეციალური თანხა გამოიყო 1 მილიონი მანეთის სახით. დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში 4 სამეურნეო სასწავლებელი იყო: ერთი ქუთაისში, ორი თბილისში და ერთი წინამძღვრიანთკარში. ყველა ეს სასწავლებელი ითვლებოდა კერძო სკოლად. ამის გარდა, იყო პრაქტიკული სკოლა საქარაში და თბილისში- ბოტანიკურ ბაღთან. სკოლები ისეთ უმწეო მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ, რომ არსებობა უჭირდათ. მიუხედავად ამისა, მაინც იხსნებოდა ახალი პროფესიულ-ტექნიკური სკოლები, ხდებოდა ძველი სასწავლებლების რეორგანიზაცია. ამ პროფილის სკოლებიდან აღსანიშნავი იყო: ბორჯომისა და ხონის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ქუთაისის (აჯამეთის) სასოფლო-სამეურნეო და ქალთა შრომის სკოლა, ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი, ფოთის საზღვაო სკოლა და სხვ. 1919 წელს სპეციალური განათლების მისაღებად საზღვარგარეთ 83 ახალგაზრდა გაიგზავნა და მათთვის ხაზინიდან 2 მილიონი მანეთი გამოიყო;

18. სპეციალურ სასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც ზრდიდნენ არა მარტო საეკლესიო-სასულიერო პირებს, არამედ საღვთო სჯულის მასწავლებლებს საერო სკოლებისათვის, ასწავლიდნენ ქრისტიანულ მორალსა და ეთიკას. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებიდან ყველაზე დიდი კრიტიკა ერგო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განსაზღვრას, საღვთო სჯულის სწავლების ამოღებას საერო სკოლების პროგრამებიდან. ხელისუფლება სწორად თვლიდა დემოკრატიული მმართველობის სისტემისათვის ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას, რასაც, საქართველოს ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, ბევრი არ ეთანხმებოდა. სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას კრიტიკოსები ამ პოლიტიკას

ბოლშევიკურად, ხალხის საწინააღმდეგო ქმედებად უთვლიდნენ. განათლების რეფორმის თანახმად, საღვთო სჯული ამოღებული იქნა სკოლაში სასწავლო სავალდებულო საგნების სიიდან. კანონი ამის შესახებ 1918 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა და, მიუხედავად საზოგადოების დიდი პროტესტისა, მაინც განხორციელდა;

19. სახალხო განათლების სისტემაში სულ იყო კამათი იმაზე, თუ ვის უნდა ეგო პასუხი და ვის ემართა ადგილობრივი სკოლები განათლების სამინისტროსთან ერთად. ცალკეული სპეციალური სკოლები სამართავად იმ უწყებებს გადაეცა, რომლებიც ამ სკოლებს პროფილით შეესაბამებოდნენ, მაგ. : სასოფლო სკოლები - მიწათმოქმედების სამინისტროს, სავაჭრო-ეკონომიკური - ვაჭრობის სამინისტროს. მაგრამ ცხადი გახდა, რომ განათლების სამინისტრო უნდა ყოფილიყო ყველა ტიპის სკოლის მუშაობის მთავარი კოორდინატორი, მას მხოლოდ უნდა დახმარებოდნენ ცალკეული სახელმწიფო უწყებები, საქალაქო და სასოფლო საზოგადოებები.

1918 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო სკოლების გადაცემა-ჩაბარების პროცესი ერობებისათვის. ერობები შეუდგნენ სამინისტროს უწყების ყველა სახალხო სკოლის ადგილობრივად მიღებას თავისი ინვენტარით, რისთვისაც, საქმის გაადვილებისათვის, თითოეულმა სკოლამ წინასწარ შეადგინა ჩასაბარებელი უწყება. ერობებს ხშირად არ ჰქონდათ სათანადო თანხები სკოლების დახმარებისათვის გამოსაყოფად, ამ შემთხვევაში მათ განათლების სამინისტრო ურიცხავდა საჭირო ფულს. მიუხედავად კრიტიკისა, ახლადშექმნილი ერობები ყველაფერს აკეთებდნენ განათლების უკეთესი მომავლისათვის, მაგრამ უფინანსობის გამო საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდათ.

20. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, იყო დადებითი და ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის სასარგებლო შედეგებიც მოჰქონდა, რეფორმის განხორციელებაში მაინც თვალნათლივ ჩანდა ბევრი ხარვეზიც. იმდროინდელ ურთულეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, ვერ ხერხდებოდა რეფორმით გათვალისწინებული ყველა მიზნის შესრულება. იყო სუბიექტური მიზეზებიც. რაც მთავარობისა და სხვა

ადმინისტრაციული ორგანოების ცუდი მუშაობით, დაუდევრობითა და უცოდინრობით იყო გამოწვეული. მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და მათი პრესა ამ მიზეზებს არ მალავდა და ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცევდა. ოპოზიცია განსაკუთრებით სკოლის პოლიტიზირებას აკრიტიკებდა, ცდილობდა განათლებას შეესრულებინა ის დიდი სახელმწიფოებრივ-კულტურული და სულიერ-ზნეობრივი მისია ერის ცხოვრებაში, რაც მას ისტორიულ წარსულში გააჩნდა;

21. განათლების რეფორმამ დიდი ყურადღება მიაქცია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერების შექმნას, კულტურული დაწესებულებების დაარსებას 1918-1921 წლებში. პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც 1918 წლის იანვარში დაარსდა როგორც კერძო უნივერსიტეტი, 1918 წლის სექტემბრიდან (ეროვნულმა საბჭომ აგვისტოს ბოლოს მიიღო ამის შესახებ კანონი) სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა. 1919 წლის 24 ივლისს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ (თავ-რე გრ. გიორგაძე) შეიტანა ჩასწორებები დებულებაში საოსტატო სემინარიის უნივერსიტეტთან გაერთიანებისა და პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ. დებულებით პედაგოგიური ინსტიტუტი იარსებებდა სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებთან. მას გადაეცემოდა თბილისის უნივერსიტეტის საოსტატო ინსტიტუტის შენობა და მთელი ქონება. გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებული პედაგოგიური ინსტიტუტისა, საქართველოში ოყო ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი და თბილისის პო ლიტ ტექნიკური ინსტიტუტი;

22. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება და სასკოლო რეფორმის გატარება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა იმ მხრივაც, რომ საქართველოში განათლების დაბალი დონე იყო, ბევრმა ადამიანმა სრულიად არ იცოდა წერა-კითხვა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების შექმნას. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის განათლების სამინისტროში სპეციალური კომისია შეიქმნა მთავარგამგის - გიორგი ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა კავკასიის პედაგოგიური მუზეუმი, რომელიც სასწავლო-საჩვენებელი დაწესებულება იყო. ასევე, ფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს საეკლესიო მუზეუმი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება თბილისსა და ქუთაისში, პროფესიული კავშირები, მათ შორის თეატრის, მწერალთა კავშირი, სახელოვნო ცენტრი და სხვ.

23. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ხორციელდებოდა მოძრავი ბიბლიოთეკების, სახალხო წიგნთსაცავებისა და სამკითხველოების საშუალებით. .საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგება დამოუკიდებლობის გამოცხდებისთანავე დაიწყო. 1918 წლის 1ივლისს მოეწყო საბიბლიოთეკო კომისიის პირველი შეკრება, მთავარი საკითხი იყო ყოფილი მეფისაცვლისა და მთავრობის სასახლის ბიბლიოთეკის მდგომარეობის გაცნობა. ეროვნულმა საბჭომ დაადგინა, რომ კანცელარიასთან ჰქონოდა სათანადოდ შედგენილი მდიდარი ბიბლიოთეკა. პარლამენტის საბიბლიოთეკო კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ოლია სოლოღაშვილი, დაათვალიერა მეფისნაცვლის ყოფილი წიგნთსაცავი და ის პარლამენტის ბიბლიოთეკას გადასცა. ეროვნულმა საბჭომ თავისი წიგნთსაცავისათვის გადადო 120, 000 მან. მთავარი იყო კანონპროექტის შედგენა მთელ საქართველოში „წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ''. ეს დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს კომისიამ 1918 წლის 8 ოქტომბერს წარუდგინა. ვინაიდან საქმე ეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლებში წიგნსაცავ-სამკითხველოების მოწყობას, ამასთანავე, კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად პრობლემა იყო იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივ-შემეცნებითი დონის გაზრდა, შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ღონისძიებას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. სულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 500 წიგნთსაცავ-სამკითხველო უნდა დაარსებულიყო, აქედან, ბევრი დაარსდა, მაგრამ პროგრამა ბოლომდე ვერ მივიდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო;

24. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში გამორჩეულ როლს ასრულებდა სახალხო უნივერსიტეტი. ეს დაწესებულება საქართველოში უკვე XX ს.-ის დასაწყისიდან ფუნქციონირებდა. პირველი სახალხო უნივერსიტეტი ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში გაიხსნა. საქართველოს

დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. სახალხო უნივერსიტეტები იყო: თბილისში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ხონში, ფოთში, თელავში და სხვ. სულ ასეთი 12 უნივერსიტეტი არსებობდა. თითოეულ რაიონსა და სოფელში იმართებოდა ლექციები, სახალხო კითხვები, რისთვისაც წინასწარ დგებოდა გეგმა; ლექციებს ცნობილი მწერლები და მეცნიერები ატარებდნენ;

25. დამოუკიდებლობის წლებში გამოჩენილ მეცნიერთა და ხელოვანთა მონაწილეობით შეიქმნა ქართული სახელმწიფო სიმბოლიკა (დროშა, გერბი, ჰიმნი), აიგო სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, გაიხსნა კონსერვატორია, დაიდგა პირველი საოპერო სპექტაკლები, სახელმწიფო კაპელა, დაარსდა სახელმწიფო საისტორიო არქივი, სადაც დაცული იქნა რუსეთის იმპერიის დროს შედგენილი საინტერესო საარქივო ფონდები და უწყებრივი მასალები;

26. დიდი როლი ჰქონდა მიკუთვნებული ჯარში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას: ეს იყო:1. საგუნდო სკოლა; 2. საათასეულო სკოლა, რომელიც სწავლების მეორე საფეხურს წარმოადგენდა (ცოდნა გადაეცემოდა საუბრების საშუალებით);3. ჯარისკაცთა უნივერსიტეტი(აქ საუბარი იყო რთულ პოლიტიკურ თემებზე, უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, სიტყვიერებისა და სხვ. საკითხებზე), სწავლა სპეც. პროგრამებით მიმდინარეობდა; 4. ჯარის მოძრავი და უძრავი წიგნთსაცავები; 5. ჯარში გავრცელება პრესის მასალების(რიგდებოდა ჟურნალი „მხედარი", „ბორბა", „ერთობა"); 6. ჯარისკაცთა თეატრები, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობდნენ ჯარისკაცთა შორის; 7. კინემატოგრაფიის არსებობა ჯარში, რისი საშუალებითაც შთამომავლობას შემოენახა ისეთი დოკუმენტური კინო-მასალა, როგორიცაა: „26 მაისი", „გვარდიის დღე", „დამფუძნებელი კრების გახსნა", „აზერბაიჯანის ფრონტი", „ბათუმის საქართველოსთან შემოერთების ზეიმი" და სხვ.

27. განათლების რეფორმა ბოლომდე ვერ განხორციელდა, თუმცა, მისი ტემპი საკმაოდ აჩქარებული იყო. რეფორმა 1923 წლამდე იყო გაწერილი, თანაც მისი განხორციელება ხდებოდა უმძიმეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რაც ბუნებრივად აფერხებდა მისი ყველა ასპექტის გადაჭრას.

მიუხედავად ამისა, საუკუნის წინათ გატარებული განათლების რეფორმის ბევრი მონაპოვარი დღესაც მნიშვნელოვანი ფასეულობაა და იმსახურებს ქართული სკოლისა და მთლიანად ქართული საზოგადოების ყურადღებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი:ქსსა, ფონდი3, საქმე 63, ფ. 3-4; ქსსა, ფონდი3, საქმე 105, ფ. 2-3; ქსსა, ფონდი3, საქმე 106, ფ. 2-3; ქსსა, ფონდი3, საქმე 93, ფ. 2; ქსსა, ფონდი 6, საქმე 128, ფ. 6, 11; ქსსა, ფონდი 9, საქმე 1595, ფ. 2; ქსსა, ფონდი 9, საქმე 1595, ფ. 67-68; ქსსა, ფონდი 9, საქმე 1601, ფ.: 17, 18, 19, 20; ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 55; ფონდი 15, საქმე 175, ფ. 64; ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 61-62; ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 58; ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. ქსსა, ფონდი175, საქმე 176, ფ. 10; ქსსა, ფონდი 15, საქმე 3828, ფურც.50, 55, 90, 92,93, 107, 117; ქსსა, ფონდი 19, საქმე 104, ფ.: 6. 8.13-14, 27; ქსსა, ფონდი19, საქმე 134, ფ. 4; ქსსა, ფონდი 19. საქმე 155. ფურც.: 9-18; ქსსა, ფონდი 20, საქმე 381, ფ. 1;ქსსა, ფონდი 39, ფ.1; ქსსა, ფონდი 81, საქმე 165, ფ. 11, 19, 20; ქსსა, ფონდი 81, საქმე 153, ფ. 4; ქსსა, ფონდი 82, საქმე 50, ფ. 22-37;ქსსა, ფონდი 91, საქმე 1593, ფ. 22, 23, 25; ქსსა, ფონდი 105, საქმე 21, ფ. 2; ქსსა, ფონდი 105, საქმე 22,ფ. 1; ქსსა, ფონდი 105, საქმე 23, ფ. 3; ქსსა, ფონდი 105, საქმე 31, ფ.1, 4; ქსსა, ფონდი 105, საქმე 32,ფ. 57; ქსსა, ფონდი 121, საქმე 1102, ფ. 2; ქსსა, ფონდი 121, საქმე 1110, ფ. 2; ქსსა, ფონდი 1681,ფ. 78, 85; ქსსა, ფონდი 1717, ფურც. 44, 54, 55; 57, 58, 61;

საქართველოს ცენტალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ფონდი 1935: სცსსა, ფ. 1935, საქმე 8, ფ.. 21-22; სცსსა, ფონდი 1935, აღწერა1, საქმე10 ფ. 3; სცსსა, ფ. 1935, საქმე 13, ფ.. 38; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 26, ფ. 8-9, 11-13; სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 27, ფ. 38; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 11; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 14-22; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 37, ფურცელი 17; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.6; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.7; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 54, ფ.71-81; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფურცელი 55; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 59, ფ.57, 59, 61, 121-124; სცსსა, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 176, ფ. 6-10; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 84, ფ. 25-27; სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 175, , ფ.7-10; 33-38; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 6-7; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 3-4; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 1-11; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 184, ფურცელი 1-2; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 206, ფ.75, 76-78, 84. 85, 86. 99; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 221, ფ. 7;

სცსსა, ფ. 1935, საქმე , საქმე 244, ფ.1, 3, 4; სცსსა, ფონდი 1935, ან. 1, საქმე 244, ფ.26-40; სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 1, საქმე 440, ფ. 35; სცსსა, ფ. 1935, აღწერა 2, საქმე 400, ფ. 1-2; ფ.1935,აღ.2, საქმე 428, ფ. 1-4; , სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე265, ფ.1; სცსსა,ფ. 1935, აღ.2, საქმე 1428, ფ. 1-20; ფონდი 1935,საქმე 247, ფ.1-6; ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 204, ფ.15; ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 204, ფ.70-74; ფ. 1935, საქმე 109, ფ.1-9; ფ. 1935, აღ.2, საქმე 95, ფ. 21; სცსსა, ფონდი 481, საქმე7146, ფ. 13-14; სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 71, ფ.4-9; სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 74, ფ.1-21]; სცსსა 1935, აღ. 1, საქმე 76, ფ.1-9; ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 103,, ფ.14; ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 241, ფ.1-2; სცსსა, ფონდი 1935, აღ.2, საქმე 1511, ფ. 1-11; სცსსა, ფ, 135, აღწ. 1, საქმე 55, ფ.1, 18-19; სცსსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 173, ფ.3, ფ. 24-25; სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე 206, ფ.88, 89.; სცსსა, ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 89,, ფ.1-24; ფ.27-29; ფ. 30; ფ.32-33; ფ.38-39; ფ. 40-41; სცსსა, ფონდი 1935, ან.1, საქმე 314, ფ.1-5; სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე319, ფ. 1-65; საქმე 236, ფ. 1-9; საქმე 282, ფ.1-30; საქმე 178, ფ.1-6; სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე 900, ფ. 6-12; სცსსა 1935, აღწერა 1, საქმე 973, ფ.3; ცსსა, ფ. 1935, აღ.2, საქმე 1428, ფ. 1-20

სცსსა, **ფონდი 481,** საქმე 7146, ფ. 13-14;

ფონდი 1833: სცსსა, ფონდი 1833, საქმე 69, ფ, 8; სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 262, ფ. 3, 16; სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 263, ფ. 22; სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ.1; სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 265, ფ. 10.98 ; 100. 140, 157, 158, 159, 173; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 268, ფურც. 4, 5, 7, 9, 13, 15. 16; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 269, ფ. 3; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 272,ფ. 2-11; სცსსა, ფონდი 1833, ან.1, საქმე 273. , ფ. 9, 13-14, 28, 41-42; 45, 69, 73, 103, 116; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 275, ფ.1, 4-5, 43; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 278, ფ. 19-20, 23; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 281, ფ. 4, 5; სცსსა, ფონდი 1833, საქმე 282, ფურც.: 2, 25, 34, 47, 57, 66, 68, 76, 110, 211, 215, 265; სცსსა, ფონდი 1833, აღწ.1, საქმე 1006, ფურც.:9, 17, 18,36, 40, 41, 42, 47, 54,56, 59, 63, 67, 86, 87, 94, 101, 109, 112, 134, 145-147, 159,173, 175, 181, 183, 189. 220,231, 232, 237, 243, 251, 254,273, 275, 295;

ფონდი 1836. სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 62, ფ. 7-12; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 244, ფ. 11-46; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 246, ფ.20; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 247ფ. 2; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 250, ფ.1-5; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 252, ფ. 2,22; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 254, ფ. 1; სცსსა, ფონდი 1836, აღწ, 1საქმე 259, ფ. 1. 4,

5, 7; სცსსა 1836, აღ.1, საქმე 264, ფ. 1-4; 6, 10; სცსსა, ფონდი 1836,ან.1,საქმე 256, 1, 2, 4, 15; სცსსა, ფონდი 1836, აღწ, 1საქმე 273, ფ. 2, 6, 7, 14; სცსსა, ფონდი 1836, აღწ, 1საქმე 274, ფ. 1, 2, 4, 10, 14.

გამოყენებული პრესა

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 1921წ.წ.;

გაზეთი „საქართველო", 1917-1921;

გაზეთი „სახალხო საქმე", 1917-1920;

გაზეთი „ერთობა", 1917-1921;

გაზეთი „მიწა", 1920 წ.

გაზ. „სახალხო განათლება" 1918-1920.

გამოყენებული ლიტერატურა:

აქტების კრებული, 1990, - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990.

ბენდიანიშვილი, 2001: ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბილისი, 2001;

გაბუნია, 20???, - ლია გაბუნია,

გიორგაძე, 1928: გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905წწ.), თბილისი, „სახელგამი", 1928;

გოგებაშვილი, 1952-1955: იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ.1,

თბილისი, 1952, ტ.2, თბილისი, 1954, ტ.3, თბილისი,1954, ტ.4, თბილისი,1955;

ვაჟა-ფშაველა, 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 10 ტომად, თბილისი, 1964;

ვასაძე, 2000: ნათელა ვასაძე, პედაგოგიკა, თბილისი, 2000;

ზამბახიძე, 1957: ლამარა ზამბახიძე, ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები, თბილისი, 1957;

თავზიშვილი, 1974: გიორგი თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, ტ.1, თბილისი, „განათლება", 1974;

იაკობაშვილი 2003:72-84, - ირაკლი იაკობაშვილი, საეკლესიო მუზეუმი საქართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება, თსუ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, სამეცნიერო შრომების კრებული, 5, 2003.

კვერენჩხილაძე 1982, - რ. კვერენჩხილაძე, საქართველოს მწერალთა კავშირი, 1917-1982, თბ, 1983.

კლდიაშვილი, 1984: დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, ,,საბჭოთა აჭარა'', 1974;

მასალები 1981, - მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა), ტექსტი შესავალი წერილი, კომენტარებითა და საძიებლით გამოსაცემად მოამზადა ელისო აბრამიშვილმა, გამომცემლობა ,,მეცნიერება'', თბილისი, 1981.

ნიკოლეიშვილი 1999, - ამირან ნიკოლეიშვილი, კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში(1918 წლის მაისი- 1921 წლის თებერვალი), თბილისი, 1999.

ჩხაიძე 2003 :225, - გურამ ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2003.

ჟორდანია 1990, - ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990.

სარიშვილი,1986: ტიტე სარიშვილი, სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში (1901-1920),თბილისი, 1986;

საქართველო-რუსეთი 2016, - დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, ტომი II, თბილისი, 2016.

საყვარელიძე 1992, - გიორგი საყვარელიძე, ,,მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა''(1918-1921 წ.წ.), თბილისი, 1992;

სახალხო განათლების... 1953: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი 1, თბილისი 1953;

სახალხო განათლების... 1955: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი 2, თბილისი 1955;

სახალხო განათლების... 1986: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი 3, თბილისი 1986;

ფართლაძე, 2015: -მაია ფართლაძე, საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების რეფორმის შესახებ 1918-1920 წლების პრესაში, თსუ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2015, 2 (17).

ფართლაძე, 2017: მაია ფართლაძე, დამფუძნებელი კრების განათლების კომისია, კრებულში ,,ახალი დაუახლესი ისტორიის საკითხები'', №1(20), 2016;

ქინქლაძე, 1980: ოთარ ქინქლაძე, ქართულიდემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება, თბილისი, ,,განათლება'', 1980;

ჭავჭავაძე, 1938: ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, გ. თავზიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938;

ჭავჭავაძე 1941-1984: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ.2, თბილისი, 1941, ტ.4, თბილისი, 1955,ტ.5, თბილისი,1943, ტ. 7, თბილისი, 1984;

ჭავჭავაძე, 1997: ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 1997;

ჭავჭავაძე, 1955: ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.6, გვ.156, თბილისი, 1955

ჭუმბურიძე, 2003:დოდო ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლამე-20 საუკუნის დასაწყისში; 1918-1921 წლები, თბილისი, 2003;

ჭუმბურიძე, 2000: განათლება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000

ჭუმბურიძე, ფართლაძე 2017: დოდო ჭუმბურიძე, მაია ფართლაძე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია, კრებულში ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები'', თბილისი,2017, №1;

ჯანელიძე, 2002: ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2001;

ჯიბლაძე, 1974: გიორგი ჯიბლაძე, პედაგოგიკა და მეთოდიკა, თბილისი, ,,განათლება'', 1974;